საქართველო ბეჭედია ...ალო და თბილ... ჩასმული ბადახში
თბილისელები®
ყოველკ... * ფასი 1,50 ლარი ... – 6 სექტემბერი №35 (766)
www.tbiliselebi.ge



როგორ უყვარდება დათო როინიშვილს ყველა პარტნიორი ქალი

გვ. 14

მეუღლემ კარგად იცის, რომ მე ეს უნდა დამემართოს... რა უნდა ქნას, რომ ეს არ მოხდეს? მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია

# გია ჯაჯანიძის უცნობ ქალთან უკანონოდ შეძენილი შვილის ისტორია

გვ. 10

ეს დუმილიც ვიღაცამ სათავისოდ რომ გამოიყენოს, ხომ შეიძლება? ამიტომ გადავწყვიტე, მომეყოლა ეს ამბავი

როგორ გაქურდეს მძინარე ლენუკა ყიფშიძე და რის გამო ბრაზობს და ეჭვიანობს ზურა ყიფშიძე

გვ. 59

ყველა ერთად ვცხოვრობთ და გამოდის, ზაფხულში ერთმანეთისგან ვისვენებთ

გვ. 58



რა შესთავაზა მდიდარმა თურქმა ბიზნესმენმა ამალია ჯიბლაძეს და როგორ წამოიყვანა ქართველმა უცნობმა მამაკაცმა ის თურქეთიდან

კარგი „ბანტების" კეთების გარდა, კარგი მასაჟიც გამომდის



გვ. 18

როგორ აჯადოებს გოგონებს ხელებით ლეონ პატარიძე და რაში ენდობიან მას თვალდახუჭული რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები



საშინლად არ მომწონს ლამაზი ქალები

გვ. 55



გვ. 13

რომელი ცნობილი ვარსკვლავის ჩამოყვანას აპირებს საქართველოში შორენა მარცვალაძე და რას უწუნებს ქართველ მამაკაცებს იტალიაში ცნობილი ქართველი დიზაინერი

რას ვერ ივიწყებს ზურაბ გურიელიძე 13 ივნისის კოშმარული ღამიდან და ვინ აუკრძალა მას მუშაობა ზოოპარკში

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**პროფესიით ეკონომისტი მარიამ დარბაიძე უკვე რვა წელია, ლილოში, მაღაზიის ადმინისტრატორად მუშაობს და ოჯახს, რომელიც მხოლოდ მის იმედზეა, დამოუკიდებლად ინახავს. თუმცა მისწრაფებას, რომელიც ბოლო პერიოდში აღმოაჩინა და მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, პროფესიასთან საერთო არაფერი აქვს. მარიამი ულამაზეს დეკორატიულ სანთლებს ამზადებს, რომლის მიმართაც გულგრილი ვერცერთი მნახველი ვერ რჩება. ხელოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ამხელა ინტერესი მის ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა ტრაგედიამ გამოიწვია. ამ საქმიანობაში მარიამმა ჰპოვა თავშესაფარი, რომელიც 18 წლის შვილის დაკარგვის შემდეგ, ასე ძალიან სჭირდებოდა.**

# ვინ დაეხმარა მარიამ დარბაიძეს ტრაგედიის გადატანაში და როგორ ისწავლა მან ხელოვნების ნიმუშების დამზადება

**მარიამ დარბაიძე**: დაახლოებით, ნახევარი წლის წინ დავიწყე დეკორაციული სანთლების კეთება. პირველად ინტერნეტში ვნახე ძალიან ლამაზი სანთელი, მომეწონა და დავინტერესდი, როგორ კეთდებოდა. მოვძებნე შესაბამისი საიტები, დავუკავშირდი ამ საქმის უცხოელ სპეციალისტებს და მათთან ვიდეოგაკვეთილები გავიარე. მათგანვე შევიძინე ყველაფერი, რაც სანთლის დამზადებისთვის იყო საჭირო და მუშაობა დავიწყე. ბევრი სირთულე შემხვდა – თუნდაც, შესაბამისი აპარატურის მოპოვება, რომელიც საქართველოში არ იშოვება. მისი გამოწერა კი საკმაოდ ძვირი ჯდება. ისევ ჩემს ფანტაზიას მივმართე, მოვიფიქრე, როგორი ხელსაწყო დამჭირდებოდა და აქვე დავამზადებინე. დასაწყისში რთული იყო, მაგრამ პრაქტიკამ ტექნიკა დამიხვეწა. მთავარი ესაა. რაც შეეხება ფანტაზიას, ის თავისთავად ვითარდება. სხვა ქვეყნის ტენდენციებსაც ყოველთვის ვადევნებ თვალს და ვცდილობ, მეც ფეხი ავუწყო. ყველაზე მეტად, ეგრეთ წოდებული, „დაჭრილი სანთელი" მომწონს, რომელზეც ჩუქურთმების გამოყვანა ხელით ხდება.



**ამის კეთება რომ დავიწყე, ყველა მეუბნებოდა, გიჟი ხარო და დამცინოდნენ**

**– საქართველოში კონკურენტი თუ გყავთ?**

– რამდენადაც ვიცი, არა. თავიდან, ამის კეთება რომ დავიწყე, ყველა მეუბნებოდა, გიჟი ხარო და დამცინოდნენ. ახლობლების გვერდში დგომის იმედი მქონდა, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. ხელს არავინ მიწყობდა. ფიქრობდნენ, რომ ფულს და დროს ფუჭად ვფლანგავდი. პირველი გამოფენა აპრილში „ექსპო ჯორჯიაში" მქონდა. ძალიან კარგი შეფასებები დაიმსახურა ჩემმა ნამუშევარმა. აბსოლუტურად ყველა გამვლელის ყურადღებას იქცევდა. პირველი სანთელი რომ გავყიდე, საოცრად ბედნიერი ვიყავი და ყველას დავურეკე, ვინც გიჟს მეძახდა *(იცინის).* თურმე, ხალხს სჭირდება ის, რასაც მე ვაკეთებ. მეორე გამოფენა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მქონდა. აქ უკვე ორასი სანთელი გამოვფინე. ყველა სანთელი ერთმანეთისგან განსხვავებულია: ფერით, ფორმით თუ ზომით. ვცდილობ, მრავალფეროვნება შევქმნა.



**– მათი დამზადება რა თანხებს უკავშირდება?**

– ძალიან დიდი თანხა არ არის, მაგრამ არც იაფია. ფასი ათი ლარიდან იწყება და ას ლარამდეა. პატარა სანთლები ხუთ ლარადაც მაქვს. ჯერჯერობით აქტიურად არ ვყიდი. ვფიქრობ, შემოდგომისთვის პატარა ფართი ავილო და სახელოსნო და მაღაზია ერთად გავაკეთო. პატარა ბიზნესგეგმა მაქვს, თუმცა ცოტა ვნერვიულობ. პროფესიით ეკონომისტი ვარ და ახლა ლილოში, მაღაზიაში ვმუშაობ ადმინისტრატორად. უკვე რვა წელია, ამ საქმე ვაკეთებ. ხელოვნების მიმართ მიდრეკილება საიდან წამოვიდა, არც ვიცი. ბავშვობაში დედაჩემი მუსიკაზეც მატარებდა, ცეკვაზეც, ცურვაზეც და რამდენიმე დღის წინ ვეხუმრებოდი: რა მოხდებოდა, ბარემ ხატვაზეც მიგეყვანე, იქნებ ვინ გამოვსულიყავი-მეთქი *(იცინის).* ახლა სწორედ ოჯახის გამო ვნერვიულობ. გამოვა კი ისე, რომ თუ ჩემს მაღაზიას გავხსნი, ოჯახის შენახვას შევძლებ? ლილოს მაღაზიაში ყოველთვიურად სტაბილური შემოსავალი მაქვს. ჩემი რომ გავხსნა, იქ მუშაობას თავი უნდა დავანებო – რომ არ გამოვიდეს, პურის ფულის გარეშე დავრჩები. ოჯახი მატერიალურად ჩემზეა დამოკიდებული. მე, ჩემი შვილი და მოხუცი დედა ვცხოვრობთ ერთად. მეუღლეს უკვე 16 წელია, დაშორებული ვარ. როცა ოჯახი მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული და წინასწარ არ ვიცი, გაამართლებს თუ არა ჩემი გეგმა, ცოტა ვნერვიულობ.

**– როგორც ვიცი, ამ სფეროში აქტიური მუშაობა თქვენს ცხოვრებაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დაიწყეთ.**

– ასეთი საქმეების მიმართ მიდრეკილება სულ მქონდა. ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ბავშვისთვის ვქსოვდი ხოლმე. მერე დავიწყე წყლით ქარგვა, მაგრამ მალევე დავანებე თავი, რადგან აბრეშუმის ძაფი სჭირდება, რომელიც საქართველოში ფიზიკურად არ იშოვება. შემდეგ კარგა ხანი გაჩერებული ვიყავი, არაფერი გამიკეთებია. მაგრამ მერე, ჩემს ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დატრიალდა და აუცილებლად უნდა გამეკეთებინა რამე, რომ ყურადღება მასზე გადამეტანა. ისევ ქარგვა დავიწყე. ვიტრაჟებსაც ვამზადებდი. ეს იყო გზა ჩემი ტრაგედიისგან გაქცევის. არ მინდოდა, რეალობისთვის თვალი გამესწორებინა. ამ ყველაფრის გადატანაში ყველაზე დიდი როლი ეკლესიამ შეასრულა. მე ჩემმა მოძღვარმა გამაძლებინა. მაგრამ, ეკლესიის შემდეგ სახლში მიდიხარ, მარტო რჩები და ისევ ფიქრები გიპყრობს. ამიტომ, აუცილებლად რამით უნდა დავკავებულიყავი და გამუდმებით იმაზე არ მეფიქრა, რომ ჩემს 18 წლის შვილს მანქანა დაეჯახა და დამეღუპა. ახლა უკვე მეხუთე წელი სრულდება. პირველმა წელმა როგორ გაიარა, არც მახსოვს. წლისთავამდე ძალიან მძიმედ ვიყავი. ეს პერიოდი ფსიქოტროპული წამლების ზემოქმედების ქვეშ გავატარე. წამლები და ეკლესია იყო ჩემი თავშესაფარი. მეორე შვილიც მყავს – 17 წლის გოგონა. მაშინ 13 წლის იყო და მერე მივხვდი, რომ მასთან ასე მოქცევა არ შეიძლებოდა. ბავშვი ძალიან უყურადღებოდ მრჩებოდა. მით უმეტეს, გარდატეხის ასაკში იყო და განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მაშინ სჭირდებოდა. ჩემი გარდაცვლილი შვილი, რა თქმა უნდა, არასდროს მავიწყდება, მაგრამ თავს დავაძალე, რომ სულ საფლავზე და მასზე ფიქრებში არ ვყოფილიყავი. ეს საქმეც ერთგვარი თავშესაფარია ჩემთვის. მუშაობის პროცესში სხვა სამყაროში გადავდივარ და აღარ ვფიქრობ, რომ მე მყავდა ორმეტრიანი ვაჟკაცი, რომელიც ახლა აღარ მყავს.



**– როგორც ვიცი, სპეციალურად პატრიარქისთვისაც გაქვთ სანთელი დამზადებული.**

– კი, პატრიარქისთვის მაქვს დამზადებული სასაჩუქრე სანთელი და ძალიან მინდა, პირადად შევხვდე და გადავცე. დარწმუნებული ვარ, მისგან დიდ მადლს მივიღებ. ჩემი მოძღვრისთვის მქონდა გაკეთებული და მას უკვე გადავეცი. როცა სანთელს ვინმესთვის ვამზადებ, გამუდმებით იმ ადამიანზე ვფიქრობ და თითოეულ სანთელში, ვერ გეტყვით როგორ, მაგრამ სხვადასხვა ადამიანი ჩანს. ამიტომაც განსხვავდება ყველა ერთმანეთისგან. ყველას თავისი სახელი აქვს.

**– მათი გასხვისება არ გიჭირთ?**

– სანთლებს მათ ვჩუქნი, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასია და მინდა, თავი დავამახსოვრო. დღესაც ჩემს ექიმს ვაჩუქე. ახლა მისგან მოვდივარ. როგორც გითხარით, ფსიქოტროპულ წამლებს ვსვამდი და მისი დამსახურებაა, რომ მე წამალდამოკიდებული არ გავხდი. ექიმის დახმარებითა და უფლის შეწევნით, ფეხზე დადგომა და თავის ხელში აყვანა შევძელი. საქმე, რომელსაც ახლა ვაკეთებ, ძალიან მეხმარება.

**ქეთი კაპანაძე**

# როგორ მიმართავს პაციენტებს ექიმი რამაზ ყურაშვილი და რა უნდა იცოდეს ყველამ დიაბეტის შესახებ



**ექიმი, რომლის სახელიც თბილისში ლეგენდად ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან იქცა. ბატონი რამაზ ყურაშვილი – პიროვნება, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართულ მედიცინაში შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლა, პრაქტიკულად, მედიცინის ამ დარგის ჩამოყალიბება, დიაბეტიან პირთა ინტერესების დაცვა და მრავალწლიანი ლობირება საქართველოს პარლამენტში, დიაბეტის მკურნალობაში ხელოვნური ბეტა-უჯრედის ექსტრაკორპორალური მეთოდის გამოყენება. დიაბეტის მონიტორინგი და კონტროლი – გლიკოჰემოგლობინის ანალიზის გამოყენებით, დიაბეტიან პირთა განათლება და უფლებების დაცვა, მათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მისი პროფესიული შემოქმედების არასრული სიაა. სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩვენი მკითხველების გამოკითხვების შედეგად, ის რჩეულ ენდოკრინოლოგ-დიაბეტოლოგად დასახელდა, რომელსაც პაციენტები ენდობიან. ბატონი რამაზის კაბინეტიც, მისივე ექსტრაორდინარული ბუნებიდან გამომდინარე, საოცრად მხატვრულია. ფერწერულ ტილოშიც კი „ტკბილი მეგობრების" ამოკითხვა შეუძლია, როგორც ის საკუთარ პაციენტებს უწოდებს.**

**პროფესიული განათლება**: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

**სპეციალობა, ხარისხი**: ენდოკრინოლოგ-დიაბეტოლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი.

**დიპლომის შემდგომი განათლება**: სპეციალიზაცია მოსკოვის ენდოკრინოლოგიურ და კარდიოლოგიურ ცენტრებში, 1974-1978; მივლინება გულის, სისხლისა და ფილტვების ეროვნულ ინსტიტუტში – ბეტესდა, აშშ, 1976-1977 წლებში აშშ-სსრკ თანამშრომლობის პროგრამით. სპეციალიზაცია ექიმთა დიპლომის შემდგომ სპეციალიზაციის აკადემიაში, მოსკოვი. 1982-91.

**დაკავებული თანამდებობა:** 1987 წლიდან რესპუბლიკური სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრის დირექტორი; 1992 წლიდან საქართველოს დიაბეტის ცენტრის დირექტორი, საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიურ ასოციაციათა კავშირის თავმჯდომარე; 2003 წლიდან ითვლება ჟურნალ „დიაბეტი და ჯანმრთელობის" დამაარსებლად და მთავარ რედაქტორად. 2011 წლიდან დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დამაარსებელი და დირექტორია. 1968 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ენდოკრინოლოგიური ლაბორატორია. ის იყო პირველი, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ვინც დანერგა RIA და ELISA მეთოდები, რომელიც 1972 წლიდან წარმატებულად გამოიყენება. 1992 წელს მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს დიაბეტის ცენტრი, სადაც თავიდანვე დირექტორის თანამდებობა ეკავა. 1991 წელს დააარსა საქართველოს დიაბეტის ფედერაცია. 2004 წლიდან დიაბეტის ფედერაციას შეეცვალა სახელი და გახდა დიაბეტისა და ენდოკრინულ ასოციაციათა კავშირი. კავშირის პირველი ყრილობა ჩატარდა 2006 წელს.

**– ბატონო რამაზ, თქვენი და პაციენტის ურთიერთობაზე მინდა გკითხოთ. რა არის მათთან დამოკიდებულებისას თქვენი უმთავრესი სამუშაო პრინციპი?**

– როგორც იტყვიან, ისეთი კითხვა დამისვით, ბურთი ამიწიეთ. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ, დიაბეტით დაავადებულ პირებს დავარქვი „ტკბილი მეგობრები". ეს მაშინ, როცა მათ „დიაბეტიკებს" უწოდებდნენ. მახსოვს, ერთი ჩემი რუსი კოლეგა მეუბნებოდა კიდეც, რომ მე სწორედ ამის გამო ვუყვარდი პაციენტებს. თუმცა, რეალურად, ეს ძალიან მწარე დაავადებაა, რომელსაც ნორმალურად სახელიც კი არ აქვს შერჩეული და სულ მიდის დისკუსია, შეუცვალონ. სისხლის შაქრის შემცველობის მატება, ეს სულაც არ გახლავთ შაქრიდან გამოწვეული. შაქრიანი დიაბეტის მიზეზი შესაძლოა, იყოს რამდენიმე ფაქტორი: უპირველესად ეს არის, კუჭუკანა ჯირკვლის ფუნქციის მოშლა, ინსულინრეზისტენსობა. რისკის ფაქტორები შესაძლოა, ცალკე ჩამოვთვალოთ. ეს გახლავთ უცვლელი და ცვალებადი რისკის ფაქტორები: ჩვენი მშობლები, ჩვენი კანის ფერი, ასაკი, რასა, გენეტიკა – ეს ყველაფერი უცვლელი ფაქტორებია. ჩვენ გვრჩება შანსი, ვიმოქმედოთ ცვალებად მიზეზებზე და აქ ვეძებოთ შედეგები. ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ასევე, მოსახლეობის დაბერება, უმოძრაო ცხოვრება, სტრესი, მაღალი არტერიული წნევა, ლიპიდების დარღვევა-დისლიპიდემია, კვებასთან დაკავშირებული პრობლემა, სიმსუქნე და ინტოლერანტობა გლუკოზის მიმართ. იმ ეტაპზე, ვიდრე პრედიაბეტი გადავა დიაბეტზე, მედიცინას შეუძლია განკურნოს პაციენტი. დიაბეტის წარმოქმნა ასევე, ინსულინის სეკრეციასთან არის დაკავშირებული. რა ხდება ამ დროს? ინსულინი უნდა გამოიყოს ჭამის პროცესში. დიაბეტის დროს კი რა ხდება? – დასაწყისში გამოიყოფა ინსულინის ჭარბი რაოდენობა და ადამიანს სისხლში შაქარი უვარდება. რადგანაც ჭარბი ინსულინი გამოიყოფა, ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება, მიიღოს ბევრი საკვები. შესაბამისად, მუდამ შია. დიაბეტის გაჩენის შემდეგ ავადმყოფს აქვს შემდგომი სიმპტომები: მომატებული წყურვილის გრძნობა, ხშირი შარდვა, ქავილი, მაღალი არტერიული წნევა, ასევე, წონაში მატება ან გვიან სტადიაში, წონაში კლება. შემდგომ მიდის სხვა გართულებებიც.









**– ბატონო რამაზ, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ დაიბეტის რისკი მინიმუმამდე დაიყვანოს?**

– უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი კრიტერიუმი დიაბეტით დაავადებულებთან ურთიერთობისას, გახლავთ ის, რომ თავად პაციენტმა მაქსიმალურად უნდა ითანამშრომლოს ექიმთან. დიაბეტის წინამდგომარეობა მრავალფაქტორიანია და არცერთ შემთხვევაში, პაციენტმა თვითმკურნალობას არ უნდა მიჰყოს ხელი. უპირველესად, უნდა მივიდეს ექიმთან. კარგი ექიმი, დამჯერი და შემსრულებელი ავადმყოფი და პლუს მიზანმიმართული, გათვლილი მკურნალობის კურსი – ეს მთლიანობაში ქმნის შედეგს. ასევე, მნიშვნელოვანია, პაციენტმა რაც შეიძლება ადრე მიმართოს ექიმს, მაშინაც კი, როდესაც არავითარი სიმპტომი არაა და მხოლოდ გარკვეული წინაპირობები არსებობს. მაგალითად, როცა მშობლები ჰყავს დიაბეტიანი, ან აქვს ზედმეტი წონა, ეწევა პასიურ ცხოვრებას, აქვს არტერიული წნევა – ყველა ასეთ შემთხვევებში, გროვდება საჯარიმო ქულები და ეს ყველაფერი ქმნის დიდ ალბათობას, რომ ადამიანი დიაბეტის პოტენციური მატარებელია. მან უნდა ივარჯიშოს, წონაში დაიკლოს და მაქსიმალურად დასწიოს საჯარიმო ქულები. რისკის ფაქტორების გამოვლენის კითხვარს მე ფართოდ ვიყენებ. პირადად ვცდილობ, პაციენტთან ვითანამშრომლო და პაციენტზეც ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. ის ჩემთან, კაბინეტში ატარებს ძალიან მცირე დროს, ყველაზე დიდხანს საკუთარ დაავადებასთან რჩება მარტო და თავადაა უმეტესწილად, პასუხისმგებელი იმაზე, როგორ შეებრძოლება დიაბეტს.

**– თავად თუ ზღუდავთ კვებით რაციონს?**

– რა თქმა უნდა. არ ვეწევი სიგარეტს. ჭარბი კვება და ალკოჰოლის ჭარბად მიღება მაღლა სწევს შაქრიანი დიაბეტის წარმოქმნის რისკებს. ასევე, არ ვეტანები კრემით გაჯერებულ ნამცხვრებს, ტორტს, ტკბილეულს, კოკა-კოლას. ყველაფერ ამის დემონსტრირებას ოფიციალურ, საჯარო შეხვედრებზე ვახდენ. ვიყენებ მხოლოდ „სტევიას" დამატკბობელს. ზედმეტად ცომიან ნაწარმს ვერიდები, ხინკალს ზომიერად მივირთმევ, ცხიმიან საკვებზეც უარს ვამბობ. ყველაფერი ეს კი მიმართულია იმისკენ, ადამიანმა იზრუნოს, გაატაროს პრევენციული ზომები იმისთვის, რომ არ გახდეს „ტკბილი მეგობარი" და შემდეგ არ დასჭირდეს ამ ქრონიკულ დაავადებასთან ბრძოლა. ყოველდღიურად უნდა ვივარჯიშოდ ზომიერად.

**ანა თაბაგარი**

# უფრო მეტი ერთმანეთში

## „ჩემი გული შენი გული „ნატოთია“ გადაბმული“

გასულ კვირას **„ნატოს“ გენმდივანი** იენს სტოლტენბერგი **გვეწვია** (ან კი **როგორ არ გვეწვეოდა,** როდესაც **„ნატოს“ სასწავლო ცენტრი გაიხსნა?!).** მეტიც, **გაგვიღიმა, დაგვაიმედა, შეგვაქო, შეგვაგულიანა და ჩვენს პრემიერ-მინისტრთან ერთობლივი ბრიფინგი გამართა.**

ბრიფინგზე კი მოგვახსენა შემდეგი (მომყავს ციტატა): **„ნატოს“ წევრი ქვეყნები თავდაცვის მინისტრების დონეზე ძალიან აქტიურად მუშაობენ თქვენი ქვეყნის თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების დასახმარებლად“.**



არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ საქართველო „ნატოს“ არაწევრ ქვეყნებს შორის პირველი კონტრიბუტორია, ანუ ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ჰყავს (რაც იმასაც ნიშნავს, რომ **ცივილიზაცია ვითარდება, მაგრამ ჩვენ კვლავ საუკუნეებით ნაცადი მეთოდით,** სხვის ომებში ბრძოლით, **მივიკვლევთ გზას**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ამას ხეირი არაერთხელ მოუტანია**, იმედიც ვიქონიოთ, რომ **ახლაც მოგვიტანს**).

მეორე მხრივ, **საპირფეროც არაფერი ჰქონდა**, ოღონდ ეს **მეტისმეტი ქებაც შესაძლოა, იმის გასანეიტრალებლადაც ყოფილიყო გამიზნული**, რომ **„მაფს“ ისევ მხოლოდ შორიდან დაგვანახვებენ**, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, რაკი ბ-ნმა **სტოლტენბერგმა შენიშნა:** „ჩვენ ახლა **უფრო მეტად ვხედავთ საქართველოს „ნატოში“ და „ნატოს“ – საქართველოში**“, ეს თითქმის იმას ნიშნავს, რომ, თუ შესაბამის ორგანოში ოფიციალურად ვერ გავაფორმეთ კავშირი, **მარადიული სიყვარულის ფიცი მაინც მივეცით ერთურთს**, პათოსით: **„ჩემი გული შენი გული „ნატოთია“ გადაბმული“.**

# მონდომებული

## ანუ ვის უნდა კიდევ უფრო მეტი „ნატო“

თუმცა **ევროპის უკანასკნელ დიქტატორადაა შერაცხილი** და **ბელორუსიის გულში კვლავაც ამკობენ გვირგვინებით ვლადიმირ ლენინის ძეგლს**, იმას გარდა, რომ **დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავებსაც ზეიმობენ**, ისე მოხდა, რომ ალექსანდრ **ლუკაშენკომ,** არც აცია, არც აცხელა და ყველასთვის მოულოდნელად, **ექვსი პოლიტპატიმარი შეიწყალა.**



**მათ შორის,** ნიკოლაი სტატკევიჩი – **თავისივე კონკურენტი ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში.**

ეს უკანასკნელი **2010 წელს დააკავა სპეცრაზმმა** საპროტესტო აქციაზე, **სასამართლომ კი ბრალად მასობრივი არეულობის მოწყობის მცდელობა წაუყენა**, რის შედეგადაც **2011-ში ექვსი წლით აღუკვეთეს თავისუფლება.**

საერთო ჯამში, დანარჩენი პოლიტპატიმრების პატიმრობის ვადები 4,5-დან 8 წლამდე მერყეობდა, მაგრამ აწ უკვე ისინი თავისუფლები არიან.

**ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს გასტანს ეს იდილია**, თუმცა **არც ისაა გამორიცხული**, რომ ბ-ნ **ლუკაშენკოსაც მოსურვილებოდა** (ჩვენ შემხედვარეს) **უფრო ბევრი „ნატო“ ბელორუსიაში,** ოღონდ **ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას** პათოსს: **„ქარის მესმის, მაგრამ** ქალებს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბ-ნ **ლუკაშენკოს**) **ვერ გავუგე ვერაფერი“. –**

# გზასაცდენილი

## „წყაროსთან ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო“

რაკი **ლარი ფეხსუსტი ქალივით უნდო გახდა** (ხან ზემოთ იწევს უმიზეზოდ, ხან ქვემოთ მიექანება), სავსებით **ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეებსაც უჩქარებს გულს მისი თავქარიანობა**. ხოლო, **რაკი უჩქარებს**, **ემოციებსაც უმძაფრებს**, რაც იმას ნიშნავს, რომ **გონიერება უკანა პლანზე ინაცვლებს**, იმიტომ რომ, **გონება და იმპულსები შეუთავსებელია.**



ჰოდა, **რაკი შეუთავსებელია, ზოგიერთთა ტვინში კონგენიალური იდეებიც მწიფდება**. ასე მაგალითად, **ქუთაისის საკრებულოსა** და, სახელდობრ, **ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი უკლებამ დაასკვნა**, რომ **ლარის გამყარების ერთადერთი საშუალება ხელფასებისა და პენსიების გაყინვაა**.

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, **საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა თავისი მოსაზრება სოციალური ქსელის მეშვეობით გამოხატა** და ჩვეულებისამებრ, **მაზოხისტური მოტივებიც გაურია**: „გინდათ მაგინეთ და გინდათ ჩამქოლეთ. ჩემი მოკლე ჭკუით, ლარის დასტაბილურება მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: რამდენიმე თვით ხელფასებისა და პენსიების გაყინვით (სტილი დაცულია).“

იმას გარდა, რომ **ჩაქოლვა რა მოსატანია,** მეორე მხრივ, **რატომ უნდა ჩაიქოლოს?!** თუ გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნმა **უკლებამ საკუთარი ხელფასის გაყინვაც ივარაუდა,** როგორც ჩანს, **უშემოსავლოდ ცხოვრების რეცეპტი აქვს** გამზადებული და იქნებ უახლოეს მომავალში, **თუ მთლად რეცეპტი არა, ინგრედიენტები მაინც გაგვიმხილოს?! –**


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეიმურაზ კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: თათია ფარესაშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# ფერფლიდან აღმდგარი

## „ქვეყანავ, მშიერ მონების...“

რაკი ჩვენს **მეზობელ რფ-ში იმპორტულ საქონელთან მიმართებაში ისეთივე დამოკიდებულებაა**, აი, **როგორიც საბჭოთა პერიოდში მძვინვარებდა**, სავსებით **ბუნებრივია, სხვა საბჭოურმაც გაიღვიძა**, სახელდობრ, **ვლადივოსტოკის 51 წლის მკვიდრს სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიუმართავს** და მოუხსენებია, რომ **მისი მეზობლები რუსეთის ფედერაციაში აკრძალულ იმპორტულ პროდუქციას იყენებენ.**

განცხადებაში დაკონკრეტებული ყოფილა, რომ **ერთ-ერთი მეზობელი ქალბატონი პოლონეთიდან შემოტანილ ბატებს მიირთმევს,** ხოლო დანარჩენები **ეწევიან თამბაქოს, რომელიც,** დიდი ალბათობით, **ჰოლანდიიდანაა წარმოშობით.**

ჩვენ ჯერჯერობით **არ ვიცით, რით დასრულდება ვლადივოსტოკური გამოძიება**, იმიტომ რომ, **შესაძლოა, განმცხადებლის მეზობელმა ქალმა ამასობაში ყველა ბატი მიირთვა, დანარჩენებმა კი უკანასკნელ ღერამდე გაიპეს ფილტრები იმპორტირებული თამბაქოთი**, მაგრამ, სამაგიეროდ, **ვიცით, რომ სრულიად რუსეთის სავაჭრო ქსელიდან უნდა ამოიღონ იმპორტული სარეცხი საშუალებები** ფრიად პოპულარული მარკებისა.

უნდა ამოიღონ, ვინაიდან **„როსპოტრებნადზორს“ დაუდგენია**, რომ **ისინი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს**. სახელდობრ, **შავ სიაში მოხვდა: „ჰენკელ რუსი“, „პროქტერ ენდ გემბელი“, „ვერნერი“, „ქოლგეითი-პალმოლივი“ და ასე შემდეგ.**

მეტიც, ვარაუდობენ, რომ სია კიდევ უფრო გაიზრდება, რამეთუ ზემოხსენებული უწყების წარმომადგენლის განმარტებით: **„საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებების შესწავლის პროცესი გრძელდება“.**


полковнику полиции
С. А. Гусеву

16.08.2015

РАПОРТ

Докладываю, что в 21:21 час. 16.8.2015 года на телефон "02" УВД по г.Владивостоку гражданин(гражданка) .1964 г.р., проживающий (ая) . ВЛАДИВОСТОК Приморского края, контактный телефон 39089 сообщил(а) о том, что СООБЩЕНИЕ ПО 02 ОТ О ТОМ, ЧТО ПО АДР ОВЧИННИКОВА 16, СО СЛОВ ЗАЯВИТЕЛЯ, СОСЕДКА ЕСТ ПОЛЬСКИХ ГУСЕЙ, ДРУГИЕ СОСЕДИ КУРЯТ ГОЛЛАНДСКИЙ ТАБАК.

ჯერჯერობით რუსი მოსახლეობის უმეტესობის რეაქცია ასეთია (ან კი როგორ იქნება სხვანაირი, როდესაც 86 პროცენტი მხარს უჭერს პრ. პუტინსი კურსს?!): **მხარი დავუჭიროთ ეკოლოგიურად სუფთა რუსულ პროდუქციას.**

რთული სათქმელია, **ეყოფა თუ არა რუსული სამამულო წარმოება რუსული ჭუჭყის განბანას,** თუმცა იგრძნობა, რომ **სსრკ ფენიქსივით აპირებს ფერფლიდან აღდგენას.** –

# „ვაი, რა ბოძი წაგვექცა“

## კურცხლებით დაბრმავებულები

გასულ კვირას **განგაშის ისეთი ხმამაღალი ზარები დარისხა**, რომ, მაგალითად, ბ-ნმა გია **ნოდიამ ეს ამბავი ისლამური სახალიფოს მიერ პალმირის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების განადგურებას შეადარა**, დანარჩენებმა **მილიარდერის შურისძიებადაც კი შერაცხეს.** ანუ **არა მხოლოდ ენას არ აქვს ძვალი,** არამედ, როგორც ჩანს, თვით ტვინსაც **შეუძლია მუშაობა რუხი ნივთიერების გარეშე** – . სახელდობრ, ოდესის გუბერნატორმაც ამცნო ეს „ტრაგიკული“ ამბავი სრულიად უკრაინას (თუმცა რთული სათქმელია, ჩამოჰკრა თუ არა გლოვის ზარმა ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, რომელიც მეგობრისთვის უჩვეულო პოზაშია).



რა თქმა უნდა, **საქმე ბათუმში „ალისა და ნინოს“ ძეგლის გადატანას ეხებოდა და** ამ პროცესში **გადამტანთა უხიაგობის გამო ნინოს ნაწილის, სამწუხაროდ, დამსხვრევას.**

მაგრამ, **ვიდრე მგლოვიარეთა და თავზარდაცემულთა თვალები კურცხლებით იყო სავსე,** ხოლო **მათი გულები გმინავდა ამ მოუნელებელი ტკივილებით,** გაირკვა, რომ **ძეგლის გადატანა შეთანხმებული იყო ავტორთან** ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის მიერ, რადგან **საძირკველი უზიანდებოდა** და, რაც მთავარია, **დაზიანებულ „ნინოს“ აღადგენდნენ.**

მე არ ვიცი, გადაეყარათ თუ არა კაეშნის ღრუბლები მგლოვიარეთ, რაკი „ტრაგედიის“ ნათელი მოეფინა, თუმცა შესაძლოა, აი, ეს შემთხვევაც იყოს: **„ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას** ძვირფასი მურადას ტრაგიკული დაღუპვის გამო, **თქვენთან ერთად ცხარე ცრემლებით დავსტირი მის მძორს.** განუზომელია ჩემი მწუხარება და გულისტკივილი, **არ ვიცი, როგორ მოვინელებ ამ დანაკლისს**. ვწუხვარ, **დაკრძალვას ვერ ვესწრები**. არ ვიცი, **როგორ განუგეშოთ, ძაღლი მიგაკვდათ ორივეს სულში**. ვაი თქვენს პატრონს უბედურს...“

# „ღვინოს დავლევ, წყალს არა“

ამ ჩვენს **ოკუპანტ რფ-ში შეუზღუდავად ამ ეტაპზე იმპორტული მხოლოდ ალკოჰოლური სასმელი შეედინება,** თუმცა **საზოგადო მოღვაწეთ უკვე მოუთხოვიათ სპირტიანი სასმელების გაყიდვის დროის შეზღუდვა.** სხვათა შორის, მეტად კეთილშობილური მიზნით – **ნაციის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა.**

ამგვარი წინადადებით უკვე მიუმართავს შესაბამისი უწყებისთვის რფ-ის მოქალაქეთა ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და თამბაქოდამოკიდებულებისგან დაცვის საკოორდინაციო საბჭოს თავკაც ვინმე სულთან ხამზაევს.

კერძოდ, იგი, კეთილშობილი, ითხოვს, რომ სრულიად რფ-ის ტერიტორიაზე **საღამოს ექვსიდან დილის 9 საათამდე ალკოჰოლის გაყიდვა შეწყდეს!** მისი მტკიცებით, ამგვარი აკრძალვა უკვე მოქმედებს ფედერაციის რიგ სუბიექტებში, რის წყალობითაც **შემცირებულა ყოფითი თუ სხვა ტიპის დანაშაულის მთვრალ მდგომარეობაში ჩადენის ფაქტები** (ბუნებრივია, დანაშაულს ფხიზელ მდგომარეობაში ჩაიდენენ) და **თვით სიკვდილიანობის დონეც კი.**



თუმცა **მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს**, შემდეგი მოტივით: დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე მაღაზიებში მხოლოდ დიასახლისები დადიან და გამოდის, რომ ადამიანებს მოუწევს სამსახურებიდან მცირე ხნით დათხოვნა, რომ ალკოჰოლი შეიძინონ. მაგრამ, რაც მთავარია, რფ-ის **ნომერ პირველი ფსიქიატრი დარწმუნებულია, რომ შეზღუდვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რუსეთის მოქალაქეთა ჯანმრთელობასო. ამის გათვალისწინებით კი,** ჩნდება ეჭვი: ესე იგი, **შეურაცხად მდგომარეობაში მიღებული გადაწყვეტილებები გასაუქმებელია?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**თუმცა ფასდაკლების ხიბლი ისაა, რომ გამონაკლისია და რეალური, ქართულ სინამდვილეში ფასდაკლებები მომხმარებელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ისინი ცხადდება პერმანენტულად, ოღონდ ის ხინჯი აქვს, რომ რეკლამაში მოსმენილი ინფორმაცია რეალურს არ ემთხვევა. იცავს თუ არა კანონი მომხმარებელს ამ კუთხით და როგორ უნდა დაიცვან თავი, უფრო ზუსტად, ჯიბეები მოქალაქეებმა „სეილის“ ანკესზე წამოგებისგან, – თემას იურისტ ლევან ალაფიშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი პროდუქციის ფასი დახლსა და სალაროსთან არ ემთხვევა ერთმანეთს და რა უფლებები აქვს მომხმარებელს პროდუქციის შეძენისას და მომსახურების დროს

**– როდესაც არ ემთხვევა ამა თუ იმ სავაჭრო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ფასდაკლება რეალობას, რას ამბობს ამ დროს კანონი?**

– კანონი, ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი, ყველა გამყიდველს უდგენს იმ ვალდებულებას, რომ მყიდველს მიაწოდოს მინიმალური, მაგრამ საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, მან მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროდუქტისა თუ მომსახურების მიღებაზე და მათ შორის დაიდოს გარიგება, ანუ წარმოიშვას სამართლებრივი ურთიერთობა. კანონი ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იძლევა საშუალებას, სადავო გახდეს ეს დადებული გარიგება და შეწყდეს კიდეც, თუ მყიდველს არასწორი ინფორმაცია მიეწოდა ფასის შესახებ ან მყიდველი მალევე აღმოაჩენს სხვა დარღვევას, იქნება ეს ვარგისიანობის ვადა თუ სხვა. ანუ მყიდველს კანონი აძლევს უფლებას, მოითხოვოს ნაყიდი პროდუქტის შეცვლა, ან მისი უკან დაბრუნება. არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განაპირობებს იმ შეცდომებს, რომლებსაც ვუშვებთ მომხმარებლები: სამოქალაქო ცნობიერების, სამოქალაქო კულტურის დაბალი ხარისხი, საკუთარი უფლებების არცოდნა, განაპირობებს იმას, რომ გამყიდველებიც კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც არასაკმარის ინფორმაციას ავრცელებენ საჯაროდ, მაგალითად, სხვადასხვა აქციის შესახებ. იმის თქმა მინდა, რომ ერთია გაწერილი რეგულაცია და მეორე, ამ რეგულაციის ცოდნა, როგორც მინიმუმ, იმის ცოდნა, რის უფლება გაქვს და მზაობა იმისთვის, თუკი ეს ინფორმაცია არ არის ის, რასაც ელოდი, დაიცვა შენი უფლება – დააბრუნო პროდუქტი, მიმართო ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სასამართლოს. ანუ ჩვენ უნდა ვაქციოთ კანონი რეალობად და ამ გზით სიარულის შემთხვევაში, შორი არ იქნება ის მდგომარეობა, როდესაც დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი რეკლამა ასე ჭარბად არ იქნება. სამოქალაქო კოდექსის ნორმა, რომელიც ვახსენე, მინიმალური ინფორმაციის მიწოდების შესახებ, 1997 წლიდან მუშაობს, მაგრამ მიმოვიხედოთ ჩვენ ირგვლივ: რამდენს გვისარგებლია ამ ნორმით?! ამდენად, იმას გარდა, რომ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს თანამედროვე სტანდარტების კანონმდებლობის შექმნაზე, ეს ჩვენ ხელშიცაა.

**– კონკრეტულ მაგალითს ვიტყვი: მივდივარ მაღაზიაში და გამოცხადებული 70-პროცენტიანი ფასდაკლების ნაცვლად, მხვდება 10-პროცენტიანი ფასდაკლება. ამ დროს რა ხდება?**

– ზუსტად ამის ხაზგასმა მინდოდა. ორი რამ უნდა გავმიჯნოთ მომხმარებლისა და გამყიდველის ურთიერთობებში: პირველი, საჯაროდ ინფორმაციის გავრცელება, ანუ რეკლამის კანონმდებლობა და მეორე, ინფორმაციის მიღების შემდგომ ადგილზე წარმოშობილი ურთიერთობები. დასაწყისში რომ მიგითითეთ სამოქალაქო კოდექსის ნორმა, ის მეორე ურთიერთობას არეგულირებს. პირველი ეკუთვნის რეკლამის სფეროს: რაც, რა თქმა უნდა, არის მანიპულირება, ოღონდ კანონი იძლევა ამის საშუალებას. მაგრამ მინიმალურ დონეზე რომ მაინც იყოს დაცული მომხმარებლის უფლებები შეცდომაში შემყვანი რეკლამის შემდეგ, ამიტომ შემოდის დამატებითი სამართლებრივი



**ამ ურთიერთობებში გარდა სამართლებრივი მომენტისა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამ: თუკი ჩვენ, მომხმარებლები, ვიქნებით სათანადოდ განვითარებულები, დამაბნეველი რეკლამებიც ხომ არ იქნება?!**

მექანიზმები ადგილზე იმისთვის, მომხმარებელი არ დაზარალდეს. ვერ ვიტყვი, რომ რეკლამის შესახებ კანონმდებლობა დასახვეწი არ არის, რადგან, თუმცა ბიზნესის განვითარების წინააღმდეგი არავინაა, პროდუქტსა და მომსახურებაზე სწორი ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია, გახდეს რეგულაციების საგანი.

**– რეკლამას ვისმენ, ჯერ არ ვიცი, რომ მატყუებენ, ამიტომ ვხარჯავ დროს, მგზავრობის თანხას და ადგილზე აღმოვაჩენ, რომ შემაცდინეს. ეს თითქოს არაფერია?**

– ამისგან არც ერთ ქვეყანაში არ არის დაცული მომხმარებელი. ყველა ქვეყანაში რეგულაცია იცავს მომხმარებელს ადგილზე გარიგების დადებისას. თუკი იქ მოხდა დარღვევა, სახელმწიფო გაძლევთ საშუალებას, სასამართლოს გზით მოითხოვოთ ზარალის ანაზღაურება, მათ შორის, იმ ხარჯებისაც, რომლებიც თქვენ ახსენეთ.

**– მე მაინც ისევ 70-პროცენტიან ფასდაკლებასთან ვარ და ეს არ ეხება მხოლოდ მაღაზიებს, მობილური კომპანიებიც გვთავაზობენ როუმინგს ლამის 5 თეთრიდან, ოღონდ ეს 5-თეთრიანი ტარიფი ისეთ ქვეყანაში მოქმედებს, სადაც არავინ მიდის.**

– ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რომ ერთია რეკლამა და მეორე, შემდგომ მიღებული გადაწყვეტილება. მივიღეთ ინფორმაცია რეკლამით რაღაც პროდუქტის ან მომსახურების შესახებ, მაგრამ იმთავითვე ვიცით, რომ ეს არ არის ზუსტი ინფორმაცია. გადწყვეტილებას კი ვიღებთ ადგილზე. არც ერთ ქვეყანაში არ ავალდებულებს კანონი ბიზნესს, რომ ყველა პროდუქტის შესახებ გაავრცელოს სრული ინფორმაცია. რაკი გადაწყვეტილებას ვიღებთ ადგილზე, ეს არის ჩვენი დაცვის მექანიზმი. ამ შემთხვევაში დიდი წილი მოდის სამოქალაქო ცნობიერებაზე: როდესაც ტექნიკის ესა თუ ის მაღაზია აცხადებს 70-პროცენტიან ფასდაკლებას ნებისმიერ პროდუქტზე, უნდა ვიცოდეთ, რომ იმ მაღაზიაში არა ერთი პროდუქტია და ადგილზე გადამოწმებით უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

**– თუ მე არ მაქვს ფული, რაც უნდა მიმიზიდონ რეკლამით პროდუქციისა თუ მომსახურების მისაღებად, ხომ ვერ შევიძენ? რა აზრი აქვს მაშინ ასეთ რეკლამას თუ იმედი აქვთ, რომ ადგილზეც გავბრიყვდები?**

– რეკლამის განმთავსებელმა იცის რომელიღაც კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები 100 მოსახლიდან, რამდენია მისი პოტენციალური მყიდველი. მარკეტინგული გათვლები კიდევ სხვა სფეროა. როგორც ჩანს, ულირს, რადგან რეკლამას აკეთებს. ეს მისი რისკია.

**– ანუ კანონით დაშვებულია მარკეტინგული ხრიკები, როდესაც პროდუქცია რეალურად ღირს, ვთქვათ, 1 500 ლარი, მაგრამ ფასზე აწერია გადახაზული 1 700 ლარიც და ვითომ ფასდაკლებული ღირებულებაა 1 500 ლარი; ან, როდესაც მოგვდის ტექსტური შეტყობინება, რომ მოვიგეთ 200-ლარიანი ფასდაკლება ამა და ამ ბრენდის ტექნიკაზე, არადა რეალურად არანაირი ფასდაკლება არ არის?**

– როდესაც ასეთ საკითხებზე ვსაუბრობთ, პირველი დათქმაა სამოქალაქო ცნობიერება, საკუთარი უფლებების დაცვის მზაობა და მეორე, როდესაც ბიზნესზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მისი საკუთრებაა.

**– დიახ და ის ორიენტირებულია, მომატყუოს?**

– მას არ აქვს რამე ვალდებულება, გარდა იმისა, რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია, როდესაც მიხვალთ საყიდლად, ანუ გარიგების დასადებად. ასე რომ, მხოლოდ ბიზნესის გადასაწყვეტია, რატომ არის 70-პროცენტიანი ფასდაკლება ერთ საქონელზე და არა მეორეზე, რადგან მისი საკუთრებაა. ამ ურთიერთობებში გარდა სამართლებრივი მომენტისა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამ: თუკი ჩვენ, მომხმარებლები, ვიქნებით სათანადოდ განვითარებულები, ამგვარი რეკლამებიც ხომ არ იქნება?!

**– ის ფაქტი, რომ რეკლამების შინაარსის ძირითადი ნაწილი ტყუილია...**

– მოდი, ასე ვთქვათ, რეკლამებში არასაკმარისი ინფორმაციაა, რაც კანონთან შეუსაბამო არ არის.

**– კეთილი, რეკლამა გათვლილია იმაზე, რომ მე მოვტყუვდები...**

– ასე ვთქვათ: თქვენ მიიღებთ ბიზნესის და არა თქვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას. ჩვენ გვინახავს არაერთი ბეჭდური მედია, რომლებიც თავიანთ პერიოდულ გამოცემებთან ერთად ჰყიდიან წიგნებსაც. რა ვუწოდოთ ამას? ეს ერთ-ერთი მარკეტინგული საშუალებაა და რატომაც, არა?!

**– თქვენ შეგიძლიათ, ცალკე შეიძინოთ გამოცემა ჩვეულ ფასად ან წიგნთან ერთად, ან მხოლოდ წიგნი. სამი ვარიანტია და თავად ირჩევთ.**

– რა თქმა უნდა, ბიზნესი დაინტერესებულია პროდუქციის გაყიდვით და ძალიან კარგი

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნანი გვიშიანი**, *67 წლის. ბათუმი.*

**დიაგნოზი**: ***კისრისა და წელის მალების ოსტეოქონდროზი, ორმხრივი გონართროზი – მესამე ხარისხის.*** უპირველესად, ულრმესი მადლობა ქალბატონ მანანას, თბილი დახვედრისა და პროფესიონალიზმისთვის. ნამდვილად ძალიან დამეხმარა ეს მკურნალობა. ბოლომდე ვითმენდი ტკივილებს და აქ ისეთ მდგომარეობაში ჩამომიყვანეს, როცა უკვე ველარ დავდიოდი, საკუთარ სხეულს ველარ ვძრავდი. მტკიოდა ყველაფერი, მთელი ზურგი, ხელ-ფეხი, მიბუჟდებოდა ტერფები, ღამე ჩემთვის დასვენება კი არა, კოშმარი იყო. უშედეგო მკურნალობას შევეშვი და აქეთ ვარჩიე. აქამდე ნეტა, სად ვიყავი. ერთ დღეში, ვიმეორებ, ერთ დღეში მივიღე საუცხოო შედეგი. ბავშვივით მეძინა, ჩიტივით ავდექი, უჯოხოდ გავიარე, მკურნალობას ვაგრძელებ. სიტყვები არ მყოფნის, არასდროს დაგკარგავთ.

**ვალერიან ბეროშვილი**, *72 წლის. გურჯაანი.*

**დიაგნოზი**: ***ნეკნთაშუა ნევრალგია, გულ-მკერდის სპონდილოზი, მხრის სახსრის ართროზი.*** მშრომელი კაცი ვარ, არასდროს არაფერი მტკიებია. ალბათ, ზედმეტი შრომაც არ ვარგა. ერთი წლის წინ ამტკივდა



კისერი, მხარი, ზურგი და ნეკნების გაყოლებით, მარჯვნივ გაუსაძლისი ტკივილი მოდიოდა, სუნთქვაც კი მიჭირდა. ბევრი ვიმკურნალე რაიონში. ტკივილი ხან იკლებდა, ხან ისევ მემატებოდა... დავილალე. შვილებმა ამ კლინიკაში ჩამომიყვანეს. ისეთი შვება ვნახე, თავი სიზმარში მგონია. ორ დღეში მომეხსნა ეს ჯოჯოხეთური ტკივილები. დავდივარ, ვშრომობ, მკურნალობას ბოლომდე ჩავამთავრებ. ღმერთმა გაგახაროს, მანანა ექიმო!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**გიზო თვაური**, *42 წლის. თბილისი.*

**დიაგნოზი**: ***ანალური ნაპრალი, ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხის, სისხლმდენი კოლიტი.*** შემოვედი ძლიერი ტკივილებით, სისხლდენით. კვანძების გამოვარდნა და შეკრულობა მაწუხებდა. წავილე მალამოები, ბალახების ნახარში. ახლა მეორე კურსისთვის მიმაქვს სამკურნალო საშუალებები. საოცარი შედეგი მივიღე: ტკივილები ორ დღეში მომეხსნა, სისხლდენაც აღარ მქონია, შეკრულობა პირველივე დღიდან ალაგდა. რა ვიცი, ძალიან კმაყოფილი მივდივარ. აქ ჩემმა მეგობარმა მომასწავლა, ისიც იგივე პრობლემისგან გათავისუფლდა ორი წლის წინ და იმან მირჩია. მადლობა, ქალბატონო მანანა, თქვენ მე ოპერაციას გადამარჩინეთ!

**მარინა შაყულაშვილი**, *52 წლის. მცხეთა.*

**დიაგნოზი**: ***მწვავე ანალური ნაპრალი, დისბაქტერიოზი.*** ტკივილისგან ვტიროდი, მაგრამ ექიმთან მისვლა მერიდებოდა. თან მეშინოდა, ცუდზე ვფიქრობდი, ხომ გესმით... ბოლოს გავბედე. ტკივილმა გამაბედინა. მანანა ექიმის მალამოები მართლაც მალამოდ დამედო, წამლად მექცა და მეორე დღესვე ვამბობდი, ერთი თვე რისთვის ვითმენდი-მეთქი. ბედნიერი ვარ. ვისაც არ გამოუცდია, ვერ მიხვდება, ეს რა ტკივილია. რომ იტყვიან, დავისვენე. კუჭის მოქმედებაც მომიწესრიგდა. მადლობა ჩემს მანანა ექიმს, უფალი გფარავდეთ!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

ბიბლიოთეკაც შევქმენი. თუმცა, რომ დავთვალო, როგორც მომხმარებელს, შესაძლოა, არ მიმიღია საუკეთესო გადაწყვეტილება, მაგრამ მე მომწონს ეს შეთავაზება და ვყიდულობ. თუ ბიზნესი არ მეუბნება სრულ სიმართლეს და მეუბნება ნაწილობრივს, ეს ხომ არ არის ტყუილი?!

**– შეკითხვას დავასრულებ: ასეთი ტიპის რეკლამების სიმრავლე, რომელიც ორიენტირებულია, თქვენი აზრით, ბიზნესისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაზე, მეტყველებს, რომ ბიზნესი მოელის, მომხმარებელი მოტყუვდება?**

– ამ დასკვნის გასაკეთებლად კვლევითი მონაცემები გვჭირდება. ბიზნესი იკვლევს ბაზარს და ამის მიხედვით აკეთებენ რეკლამებს. საერთოდ, ბიზნესი რეკლამის გარეშე არ არსებობს, სხვადასხვა სახითა და მეთოდებით, მაგრამ ეს არის ის, რაც განაპირობებს მათ განვითარებას, მხოლოდ რეგულაციები აქ ეფექტიანი ვერ იქნება.

**– განვითარებულ ქვეყნებშიც იგივე მიზანი აქვს ბიზნესს და ასეთივე მასშტაბისაა სიმართლის დაფარვა მომხმარებლის მიზიდვისას? ჩვენთან პროდუქციას ხანდახან 1 000-პროცენტიანი ფასნამატიც კი აქვს. თვით წამლებზეც კი გვხვდება 100-200-700-პროცენტიანი ფასნამატები.**

– მარტივად შევხედოთ ამ საკითხს: ეს მისი პროდუქციაა და ამხელა ფასნამატით რისკავს, რომ ვერ გაყიდის, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილებაა. კანონი ვერ ჩაერევა, გარდა ცალკეული შემთხვევისა, როდესაც მონოპოლისტური მდგომარეობაა. აი, იქ ერევა სახელმწიფო, რომ ფასი იყოს გონივრული, სხვა ნაწილში სახელმწიფო ვერ ჩაერევა.

**– მეც ეს ვიკითხე: იქ რომ მოგების მარჟა 5-10 პროცენტია, აი, ამას როგორ მიაღწიეს?**

– საზოგადოებამ და ბიზნესმა ერთად განავითარეს ერთმანეთი. მომხმარებლების მიერ საკუთარი უფლებების დაცვის მზაობის კვალობაზე, ბიზნესიც განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე გადადის. მათ შორის, ფრთხილია რეკლამირებისას, ადგილზე მომხმარებელს დეტალურად უხსნის, რადგან მომხმარებელი მოითხოვს ამას. ეს საკმაოდ რთული სფეროა, მაგრამ მხოლოდ კანონის იმედად დატოვება არ ეგების, იმიტომ რომ, თუ მხოლოდ კანონის გზით წავალთ, მივიღებთ არა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, არამედ დარეგულირებულს. მეორე მხრივ, აქ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაცაა გასათვალისწინებელი. არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვალობაზე ბიზნესიც რთულ ვითარებაშია, რადგან ბევრი მსყიდველობითუნარიანი მომხმარებელი არ ჰყავს. ეს რეალობა განაპირობებს ბიზნესისა და მომხმარებლის ქცევას. ერთი მხრივ, როდესაც მომხმარებელი, რომელსაც, სამწუხაროდ, არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ ხარისხიანი პროდუქტი შეიძინოს, იგებს ფასდაკლების შესახებ, მასში ავტომატურად იწყება პროცესი, რასაც საბოლოოდ მოჰყვება გადაწყვეტილების მიღება პროდუქტის შეძენის სასარგებლოდ; მეორე მხრივ, თვითონ ბიზნესიც, იმ მიზეზით, რომ საქართველოს ბაზარზე ბევრი მომხმარებელი არ არის, ამაზე თამაშობს და აცხადებს ფასდაკლებებს. მაგრამ გავიხსენოთ, როგორი მდგომარეობა იყო 5-10 წლის წინათ, როდესაც არჩევანი უბრალოდ არ იყო. ასე რომ, ეს რთული პროცესია, მაგრამ, ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ეფექტიანი მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ იქნება მომართული.

**– თუმცა ბიზნესი, ზოგადად ვამბობ, ლიზიანდება, როდესაც პროდუქტზე ეძებ ვარგისიანობის თარიღს.**

– რამდენი ამოწმებს თქვენ გარშემო ამ ინფორმაციას პროდუქტზე?! ასეთების სიმცირე ხომ კომფორტი და ცდუნებაა ბიზნესისთვის, რომ პროდუქტი დახლზე დატოვოს მაშინაც, როდესაც იმ დღეს გასდის ვადა?!

**– როდესაც პროდუქციის ფასები არ ემთხვევა დახლზე და სალაროსთან, ეს რას ნიშნავს? კანონი აქაც უძლურია?**

– თუკი მომხმარებელს სალაროსთან ფული ჯერ არ აქვს გადახდილი და მას შეუძლია პროდუქტის დაბრუნება; თუ გადაიხდის ფულს, მაგრამ ჩეკში სხვა ფასია და დახლზე სხვა, მას ან ფასთა სხვაობა უნდა აუნაზღაურონ, ან უნდა დაიბრუნონ პროდუქტი. ეს არის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.

**– არც ჯარიმაა ამ დარღვევაზე?**

– არა.

**– ესე იგი, თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა, რომ ასი თვალი და ყური გამოისხას მომხმარებელმა?**

– დემოკრატია თავისით არ მუშაობს, მოქალაქეები განავითარებენ საკუთარ თავსაც და დემოკრატიასაც. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი უფლებების დაცვა და ამით სხვასაც მივცეთ მაგალითი.

**ნინო ხაჩიძე**

**ისე მოხდა, რომ საქართველოს სამივე ყოფილ პრეზიდენტს მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ტრაგიკული ბედი ერგო. პირველი, იმას გარდა, რომ ძალადობრივად დაამხეს, ცდილობდა ქვეყანაში დაბრუნებას, მაგრამ სდევნიდნენ და დღემდე არც გარკვეულა დაზუსტებით, თავი მოიკლა თუ მოკლეს; მეორე პრეზიდენტი, თუმცა მეორე ვადის ბოლოსკენ გადადგა, საკუთარი რეზიდენციიდან, ანუ საცხოვრებლიდან თითქმის არ, უფრო ზუსტად, ვერ გამოდიოდა. მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნაა გამოცხადებული და თუმცა ის აწ ოდესის ოლქის გუბერნატორია და შორიდან იმუქრება, ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლა არც მას შეუძლია. ხოლო, რადგან სამი შემთხვევა სცდება შემთხვევითობის ჩარჩოს, ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების ამ უცნაური ბედისწერის შესაძლო მიზეზებს.**

# რატომ ერგო საქართველოს სამივე ყოფილ პრეზიდენტს ტრაგიკული ბედი და რატომ არ დაედგომებოდა არც ერთს თავის ქვეყანაში პრეზიდენტობის შემდეგ

**– ეს ფენომენი შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის სინდრომი თუ რა ტიპის ქვეყანას ახასიათებს ასეთი ტენდენცია?**

– არ ვიცი, რამდენადაა პოსტსაბჭოთა ფენომენი, რადგან გვჩვევია ხოლმე საბჭოურობით ბევრი ისეთი ყოფითი ხარვეზის ახსნა, რომლებსაც შეიძლება, უფრო ღრმა ფესვები ჰქონდეს, ვიდრე 70 წელია. არ მგონია, მაინცდამაინც, საბჭოთა მოვლენა, იმიტომაც რომ, საბჭოელები იყვნენ ბალტიისპირელებიც, იქაც ძალიან მძიმე პროცესები იყო: ხშირად გამოითქმებოდა ეჭვი, რომ ესა თუ ის ლიდერი იყო მოსკოვის მსახური, მაგრამ ამას არ გამოუწვევია ამ ფიგურების დევნა მას შემდეგ, რაც ისინი თანამდებობებს ტოვებდნენ. რაც უკვე სხვა ტიპის კულტურაზე მიგვითითებს და მგონია, რომ აი, ამ კულტურის პრობლემა გვაქვს. თუმცა ისიც არ ვიცი, არის თუ არა ეს პრობლემა. ფაქტია, ამ ტიპის მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ რთული სათქმელია, არის თუ არა ეს პრობლემა. ბევრ ქვეყანაში ყოფილა ანალოგიური მდგომარეობა, როდესაც მოსახლეობას უჩნდება ხელისუფალზე ხელის აღმართვის ტენდენცია და ეს უკავშირდება ძალაუფლების ფლობის თემას. თქვენ მხოლოდ პრეზიდენტები ახსენეთ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გვყავდა პრემიერებიც. ზოგჯერ მათ პრემიერ-მინისტრები ერქვათ, ზოგჯერ – სახელმწიფო მინისტრები.



**ქართველს უჭირს სხვისი მდგომარეობისა და აზრისთვის ანგარიშის გაწევა. ზედმეტი ტერმინები რომ არ ვიხმარო, ვართ საკუთარი თავის განმტკიცებისა და განდიდებისკენ მიდრეკილი, რასაც სჩვევია სხვებისთვის ანგარიშის არგაწევა**

**– არც მათი ბედი იყო მაინცდამაინც სახარბიელო.**

– ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს ბედი იყო ტრაგიკული, ეს იყო ზურაბ ჟვანია. დანარჩენების შემთხვევაში კი, არც მათი შემოსვლა ყოფილა პოლიტიკაში დიდი მოვლენა და არც პოლიტიკიდან მათი წასვლა.

**– ეს ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური წონა.**

– აი, ამის თქმა მინდა, ანუ პრობლემაა არა პრეზიდენტობა, არამედ ძალაუფლების მატარებლობა. ჟვანიას ძალის ფლობის უნარი ჰქონდა და ამიტომ ტრაგიკულად დატრიალდა მისი ბედი. ძალაუფლების ფლობა კიდევ ცალკე თემაა.

**– პოლიტიკურ პერსონებს ძალაუფლების ფლობას არ აპატიებენ მას შემდეგ, რაც უკვე ძალაუფლება აღარ აქვთ თუ ძალაუფლება აშვებინებდა მათ შეცდომებს და ამ შეცდომებს აღარ აპატიებდნენ მერე?**

– ორივე ვარიანტი შეიძლება, იყოს, მაგრამ, მოდი, ვცადოთ, დავაკვირდეთ ფაქტებს. იმ პრეზიდენტებიდან, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველაზე დიდ ხანს და ყველაზე მშვიდობიანად, მიუხედავად თქვენ მიერ ხსენებული რეალობისა, რომ პრეზიდენტობის შემდეგ ვერ გამოდიოდა რეზიდენციიდან, შევარდნაძემ მოახერხა ხელისუფლებაში ყოფნა.

**– 1992 წლიდან 2003 წლის ბოლომდე.**

– რა შეიძლება, ყოფილიყო ამის გასაღები? ზოგიერთი იტყვის, იმიტომ რომ, შევარდნაძეს ჰქონდა გამოცდილება სხვა პრეზიდენტებთან შედარებით. მაგრამ მას ჰქონდა კიდევ ერთი თავისებურება, მას შეეძლო მოსმენა და ანგარიშს უწევდა იმას, რასაც ისმენდა. ეს არ იყო ანგარიშის ჰუმანური გაწევა, არამედ საკმაოდ პრაგმატული, რომ გაითვალისწინო, ვინ რას ამბობს და მერე გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც ყველაზე ნაკლებ პრობლემებს შეგიქმნის.

**– რასაც გეუბნებიან, გამოიყენო საშენოდ.**

– თავისთავად. როგორც ჩემი ერთი მეგობარი ამბობს პროფესიული მსჯელობისას, ქართველს უჭირს სხვისი მდგომარეობისა და აზრისთვის ანგარიშის გაწევა. ზედმეტი ტერმინები რომ არ ვიხმარო, ვართ საკუთარი თავის განმტკიცებისა და განდიდებისკენ მიდრეკილი, რასაც სჩვევია სხვებისთვის ანგარიშის არგაწევა. მგონია, რომ ამ ტიპის ფორმულა ტრიალებს ჩვენში ზოგადად. ამას დაინახავთ ქუჩაში ავტომანქანების მოძრაობისას. ამას დაინახავთ რიგში, როდესაც თითოეული ცდილობს, გვერდი აუაროს სხვას და თავისი საქმე გააკეთოს ისე, რომ არ აინტერესებს, სხვები რას იფიქრებენ. ამის გამოხატულება ისიცაა, რომ ჩვენ საკმაოდ ბევრი კრიმინალი გვყავს და ისინი არიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. სწორედ კრიმინალია ის ტიპაჟი, რომელსაც არ აინტერესებს, რას იფიქრებენ მასზე, როდესაც ხელს ჩაუყოფს ადამიანს ჯიბეში. ასე რომ, თუ ამას ზოგად თვისებად განვიხილავთ, რომ ქართველს შეიძლება, არ აინტერესებდეს, რას იფიქრებენ მასზე სხვები, ბუნებრივია, როდესაც ასეთი პერსონა მოვა ხელისუფლებაში, ხომ არც ის დაინტერესდება, რას იფიქრებენ მასზე სხვები?!

**– და ამიტომ ის სხვები, რომლებსაც ანგარიშს არ უწევდა, ანგარიშს გაუსწორებენ დევნით, როდესაც ხელისუფლებაში აღარ იქნება?**

– ამიტომ ხელისუფალი დგამს ნაბიჯებს, რის გამოც ბევრი შურისმაძიებელი და მისადმი აგრესიულად განწყობილი ადამიანი უჩნდება. შევარდნაძემ ამდენ ხანს იმიტომ გაძლო ხელისუფლებაში, რომ ის არ იყო ტიპური ქართველი და მას აინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მასზე სხვები და ცდილობდა, ეს გაეთვალისწინებინა.

**– ორი საკმაოდ ცნობილი პოეტი ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა იმის გამო, რომ მან არ დააკმაყოფილა მათი ძალიან ყოფითი სურვილები. რომ არ მოემდურებინა, თან, ისინი განსაკუთრებულს არაფერს ითხოვდნენ, ორი მტრით ნაკლები ეყოლებოდა.**

– ფაქტია, ზვიადი ადვილად იჩენდა მტრებს. თქვენ მიერ ჩამოთვლილთაგან ორს, ზვიად გამსახურდიასა და მიშა სააკაშვილს, არჩევის შემდეგ დახვდა მთელი საზოგადოების მზაობა, შენ თქვი და ჩვენ მოვდივართო. სწორედ ამ დამოკიდებულებამ შეიყვანა ისინი შეცდომაში. მათ ჩათვალეს, რომ ასეთი დამოკიდებულების ფონზე შეუძლიათ, აკეთონ ყველაფერი, რაც მოეხასიათებათ და ამ სავსებით წვრილმანი პრობლემებით მივიღეთ ის, რომ ქართული ინტელიგენცია, წითელი, ყვითელი თუ იისფერი, დასხდა ტელევიზიის კიბეებზე. შევარდნაძე კი ინტელიგენციას ეფერებოდა არა იმიტომ, რომ მათი მოფერება უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ მტერი არ გაეჩინა.

**– თუმცა აღმოჩნდა, რომ, როგორც ამბობენ, გველი უბეში გაუზრდია, თან, არაერთი.**

– ეს უკვე სხვა თემაა. რაც ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძემ ბევრი რამ ვერ გაითვალისწინა და მათ შორის, ქართული ხასიათი იმით გამოამჟღავნა, რომ არ გაითვალისწინა ხალხის განწყობა.

**– არ ეყო მხოლოდ ელიტისთვის თავის მოქონვა.**

– მას ორიენტაცია ჰქონდა ელიტაზე და ვერ გაითვალისწინა, რომ ელიტა არ არის საკმარისი.

**– ალბათ, იმიტომ რომ, საბჭოთა რეალობაში ჩამოყალიბდა და ეს შეცდომა, ხალხისთვის ანგარიშის არგაწევა, მისი ბუნებრივი შეცდომა იყო.**

– დიახ. გეთანხმებით, ეს იყო ტიპური საბჭოთა შეცდომა. მგონია, რომ სხვების აზრის გაუთვალისწინებლობაა ერთ-ერთი ის ძირითადი მიზეზი, რაც აშვებინებდა შეცდომებს ხელისუფლებაში მყოფებს. შევარდნაძის მაგალითი კი იმიტომ მოვიტანე, რომ ის სხვების აზრს რაღაც ხარისხით მაინც ითვალისწინებდა. სააკაშვილი ელიტას საერთოდ არ ითვალისწინებდა.

**– მან უფრო დაავიწროვა წრე, გარემოცვამდე დაიყვანა.**

– ესეც საკითხავია, უწევდა თუ არა ანგარიშს საკუთარ გარემოცვას. არ ვიცი, მოკლა თუ არა სააკაშვილის გარემოცვამ ჟვანია, მაგრამ ვიცი ის, რაც ჟვანიასგან მომისმენია. იმ პერიოდში ჟვანიაც წასული იყო შევარდნაძის ოპოზიციაში და სააკაშვილიც და ერთ-ერთ ღონისძიებაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მოვხვდით შამპანურის ბოკალებით ხელში. მე და ზურაბი დიდი ხანია, ვიცნობდით ერთმანეთს. რამაზ, რატომ გვაკრიტიკებო, მკითხა. შენ როდის გაკრიტიკებ, მე

# საიდან მიიღო ტარიელ ხეჩიკაშვილმა 2014 წელს ხუთ მილიონ ლარამდე ოფიციალური შემოსავალი

საქართველოს პორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი 1970 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება სამოქალაქო ინსტიტუტ „კაბადონში" მიიღო (1997-2000 წლებში) და პროფესიით სამართალმცოდნეა. თუმცა მისი სამუშაო გამოცდილება 1995 წელს დაიწყო საშუალო განათლების ამარა, შპს „ტაროში", რომლის დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორი იყო. 1999 წელს შპს „იბერმობილი" დააფუძნა, რომლის, ასევე, პარტნიორი და დირექტორი იყო 2001 წლამდე. 2001 წელს „იბერია ბიზნესჯგუფი" დააფუძნა და იმავე წლიდან, იმავდროულად, „იბერია ბიზნესჯგუფის" საფეხბურთო კლუბ „საბურთალოსა" და ქალაქ რუსთავის ავტობაზრის მფლობელია. ხოლო სულ ახლახან სპორტის მინისტრის პორტფელი ჩაიბარა.

რადგან სულ ახალთახალი ჩინოვნიკია, ბ-ნი ხეჩიკაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაციაც 2015 წლით თარიღდება. ის ოჯახის წევრებად მიუთითებს 1971 წელს დაბადებულ მეუღლე ეკატერინე ინასარიძეს და შვილებს: 1996 წელს დაბადებულ თამარს, 1997 წელს დაბადებულ რუსუდანს, 2000 წელს დაბადებულ დავითს, 2004 წელს დაბადებულ გიორგის, 2005 წელს დაბადებულ ცოტნეს, 2010 წელს დაბადაბულ იოანესა და 2014-ში დაბადებულ მარიამს.

ამჟამად ბ-ნი ხეჩიკაშვილის საკუთრება მხოლოდ 18 კვ. მ. ფართობის ავტოფარეხია რობაქიძის ქუჩაზე, დანარჩენი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი მისი მეუღლეა. კერძოდ, ეკატერინე ინასარიძე ფლობს: ბინას თბილისში, შავი ზღვის ქუჩაზე (63კვ.მ.), საცხოვრებელ სახლს დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (1 177კვ.მ.), მიწის ნაკვეთს საგურამოში (1 200კვ.მ.), მიწის ნაკვეთს დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე (1 000 კვ.მ.), ბინას რობაქიძის ქუჩაზე (142 კვ.მ.), საცხოვრებელ სახლს ფასანაურში (800 კვ.მ.) და 2011 წლის ავტომანქანა „ფოლკსვაგენ ტიგუანმას". სამაგიეროდ, ბ-ნი ხეჩიკაშვილის საკუთრება ს/ს „ვივის" 23 340 აქცია, თითოეულის ღირებულებაა 15,35 ლარი.



ტარიელ ხეჩიკაშვილი 19 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს პარტნიორია. ისინი სხვადასხვა წელსაა დაფუძნებული უვადოდ და მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, თუმცა, დეკლარაციის თანახმად, გასულ, ანუ 2014 წელს შემოსავალი სპორტის მინისტრმა მხოლოდ 2007 წელს დაფუძნებული შპს „კია მოტორს ჯორჯიიდან" მიიღო – 4 მილიონ 238 ათას 947 ლარი. ამას გარდა, 2014 წელს ბ-ნ ხეჩიკაშვილს სხვა შემოსავალიც ჰქონდა: კერძოდ, როგორც „იბერია ბიზნესჯგუფის" პრეზიდენტმა, 405 011 ლარი მიიღო.

მისი მეუღლე ეკატერინე ინასარიძე 13 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორია, თუმცა, თუ დეკლარაციას ვერწმუნებით, შემოსავალი არც ერთი შპსდან არ მიუღია. თუმცა, როგორც შპს „ავტოლიზინგ კომპანის" ბიზნესკონსულტანტმა, 2014 წლის განმავლობაში 10 000 ლარი აიღო.

გასულ წელს ტარიელ ხეჩიკაშვილს კაპიტალის გაზრდა ავტოსერვის „კავკასიაში" 878 000 ლარი დაუჯდა. თუმცა 2014-ში სხვა გასავლებიც ჰქონდა. კერძოდ: 2009 წელს მან შპს „სენა ავტოსგან" 150 000 ლარი ისესხა და 2014-ში სრულად ჩაასესხა. 2013-ში კვლავ ისესხა 150 000 ლარი იმავე შპს-გან (უვადოდ) და 2014-ში 44 961 ლარი დააბრუნა. ასევე, „საქართველოს ბანკიდან" აიღო 513 000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი (2023 წლამდე), რომლის მომსახურებაც 2014-ში 74 610 აშშ დოლარი დაუჯდა. „საქართველოს ბანკიდან" დამატებით 643 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხიც აქვს აღებული, რომლის მომსახურებაში 2014-ში 520 000 აშშ დოლარი გადაიხადა.

ამას გარდა, ბ-ნ ხეჩიკაშვილს შპს „იბერია ინვესტსისგან" ნასესხები აქვს 250 250 ლარი, შპს „ავტოსტილისგან" – 600 000 ლარი. შპს „იბერმობილისგან" – 450 000 ლარი.

2014-ში ეკატერინე ინასარიძემ 70 500 აშშ დოლარად უძრავი ქონება შეიძინა და თანხის ნაწილი – 55 500 აშშ დოლარი, იმავე წელს დაფარა.

2014 წლის განმავლობაში ცოლ-ქმარს სხვადასხვა შპს-ს წილის ნასყიდობა, საერთო ჯამში, მილიონ-ნახევარი ლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**

---

რადიკალიზმი არ მიყვარს და რადიკალებს ვაკრიტიკებ-მეთქი. ვისო, გაიღიმა. სააკაშვილს-მეთქი. მიპასუხა, სწორია, ხომ იცი, ეგ რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, დაინგრევა ქვეყანაო. ცოტა ხნის შემდეგ კი გამოაცხადა ალიანსი სააკაშვილთან. ამას იმისთვის არ ვყვები, რომ არასწორი დასკვნები გავაკეთოთ, პირიქით, კარგ პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს თავის ემოციებზე გადაბიჯება და იმ ნაბიჯის გადადგმა, რაც სწორად მიაჩნია.

**– ჩვენს პოლიტიკოსებს აკლიათ მიზნის პრიორიტეტულობა, პირად ურთიერთობას გადააყოლებენ ხოლმე მთავარს.**

– ზურას, სწორედ იმ მოტივით, რაზეც მე მელაპარაკა იმ მომენტში, მიაჩნდა, რომ სააკაშვილის მარტო გაშვება არ შეიძლებოდა და ეგონა, თვითონ შეძლებდა სააკაშვილის იმპულსების შეკავებას. ამის საშუალება რომ ჰქონოდა, იმიტომაც გამოაცხადა, ალიანსში ვართო, მაგრამ აქ იყო მეორე მხარე: ამან პრობლემა არ მოხსნა და როგორც კი ზურაბის ძალაუფლების ხარისხი გაუტოლდა სააკაშვილის ძალაუფლების ხარისხს, ეს ემოციები ამუშავდა.

**– თუ დამოუკიდებლობის პერიოდში პოლიტიკოსის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, სანიმუშო ქცევა მახსენდება, თუმცა მე არ მაქვს სიმპათიები ზურაბ ჟვანიასადმი, როგორც პოლიტიკოსისადმი, ეს არის სწორედ ზურაბ ჟვანია. 2004 წელს, რაკი იყო დიდი ლიახვის ხეობის დაბომბვისა და, შესაბამისად, კონფლიქტის განახლების საფრთხე, ის ერედვის შემოვლითი გზით შევიდა თამარაშენში და იქ გაათია ღამე, თუმცა ეს უსაფრთხო არ იყო. განსაკუთრებით თვალშისაცემია ქცევა 2008 წლის გორის ცნობილი კადრების ფონზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პრეზიდენტი სააკაშვილი.**

– იგივე შეიძლება, ითქვას, როდესაც ზურა 2004 წელს აჭარაში ხიდზე გადავიდა, არც იქ იყო უსაფრთხოება გარანტირებული.

**– ის რისკავდა სიცოცხლეს.**

– თან, ზურაბს ბევრი სხვა პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ჰქონდა გუნდის შეკვრის უნარი. რასაც დღესაც ვუყურებთ, „ნაციონალური მოძრაობის" ყველაზე ინტელექტუალური ნაწილი არის ზურაბის მიერ შეკრული, ვერ ვიტყვი, რომ ყველაზე ნამუსიანი, მაგრამ ყველაზე ინტელექტუალური. და ამ ფონზე ზურაბი იყო ძალა. ძალას კი რა უნდა მოუხერხო?!

**– უდავოდ იყო სააკაშვილის კონკურენტი ქცევის მოდელითაც კი: სააკაშვილის სავიზიტო ბარათის ანგარიშზე იყო, მაგალითად, შავ ზღვაში შევარდნა და წყლის სახეზე შესხმა, კონცერტზე მომღერლის ხელში ატაცება და ასე შემდეგ.**

– ასე დავარქვათ, კონკურენტი ზოგადად კი არა, ძალაუფლებაში, როდესაც პრემიერის ძალაუფლება გაუტოლდა პრეზიდენტის ძალაუფლების ხარისხს და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დღესაც არ სჯერა ქართველ საზოგადოებას, რომ ზურაბ ჟვანია გაზით გაიგუდა. ამ ვერსიის მიმართ ეჭვი არა მარტო იმ დეტალებშია, რომლებიც არსებობს, არამედ ამ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში, იმიტომ რომ, ჩვენს საზოგადოებას შესაძლოა, სრული სურათი არ ახსოვს, მაგრამ ისტორიის ფრაგმენტები აქვს მეხსიერებაში შემონახული. იციან, რომ, როდესაც რომელიმე თავადი თავს გაუტოლებდა მეფეს, მას მეფე მაშინვე თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე. ეს ხდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველგან, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, არის ადამიანური და, მეორე მხრივ, პოლიტიკური მოვლენა.

**– მაგრამ ხომ დაძლია ეს დასავლეთმა? თუმცა იქაცაა ყოფილების დევნის ფაქტები: სარკოზის წინააღმდეგ საქმეა აღძრული, ბერლუსკონი საერთოდაც გაასამართლეს.**

– რამდენიც გინდათ, იმდენი მაგალითია ყოფილი პოლიტიკური ფიგურების დევნის და ამ მხრივ, ჩვენ არ ვართ ჩემპიონები, სხვებიც არიან. ოღონდ ჩვენს შემთხვევაში თვალშისაცემია ის, რომ სტატისტიკურად მეტისმეტია: სამი ყოფილი პრეზიდენტი გვყავს და სამივესთან ერთი და იგივე პრობლემები მეორდება. თორემ, სხვა მხრივ, გასაოცარი არაფერი იქნებოდა. რადგან ძალაუფლება ცუდი ხასიათის ქალია, რომელსაც უყვარს, რომ მის გამო ერთმანეთს ყელს უღადრავენ ადამიანები.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რას მოიმოქმედებს გია ჯაჯანიძე თუ დამტკიცდა, რომ 32 წლის წინ მას ნამდვილად შეეძინა ქალიშვილი უცნობ ქალბატონთან

*მკითხავები, მჩხიბავები, მეძავები, სპერმის ქურდები, „ბასეინში“ მომღერალი გედები, პატიოსნები, ნამუსიანები და ნამუსახდილები, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, უბიწო ჰომოსექსუალები და მიწიერი მოკვდავები, მკვდრეთით აღმდგარნი და ზეციდან მოვლენილი ანგელოზები – ყოველ მათგანს ერთი რამ აერთიანებთ: საინტერესო ისტორიები და „სხვა რაკურსი“ გია ჯაჯანიძესთან ერთად, რომელმაც საგრძნობად ჩაახოჩა რეიტინგებში სხვა შოუები საკუთარ თუ კონკურენტ არხებზე. ფაქტია, რომ საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს მისი სტუმრების ამგვარი ფართო სპექტრი.*

**– როგორია შენი შეფასება პირველი სეზონის ბოლოს? მე დავესწარი შენი პირველი ეთერის ჩაწერას და რა უწესრიგობაც იქ ვნახე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს გადაცემა ერთ თვეზე მეტხანს გასტანდა. თუმცა, ზუსტად ორ კვირაში შოუმ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვინ იყვნენ ისინი, ვისაც შენი თავიდანვე სჯეროდა?**



– ეს არ იყო უწესრიგობა. ეს იყო პირველი გადაცემა, რომელიც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. შოკში ვიყავი და სხეულსაც ვერ ვგრძნობდი. რაც შეეხება იმას, ვის სჯეროდა ჩემი? ჩემი წარმატების, ძალიან სჯეროდა გიორგი ბახტაძეს (ტელევიზიის დირექტორს), რომელმაც თავიდანვე დაინახა, რომ არნახულ აუდიტორიას მივიზიდავდი. ამას რომ ვამბობ, ვიცი, გაბრაზდება, მაგრამ თუ არ გაუვლის, დაე, გამაგდოს სამსახურიდან ***(იცინის).*** ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინგა გრიგოლიას და შალვა რამიშვილის მხრიდან ნდობის გამოცხადება და იმის თქმა, რომ ეს გადაცემა აუცილებლად შედგება, რამაც მე დიდი სტიმული მომცა. და მთავარი, მაია სტეფნაძე ***(ტაში დაუკრა)*** – გადაცემის გული და გონება. დამაცადე, ნუ გაქვს ასეთი რეაქცია, გადაცემის სული მე ვარ. კიდევ ერთი, ვისი წყალობითაც გადაცემა წარმატებულია – პროდიუსერი მანონ ოქრუაშვილი. სათაური „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“ მან მოიფიქრა. როგორც ქართულ სუფრაზეა სავალდებულო სამშობლოს სადღეგრძელო, ასე სავალდებულოდ მიმაჩნია, ჩემი ჯგუფისთვის მადლობის თქმა ***(იცინის).***

**– რომ შემოვედი, გკითხე, როგორ ხარ-მეთქი და მითხარი, ბედნიერი ვარო. ეს ყველაფერია შენი ბედნიერების მიზეზი?**

– არა. მე ბედნიერი დავიბადე. საწოლიდან ფეხს რომ გადმოვდგამ, ესე იგი, ჩემი სხეული ჯერ კიდევ მოძრაობს და მიზეზი მაქვს, ვიყო ბედნიერი. ცხადია, უამრავი ნეგატივი მესმის და ტრიალებს ჩემ გარშემო, მაგრამ ამას ყურადღებას უკვე ველარ და აღარ ვაქცევ. ჩემი ტვინი ადამიანის კუჭის ფუნქციონირებას დაემსგავსა – ვიღებ უამრავ ინფორმაციას, ვამუშავებ, ვახარისხებ და მხოლოდ კარგს ვიტოვებ გონებაში, დანარჩენს კი ფეკალიების სტატუსით ვუშვებ ჰაერში.

**– „სხვა რაკურსი“ – ეს ის არის, რაზეც ოცნებობდი და რისთვისაც მთელი ცხოვრება იბრძოდი?**

– პირდაპირ შემიძლია გითხრა, რომ ეს ნამდვილად არ არის ის, რაზეც ვოცნებობდი, მით უმეტეს, ვიბრძოდი. ცხოვრებაში არაფრისთვის მიბრძოლია, უბრალოდ, ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მომწონდა. „სხვა რაკურსის“ საპილოტე გადაცემა რომ ჩავწერეთ, თვალებზე ხელი ავიფარე, მაგრამ გიორგი ბახტაძემ მითხრა: პილოტი არ არის კარგი, თუმცა, ეს გადაცემა აუცილებლად შედგება და წარმატებას მიაღწევსო. მას ჩემზე მეტად სჯეროდა. ახლა, როცა უკვე ამხელა ეთერი შედგა, ვხვდები, რომ კიდევ არის რაღაც, რაც უნდა გავაკეთო. თუმცა, რა არის ეს რაღაც, ჯერ არ ვიცი.

**– ანუ, ამით არ „ასტოპებ“?**

– არავითარ შემთხვევაში. პირიქით, მე ხომ, ეს ესაა, თინეიჯერობის ასაკიდან გამოვედი?! ამიტომ, ახლა ვიწყებ მთელი ჩემი ახალგაზრდული ენერგიის გამოყენებას ***(იცინის),*** ოღონდ, არავითარ შემთხვევაში – ბრძოლას, უბრალოდ, ყოველთვის მაქვს საკუთარი ტაქტიკური სვლები, რისგანაც არავინ არ უნდა დაზარალდეს. ხალხის გვამებზე გადავლით კარიერას ვერასოდეს შეიქმნი და თუ შეიქმნი, აუცილებლად სამუდამოდ დაიღუპები.

**– სიტყვებს უაზროდ არასოდეს ისვრი და მგონია, რომ რაღაც სხვა გადაცემისთვისაც ემზადები.**

– მართალია. „იმედი“ ახალ სეზონზე ახალ გადაცემას ამზადებს, რომლის წამყვანიც მე ვიქნები. დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ. გადაცემა ჯერ მზადების პროცესშია. ამით არანაირი საფრთხე არ ემუქრება „სხვა რაკურსს“, ვინაიდან რადიკალურად განსხვავებული პროექტი იქნება.

**– სულ მაინტერესებდა, საიდან აგროვებთ ამდენ მკითხავებსა და მჩხიბავებს?**

**ეს დუმილიც ვიღაცამ სათავისოდ რომ გამოიყენოს, ხომ შეიძლება? ამიტომ გადავწყვიტე, მომეყოლა ეს ამბავი**

– ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რა რაოდენობაც რეალურად არის საქართველოში. ისეთი სტუმრები მეყოლება სექტემბრიდან, რომ წინა სეზონი ზღაპრად მოგეჩვენებათ.

**– გადაცემამ ხალხის სიყვარული მოგიტანა თუ ცნობადობა გაიზარდა?**

– ცნობადობის გაზრდასთან ერთად, სიყვარულიც მომიტანა. ზუგდიდის ბაზარში რომ შევედი, ხალხმა ტაში დაუკრა და ტაშით შემეგებნენ. ცრემლები წამომივიდა, აი, ეს მომიტანა ამ გადაცემამ.

**– გია ჯაჯანიძემ მაია სტეფნაძეს ჯადო გაუკეთა და ისე გადმოიბირაო, მართალია?**

– ჩემზე დიდი ჯადოქარი თვითონ მაიაა და ახლა ორი ჯადოქარი ერთ არხზე ქმნის ასეთ საინტერესო გადაცემას ***(იცინის).***

**– როგორ გაატარე ზაფხული?**

– საოცრად მშვიდად. წელს გადავწყვიტე, ყველა წასულიყო ქალაქიდან და მარტო მე დავრჩენილიყავი. ასეც მოვიქეცი, მთელი ქალაქი რომ დაცარიელდა, მხოლოდ ერთი ცნობადი სახე – გია ჯაჯანიძე დადიოდა თბილისის ქუჩებში. ეს დრო გამოვიყენე ძველი მეგობრებისა და ოჯახების მოსანახულებლად.

**– ბათუმშიც არ ყოფილხარ?**

– ბათუმში ახლახან ვიყავი რამდენიმე დღით და ისეთი ისტორია გადამხდა, ნეტავ, სულ არ წავსულიყავი. ასე, სპონტანურად თავში დამარტყა, დავჯექი მანქანაზე და წავედი. ჩავედი და იქაც დიდი ხნის უნახავი ოჯახები მოვინახულე. მერე ჩემს პროდიუსერ მანონ ოქრუაშვილს შევუარე და ისე დამხვდა, მეგონა, ჯარის ძმაკაცი ვნახე. მერე ჩემს ჯადოქარ სტეფნაძეს შევუარე, რომელიც, ასევე, ფანტასტიკურად გამიმასპინძლდა და ბოლოს, ორი დღის შემდეგ, გავედი სანაპიროზე. ვიფიქრე, გავირუჯები-მეთქი, თორემ მზეზე მეტად მე ვანათებდი, მაგრამ ვინ დამაცადა? მთელი სანაპირო წამოიშალა სურათების გადასაღებად. ამ ხალხში მოვიდა ერთი ახალგაზრდა გოგო და ტელეფონის ნომერი მთხოვა. თან, შემრცხვა უარის თქმა და თან არ მინდოდა, მაგრამ მითხრა, რომ იქ ვერ დამელაპარაკებოდა და აუცილებლად უნდოდა ჩემთან გასაუბრება. უარი ველარ ვუთხარი. იმავე საღამოს დამირეკა და შევხვდი.

**– ანუ, სანაპიროზე მოპოვებული გადაცემის სკანდალური თემაა?**

– არა, რა გადაცემის. მგონი, ისეთი სიტუაციაა, ჩემივე გადაცემის სტუმარი მე თვითონ ვიქნები, ამ ამბავს რომ გეტყვი. ეს გოგო საკმაოდ მოხდენილად, კარგად ჩაცმული მოვიდა, ოღონდ სახე აქვს წაშლილი. მაშინვე მივხვდი, რომ გადაცემისთვის საინტერესო ისტორიას მომიყვებოდა, ოღონდ საკმაოდ მძიმეს და შევეცადე, დავხმარებოდი საუბრის დაწყებაში. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ მოვახერხე ადამიანის გახსნა და გავგიჟდი. ბოლოს ვუთხარი, თუ ასე ინერვიულებ და არ მეტყვი, რა გჭირს, რით დაგეხმარო, მაშინ, ავდგები და წავალ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, თავდახრილი და დაბალ ხმაზე მეუბნება, შენი შვილი ვარო. შევხედე ამ გოგოს, გავიხედ-გამოვიხედე, სადმე კამერები ხომ არ არის დამონტაჟებული-მეთქი და მომენტალურად თავში გამიელვა მილიარდმა აზრმა... პირველი, რაც იყო, კამერებზე ვიფიქრე და გადავწყვიტე, მოდი, კამერებს მოვატყუებ, ვითომ არ ვიცი, რომ მიღებენ და შესაფერის პოზას მივიღებ-მეთქი. მაგრამ, რომ დაიწყო მოყოლა, კითხვის დასმის საშუალებაც არ მომცა. იმდენად გულწრფელად საუბრობდა, გამორიცხულია, ასე ვინმემ ითამაშოს.

**– ანუ, უცნობი ქალიშვილი აღმოაჩინე?**

– აღმოჩნდა, რომ ის ჩემს პირველ ქალიშვილზე რამდენიმე თვით უმცროსია. დედა 18 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა და გაზარდა ბებიამ, რომელიც აგრეთვე 3 წლის წინ გარდაიცვალა. სწორედ მან

# ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ – სიახლე დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში

*ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ტალანტის გამოვლენის არაჩვეულებრივ საშუალებას აძლევს. ესაა ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“, რომელში მონაწილეობის მიღებაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია. საკონკურსო ნაწარმოებებს პროფესიონალური და ობიექტური ჟიური შეაფასებს, გამარჯვებული კი მნიშვნელოვან პრიზებს მიიღებს.*

**თამარ ტალიაშვილი** *(საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე):* ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში სიახლეა და წელს პირველად ტარდება. სახელწოდება საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე შეირჩა. კონკურსი თავისი მასშტაბით მრავალფეროვანი და უპრეცედენტოა, რადგან მოიცავს ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთ სფეროს. ესაა მცდელობა, ერთიან სახელოვნებო-სალიტერატურო დისკუსში გავაერთიანოთ კულტურის სხვადასხვა მიმართულება და გამოვავლინოთ არსებული ტალანტები. კონკურსი, რა თქმა უნდა, არ არის და ვერც იქნება მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის. ისევე, როგორც თბილისში, საქართველოს ყველა რეგიონის, ეთნიკური უმცირესობის გულისძგერა არის გაერთიანებული, ეს პროექტიც ელის ჩვენი ნიჭიერი თანამემამულეების აქტიურობას საქართველოს ყველა რეგიონიდან. განსაკუთრებით კი ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეების ჩართულობა გაგვახარებს. იარების მოშუშება შორიშორს და განცალკევებულად არ გამოვა. საერთო პლატფორმაა აუცილებელი. მიმაჩნია, რომ სწორედ ხელოვნებაა ის სივრცე, რომელიც გაგვაერთიანებს და მშვენიერება, რომელიც გვიხსნის!



კონკურსი შემდეგ ნომინაციებს მოიცავს: წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები, პოეტური ნაწარმოები, სიმღერა, ფერწერული ნაწარმოები, ქანდაკება, ფოტოხელოვნების ნაწარმოები, არქიტექტურული ნაწარმოები და ბოლოს თემატური ესე „ჩემი თბილისი“. ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება სკოლის მოსწავლეებისთვისაა შესაძლებელი. დანარჩენ ნომინაციებში კონკურსანტების ასაკი და თემა შეზღუდული არ არის. მთავარია, კონკურსანტმა არ ხელჰყოს სხვისი საავტორო უფლებები და ნაწარმოები ბოლო ერთი წლის განმავლობაში იყოს შექმნილი. აღსანიშნავია, რომ კონკურსის სახელწოდება – „თბილისი“ არ ნიშნავს, რომ კონკურსანტები მხოლოდ ამ ქალაქის მცხოვრებლები უნდა იყვნენ, თემა კი მხოლოდ ეს ქალაქი. პირიქით, ჩვენი სურვილია, კონკურსში მონაწილეობა მიიღოს სრულიად საქართველომ, ჩვენმა აფხაზმა და ოსმა თანამემამულეებმა. ყველა ნომინაციისთვის გათვალისწინებულია 1 500 ლარი. გარდა ფულადი ჯილდოსი, მათ სპეციალურად ამ კონკურსისთვის გამოჩენილი შემოქმედის, გია ჯაფარიძის მიერ შექმნილი პრიზი გადაეცემათ. ასევე, სპონსორები გამარჯვებულ კონკურსანტებს სიურპრიზებს უმზადებენ. დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში, თბილისობის დღესასწაულზე მოხდება.

**– რა სანქციებია პლაგიატის და ნათარგმნი ნაწარმოებების შემოტანის შემთხვევაში?**

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების დაცვა. სანქციებს რაც შეეხება, ამოქმედდება ის, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ჟიურის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალა მოიხსნება კონკურსიდან, ხოლო ავტორი 2 წლის განმავლობაში დაკარგავს განმეორებით მონაწილეობის უფლებას.

**– დაბოლოს, სად შეიძლება კონკურსზე დეტალური ინფორმაციის მიღება?**

– ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, კონკურსის პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება თბილისის საკრებულოს ვებ-გვერდიდან www. tbsakrebulo. gov.ge შეუძლია. მათ კი, ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ, ინფორმაცია შეუძლიათ, მიიღონ ტელეფონის ნომერზე: 555 459 643.

---

გაუმხილა მამის ვინაობა. უბრალოდ, ეს ქალი ვერ მიტანდა და სთხოვა, რომ არ დამკონტაქტებოდა, მაგრამ, რადგან ასე, შემთხვევით შევხვდით, გადაწყვიტა, გაემხილა.

**– და რეალობასთან ახლოსაა?**

– ახლოს იმ მხრივ არის, რომ მე მართლა მქონდა, ასევ თქვათ, სამგზავრო რომანსაც ვერ დავარქმევ. ჯარში სომხეთში ვმსახურობდი და შვებულებით ვიყავი თბილისში ჩამოსული, სადაც 6-7 თვის ფეხმძიმე ცოლი მელოდებოდა. უკან რომ ვბრუნდებოდი, ერთი ლამაზი ქალბატონი გავიცანი ვაგონში, რომელთანაც ჩვეულებრივ მქონდა სექსი და იქვე დამთავრდა ყველაფერი. ერთი, რაც გამახსენდა, მართლა ია ერქვა იმ გოგოს. ისიც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ვფიქრობდი, ია ხომ ძალიან ლამაზი ყვავილია და ძალიან მოკლე პერიოდით გვიხარებს გულს-მეთქი. ამ ყვავილთან ასოციაციით, მის არსთან და ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობის პარალელით, დამამახსოვრდა სახელი. მაგრამ... აქ კიდევ ერთი მაგრამ გვაქვს და ეს ეჭვიც მღრღნის. არ მახსოვს, რომელ ჟურნალთან ინტერვიუს დროს, დიდი ხნის წინ ჟურნალისტმა რომ მკითხა, ყველაზე უცნაური და დასამახსოვრებელი რომანტიკული თავგადასავალი გაიხსენეო, მაშინ ვთქვი, ერთხელ მქონდა სექსი მატარებელში-მეთქი. ვფიქრობ, ეს ხომ არ აქვს ამ გოგოს წაკითხული-მეთქი. მაგრამ მაშინვე გამოვკითხე ოჯახური და სოციალური მდგომარეობა, ვიფიქრე, ფულის გამოძალვის გამო ხომ არ იგონებს-მეთქი. მოკლედ, დიდ შარში აღმოვჩნდი და ალბათ, მომიწევს დნმ-ის ანალიზის აღება რეალობის დასამტკიცებლად. თუმცა, ვერ ვიტყვი, ამ გოგომ სულელის შთაბეჭდილება დამიტოვა და არ იცის, დღეს ამ ტესტის გაკეთება ძალიან მარტივად რომ შეიძლება, ან რამე კონკრეტული მიზანი ამოძრავებდეს. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ, უბრალოდ, გამეცნო, მაგრამ მე მაინც ვერ მოვისვენებ. იქნებ, მართლა ჩემი შვილია და ხომ უნდა ვიცოდე?!

**– რის გაკეთებას გეგმავ?**

– ყველაფრის, რაც მის სიმართლეში ან სიცრუეში დამარწმუნებს. ინტერვიუზე რომ მოვდიოდი, ვიფიქრე, არ ვიტყვი, სანამ სიმართლეს არ დავადგენ-მეთქი. მაგრამ, ეს დუმილიც ვიღაცამ სათავისოდ რომ გამოიყენოს, ხომ შეიძლება? ამიტომ გადავწყვიტე, მომეყოლა ეს ამბავი.

**– მისი ნათქვამი სიმართლე რომ აღმოჩნდეს, რას გააკეთებ?**

– რა უნდა გავაკეთო? თუ კი მას სურვილი ექნება, გვარსაც მივცემ და საზოგადოებასაც გავაცნობ, რა პრობლემაა?!

**ბესო მახარაშვილი**


## წინასწარმეტყველი, ხალხური მედიცინის პროფესორი, მსოფლიოში ცნობილი კოლხი ნათია უკვე თბილისშია!



**ზაქარია (ქვრივი) 65 წლის:** „ფეხები მაწუხებდა. გუნებაგანწყობაც არ მქონდა. მივედი ქ-ნ ნათიასთან. გამომითვალა და მითხრა: ბ-ნო ზაქარია, ცოლის მოყვანა გინდათ? თურმე საგვარეულო წყევლა და ბედის ჩაკეტვა მქონია. როგორც კი ეს მომიხსნა, თქვენ წარმოიდგინეთ, რვა თვეში ცოლი შევირთე, თან გაუთხოვარი, 50 წლის ქალი. სხვა რა ვთქვა. ბედნიერი ვარ. მადლობა ქ-ნ ნათიას.

**ნოდარი (ბიზნესმენი) 70 წლის:** მივედი ქ-ნ ნათიასთან. სიმართლე გითხრათ, ფეხს ვითრევდი, არ მჯეროდა მაინცდამაინც. გამომითვალა და მეუბნება: ბ-ნო ნოდარ, თქვენ შავი ძალების გავლენის ქვეშ იმყოფებით. მე უნდა მოგიხსნათ ეს და გაგიკეთოთ დამცავი ამულეტი, მაგრამ აქ მთავარია თქვენი რწმენა. გულით უნდა იწამოთ. სხვანაირად ვერ დაგეხმარებითო. მართლაც, ქ-ნმა ნათიამ გამიკეთა ეს ყველაფერი და მითხრა: ახლა 40 დღე უნდა დაველოდოთ გაწმენდას. ამის შემდეგ აგისრულდებათ ის, რაც ასე გინდათო. დიდი მადლობა, ქ-ნო ნათია. ასეც მოხდა.

**ლამარა (ესპანეთი – ქართველი ემიგრანტი), 40 წლის:** ოცი წელია უკვე, რაც უცხოეთში ვარ. 20 წლის ვიყავი დედასთან ერთად რომ წამოვედი აქეთ. სრულიად შემთხვევით, ხელთ ჩამივარდა ჟურნალი „თბილისელები“. ჩემი ყურადღება მიიპყრო სურათმა, რომელსაც კოლხი წინასწარმეტყველი ნათია ეწერა. იმ დღესვე სკაიპით დავუკავშირდი. ბევრი ვისაუბრეთ. მითხრა: შენ ჩემი პაციენტი ხარო. გამომითვალა ყველაფერი და დამცავი ამულეტის გაკეთებასაც შემპირდა. მერე ბარაქაზეც შემილოცა. გათხოვება საერთოდ არ მინდოდა და მთხოვნელები გამომიჩნდნენ. უკვე დანიშნული ვარ და მალე ქორწილი მექნება.

**საკონტაქტო: + 599 987425; 551 541086; skype: bulvarzelioni**

**პიროვნების ჩამოყალიბება სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა სირთულეს უკავშირდება. ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდის გადალახვა მას მაშინ უწევს, როცა სკოლის მოსწავლე ხდება. ყველაზე მტკივნეულად პატარები მაინც თამაშიდან ვალდებულებებზე გადასვლას აღიქვამენ. თუმცა, ამას სხვა ბევრი ფაქტორიც ემატება, რომელზედაც „დავითიანის“ ფსიქოლოგიის ცენტრის ფსიქოლოგი, ნინო კერესელიძე გვესაუბრა.**

# როგორ უნდა ავირიდოთ პირველკლასელის სკოლასთან ადაპტაციისას მოსალოდნელი გართულებები და რატომ არ შეიძლება დილის პროცედურების დროს ბავშვის აჩქარება

**ნინო კერესელიძე**: სკოლა ბავშვებისთვის ახალი სოციუმია, რომელთან შეჯახებაც გაურკვევლობას იწვევს. მასთან შეგუების პროცესი ბავშვებთან სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. ზოგისთვის ახალ გარემოსთან შეგუება იოლად ხდება. ასეთი ბავშვები ხალისიან განწყობაზე არიან და გაკვეთილებზეც აქტიურობენ. ზოგს სკოლასთან შესაგუებლად გარკვეული დრო სჭირდება. ასეთი ბავშვები ხელიდან არ უშვებენ თამაშის შანსს, ხშირად ჭირვეულობენ, ტირიან და ეკამათებიან თანაკლასელებს. არის ბავშვების კატეგორია, რომელთანაც საქმე კიდევ უფრო რთულადაა. ისინი ძალიან ძნელად ეგუებიან სკოლას, ითხოვენ გაკვეთილების გაცდენას, უგუნებოდ არიან, უჭირთ თანაკლასელებთან ურთიერთობა. თუმცა, ზოგადად, პირველი 5-6 კვირა სკოლასთან ადაპტაციის პერიოდად ითვლება და ის ყველა ბავშვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სირთულეა.

– **ძირითადად, რა სახის სირთულეები იქმნება?**

– ფსიქოლოგებთან საუბარში ბავშვები ამბობენ, რომ სკოლა არის გასართობი ადგილი, სადაც გართობას უკრძალავენ, რაც მათთვის გაუგებარია. მათ მოსწონთ ურთიერთობები შესვენებებზე, მაგრამ ზარის დარეკვის შემდეგ, გაკვეთილზე ერთ ადგილას ჯდომა, აღიზიანებთ. სირთულეების გამომწვევ პირველ ფაქტორად სოციალური როლის ცვლილება მიიჩნევა. როცა ბავშვი მოსწავლე ხდება და ემატება ვალდებულებები, მის წინაშე შესასრულებელი დავალებების სირთულეც იზრდება. ასევე, იცვლება წამყვანი ქცევა. აქამდე ის ძირითად დროს თამაშში ატარებდა, ახლა კი გართობა სწავლამ უნდა ჩაანაცვლოს, რაც მარტივი ნამდვილად არაა. ამიტომ, უნდა მოვახერხოთ და მისთვის თამაშიც შემეცნების პროცესად ვაქციოთ. ბავშვისთვის, ასევე, დიდი სირთულეა მოსწავლის დღის რეჟიმი. კიდევ ერთი სირთულეა მშობლის გარეშე გაჩერება, რომელიც ისეთ ბავშვებში იჩენს თავს, მათზე რომ არიან მიჯაჭვულნი. ამ ყველაფერმა, შეიძლება, ბავშვი საკმაოდ მძიმე შედეგებამდე მიიყვანოს. მოსწავლე იწყებს უყურადღებობას გაკვეთილებზე, მუდამ ცდილობს, თამაშისთვის გამონახოს დრო და ხელი შეუშალოს მასწავლებელს. ასევე, სერიოზულ პრობლემებს ქმნის სახლში, ამბობს, რომ არ უნდა სკოლაში წასვლა და ამას მხოლოდ მშობლის მხრიდან სხვადასხვა დაპირების ხარჯზე აკეთებს. სწავლისადმი არანაირი ინტერესი არ აქვს და შესაბამისად, მისი აკადემიური მოსწრებაც დაბალია. თუ მშობელი ყურადღებას არ ამახვილებს ამ ყველაფერზე და არ ეხმარება ბავშვს ადაპტაციის პროცესის გამარტივებაში, პრობლემები მაღალ კლასებშიც გრძელდება. ასეთ მოსწავლეს „ამრევი ბავშვის“ როლი აქვს და ეს სკოლის დამთავრებამდე მიჰყვება. ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, ფსიქოლოგის ჩარევა გახდეს საჭირო. რა თქმა უნდა, უდიდესი მოვალეობა აკისრია პედაგოგს. ბავშვის სკოლასთან ადაპტაციის დადებითად წარმართვის წინაპირობაა ბაღი. თუ ბავშვს იქ სწავლის გამოცდილება აქვს, მაშინ მისთვის სასკოლო გარემოც არ იქნება უცხო.



**ბავშვის მიღწევები შეადარეთ მხოლოდ მის ადრინდელ მიღწევებს. მაგალითად, უთხარით: „დღეს უკეთ გამოგივიდა, ვიდრე გუშინ”**

– **ზედმეტად აქტიური და ცელქი ბავშვების შემთხვევაში, რა გზითაა შესაძლებელი მათი „სკოლის ჩარჩოებში” უმტკივნეულოდ მოქცევა?**

– ჰიპერაქტიურ ბავშვებთან მიმართებით მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება სწავლის დაწყების პირველ დღეებსა და კვირებში უნდა გამოიჩინოს. როგორიც არ უნდა იყოს ის, არავითარ შემთხვევაში, მკვეთრი და კატეგორიული შენიშვნა არ უნდა მივცეთ. ყურადღება ბავშვის პოზიტიურ აქტივობაზე უნდა გავამახვილოთ. მის ძლიერ მხარეებს გავუსვათ ხაზი და დავარწმუნოთ, რომ ჩვენ მისი გვჯერა. ასევე, უნდა ვაღიაროთ, რომ დავალება, რომელიც მივეცით, საკმაოდ რთულია. უნდა გამოვიყენოთ ყურადღებისა და მეხსიერების განმავითარებელი სავარჯიშოები, ხელი შევუწყოთ ადეკვატური თვითშეფასების, სასწავლო მოტივაციისა და თვითკონტროლის ფორმირებას. შევეცადოთ, არ გამოვიყენოთ სიტყვები: „არა, არ შეიძლება!“ ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობასა და გაგებას. მნიშვნელოვანია, რომ თხოვნა, ინსტრუქტაჟი, მიმართვა, წარმოვთქვათ მშვიდი, ერთი და იმავე სიტყვებით და გავიმეოროთ ბევრჯერ. ჰიპერაქტიურ ბავშვს ჯობია, შევეხოთ და ისე დავსვათ თავის ადგილას, ვიდრე ათჯერ ვუთხრათ „დაჯექი“. საჭიროა, მეტი მუშაობა ნატიფ მოტორიკაზე. კარგია პლასტელინით მუშაობა და ყველა სახის აქტივობა, სპორტის გარდა, რადგან მათთვის კარგია ფიზიკური ურთიერთობა და არა წესებიანი, შეჯიბრის სახის სპორტის სახეობა.

**მნიშვნელოვანია, რომ თხოვნა, ინსტრუქტაჟი, მიმართვა წარმოვთქვათ მშვიდი, ერთი და იმავე სიტყვებით და გავიმეოროთ ბევრჯერ**

– **კიდევ რა რჩევების გათვალისწინებაა საჭირო მშობლებისთვის?**

– თუ ბავშვი შინ თუ გარეთ, ლაღად და თამამად ამყარებს ურთიერთობას სხვებთან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არც სკოლაში გაუჭირდება. თუ ბავშვი ურთიერთობისას ძალზე ფრთხილია, არ ენდობა ადამიანებს, სკოლაში შესვლამდე მას თქვენი დახმარება დასჭირდება, რადგან იქ, უთქვენოდ, უცხო ხალხის გარემოცვაში მოუწევს ყოფნა. ასევე, მნიშვნელოვანია, ბავშვი იცნობდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციას, სადაც ქცევის განსხვავებული სტილია საჭირო. მაგალითად, შეიძლება ვთხოვოთ ბებიასთან დამოუკიდებლად დარეკვა, მეზობელთან დამოუკიდებლად გასვლა და სხვა. სასურველია, ბავშვმა ყოველი დილა დაიწყოს მსუბუქი ვარჯიშით. აუცილებელია, ბავშვს განვითარებული ჰქონდეს ჰიგიენის ელემენტარული ჩვევები: ხელების დაბანა, კბილების გახეხვა და საპირფარეშოთი სარგებლობა. დავალების შესრულების შემდეგ აუცილებლად წაახალისეთ. მიეცით სხვადასხვა სიტუაციაში ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა. ბავშვი მშვიდად გააღვიძეთ. სასურველია, გაღვიძებისას მან თქვენი ღიმილი დაინახოს. ესაუბრეთ მშვიდი, კეთილგანწყობილი კილოთი. ასევე, მნიშვნელოვანია დროის სწორად გადანაწილება. ბავშვი დილის პროცედურების შესრულებისას არ უნდა ააჩქაროთ და არავითარ შემთხვევაში, არ გაუშვათ სკოლაში საუზმის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შვილი სკოლიდან უგუნებოდ დაბრუნდა, არ გაუწყრეთ. პირიქით, მას თქვენგან გამხნევება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს იმ სირთულეების შესახებ, რაც ბავშვს აქვს, მისი თანდასწრებით არ ესაუბროთ. მასთან მიმართებით დიდი ყურადღების გამოჩენაა საჭირო. როცა ბავშვი გესაუბრებათ, ყურადღებით მოუსმინეთ და მოთმინება გამოიჩინეთ. მის მიმართ კონკრეტული წესები და მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოთ და მათი შესრულების შემთხვევაში, წაახალისოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ შეეხოთ მის პიროვნებას. დადებითი თუ უარყოფითი საქციელის შემთხვევაში, შესაბამისად შეაფასეთ არა ის, არამედ მისი ქცევა. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად, ჩართოთ ერთობლივ საქმიანობაში – ოთახის დალაგება იქნება ეს, ყვავილების თუ შინაური ცხოველების მოვლა და სხვა. თავადაც ჩაერთეთ იმ საქმიანობაში, რომელიც ბავშვს მოსწონს და მისი მიღწევები შეადარეთ მხოლოდ მის ადრინდელ მიღწევებს. მაგალითად: „დღეს უკეთ გამოგივიდა, ვიდრე გუშინ”. არასდროს დატუქსოთ შემდეგნაირად: „აი, წახვალ სკოლაში, და ნახავ, რაც მოგივა!” არ შეაწყვეტინოთ სიტყვა, როდესაც დღის შთაბეჭდილებებს გიზიარებთ და არ დააკისროთ მოვალეობები, რომელთა შესრულებაც მას ჯერ არ შეუძლია. არ მოითხოვოთ მისგან ერთბაშად ბევრი რამ. ამოირჩიეთ კონკრეტული საქმიანობა, ჩვევა, რომელსაც, გინდათ, რომ დაეუფლოს. ნუ გააკრიტიკებთ მის იდეებს ყოველთვის და საერთოდ, სხვისი თანდასწრებით შენიშვნების მიცემას მოერიდეთ. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის არ შეადაროთ სხვა ბავშვებს: და-ძმა იქნება ის, მეზობელი თუ თანაკლასელი.

**ქეთი კაპანაძე**

**ზურაბ გურიელიძე მათ შორისაა, ვისაც 13 ივნისის სტიქია ძალიან მძაფრად შეეხო. გარდაცვლილი თანამშრომლები, დაღუპული საყვარელი ცხოველები – მათზე საუბარს უემოციოდ დღესაც ვერ ახერხებს. ამბობს, რომ იმ კოშმარულ ღამეს ვერასდროს დაივიწყებს, რომელმაც მის ცხოვრებაში დიდი ზღვარი გაავლო.**

# რას ვერ ივიწყებს ზურაბ გურიელიძე 13 ივნისის კოშმარული ღამიდან და ვინ აუკრძალა მას მუშაობა ზოოპარკში

**ზურაბ გურიელიძე:** დაახლოებით ორ კვირაში, სავარაუდოდ, თხუთმეტ სექტემბრამდე, ჩვენი ზოოპარკი გაიხსნება. გაიხსნება ის, რაც გადაურჩა 13 ივნისის სტიქიას. საბედნიეროდ, საკმაოდ საინტერესო ცხოველები გვყავს გადარჩენილთა რიცხვში. მათ შორის, ჩვენი სახელგანთქმული ჰიპოპოტამი, რომელსაც უკვე ყველა კარგად იცნობს – ქუჩაში მისი სეირნობის კადრებით. მისთვის ზამთრის სადგომის მოწყობა აცივებამდე დასრულდება. მტაცებლების განყოფილებიდან სტიქიას გადაურჩა – ლეოპარდები, თეთრი ლომები, სამი დათვი, ორი მგელი. ცოცხლები გადარჩა ორივე სპილო, ირმები, სამი ნიამორი, ხუთი ზებრა, მარტორქა. ასე რომ, სანახაობა ცხოველების თვალსაზრისით, საკმაოდაა. ვეცდებით, მაქსიმალურად საინტერესო ცხოველები შევთავაზოთ ზოოპარკის სტუმრებს, განახლდება ეგზოტერიუმიც. საკმაოდ ბევრი შემოთავაზება გვაქვს სხვადასხვა ქვეყნების ზოოპარკებიდან, ცხოველების უსასყიდლოდ გადმოცემის თაობაზე. ვგეგმავთ, შემოვიყვანოთ გარკვეული, ეგრეთ წოდებული მარტივად მოსავლელი ცხოველები, რომელთათვისაც საჭირო პირობების შექმნა რთული არ არის. ევროპიდან ცხოველების ტრანსპორტირება საკმაოდ მკაცრად რეგულირდება და ჩვენ ამ რეგულაციების გავლის, მოლაპარაკებების პროცესში ვართ. გვაქვს შემოთავაზებები ლატვიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან. ზოოპარკის გახსნიდან რამდენიმე თვეში ჩვენი კოლექცია შეივსება ისეთი ცხოველებით, რომლებიც დიდი ხანია, არ ჰყოლია ჩვენს ზოოპარკს. ზოგიერთი მათგანი კი, საერთოდ არასდროს გვყოლია. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ხანმოკლე პერიოდში მისი სრულად აღდგენა შეუძლებელი იყო. ჩვენ გვიწევდა ვოლიერების ახლიდან აშენება, რადგან ძველები ფაქტობრივად, განადგურდა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რესპექტაბელური სახე მიგვეცა გადარჩენილი ნაწილისთვის, თუმცა ეს პირველი ეტაპია და ამით სამუშაოები არ მთავრდება. იქამდე, სანამ ახალი ზოოპარკის აშენება დაიწყება, ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს ზოოპარკს. მოგეხსენებათ, ახალი ზოოპარკის თემა უკვე აქტიური განხილვის პროცესშია. გარკვეული სამუშაოები უკვე დაწყებულია. მერია მუშაობს ტერიტორიის შემოღობვასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და ძვირად ღირებული საქმეა. ჩვენ ჩავატარეთ სხვადასხვა კვლევა იმ ტერიტორიაზე, სადაც ახალი ზოოპარკი გაკეთდება. ის ყველა კრიტერიუმით დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტს. გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა დეტალი: ვოლიერების განლაგება, მათი მოწყობა, რომ ცხოველებისთვის საუკეთესო პირობები შეიქმნას. თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ ყველა წვრილმანი, რომ შემდეგ რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს. გვქონდა ბევრი შემოთავაზება, თუმცა არჩევანი თბილისის ზღვის იმ მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა, რომელიც უკვე ყველასთვის ცნობილია. ეს ადგილი ბევრი თვალსაზრისით არის მისაღები. შერჩეულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა, მაღალი ხარისხის ასფალტირებული გზა თითქმის ზოოპარკის ტერიტორიის საზღვართან არის მოსული, რაც გარკვეულ ხარჯებს შეამცირებს. ზოოპარკის მშენებლობა არ არის იოლი საქმე. მთავარია, პროექტი იყოს რეალისტური და ის, თუ რა დაჯდება ახალი ზოოპარკის მშენებლობა. ახალი პროექტი, სავარაუდოდ, დაახლოებით, 50-60 მილიონი დოლარი დაჯდება. ეს იქნება ძალიან მაღალი სტანდარტის, საუკეთესო ზოოპარკი.

**– თქვენ მათ შორის ხართ, ვისაც 13 ივნისის სტიქია, ძალიან მტკივნეულად შეეხო. როგორია თქვენი ემოციები, რაც იმ მძიმე ღამეს გახსენებთ?**



იყო დრო, კოსტავას ქუჩაზე მეექვსე სართულის აივანზე ათი პატარა მგელიც კი მყავდა

– ძალიან მძიმე და რთული. იმ კოშმარული ღამის მოგონებებს, ალბათ, ვერასდროს დავაღწევ თავს, ეს ემოციები არ გამნელებია დღემდე. ყველაფერი მძიმე იყო ჩემთვის – სტიქიით დაწყებული შემდეგ განვითარებული მოვლენებით დამთავრებული. ის ცხოველები, რომლებიც დაიღუპნენ, არ იყვნენ მხოლოდ ცხოველები – განსაკუთრებული ურთიერთობები მქონდა მათთან. ძალიან ბევრი საინტერესო ცხოველი დაიღუპა იმ ღამეს და მერე... შუმბა, სიმბა, თეთრი ვეფხვები, მაიმუნი მაუგლი, რომელსაც ჩემს მეგობარს ვეძახდი – მათ გარეშე ბევრი დააკლდება ზოოპარკს. განსაკუთრებით მიჭირს ჩემი გარდაცვლილი თანამშრომლების – გულიკოსა და მისი ქმრის მალხაზის, ასევე გივი დვალის გამო. საშინელებათა ფილმში მეგონა ჩემი თავი. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი ფეხდაფეხ მოგვდევდა, გვიჭირდა დაჯერება, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა. დაახლოებით პირველის ნახევარი იყო, ძლიერი წვიმის მერე რომ ჩამოვედით მე და ჩემი მეუღლე ზოოპარკში, იმის შესამოწმებლად თუ რა ხდებოდა იქ. ჩემი მეუღლეც პროფესიით ზოოლოგია. ის ილიას უნივერსიტეტში მუშაობს. თუმცა, სულ გვერდით მედგა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ წვიმამ გადაიღო და ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ თურმე ვცდებოდით. ჩვენ ზოოპარკის ქვედა ნაწილში აფთრების ვოლიერისკენ წავედით, რადგან იქ, როგორც წესი, წყალი დგება ხოლმე. უცებ თანამშრომელმა დამიძახა, აფთრების ვოლიერში ჩანჩქერი გადმოსკდაო. გავიხედეთ, მართლაც ჩანჩქერი იყო გადმოვარდნილი. ჩემი მეუღლე მანქანაში იჯდა და როდესაც გზაზე ავედი, დავინახე უკვე მდინარე მოდიოდა. მანქანაში ჩავხტი და უკუსვლით წავედი საკმაოდ სწრაფად, მაგრამ გზაში დავინახე, რომ ცოცხალი წერო მოჰქონდა წყალს, დაახლოებით წელამდე იყო. გავჩერდი, გადმოვხტი მანქანიდან, ეს წერო საბარგულში ჩავაგდე და ისევ რომ ჩავჯექი, კარის დახურვა ველარ შევძელი, წყალმა კარი მოგლიჯა, მთლიანად გაასწორა და არ წაუღია. შემდეგ უკვე გაღებული კარით მომიწია ასე, უკუსვლით მოძრაობა. რამდენიმე მეტრი გავიარეთ. მანქანა წყლით ივსებოდა, ძრავაც ჩაქრა. მე და ჩემი მეუღლე გადმოვძვერით, რადგან მეორე მხრიდან კარის გაღება შეუძლებელი იყო. შემდეგ უკვე ღობეებს ვებღაუჭებოდით, მაგრამ მოსაჭიდებელიც აღარაფერი იყო. მივფოფხავდით, მივცურავდით, წყალი მოგვდევდა, პირდაპირი მნიშვნელობით... განსაკუთრებული სპორტული მონაცემები და ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ გადავრჩენილიყავით. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მთლიანად დატბორვას დასჭირდა რამდენიმე წუთი, სულ ალბათ, ხუთი წუთი – ჩვენ მანქანით ვერ მოვახერხეთ 20-30 მეტრის გავლაც კი. ახლა მოსაყოლად თითქოს რთული არაა, მაგრამ იქ ეს ჯოჯოხეთი წარმოუდგენლად მძიმე გადასატანი იყო.

**– ზოოპარკს როდის დაუკავშირეთ თქვენი ცხოვრება?**

– ყველაფერი, რაც კი ჩემს ცხოვრებაში იყო, ზოოპარკიდან დაიწყო. ბავშვობიდან ვოცნებობდი ზოოპარკის დირექტორობაზე. ოცნების მიზეზი იყო სპილო – მალკა. ხშირად შევიპარებოდი ხოლმე მასთან, ვაჭმევდი და ძალიან მივიჩვიე. მაშინ ზოოპარკს მილიცია იცავდა და მაგდებდნენ იქიდან. ამიტომ, დავიწყე ოცნება, გავხმდარიყავი ზოოპარკის დირექტორი და ვეღარავინ შემიშლიდა ხელს სპილოსთან თამაშში. სტუდენტობის დროს ჩემი პირველი სამუშაო ადგილი იყო ზოოპარკი – მტაცებელთა განყოფილებაში ვუვლიდი დათვებს, ზღვის ლომებსა და მგლებს. მგლებთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. წლების განმავლობაში ვმუშაობდი მათთან, ამ საინტერესო და მიმზიდველ ცხოველებთან. სახლშიც მყავდა მგლები. ჩვენი ამოცანა იყო, ტყვეობაში გაზრდილი მგლებისთვის ბუნებაში ცხოვრება გვესწავლებინა. იყო დრო, კოსტავას ქუჩაზე მეექვსე სართულის აივანზე ათი პატარა მგელიც კი მყავდა. როცა გარკვეულ ასაკს აღწევდნენ, მათთან ერთად საცხოვრებელს ვიცვლიდით – მომთაბარე ცხოვრება გამოგვდიოდა, მაგრამ ძალიან საინტერესო. ეს იყო სტუდენტობის შემდეგ. სტუდეტობისას ერთი წელი ვიმუშავე ზოოპარკში და გამომიშვეს. კომუნისტების დროს, უცნაური წესები იყო. სტუდენტს მუშაობის უფლება არ ჰქონდა და მეც ამიკრძალეს. მაინც ყოველდღე დავდიოდი ზოოპარკში. მერე დავიწყე მუშაობა ნაკრძალების მთავარ სამმართველოში, გავიდა დრო და 2006 წელს გავხდი ზოოპარკის დირექტორი. გამოვიდა, რომ ავისრულე ყველაზე დიდი ოცნება. მაშინ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი ჩვენს ზოოპარკში. თავს არ ვზოგავდით, მოვახერხეთ ის, რომ ჩვენს ზოოპარკს მსოფლიო ზოოპარკებში უკვე თავისი სახელი ჰქონდა. ამ სტიქიის შემდეგ ჩემთვის ძალიან რთული იყო ზოოპარკის ტერიტორიაზე ყოფნა. ჩვენ იქ ბევრი შრომა, ენერგია გვქონდა ჩადებული. უამრავ ადამიანს, ვინც პროფესიულად არ იყო დაკავშირებული ზოოპარკთან, გაუჭირდა ამ ამბების გადატანა, ცხოველების დაღუპვასთან შეგუება და წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ეს ჩემთვის – ამისი ახსნა სიტყვებით ძალიან რთულია.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მსახიობი დათო რონინაშვილი 25 წელია, სცენაზე დგას და ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობია. მან ორჯერ მიიღო პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. თუმცა, ყველაზე დიდი პოპულარობა და თან, ძალიან დიდი მასშტაბით, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ხერხეს როლმა მოუტანა. ამბობს, რომ უკვე ყველგან ცნობენ და ამის გამო, მისი თავისუფლება ცოტა შეიზღუდა კიდევაც. როგორც აღმოჩნდა, მსახიობის რეალური ცხოვრება საკმაოდ ახლოსაა ხერხეს ცხოვრებასთან და დათო რონინშვილიც სერიალში, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს თამაშობს.**

# როგორ უყვარდება დათო რონინშვილს ყველა პარტნიორი ქალი, რა რეაქცია აქვს ამაზე მის მეუღლეს და როდის იზრდება მსახიობის მიმართ ვნებათაღელვა

**დათო რონინაშვილი**: სკოლა დავამთავრე თუ არა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე და თეატრშიც მალე მივედი. უკვე 25 წელია, ამ სფეროში ვმოღვაწეობ. ისე აეწყო, რომ ახალგაზრდებს შორის, მე ყველა სეზონზე წამყვანი მსახიობი ვიყავი. 2013 წელს და წელსაც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად დამასახელეს. საკმაოდ ბევრ სპექტაკლში ვთამაშობ, ასე რომ, თეატრში საკმაოდ დაკავებული ვარ. თეატრის პარალელურად, არის კინოროლებიც, მათ შორის, ხერხეს როლი „ჩემი ცოლის დაქალებში“.

**– სერიალში რეჟისორის როლს თამაშობთ. თავად არასდროს გქონიათ ამის სურვილი?**

– ყველა მსახიობი რაღაც დოზით რეჟისორია, საკუთარი როლის რეჟისორი. თუმცა, რეალურად, რეჟისორობის სურვილი ბოლო დროს მართლა გამიჩნდა და ეს ქეთი დევდარიანის (სერიალის სცენარისტი) დამსახურებაა. ისე საინტერსოდ ვითარდება ჩემი პერსონაჟის გარშემო სიუჟეტი, რომ მისმა მდგომარეობამ მიმიზიდა. თეატრალური ინტრიგების ცენტრში ყოფნა ცოტა რთულია, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ უსიამონო პროცესია. რომ ვაკვირდები, ჩემსა და ხერხეს შორის ბევრ საერთოს ვხედავ.

**– თეატრში არსებული ინტრიგების ობიექტი თქვენც გამხდარხართ?**

– ინტრიგები ყველა თეატრშია, მაგრამ მე ყოველთვის ვერიდები ამაში გარევას. პირადად მე, ყოველთვის ძალიან ბევრს ვშრომობდი და გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიე. ასეთ დროს უნდა იცოდე, რომ საფრთხის ქვეშ ხარ, მით უმეტეს, საქართველოში. ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა კიდევაც, რომ ყველაფერი, რაც მქონდა ჩემი შრომის შედეგი იყო: რას ერჩით ამ კაცს, ის ყველაზე ადრე მოდის თეატრში და ყველაზე გვიან ტოვებს აქაურობას. ძალიან ბევრს შრომობს და ახალგაზდრობის მიუხედავად, თუ იმდენი გამოიმუშავა, რამდენიც დამსახურებულმა არტისტმა, ამან არ უნდა გაგაღიზიანოთო. შეიძლება, მსახიობს თეატრში ნახევარი საუკუნე ჰქონდეს გატარებული და თვეში ორ სპექტაკლში თამაშობდეს, მაშინ, როცა მე ოცში ვიღებ მონაწილეობას, რაც ბევრ შრომას მოითხოვს და არ შეიძლება, მასზე მეტი ჰონორარი ავიღო?! მსგავსი საკითხების გამო უკმაყოფილობები ხდება, რაც, უბრალოდ, ყურში ცუდად ჩარჩენილ სიტყვებად რჩება და მეტი არაფერი.

**– ხერხეს მსგავსად, სასიყვარულო ურთიერთობები თუ ასოცირდება თქვენთვის თეატრთან?**

– ახალგაზრდობის წლებში, როცა ხშირად გიწევს სასიყვარულო სცენების თამაში, ამას ფლირტიც მოჰყვება. განსაკუთრებით მაშინ იზრდება ვნებათაღელვა, როცა უკვე ყურადღების ცენტრში ხარ. თუმცა, ურთიერთობა მაშინ უფრო საინტერესოა, როცა შორით წვა მიდის და ურთიერთობა ბოლომდე ჯერ არ შემდგარა. როგორც კი მას შეეხები, ყვავილივით ჭკნება. ხალხი რატომღაც ფიქრობს, რომ ფლირტი სერიოზულ ურთიერთობებში იზრდება და რადგან მსახიობი და შემოქმედი ხარ, აუცილებლად მექალთანე უნდა იყო, მაგრამ ასე არაა.

**– სცენაზე პარტნიორთან სასიყვარულო ურთიერთობა არასდროს გადაგზრდიათ ნამდვილ გრძნობაში?**

– პარტნიორთან სასიყვარულო ურთიერთობა ნამდვილ გრძნობაში, რა თქმა უნდა, გადამზრდია. როცა შეყვარებულის როლს ასრულებ, თუ სიყვარულს მხოლოდ ტექნიკურად თამაშობ, მაშინ მაყურებელს ვერ დააჯერებ. ამიტომ, ეს ნამდვილად უნდა იგრძნო. თუ ბოლომდე არ გაიხსენი და როლში ნამდვილი გრძნობა არ ჩადე, ვერც მაყურებელს აგრძნობინებ. ამიტომაცაა, რომ ეს პროფესია მსხვერპლს მოითხოვს. არ ვამბობ, რომ ოჯახი უნდა დაანგრიო, მაგრამ, როცა როლში ბოლომდე შედიხარ, პარტნიორის მიმართ აუცილებლად გაგიჩნდება გრძნობები. დღე და ღამე მასზე ვფიქრობ, მაშინაც, როცა მასთან ერთად ვარ და მაშინაც, როცა მეუღლის გვერდით მძინავს. ამიტომ, ბუნებრივია, მის მიმართ გრძნობა ჩნდება. ზუსტად მახსოვს, ერთი სპექტაკლი რომ დამთავრდა, მე მისი გაგრძელების მოლოდინით ვცხოვრობდი. ჩემი პარტნიორი იმდენად მიყვარდა, რომ მეგონა, სპექტაკლთან ერთად, ყველაფერი დამთავრდა.



**დღე და ღამე მასზე ვფიქრობ, მაშინაც, როცა მასთან ერთად ვარ და მაშინაც, როცა მეუღლის გვერდით მძინავს. ამიტომ, ბუნებრივია, მის მიმართ გრძნობა ჩნდება**

**– პარტნიორი ქალბატონები როგორ პასუხობენ თქვენს გრძნობებს?**

– არ მინდა, თავის ქება გამომივიდეს, მაგრამ დღემდე არ მყოლია პარტნიორი, რომელსაც ჩემზე ცუდი ეთქვას. ყოველთვის პირიქით ხდება ხოლმე. ზოგადად, მე პარტნიორის მსახიობი ვარ. თუ მის თვალებში სითბო არ დავინახე, ისე არ გამოვა, როგორც საჭიროა. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, პარტნიორის გარეშეც ვითამაშებ ყველანაირ როლს, მაგრამ ეს ჩემი ოცნება არაა და სიამოვნებას ვერ მივიღებ. ერთ ისტორიულ პიესაში ჩვენთან ერთად, ჩემი პარტნიორი ქალის მეუღლეც თამაშობდა. ჩვენ შეყვარებულები ვიყავით, მისი მეუღლე კი – ჩემი მტერი. ამ ყველაფერს ჩემგან გამომდინარე ვუყურებდი და ვგრძნობდი, რა დამოკიდებულება შეიძლებოდა ჰქონოდა მეუღლეს, როცა მისი ცოლი მის კოლეგასთან ერთად სასიყვარულო სცენებში თამაშობდა. ვცდილობდი, ისე მოვქცეულიყავი, რომ ეს მისთვის გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო. თან, პიესაც ხელს გვიწყობდა. მასში ვნებათაღელვას არ ჰქონდა ადგილი, წმინდა და სპეტაკი სიყვარული იყო და ჩვენ შორისაც ასეთი გრძნობა გაჩნდა. ასე რომ, სასიყვარულო სამკუთხედი რეალურ ცხოვრებაში არ გადმოვიდა. ჩემგან ძალიან ბევრი სითბო მოდიოდა, პარტნიორი ქალისგანაც და ერთ დღეს მან მითხრა, რომ ისე ვერავისთან ითამაშებდა ამ როლს, როგორც ჩემთან. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარიც ჩვენთან ერთად თამაშობდა, არანაირი კომპლექსი არ ჰქონია, მათ შორის, არც შეხებაზე.

**– ამ ყველაფრის პარალელურად, თქვენი პირადი ცხოვრება როგორ ვითარდებოდა?**

– მყავს ერთი ცოლი და სამი შვილი. ხერხესი ცოტა მშურს. ცოლიც ჰყავს, საყვარელიც და კიდევ ერთი ქალი ცდილობს მის მოხიბვლას ***(იცინის).*** ჩემი მეუღლე მათემატიკოსია, თუმცა შინაგანად ისიც შემოქმედია. ჩვენი სიყვარული სკოლის პერიოდიდან დაიწყო. მან ჩემთან ერთად გამოიარა ღამეების თევა, სახლში არ მისვლა, ჩხუბი, შფოთი, ლოთობა ბოჰემური ცხოვრების სხვა ელემენტები. ასეთი ცხოვრების გამო ისეთი მამა და მეუღლე არ ვიყავი, როგორიც საჭიროა. თუმცა, მან ეს ყველაფერი ჩემთან ერთად გადაიტანა, რისთვისაც უდიდეს პატივს ვცემ და მინდა, სულ ფოიერვერკებით გავახარო.

**– თავიდან მითხარით, მექალთანე არ ვარო. მაგრამ, შემდეგ თქვით, რომ ყველა პარტნიორი ქალი გიყვარდებათ და ერთი იმდენად შეგიყვარდათ, რომ სპექტაკლის მოლოდინით ცხოვრობდით. მეუღლე როგორ უყურებს ამ ამბავს?**

– მეუღლემ კარგად იცის, რომ მე ეს უნდა დამემართოს იმისთვის, რომ თამაში შევძლო, ცხოვრება შევძლო. რა უნდა ქნას, რომ ეს არ მოხდეს? მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. მე ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და მას ეს ესმის. ვერც გავუძლებ ისეთ ადამიანს, რომელიც ამ ყველაფერს გამოეკიდება. ამ თემაზე ნაკლებად მელაპარაკება. რომ სწყინდეს, აუცილებლად მეტყოდა. იმ დონემდე რომ მივიდეს ურთიერთობა, სადაც ჩარევაა საჭირო, ჩაერეოდა კიდევაც. ისეთი ქალი არაა, რომ არ ჩაერიოს ***(იცინის).*** თუმცა, ასე სერიოზულად მეც არ გავიხდი საქმეს. იმ სპექტაკლის დროსაც ამჩნევდა, რომ მე გამოყოლილი გრძნობები მქონდა, მაგრამ მერე იმასაც გრძნობდა, რომ – გამიარა. ქალმა ამ გრძნობის გავლას ხელი უნდა შეუწყოს. ზოგმა შეიძლება, ჩხუბი მოაყოლოს, რასაც მამაკაცის მხრიდან აუცილებლად უკურეაქცია მოჰყვება. ჩხუბით ქმარს ხელს უწყობ, მეტად გაუმძაფრდეს სხვის მიმართ გრძნობა და შეიძლება, მართლა გადაწყვიტოს სხვასთან წასვლა.

**ქეთი კაპანაძე**

**ზაფხულში მზე, ზღვა და კარგი რუჯი ყველასთვის სასურველია. შავგვრემანი, გარუჯული სხეული ბევრად მიმზიდველია, მაგრამ მზის ულტრაიისფერმა სხივებმა შეიძლება იმდენად ავნოს თქვენს კანს, რომ მზის ალერგიაც კი გამოიწვიოს. ამ და სხვა თემებზე, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ალერგოლოგს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტს, ქალბატონ ნინო ლომიძეს ვესაუბრეთ.**

# რა შეიძლება გამოიწვიოს არასწორმა გარუჯვამ და რომელი მედიკამენტები ზრდის მზის ალერგიის გამოწვევის რისკს

– ულტრაიისფერი სხივები 3 სახის არსებობს: UVA, UVB, UVC, თუმცა ძირითადად, პრობლემას პირველი ორი ქმნის. UVA სხივები როგორც კანის ზედაპირულ შრეში, ისე ღრმად დერმაშიც აღწევს და საზიანოა ორგანიზმისთვის. UVB კი, უშუალოდ კანის ზედაპირულ შრეში ჩერდება და A სხივთან შედარებით ნაკლებად მავნეა. მზის ალერგიის გამოვლინება კანზე არის პოლიმორფული, ანუ სხვადასხვა ტიპის და შეიძლება, გამოვლინდეს სიწითლის, ქავილის, ჭინჭრის ციების, ვეზიკულების, ანუ პატარა ბუშტუკების სახით. საყურადღებოა, რომ მზის ალერგიის ზემოაღნიშნული გამოვლინებები ვითარდება სხეულის იმ ნაწილებზე, რომელსაც უშუალოდ ხვდება მზის სხივები და ტანსაცმლით არ არის დაფარული.

**– იწვევს თუ არა გარუჯვა მზის ალერგიას?**

– მზის ალერგიის მიზეზი შეიძლება არასწორი გარუჯვა გახდეს, ამიტომ აუცილებელია, მოვერიდოთ დღის იმ პერიოდს, როცა მზის ულტრაიისფერი გამოსხივება მაქსიმალურია, ასევე აუცილებელია, გამოვიყენოთ მზის დამცავი საშუალებები. თუმცა, ალერგია არ უნდა აგვერიოს დამწვრობაში, ან მზის დაკვრაში. თუ კანისმიერ გამოვლინებას, თან დაერთო გულისრევა, ღებინება, ტემპერატურა, თავის ტკივილი, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს, რადგან შესაძლოა, ეს მზის დაკვრა იყოს.

**– შესაძლებელია თუ არა, რომ სხვადასხვა მედიკამენტმა გაზარდოს მზის ალერგიის განვითარების რისკი?**

– მზის ალერგიის გამომწვევი მიზეზი მხოლოდ ულტრაიისფერი გამოსხივება არ არის. ზოგი მედიკამენტი გარუჯვისას მკვეთრად ზრდის მზის ალერგიის განვითარების რისკს. ასეთ მედიკამენტებს მიეკუთვნება: ტეტრაციკლინისა და სულფანილამიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები, ორალური კონტრაცეპტივები, ზოგიერთი შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თუ პაციენტი მკურნალობს აღნიშნული მედიკამენტებით, თავი შეიკავოს გარუჯვისა და მზის ზემოქმედებისგან. აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს როგორც პაციენტმა, ასევე ექიმმაც, განსაკუთრებით ზაფხულში, ზღვის სეზონზე.

**– მზის ალერგიისკენ მიდრეკილება, ალბათ, უფრო ღია ფერის ადამიანებს აქვთ. როდის იწყებს ალერგია გამოვლინებას?**

– მზის ალერგიის მიმართ მიდრეკილნი არიან ღია ფერის კანისა და თმის მქონე ადამიანები, ასევე, ბავშვები. ამიტომ, განსაკუთრებით მათ რუჯი თანდათანობით უნდა მიიღონ. აუცილებელია სწორი რეჟიმის დაცვაც. დილის 10 საათიდან 4 საათამდე მზის ულტრაიისფერი გამოსხივება განსაკუთრებით მავნეა ორგანიზმისთვის. შესაბამისად, ამ პერიოდში გარუჯვა არ არის მიზანშეწონილი. არ უნდა დაგვავიწყდეს მზის სათვალე და მზის დამცავი საშუალება. მზის ალერგიის განვითარების რისკ-ჯგუფს ასევე მიეკუთვნებიან ის პირები, რომელთაც აღენიშნებათ ატოპიური დერმატიტი, იგივე კანის ალერგიული გამონაყარი, მშრალი კანი. კანის სიმშრალე წყლის შეკავების დარღვევასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, კანის ბარიერული შრე დარღვეულია და მზის ულტრაიისფერი სხივები განსაკუთრებით მავნედ მოქმედებენ მასზე. მზის ალერგიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა გენეტიკურ განწყობასაც ენიჭება. რაც შეეხება გამოვლინებას, შესაძლებელია, დაიწყოს როგორც მზის სხივის ზემოქმედებიდან რამდენიმე წუთში, ასევე 24 საათის გასვლის შემდეგაც. მზის ალერგიის თანდაყოლილი ფორმები გაცილებით უფრო რთულად სამკურნალოა, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანებს ადრეული ასაკიდან აღენიშნებათ. ასეთმა პირებმა განსაკუთრებით უნდა შეიკავონ თავი შუადღის მზეზე გასვლისგან და გარუჯვისგან. რეგულარულად უნდა გამოიყენონ მზის დამცავი საშუალებები მაღალი დამცავი ფილტრით.



**ზოგიერთი მედიკამენტი გარუჯვისას მკვეთრად ზრდის მზის ალერგიის განვითარების რისკს**

**– კოღოს ნაკბენიც ალერგიის ერთ-ერთი სახეობაა. მისი გართულების შემთხვევაში რა შედეგამდე შეიძლება, მივიდეს ადამიანი?**

– როდესაც კოღო კბენს ადამიანს, ის ორგანიზმში საკუთარი ნერწყვის მცირე რაოდენობას ტოვებს, რომელიც ალერგიის გამომწვევი მიზეზი ხდება. კოღოს ნაკბენს ახასიათებს ძლიერი ქავილი, ნაკბენის გარშემო კანი წითლდება და შუპდება. თუ შეშუპება და სიწითლე ვრცელდება დიდ უბანზე (10 სანტიმეტრი და მეტი), ნაკბენი ხელის შეხებით ცხელია, აღენიშნება ყვითელი ფერის გამონადენი, განვითარებული ძლიერი ქავილის შედეგად, აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. კოღოს ნაკბენი განსაკუთრებით ურთულდებათ ალერგიულ პირებს და ბავშვებს. ამიტომ, მათ ვურჩევ, გაზაფხულის დაწყებისთანავე გაიარონ ალერგოლოგის კონსულტაცია, რომ შესაბამისი რეკომენდაციები მიიღონ.

**– როგორ უნდა დავამუშაოთ გაღიზიანებული კოღოს ნაკბენი?**

– ზოგადად, ინსექტური ანუ მწერის ნაკბენზე ალერგია, ძალიან სერიოზული თემაა და ზაფხულში, როგორც კოღოს, ასევე ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენებზე ალერგიაც აქტუალურია. ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენით გამოწვეული ალერგია ბევრად საშიშია, რამაც შესაძლებელია, ძლიერი ალერგიული რეაქცია, ანაფილაქსიური შოკიც კი გამოიწვიოს. ზოგჯერ კოღოს ნაკბენი ინფექციის წყაროა. ამიტომ, აუცილებელია, მათი დამუშავება უვნებელი თანამედროვე ანტისეპტიკური ხსნარებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია ანტიალერგიული კრემების, გელების, მედიკამენტების გამოყენება ქავილისა და გამონაყრის შესამცირებლად. თუმცა, მაინც სასურველია, ექიმთან ვიზიტი. თუ დროულად ჩაიტარებთ მკურნალობის კურსს, მზის ალერგია კანზე კვალს არ ტოვებს.

**ეთო ხურციძე**




## „პროფესიონალი-2010" შეუერთდით ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდით სტუდენტები

სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი – 2010" აცხადებს მოსწავლეების მიღებას ერთიანი ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად ყველა საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, არაბული, სპარსული); უნარ-ჩვევები; ისტორია; გეოგრაფია; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; მათემატიკა; თემის წერის შესწავლა (ანალიტიკური წერა, მხატვრული ნაწარმოების გარჩევა, არგუმენტირებული ესე); ხელოვნება; სამოქალაქო განათლება; უნარ-ჩვევები მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის და სამსახურის დაწყების მსურველთათვის; ინგლისურის B2 დონე დოქტურანტურაში ჩაბარების მსურველთათვის; TOEFL, SAT; ავტოსკოლა, თეორიული კურსი.

სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი-2010" აცხადებს იმ აბიტურიენტთა მიღებას 30%-იანი ფასდაკლებით, რომლებიც 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ. ჩვენი პროფესიონალი მასწავლებლები ილებენ ამ გამოწვევას, პასუხს აგებენ თქვენს სწორ და სათანადო მომზადებაზე, რათა შეძლოთ და 2016 წლის ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები მიიღოთ, შეუერთდეთ ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას და გახდეთ სტუდენტები.

„პროფესიონალი – 2010-ში" შეგიქმნით ერთიანი ეროვნული გამოცდების იდენტურ გარემოს, გასწავლით როგორ ჩაეტიოთ თითოეული გამოცდისთვის გამოყოფილ დროში, როგორ დაძლიოთ გამოცდის შიში. შეეჩვევით საგამოცდო გარემოს. პროფესიონალი პედაგოგები შეამოწმებენ თქვენს ნამუშევარს და აგიხსნიან ყველა შეცდომას. დაგანახვებთ თუ რა საკითხში გჭირდებათ მეტი მუშაობა, დაგეხმარებით სასურველი სასწავლებლებისა და პროფესიების შერჩევასა და მათ სწორად ჩაწერაში რეგისტრაციისას. ტესტირების შედეგების ფონზე ზუსტად განვსაზღვრავთ თქვენს შესაძლებლობებს, რის შედეგადაც სტუდენტობა გარანტირებულია.

ისწავლე „პროფესიონალი-2010-ში". ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, თქვენი წარმატების საწინდარია!

**დაგვიკავშირდი და გახდი წარმატებული! საბუთები მიიღება 25 აგვისტოდან, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს**

**მისამართი: თბილისი. ვერა: ტატიშვილის №14 (ყოფილი ყაზბეგის ქუჩა); საბურთალო: იპოლიტე ხვიჩიას №4 (მეტრო „პოლიტექნიკურთან"). ტელ. 2307113, 555634801.**

**ადამიანები დავდივართ ეკლესიაში, წირვა-ლოცვებს ვესწრებით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს ხშირად არ ვაქცევთ ყურადღებას. ზოგჯერ მათი არსებობის შესახებ არაფერი ვიცით. ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რის დასაფარად მისცა ღმერთმა ადამიანებს შესამოსელი და რისი სიმბოლოა ლოცვისას ქალის თავზე დახურული მანდილი

– წმიდა მამები გვირჩევენ, როგორც კი დილით სამოსის ჩაცმას დაიწყებ, მაშინვე გაიხსენე, რატომ მოგცა ღმერთმა ტანსაცმელიო. შეგახსენებთ, რომ, როდესაც სამოთხეში ადამიანებმა ცოდვა ჩაიდინეს, მათ მაშინვე იგრძნეს სიშიშვლე და სირცხვილი. ნათლით შემოსილები ჩამქრალ ლამპარს დაემსგავსნენ. ამიტომ, ღმერთმა მათ ტყავის შესამოსელი შეუკერა და მას შემდეგ ატარებს ადამიანი ტანსაცმელს. თანამედროვე დროში კი ჰგონიათ, რომ სამოთხეში ადამიანები შიშვლები დადიან და მათ ეს სიშიშვლე ღმერთთან აახლოვებთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა შესამოსელი სირცხვილისა და სიშიშვლის დასაფარად მოგვცა. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში კორინთოს ეკლესიის ქრისტიანებს გარკვევით შეაგონებს: „ყოველთვის გახსოვდეთ და ინახავდეთ სწავლებას, რომელიც გადმოგეცათ“. ეს სწავლება კი ეხება მამაკაცისა და დედაკაცის მდგომარეობას ლოცვის დროს. მამაკაცმა არ უნდა დაიფაროს ლოცვის დროს თავი, ვინაიდან ის ღვთის ხატება და დიდებაა. ხოლო, რადგან დედაკაცია მამაკაცისგან შექმნილი, ამიტომ მას თავზე უნდა ჰქონდეს ხელმწიფების ნიშანი ანგელოზებისა და უფლის გულისთვის, ანუ მანდილი, რომელიც მორჩილების სიმბოლოა. თუმცა, თუ ჩვენ გადამეტებულად ვიქნებით ღვაწლში, სულიერ და ხორციელ მდგომარეობას დავიზიანებთ. ყველაფერში – ღვაწლში, ვარცხნილობაში, სამკაულის ტარებაში  ზომიერების დაცვაა საჭირო. ჩვენ ხშირად ყურადღებას წვრილმანებზე ვამახვილებთ და უფრო მნიშვნელოვანი საკითხები გვავიწყდება.



ძალიან ბევრი მღვდელი თუ ეპისკოპოსი ისეთ რამეს გიქადაგებთ, ვერც კი მიხვდებით და გეგონებათ, რომ ეს ადამიანი სიმართლეს გეუბნებათ. არადა, ის პირდაპირ გეტყვით: მიდით, თაყვანი ეცით ანტიქრისტეს

**– რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები?**

– ბევრი მხოლოდ მარხვის განმავლობაში დადის ეკლესიაში. მათთვის იესო ქრისტე და ცხონება მხოლოდ მარხვის დღეებშია. ეს გარკვეული ნაკლოვანებაა, სექტური წარმოდგენა მართლმადიდებლობაზე. თუ არ უნდა ადამიანს ეკლესიაში სიარული, ნუ ივლის, არავინ აძალებს – ღმერთი არავის ეხვეწება ეკლესიაში სიარულს. მან ყველაფერი აღასრულა იმისთვის, რომ ადამიანები ცხონდნენ, მაგრამ, თუ ვიღაცას არ უნდა ცხონება, ღმერთი მძლავრებითად არავის აცხონებს. თუ აღმსარებლობა, მართლმადიდებლობა არ მოგიწოდებს სინანულისკენ, შენ არ ხარ მორწმუნე და, ესე იგი, შენი სარწმუნოება საერთოდ არ არის შენი მაცხონებელი, პირიქით, ხიბლში ხარ და, ამიტომაც, შენი სარწმუნოება ამ მიდგომით ვერასდროს მიგიყვანს ცხონებამდე. ამიტომ, როდესაც ეკლესიაში მიდიხართ, თქვით აღსარება და მიიღეთ ზიარება, რადგან, მომავალ კვირას რა იქნება, არავინ იცის. ბევრი სისტემატურად დადის ეკლესიაში, ამბობს აღსარებას, ეზიარება, მაგრამ, ერთი რამ მუდმივად ავიწყდება – არ შეიძლება ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე  დაგვიანება.

**– და ამისთვის არსებობს გარკვეული სასჯელი?**

– ასეთებს მოძღვარი ხშირად არ აზიარებს, მათ აღსარებას აღარ იბარებენ, რაც ასეც უნდა იყოს. ადამიანი ყველაფერს აკეთებს სამსახურში, სახლში, მეგობრებთან, შემდეგ უცებ რაღაც მცირე დროს გამონახავს და მიდის შუა წირვაზე, ეზიარება, იცხებს ზეთს და ისევ გარბის. ასეთი ქმედება არასწორია და ამის შესახებ სასულიერო პირმა აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა, უნდა ასწავლოს მრევლს, რა არის სწორი და რა – არასწორი. ბევრი კი პირიქით იქცევა: თავის დროზე მოდის ეკლესიაში, ესწრება ქადაგებას, მაგრამ, არც აღსარებას ამბობს, არც ეზიარება და ხშირად საერთოდ არ იცნობს გვერდით მდგომ მრევლსა და იმ ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირებს. თუ გინდა, რომ ეკლესიაში ღმერთი

**ის ღოჯებიანი და რქებიანი ცხოველი კი არ იქნება, არამედ, სიმპათიური, განათლებული ადამიანი, რომელიც მოგეფერებათ, პურს დაგირიგებთ**

შეიცნო, სიყვარული უნდა გაგაჩნდეს, თავმდაბლობა, უბრალოება. მოძღვარს თუ არ ესალმები, კურთხევას არ იღებ, მრევლს თუ არ იცნობ, მის მიმართ თუ არ გაგაჩნია სიყვარული, თუ არ ამბობ აღსარებას, არ ეზიარები, მაშინ, რისთვის დადიხარ ეკლესიაში?!  ნეტარი ავგუსტინე ამბობს: ადამიანში წარმმართველი, მამოძრავებელი არის ორი დიდი ვნება. ესენია: სიხარბე და ძალაუფლებისმოყვარეობა. ყველაზე დიდ სიამოვნებას ადამიანი, თურმე, მაშინ იღებს, როდესაც მას ძალაუფლება გააჩნია – ეს ეკლესიაშიც არის, ერშიც და თავად მათხოვრებშიც კი, რომლებიც ხშირად  ერთმანეთზე ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას. ყველა განსაცდელი იმიტომ ხდება, განსაკუთრებით კი ბოლო დროს, რომ ჩვენ, ადამიანები, გავძლიერდეთ და ისე შევხვდეთ განსაცდელს, არ მივატოვოთ ეკლესია. სანამ ჭეშმარიტების ხმა აქა-იქ კიდევ ისმის, ჯობია, მოვისმინოთ, რადგან, დადგება დრო, როდესაც ამას ვერსად მოვისმენთ და მოგვენატრება. ძალიან ბევრი მღვდელი თუ ეპისკოპოსი ისეთ რამეს გიქადაგებთ, ვერც კი მიხვდებით და გეგონებათ, რომ ეს ადამიანი სიმართლეს გეუბნებათ. არადა, ის პირდაპირ გეტყვით: მიდით, თაყვანი ეცით ანტიქრისტეს. ის ღოჯებიანი და რქებიანი ცხოველი კი არ იქნება, არამედ, სიმპათიური, განათლებული ადამიანი, რომელიც მოგეფერებათ და პურს დაგირიგებთ. მაგრამ, შენ რომ იტყვი, ეს ცუდიაო, იტყვიან, რომ ჩამორჩენილი ხარ და არაფერი იცი, მაგრამ, სამაგიეროდ, შეძლებ საკუთარი და სხვისი სულის გადარჩენას. სანამ მშვიდობიანი პერიოდია ქვეყანაში და ეკლესიაში ისმის ჭეშმარიტება ისე, როგორც უნდა ისმოდეს, უნდა ისმინო, ისწავლო ის, რასაც გვასწავლიდნენ იოანე ოქროპირი, პავლე მოციქული და სხვა დიდი მამები, და არა ის, რასაც სასულიერო პირები საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე გვასწავლიან. ღმერთს ბოროტება არ შეუქმნია, ისევე, როგორც არ ჩაუდენია ღმერთს ცოდვა და შესაბამისად, არც შეუქმნია ის. ბოროტება არ არის ღმერთისგან. ამიტომ, მას, ვისაც გაკერპებული ჰყავს საკუთარი თავი, მოძღვარი, ქვეყნის პირველი ან მეორე პირი, ან პატრიარქი, სცოდავს, რადგან არავის გაკერპება და გაბატონება არ შეიძლება.  როგორიც არის შენი გონება, ისეთი არის შენი სული. თუ შენი გონება განწმენდილია ცოდვებისგან, მაშინ შენი სულიც განწმენდილი იქნება. ყველა ზრახვა, ცოდვა ადამიანში შემოდის გონების გავლით, შემდეგ გადავა გულში და ის უკვე იმყოფება ცოდვაში. თუმცა, ხშირად, სამწუხაროდ, ის ამას ვერ ხვდება. ცოდვის წყარო არის დაცემული სული, რომელსაც არსებობა არ გააჩნია. როგორც კი ჩაიდენ ცოდვას, მაშინვე ჩნდება ბოროტება, მანამდე მას შენთან არაფერი ხელეწიფება. წყარო ცოდვისა არ არის ადამიანი – ადამიანს ამდენიც არ შეუძლია. ადამიანი არის ქმნილება და, ვისაც თავისი გონებით გაუღებს კარს, ისეთივე იქნება მისი სული.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ გახდა ღვთისმშობლის ხატი „ტრიხერუსა“ ხილენდარის მონასტრის წინამძღვარი

1112 წელს, ღვთისმშობლის ნებით, ღვთისმშობლის ხატი „ტრიხერუსა“ სერბეთში გადაბრძანდა. მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც თურქების შემოსევით ხატს სერბეთში განადგურების საფრთხე დაემუქრა, ღვთისმსასოებელმა მამებმა ის სახედარს შეადგეს და პირუტყვი თავის ნებაზე მიუშვეს. სახედარმა ძვირფასი „ტვირთი“ ათონის წმიდა მთაზე, ხილენდარის მონასტერში ჩააბრძანა. იქაური მონაზვნები მათთან სასწაულებრივად ჩაბრძანებულ ხატს უდიდესი სიხარულით შეეგებნენ და მთავარი ტაძრის საკურთხეველში დააბრძანეს.

რამდენიმე წლის შემდეგ მონასტრის იღუმენი გარდაიცვალა და ახალი წინამძღვრის არჩევასთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ მონასტრის საძმო ორად გახლიჩა. შფოთის ჩასაცხრობად ძმათა კამათში თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ისურვა ჩარევა. ერთხელ, დილით, ღვთისმსახურებაზე შეკრებილ ძმებს „სამხელიანი“ ღვთისმშობლის ხატი საკურთხეველზე აღარ დახვდათ. ხატი იღუმენის (მართლმადიდებელ მამათა მონასტრის წინამძღვარი) ადგილზე გადაბრძანებულიყო. ძმებმა ხატი საკურთხეველში დააბრუნეს და კარები საგულდაგულოდ ჩაკეტეს. მაგრამ, მეორე დილით იგივე სურათი იხილეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ერთ, სიწმინდით გამორჩეულ ბერს ყოვლადწმიდა ქალწულმა განუცხადა – ამიერიდან ძმები მისი ხატის საკურთხეველში გადასვენებით აღარ გარჯილიყვნენ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი ხატის საშუალებით სავანის იღუმენის ადგილი თავად დაეკავებინა.

ამ დღიდან მოყოლებული ხილენდარის მონასტერში წინამძღვარს არ ირჩევენ, არამედ პირდაპირ ნიშნავენ მის მოადგილეს. წინამძღვრის ადგილას „ტრიხერუსას” სასწაულთმოქმედი ხატი ბრძანდება და ყოველი მსახურების წინ, მამები როგორც იღუმენისგან, ლოცვა-კურთხევას მისგან იღებენ.

ათონზე ამ უდიდესი სასწაულებით განთქმული ხატის შესახებ ერთი ასეთი გადმოცემაც არსებობს: ერთმა ხატმწერმა ბერმა, რომელიც ხილენდარის მონასტერში მოღვაწეობდა, ღვთისმშობლის ხატის დაწერა მოისურვა და ფიცარზე ზეციური დედოფლის სახე ცარცით მოხაზა. მცირე ხნით ის სენაკიდან გამოვიდა და მიბრუნდა რა უკან, იხილა, რომ ხატის მონახაზზე მესამე ხელი გამოსახულიყო. ბერმა იფიქრა, რომ მას ძმებმა ბოროტად დასცინეს. განრისხებულმა გამოსახული ხელი წაშალა, მაგრამ ღამით ხელი ხატზე კვლავ გამოისახა. ასე განმეორდა სამჯერ. ბოლოს ხატმწერს ხმა მოესმა: „ნუ გაკადნიერდები და მესამე ხელს ამიერიდან ნუ წაშლი, ასეთია ჩემი ნება“. ამ საოცარი სასწაულის შემდეგ ბერმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნება აღასრულა და დაწერა სამხელიანი ხატი, რომელმაც თავისი წინამორბედი ხატის – „ტრიხერუსას“ მსგავსად, სახელი მრავალი სასწაულით გაითქვა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: აქვს თუ არა ქალს ეკლესიაში ქადაგების უფლება?**

**პასუხი:** ქალს ეკლესიაში ქადაგების ნება არ აქვს. პავლე მოციქულის განმარტებით, ეკლესიაში ქალები არ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ქალს შეუძლია ქრისტიანობა ეკლესიის მიღმა იქადაგოს. ქალს, ასევე, ეკრძალება საკუთრხეველში შესვლაც. თუმცა, არსებობს გამონაკლისიც, როდესაც ეკლესია ქალთა მონასტერშია. იმის გამო, რომ მონასტერში არ იყოს გარეშე მამაკაცი, მღვდლის დამხმარედ საკურთხეველში შესვლა შეუძლია ხნიერ ქალწულ მონაზონს.

**კითხვა: აზიარებს თუ არა ეკლესია ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს და მიიჩნევა თუ არა ცოდვად ასეთი ადამიანისგან ჩადენილი თვითმკვლელობა?**

**პასუხი:** ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებს ეკლესია აზიარებს. ამ ადამიანებისთვის ეკლესიაში არის განკუთვნილი სპეციალური ადგილი – სტოა, სადაც ხდება მათი ზიარებაც. ხოლო თუ თვითმკვლელობა ჩადენილია ასეთი ადამიანის მიერ, ასეთ დროს შეიძლება აღსრულდეს მასზე საეკლესიო წესი.

**კითხვა: როდის ებრძვის ყველაზე მეტად ბოროტი ძალა ადამიანს?**

**პასუხი:** ეს ხდება ძირითადად წმინდა საიდუმლოთა მიღების შემდეგ, გულითადი ლოცვის შემდეგ. განსაკუთრებულად ყურადღებით უნდა იყოთ სარგო საქმის შემდეგ, რადგან ამ დროს ეშმაკი ადამიანის მიერ შურითა და ბოროტებით არის აღსავსე.

**კითხვა: რა არის ცდუნება?**

**პასუხი:** ცდუნება არის ყველაფერი ის, რაც ბადებს ფიქრს ცოდვაზე და გვიბიძგებს და გვაიძულებს ცოდვის ჩადენას. ხშირად ადამიანები ბოროტ ძალას აბრალებენ და ამბობენ, რომ ეშმაკმა აცდუნა ამა თუ იმ ცოდვის ჩადენისკენ. ამიტომ ძალიან ფხიზლად უნდა იყოს ქრისტიანი, რათა არ ცდუნდეს.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## სულის სხეულისგან გაყრის მიჯნაზე

**(წმიდა გრიგოლ დიოლოღოსის მონათხრობი)**

ზოგჯერ ხდება ისე, რომ, ჯერ კიდევ სხეულში მყოფი ადამიანის სული ნაწილობრივ ხედავს სასჯელს, რაც მისთვის იმქვეყნად არის განკუთვნილი. ეს ან მათივე ჭკუის სასწავლებლად ხდება, ან გარშემო მყოფთა შესაგონებლად. ერთხელ ჩვენს მონასტერში ერთი მეტად მშფოთვარე ყმაწვილი მოხვდა, სახელად თეოდორე, რომელიც თავის ძმას მოჰყვა. ის მონასტერში იძულების გამო აღმოჩნდა და არა ნებაყოფლობით.

თეოდორეს უმძიმდა, როცა ვინმე მისი ცხონების შესახებ საუბრობდა, რადგან მას კეთილის ქმნა არა მარტო არ შეეძლო, არამედ, მისი ხსენებაც კი არ უნდოდა. ყმაწვილი ფიცით, მრისხანებითა და დაცინვით ამტკიცებდა, რომ არასდროს მოისურვებდა წმიდა მონაზვნურ ცხოვრებას.

ერთხელ, ეპიდემიის დროს, როცა ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწყდა, იგი დასნეულდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. მის სარეცელთან მონასტრის ძმები შეიკრიბნენ, რათა ლოცვით გაეცილებინათ იმქვეყნად. მომაკვდავს კიდურები უკვე გაუცივდა, ამიტომ ძმებმა უფრო მოშურნედ იწყეს ლოცვა. უცებ თეოდორემ იყვირა და ბერებს ლოცვა გააწყვეტინა: „გაიწიეთ, გაიწიეთ! დრაკონის შესაჭმელად ვარ განწირული, მაგრამ თქვენ გამო მას ჩემი შთანთქმა არ შეუძლია. თავი უკვე გადაყლაპა; გზა დაუთმეთ, რომ აღარ მაწვალოს! რაც უნდა, ის მიქნას, განწირული ვარ, თქვენ გამო რატომ უნდა გამიხანგრძლივდეს ტანჯვა?“ „რას ამბობ ძმაო? პირჯვარი გადაისახე“, – ურჩიეს ძმებმა, მან კი ყვირილით უპასუხა: „მინდა, მაგრამ დრაკონი ხელს მიშლის“. ამის გამგონე ძმები ცრემლმორეულნი დაემხნენ და უფრო მხურვალედ დაიწყეს ლოცვა. უეცრად სნეულმა შვება იგრძნო და ხმამაღლა წამოიძახა: „მადლობა უფალს! დრაკონი, რომელიც შეჭმას მიპირებდა, გაიქცა. თქვენი ლოცვით განდევნილი, აქ ველარ გაჩერდა. ილოცეთ ჩემი ცოდვებისთვის, ვინაიდან, მზად ვარ, მოვინანიო და საერთოდ განვეშორო საერო ცხოვრებას“.

ამგვარად, ის, ვინც უკვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო, მთელი გულით მოექცა უფლისადმი, აზრი შეიცვალა, დიდხანს მოღვაწეობდა გულშემუსვრილი და ყოველივე ამის შემდეგ განეშორა მისი სული სხეულს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

**ლეონ პატარიძე რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. ის, დღეს, მოსკოვში, საკმაოდ ცნობილი, ერთ-ერთი წამყვანი და მოთხოვნადი სტილისტია, ვისაც თვალდახუჭული ენდობიან შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები. ლეონი დაბადებიდან სმენადაქვეითებულია, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ცხოვრებაში მიზანდასახული ყოფილიყო, შრომით მიეღწია პროფესიულ სფეროში წარმატებისთვის და ყველასთვის საყვარელი, სანდო და მეგობრული გამხდარიყო.**

**რადგან ლეონს აქვს სმენასთან და მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები, მასთან ინტერვიუს ჩაწერაში მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი, ეთერ ბერიაშვილი დაგვეხმარა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.**

# როგორ აჯადოებს გოგონებს ხელებით ლეონ პატარიძე და რაში ენდობიან მას თვალდახუჭული რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები

**– ლეონ, როგორ აღმოჩნდი ქართველი ბიჭი დიდ რუსეთში და რა გზა გაიარე იმ პროფესიულ წარმატებამდე, რა საფეხურზეც დღეს ხარ?**

– მამა სამსახურიდან მივლინებით იყო ჩამოსული ვოლგოგრადში და დარჩა. მერე დედაც ჩამოიყვანა და, მეც აქ გავჩნდი. ნიკოლოზი დამარქვეს, ლეონი ჩემი ფსევდონიმია. 14 წლისა დავობლდი, მშობლები დამელუპნენ და ეს უდიდესი სტრესი იყო ჩემთვის. მარტო დავრჩი, გამიჭირდა და გადავწყვიტე, 17 წლის ასაკში მოსკოვში წავსულიყავი. სუპერმარკეტში მტვირთავად ვმუშაობდი, მერე „მაკდონალდსში" – დამლაგებლად. ხანდახან ისე ვიღლებოდი, სახლშიც ვეღარ მივდიოდი და იქვე ვიძინებდი. თუმცა, არასდროს დამიკარგავს იმედი და მიზანდასახულობა. პარალელურად, ვსწავლობდი სტილისტობას და დღეს, საკმაოდ ცნობილი ვარ ამ საქმის წყალობით. მართალია, ძალიან შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ მისი საშუალებით, ბევრი ცნობილი ადამიანი გავიცანი, ბევრს ვმოგზაურობ და მაღალ საზოგადოებაში ვტრიალებ. საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს.



სუპერმარკეტში მტვირთავად ვმუშაობდი, მერე „მაკდონალდსში" – დამლაგებლად – ხანდახან ისე ვიღლებოდი, სახლშიც ვეღარ მივდიოდი და იქვე ვიძინებდი. თუმცა, არასდროს დამიკარგავს იმედი და მიზანდასახულობა

**– როგორც ვიცი, ამაყობ, რომ ქართველი ხარ. თუ ჩამოდიხარ შენს სამშობლოში?**

– სულ ვამაყობ ჩემი გენეტიკით. მიყვარს ჩემი კულტურა, ისტორია და ხალხი. სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი სისხლი და ხორცი არ მავიწყდება, ყველგან ვამბობ, რომ წარმოშობით ქართველი ვარ და ვამაყობ ამით. თუმცა, დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ საქართველოში. ადრე, ბავშვობაში, ბებია-ბაბუასთან ჩამოვდიოდი, დავდიოდით ზღვაზე და ის წლები ბედნიერ მოგონებად მაქვს გონებაში ჩარჩენილი. სულ ვინტერესდები, რა ხდება მანდ, მაგრამ რომ ვიგებ გაჭირვებას, ცუდად მოქმედებს, ვითრგუნები. მეც ხომ ვიცი, რა არის გაჭირვება?! გეგმაში მაქვს, მომავალ წელს ჩამოვიდე ჩემს ქვეყანაში, ფინანსურად მომზადებული და გარკვეული თანხით დავეხმარო ბავშვთა სახლს ან მოხუცებულთა თავშესაფარს. მინდა, კეთილი საქმე გავაკეთო და ამით ვასიამოვნო ისინი, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

**– ვიცი, რომ რუსული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები თვალდახუჭული გენდობიან და ხშირად გეპატიჟებიან კონცერტებზე. წარმოგიდგენია, როგორ გეამაყება, როცა სცენაზე შენს ნამუშევარს უყურებ.**

– მიუხედავად იმისა, რომ არ მესმის, შინაგანად ვგრძნობ მუსიკას, მელოდიას და რიტმს იმისას, რასაც ჩემი მეგობრები შოუ-ბიზნესიდან სცენაზე ასრულებენ. მართლა ვამაყობ, როცა ისინი ჩემი ვარცხნილობით იწონებენ თავს. ხშირად აცხადებენ კიდეც: ჩვენი სტილი ლეონის დამსახურებაა, რომელიც ახლა დარბაზში ზისო. მართალია, თავმდაბალი ვარ, მაგრამ ამ დროს ძალიან ამაყი ვხდები *(იცინის)*. ძალიან მათამამებენ ჩემი ვარსკვლავი მეგობრები საჩუქრებით. ალბათ, გრძნობენ იმ დიდ სიყვარულს, რასაც მე მათ მიმართ განვიცდი. მეგობრებში გამიმართლა და სულ ვგრძნობ მათ გვერდში დგომას. ამბობენ, დიდ ქალაქში ცხოვრება რთულიაო, მაგრამ მე მოსკოვს კარგად „მოვერგე". აქ ვიპოვე ჩემი საქმე, საყვარელი ადამიანები და ბედნიერი ვარ. ძალიან კომუნიკაბელური ვარ, მიყვარს ხალხთან კონტაქტი, მოგზაურობა, ახალი შთაბეჭდილებების დაგროვება. თუმცა, თვითმფრინავით მგზავრობის მეშინია *(იცინის)*. ოდესღაც მეგობრებთან ერთად ვბრუნდებოდი, რაღაც ტექნიკური პრობლემა შეექმნა თვითმფრინავს ცაში და კინაღამ ჩამოვარდა. ამ ამბის შემდეგ, ვცდილობ, ფრენის შიში დავძლიო, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებ. ლონდონში რომ ჩავედი სწავლის გასაგრძელებლად, არ უნდოდათ ჩემი აყვანა, რადგანაც ყურთასმენა დაქვეითებული მაქვს. დავიქირავე ადვოკატი, ვიბრძოლე და მაინც მივაღწიე ჩემსას. არ მიყვარს პირველივე ბარიერზე ფარ-ხმლის დაყრა. ადამიანი იმიტომ ხარ, იბრძოლო, გაიტანო შენი სიმართლე და სხვებს და საკუთარ თავსაც დაუმტკიცო, რომ მაგარი ხარ. შემდეგ ჰოლანდიაშიც ვისწავლე, ლონდონშიც ავიღე დიპლომი და ამერიკაში, კერძოდ, ნიუ-იორკში, მსოფლიო მოდის კვირეულზეც მიმიწვიეს სამუშაოდ. ეს დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. სხვათა შორის, ავსტრალიაში ვცხოვრობდი სამი წელი. მინდოდა, ამ ქვეყნის მოქალაქე გავმხდარიყავი, მაგრამ არ მიმიღეს და ისევ მოსკოვში დავბრუნდი. ახლანდელი გადასახედიდან თამამად ვიტყვი, რომ კიდევ კარგი ავსტრალიის მოქალაქეობაზე უარი მითხრეს. მე მოსკოვის გარეშე მაინც ვერ გავძლებდი. ეს ჩემი ქალაქია. ერთ ადგილას მაინც ვერ ვჩერდები, ხან რომელ ქვეყანაში ვარ და ხან რომელში, მაგრამ ბოლოს, ისევ აქ ვბრუნდები.



ჰოლანდიაშიც ვისწავლე, ლონდონშიც ავიღე დიპლომი და ამერიკაში, ნიუ-იორკში, მსოფლიო მოდის კვირეულზეც მიმიწვიეს სამუშაოდ

**– შენ შესახებ რომ ვიკითხე, ასე მითხრეს, ლეონი ქალებს ხელებით ისე აბამს, სიტყვები არ სჭირდებაო...**

– *(იცინის)* ახლა შემრცხვა. არ მიყვარს თავის ქება, მაგრამ როცა ვარცხნილობას ვუკეთებ ადამიანებს, მეუბნებიან, ჯადოსნური ხელები გაქვს, ფიზიკურად და სულიერად ვისვენებთ შენ რომ თმაზე გვეხები და ასე გვგონია, დედამიწაზე არ ვდგავართ, დავფრინავთო *(იცინის)*.

**– პირად საუბარში მითხარი, ბედნიერი იმიტომ ვარ, ბევრი ოცნება ამიხდაო. დაგრჩა აუხდენელიც?**

– დიახ, დამრჩა და ჩემი აუხდენელი ოცნება მოსკოვის ცენტრში დიდი სალონის გახსნა, რომელსაც დიდი ასოებით დავაწერ „ლეონ". მე ოპტიმისტი ვარ, არც შრომა მეზარება, ვცდილობ სწორად დავგეგმო დრო, ჩემი ცხოვრება და ვფიქრობ, ამ ოცნებასაც ავიხდენ ერთ დღეს. ზოგადად, აუხდენელზე არ ვოცნებობ. ადამიანს რეალური ოცნებები უნდა ჰქონდეს, რომ იცი, ოდესღაც დადგება დრო და აგიხდება. არ მაშინებს ცხოვრებისეული ბარიერები და წინაღობები. არც იმის მრცხვენია, ოდესღაც, „მაკდონალდსის" ტუალეტს რომ ვალაგებდი და ვხეხავდი, მტვირთავი რომ ვიყავი სუპერმარკეტში და უამრავი გაჭირვებაც რომ ვნახე. ეს ჩემი ცხოვრებაა, პატიოსანი და ტკივილით სავსე. მისი დავიწყება შეუძლებელია, თუმცა არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ დღეს ჩემი შრომითა და მიზანდასახულობით ამდენს მივაღწიე. კი ვოცნებობდი, მაგრამ ეს მართლაც წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მაშინ. ესაა ცხოვრება, ხან დავარდები, ხან ადგები, მაგრამ საკუთარი თავის იმედი და რწმენა არ უნდა დაკარგო.

**– ვიცი, რომ შენი ქვეყანა ძალიან გიყვარს, ამაყობ შენი გენეტიკით, მაგრამ იცი, რა მიკვირს – რატომ არ იცი ქართული წერა-კითხვა?**

– იმიტომ რომ, ვოლგოგრადში დავიბადე, მთელ შეგნებულ ცხოვრებას მოსკოვში ვატარებ. ხან ამერიკაში ამოვყავი თავი, ხან ლონდონში და ხანაც ავსტრალიაში, ვეღარ მოვახერხე ქართული წერა-კითხვის სწავლა. თუმცა, გპირდებით, აუცილებლად ვისწავლი. მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მომღერლებთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. ყველას ვიცნობ და ვმეგობრობ. მიხარია, რომ ჩემი ქვეყნის წარმომადგენლები ასეთი ცნობილი, პოპულარული და საყვარელი მომღერლები არიან რუსეთში. ხომ ამბობენ, ქართველები სხვანაირად ნიჭიერები ვართო და ზუსტად ასეა! იმხელა პოტენციალი დევს ჩვენს ერში, სადაც არ უნდა წავიდეთ და დავსახლდეთ, ჩვენს ნიჭს ვერავინ წაგვართმევს. ვერც გენეტიკას დაგვიკარგავს და ვერც ქვეყნის სიყვარულს დაგვიშლის.

**ნონა დათეშიძე**

**ზოგი ადამიანი ჰარმონიულად ცხოვრობს, ტკბება ბედნიერებით, ზოგსაც პრობლემები აქვს და თავს ვერ ართმევს ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნაზი ამბობს, ადამიანის ცხოვრებაში მომხდარ ნებისმიერ მოვლენაზე კარმა დიდ გავლენას ახდენს. ეს ეხება როგორც ბედს, ასევე პროფესიის არჩევანსაც. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევთ შვილს, რადგან სახელი, მომავალში, ბევრ რამეზე აგებს პასუხს. მათ შორის, ბედნიერ სიყვარულზე, კარიერულ წინსვლასა და ჰარმონიულ ოჯახურ თანაცხოვრებაზეც. ასე რომ, მშობლები კარგად უნდა დაფიქრდნენ, სანამ შვილს სახელს შეურჩევენ და ამით მის მომავალ ბედს გადაწყვეტენ.**

# რაზეა დამოკიდებული ადამიანის იღბლიანობა, ბედნიერი მომავალი და როდის გაგიმართლებთ ცხოვრებაში

**ნაზი**: ცხოვრებაში ყოველთვის ისე არ ვითარდება მოვლენები, როგორც ჩვენ გვსურს. ამის ბევრი მიზეზი არსებობს, თუმცა მთავარი, მაინც ადამიანის კარმაა. როგორც ნებისმიერ მოვლენაზე ცხოვრებაში, სასიყვარულო ურთიერთობაზეც კარმა უდიდეს გავლენას ახდენს. სწორედ მასზეა დამოკიდებული, იღბლიანი და ბედნიერი იქნებით თუ არა ამ მხრივ და რამდენად გიმართლებთ ბედში. ჩვენ დამსახურებულად ვიღებთ ამ ცხოვრებაში იმას, რაც წარსულში დავთესეთ. კარმა, თქვენ მიერ წარსულში ჩადენილი საქციელის ასახვის პრინციპია. ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგი ქმედებები და მცდელობები, კარგ კარმას გვაძლევს, ცუდს კი, ცუდი კარმისკენ მივყავართ. როცა საქმე სასიყვარულო ურთიერთობებს ეხება, კარმის პრინციპები ცოტა უფრო რთულად აღსაქმელი ხდება.

**– სიყვარული საკმაოდ რთული, ვნებიანი და ყველაფრის მომცველი გრძნობაა. მას შეუძლია, ყველაზე გონიერ ადამიანსაც კი დააკარგვინოს თავი და ისეთი სისულელეები ჩაადენინოს, რაც სხვისგან გაუკვირდებოდა. და მაინც, როგორ საქციელს შეუძლია სასიყვარულო კარმის დაზიანება?**

– სასიყვარულო კარმის დანგრევა შეუძლია ტყუილს, ღალატს, შეურაცხყოფას და ასე შემდეგ. თქვენს ჰარმონიულ სასიყვარულო ურთიერთობაში მცირედი ეჭვიანობაც კი, სასიყვარულო კარმას საგრძნობლად აზიანებს. ხომ გსმენიათ, ყველაფერი კარგად რომ იყო წყვილს შორის და მოულოდნელად დაშორდნენ. მიზეზი კი გაუგებარია. ეს კი სწორედ კარმის დაზიანების შედეგია, რამაც დაშორებამდე მიიყვანა შეყვარებული წყვილი.

**– კარმის გამოსწორება შესაძლებელია?**

– თუ კარმის გამოსწორება გსურთ, უნდა გაითვალისწინოთ წარსულში რაიმე ცუდი თუ ჩაიდინეთ. შეიძლება, ჩადენილის გამოსწორება ვერც მოხერხდეს, სამაგიეროდ, ამჟამინდელი პრობლემების მიზეზთა გაანალიზებით, შეგიძლიათ, სწორად განაგრძოთ ჯანსაღი სასიყვარულო კარმის შექმნა თქვენი მომავლისთვის. გამოხატეთ გრძნობები, არ დაიშუროთ კომპლიმენტები, იყავით კეთილი და ყურადღებიანი საყვარელი ადამიანის მიმართ. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კარგი კარმის მოზიდვას თქვენს ურთიერთობაში. პოზიტიური განწყობა დაგეხმარებათ გადალახოთ ის გაღიზიანება, კონფლიქტური სიტუაციები და უარყოფითი ატმოსფერო, რომელიც თქვენ შორის იქმნება



და ეჭვიანობის, წყენის, გარიყულობის, მიტოვების მიზეზი ხდება. არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში, ჯობია, გულახდილად გაარკვიოთ სიტუაცია რჩეულთან, რადგან ეს თქვენს კარმაზე დადებითად აისახება.

**ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, რადგან ნებისმიერი მოვლენა ასტრალში დიდი ხნით ადრე მზადდება და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ესაა ბედისწერა**

**– გულში დაგროვილი ბოღმა და წყენა აზიანებს კარმას?**

– დიახ, როდესაც წყენას და ბოღმას აგროვებთ სხვის მიმართ, ეს თქვენს სასიყვარულო კარმასაც დიდ ზიანს აყენებს. ამ უარყოფით ემოციებს კი უძლიერესი ენერგია აქვს, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ მოიშორებთ – ნელ-ნელა საკუთარ ცხოვრებასაც დაანგრევთ და ვერც ურთიერთობებს გააანალიზებთ სწორად. ისწავლეთ ადამიანების გაგება და პატიება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. რასაკვირველია, სიყვარული ვნებიანი გრძნობაა და პარტნიორებს შორის კამათიც „მოსულა“. ამიტომაც უნდა აკონტროლოთ ემოციები და თუ გრძნობთ, რომ აგრესია მოგეძალათ საყვარელი ადამიანის მიმართ, სასწრაფოდ დალიეთ პიტნის ჩაი და ხელები გამდინარე წყალს შეუშვირეთ. ეს სიმშვიდეს დაგიბრუნებთ და რჩეულთან კამათსაც თავიდან აგარიდებთ. დადებით და უარყოფით აზრებს მოვლენების გამოწვევის ძალა გააჩნია. თუ ნეგატიურად დაიტვირთებით, რაიმე ცუდი აუცილებლად მოხდება თქვენს ცხოვრებაში. თუ ხშირად ფიქრობთ, რომ სასიყვარულო პარტნიორი გღალატობთ, ის აუცილებლად გიღალატებთ, რადგან, ადამიანის ფიქრის რეალიზება რეალურად შესაძლებელი ფაქტია. დადებითი მოვლენების მოსაზიდად აუცილებლად დადებითად უნდა იაზროვნოთ. უარყოფითი აზრები კი უნდა უარყოთ.

**– ადამიანის სახელი სასიყვარულო ურთიერთობაში თუ ახდენს გავლენას?**

– სახელი დაბადებიდანვე დიდ ზეგავლენას ახდენს მისი ფსიქოტიპის ჩამოყალიბებასა და სამომავლო ბედის განსაზღვრაზე. შვილს არასდროს არ უნდა დაარქვათ იმ ადამიანის სახელი, რომელსაც ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა, ხშირად ავადმყოფობდა ან წარუმატებელი პიროვნება იყო. ასეთი ადამიანის პატივსაცემად დარქმეულმა სახელმა, შეიძლება, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის განვითარებასა და მომავალზე. ბავშვისთვის შერჩეული სახელი წარმატებული ბედის უნდა იყოს. ასევე, შეეცადეთ, ყოველთვის გაარკვიოთ არჩეული სახელის მნიშვნელობა და გადახედოთ მსგავსი სახელის მქონე სხვა ადამიანების ბედს. ნებისმიერ შემთხვევაში, ლამაზი ჟღერადობის გარდა, სახელის დადებით მნიშვნელობასა და მუხტზეც იფიქრეთ.

**– თუმცა, ბედისწერას რომ ვერავინ ასცდება, ამაშიც ხომ მეთანხმებით?**

– ადამიანის ცხოვრებაში, შემთხვევით არაფერი ხდება, რადგან ნებისმიერი მოვლენა ასტრალში დიდი ხნით ადრე მზადდება და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ესაა ბედისწერა. რაც შეეხება ბედს, შეგვიძლია, ჩვენივე ძალისხმევით, საკუთარ ბედ-იღბალში შევიტანოთ ცვლილებები. ეს, რასაკვირველია ბედისწერას არ ცვლის. თუ საქმე არ გამოგდით, არ გიმართლებთ, მაინც არ დანებდეთ, არასდროს ჩაიქნიოთ ხელი და თავი უბედურად არ მიიჩნიოთ. შეიძლება, ამით ბედისწერა დიდ სიურპრიზს გიმზადებთ და გცდით. თუ ბედი ბიზნესში არ გაქვთ, ესე იგი, სხვა სფეროში უნდა მოსინჯოთ ძალები, თუ არ გიმართლებთ პოლიტიკაში, მაშინ კურსი შეიცვალეთ. ეს ბუნებრივია, ბედისწერა თავად გაჩვენებთ, სად გაგიმართლებთ იღბალი და სად არა. ამას თქვენ გარდა, ვერავინ მიხვდება, ბედისწერა თავად მიგიყვანთ იმ პროფესიამდე, ბედიც რომ გაგიღიმებთ და კარმული თვალსაზრისითაც მოგებას მოგიტანთ.

**ნონა დათეშიძე**



# რა ემართება დიასახლის ცოლს, რომელიც უცებ აღმოჩნდება თავისუფალი

**მამაკაცს მიაჩნია, რომ, თუ მისი ცოლი სახლში იჯდება და ცხვირს არ გაყოფს გარეთ, დაცული იქნება უსიამოვნო სიურპრიზებისგან, ანუ ცოლის მხრიდან ღალატისგან, რაც საკმაოდ სასაცილო და არაგონივრული არგუმენტია. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სწორედ ზედმეტად შეზღუდული, შებოჭილი და აკრძალვებით დაღლილი ადამიანები ოცნებობენ ისეთ თავისუფლებაზე, რომელიც მათ ფანტაზიების ხორცშესხმის საშუალებას მისცემს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ქალს აქვს სურვილი, უღალატოს ქმარს, თუმცა, არავინ იცის, რა უდევს გულში ქალს, რომელსაც მოულოდნელად გაუღებენ დიდი ხნის წინ ჩაკეტილ კარს.**

მარიკო *(39 წლის)*: თხუთმეტი წელი ხდება, რაც გათხოვილი ვარ. ვერ დავიწუწუნებ და ვერ ვიტყვი, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ უბედურად ვგრძნობდი თავს – ასე ნამდვილად არ ყოფილა, მით უმეტეს – თავიდან, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ოჯახი ზუსტად ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც მე მქონდა.

**– როგორი ოჯახი გქონდათ, შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად მოყვეთ?**

– ჩვეულებრივი, ქართული, მამაპაპური... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩემი ქმარი მხოლოდ ენით არის ევროპელი და პროგრესულად მოაზროვნე, სინამდვილეში, კი ჩვეულებრივი ტირანი და სულთამხუთავია. მკითხავთ, რაში გამოიხატება ეს ყველაფერიო. იმაში, რომ მე მთრგუნავს და ჩემს პიროვნებას პატივს არ სცემს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ მისთვის უცხო ვიყავი. ჩემში ხედავდა მხოლოდ მოსამსახურეს და მისი ბრძანებების შემსრულებელს. „ცოლი არ უნდა შეზღუდო“, „იმუშაოს ცოლმა, რა პრობლემაა“, „ქალსაც აქვს უფლება, სამსახური და საკუთარი საქმე ჰქონდეს“ – ამ ფრაზებს მხოლოდ ჰაერზე ისროდა, რეალურად კი ყველაფერში ხელი შემიშალა – არც სამუშაოდ გამიშვა, ცხვირიც კი არ გამაყოფინა გარეთ... ოღონდ, ეს ისე ეშმაკურად გააკეთა, არც მიფიქრია, ბოროტი განზრახვა რომ ჰქონდა.

**– ბოროტი განზრახვა?**

– ჰო, ასე გამოვიდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავი გავიმართლო. მე ბუნებრივ ემოციებს ავყევი, ისე მოვიქეცი, როგორც საჭიროდ მიმაჩნდა და უცებ გადავწყვიტე, რომ ეს ჩემს უღიმღამო ცხოვრებას გააფერადებდა. საკუთარ თავში დიდხანს ვახშობდი სურვილს, მეცხოვრა ისე, როგორც მინდოდა, ჩემი ქმარი კი, ადრე თუ გვიან, გამოსავალს მოძებნიდა. ანუ, რაც მოხდა, გარდაუვალი იყო. სხვათა შორის, არ ვნანობ, უბრალოდ, დავიწყებას ვცდილობ.

**– გინდათ, დაივიწყოთ, რომ ქმარს უღალატეთ?**

– ფიზიკურად არ მიღალატია, თუმცა ერთ მამაკაცთან ძალიან სასიამოვნოდ გავატარე რამდენიმე დღე. იცით, რა კარგად ვსწავლობდი უნივერსიტეტში?! შემეძლო, კარგი კარიერა გამეკეთებინა, დამოუკიდებელი და შემდგარი პიროვნება ვყოფილიყავი. დიასახლისობაში ამომხდა ლამის სული და ბოლოს კინაღამ გავაფრინე. რაში მჭირდებოდა მე მისი საქებარი სიტყვების მოსმენა, მხოლოდ სუფრაზე, რომ მაგარი ცოლი და დედა ვარ? ჩემში ქალურმა საწყისმა დაიწყო კვდომა – ხვდებით, რას გეუბნებით?

**– დაახლოებით. ანუ, დიასახლისი – სახლში გამოკეტილი ცოლი – ღალატზე ოცნებობს?**

– არა, რა თქმა უნდა, ღალატზე ნამდვილად არ ვოცნებობდი, რა სისულელეა! ვოცნებობდი რაღაც ახალზე, საინტერესოზე, განსხვავებულზე; იმაზე, რაც არ მქონდა. დავიღალე და მომწყინდა ყოველდღე ერთი და იმავეს კეთება. ლამის ჭკუიდან შევიშალე. ყველაფერზე ნერვები მეშლებოდა. კინაღამ გავაფრინე. ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა მთლიანად ჩემს ქმარს მიეწერებოდა. არ უარვყოფ, მართლა გულმოდგინედ შრომობდა და ბევრს წვალობდა, მაგრამ, მეც ხომ ვაკეთებდი რაღაცას? ოჯახის მთელი საზრუნავი საკუთარ თავზე მქონდა აღებული, სახლში ყოველთვის სიმშვიდე და წესრიგი ხვდებოდა – ეს არაფერს ნიშნავს? მაგრამ, ვინ ხედავდა და, ვინ აღიარებდა? – არავინ... ნელ-ნელა დაგროვდა ეს ყველაფერი ჩემი მოთმინების ფიალაში და ბოლოს გადმოიღვარა. ოღონდ, ეს ჩემდა უნებურად მოხდა, გაუცნობიერებლად. ეტყობა, ისე ცუდად ვიყავი, რომ ჩემი ქმარიც კი მიხვდა. ვერც კი წარმოვიდგენდი ოდესმე, ისეთი რამე შემომთავაზა: საგზურს გიყიდი და ოთხი-ხუთი დღით მარტო წადი დასასვენებლადო.

> **ხომ შეიძლებოდა, ეს ოთხი ბედნიერი დღე ქმართან მქონოდა, მაგრამ მან არ მოინდომა**

მეგონა, მეხუმრებოდა. გავბრაზდი კიდეც – უარესად რატომ მიშლი ნერვებს, ხომ იცი, რომ ბავშვებს ვერ დავტოვებ და შენც უჩემოდ ვერაფერს შეძლებ-მეთქი. არა უშავს, მოვახერხებ რაღაცას, წადი, ოღონდ, მერე ყველაფერი ძველებურად იქნებაო.

**– ანუ?**

– ანუ, ისევ ოჯახს უნდა დავბრუნებოდი და გამეგრძელებინა ჩემი საქმე; ისევ უარი უნდა მეთქვა პირადზე – განვითარებაზე, ჩემს საქმეზე... მაინც დავთანხმდი. დახურული ფანჯარა რომ გაგიღონ და სუფთა ჰაერი შემოუშვან, ზუსტად ასე მჭირდებოდა ეს დასვენება, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ, მარტო ჩემი...

**– გაგიკვირდათ, ქმარმა ეს რომ შემოგთავაზათ?**

– ჰო, გამიკვირდა. მე ხომ რობოტივით ვიყავი – ვალაგებდი, ვრეცხავდი, ვუვლიდი, ვზრუნავდი... არავინ არაფრად მაგდებდა როგორც პიროვნებას, თითქოს ამ ყველაფრის ვალდებული ვიყავი. ბევრი ქართველი კაცი იმ სტერეოტიპში ჩარჩა, რაც ბავშვობაში შეექმნა ან შეუქმნეს, ამიტომ, მათ თავიანთი სიმართლე აქვთ და სხვა არაფრის გაგონება არ უნდათ და ჩემი ქმარიც ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

**– ის მამაკაცი რომელ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც დასასვენებლად ყოფნისას გაიცანით?**

– არ ვიცი და არც მაინტერესებს. მართლა არ მაინტერესებს, მთავარია, რომ ოთხი დღე სხვა ცხოვრებით ვიცხოვრე... ბედნიერი ვარ, რომ ჭურჭლის რეცხვის გარდა გასახსენებელი მაინც მექნება რამე. ფანტასტიკური ფლირტი გვქონდა, არაჩვეულებრივი; ინტიმი ფიზიკური სიახლოვის გარეშე – თურმე ასეთი რაღაც შესაძლებელი ყოფილა... ნიუანსებს აღარ ჩავუღრმავდები, მაგრამ, იმ ოთხმა დღემ ძალიან ბევრი მომცა – მივხვდი, რომ მარტო მზარეული და მრეცხავი არ ვარ. ყველა ქალს სჭირდება საკუთარი ქალურობის განცდა... მეც მჭირდებოდა.

**– იმის თქმა გინდათ, რომ დიასახლისი ცოლი ფეთქებადსაშიშია, ანუ, თუ ერთი დღით მაინც გაუშვი, გიღალატებს?**

– არა, მთლად ასეც არ არის. მაგრამ, ქალის ჩაკეტვა-გამოკეტვა არ შეიძლება. კაცს მაშინ არ ეშლება არაფერი, როცა ცოლში პიროვნებას ხედავს, აფასებს და განვითარების საშუალებას აძლევს. ხომ შეიძლებოდა, ეს ოთხი ბედნიერი დღე საკუთარ ქმართან მქონოდა? მაგრამ მან ეს არ მოინდომა.

**– მანამდე ერთხელ მაინც თუ გილაპარაკიათ ქმართან საკუთარ სურვილებზე?**

– მცდელობა ბევრჯერ მქონდა, თუმცა, ერთხელაც არ მომისმინა, ყოველთვის აგდებით მანყვეტინებდა. იმან კი ოთხ დღეში მოახერხა ქმარზე უკეთესად გავეცანი. როგორი რომანტიკული ბუნების ყოფილხარო და, ფანტასტიკური რომანტიკული სალამო მომიწყო. გულიც კი დამწყდა, რომ ჩემი ქმარი არ იყო იმ უცხო კაცის ადგილას – ჰო, ის მაინც უცხო იყო ჩემთვის და უცხოდაც დარჩება, მაგრამ, ვერ უარვყოფ, რომ ბედნიერი ვიყავი – ბედნიერება რომ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ეს უკვე ვიცი...

**– ქმარს არაფერს ეტყვით?**

– რა უნდა ვუთხრა, რომ ინტიმის გარეშე მქონდა უცხო კაცთან ფლირტი? არ ვაპირებ ამის გაკეთებას. ცოტა დოპინგი მივიღე და ახლა კარგად ვარ – სულ ეს იყო, მეტი არაფერი მომხდარა.

**დალი მიქელაძე**

## „დონ ჟუანი" აქტიურობს!..

როგორ უნდა მიხვდეს ქალი, რომ მამაკაცს მოეწონა? ერთი შეხედვით, მამაკაცის არსენალი, როცა საქმე საინტერესო ქალს ეხება, მწირია და მარტივი. საკმარისია, ქალმა გაუღიმოს, რომ ფარშევანგივით „შლის კუდს". ახდენს თავისი ძალის, სტატუსის, მნიშვნელობის დემონსტრირებას. ანუ, ძნელი მისახვედრი ნამდვილად არ არის. დააკვირდით მისი საუბრის მანერას. თუკი იწყებს საუბარს იმაზე, როგორი წარმატებულია სამსახურში; როგორი მაგარი მანქანა ჰყავს; როგორ არ უჭირს საქმეების მოკვარახჭინება, იცოდეთ, ტყავში ძვრება, თავი რომ მოგაწონოთ... ამ დროს აუცილებლად შეისწორებს პერანგის საყელოს, ქამარს, თმას. ახლა უკვე თქვენი ჯერია. „დონ ჟუანი" სცენაზეა და აქტიურობს. თქვენი გადასაწყვეტია, რას დაუპირისპირებთ. მაგალითად, ბევრი მამაკაცი პირდაპირ დნება, როცა ქალი ფეხს ფეხზე გადაიდებს და მუხლისთავს გამოაჩენს.

მთავარია, „დონ ჟუანი" არ გააწბილოთ და უკან არ გააბრუნოთ. ეთამაშეთ მას ყველა დასაშვები მეთოდით. მერე უკვე მიხვდებით, რამდენად სერიოზულია ეს ადამიანი თქვენთვის. თავიდანვე აიღეთ ხელში ურთიერთობის მართვის სადავეები. ამით მხოლოდ მოიგებთ. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ნებისმიერი მამაკაცის მოთოკვა და მორჯულება შეიძლება. მთავარია, სწორად მიუდგეთ მას. სწორად შეარჩიოთ ურთიერთობის ფორმა... დე, იაქტიუროს. ამით უკეთესად გამოავლენს საკუთარ ბუნებას და უკეთ გაგაცნობთ თავს. ზოგიერთი ქალი ფრთხება, როცა „დონ ჟუანი" აქტიურობს, არადა, ისინი სულაც არ არიან საშიშნი, თუკი ბრმად არ ჩაუვარდებით ხახაში.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემს ქმარს ვუყვარვარ. ჩვენი ოჯახი სიყვარულით შეიქმნა და თითქოს თავიდან მის მშობლებთანაც ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ მერე დედამისმა იმაზე დაიწყო ეჭვიანობა, რომ მე უფრო ვუყვარვარ მის შვილს, ვიდრე ის. ჯერ მელიმებოდა ამაზე, მაგრამ ახლა სიტუაცია დამძიმდა. საკმარისია, მე და ჩემი ქმარი ერთად წავიდეთ სადმე, რომ იბუტება. თუ ჩემი ქმარი რამეს მიყიდის, ვცდილობ, დედამთილმა არ გაიგოს, თორემ სწყინს და ამას არც მალავს. რა გავაკეთო, არ ვიცი. როგორ შეიძლება, დედა ჩემში – თავისი შვილის ცოლში – მეტოქეს ხედავდეს?!**

**გამოხმაურება:** თქვენი პრობლემა არ არის იშვიათი. არსებობენ იმ ტიპის დედები, როგორიც თქვენი დედამთილია. სამწუხაროდ, მარტო თქვენ, დამოუკიდებლად ამას ვერ გაუმკლავდებით. დაელაპარაკეთ მეუღლეს და სთხოვეთ, როგორმე მოაგვაროს ურთიერთობა, იპოვოს ოქროს შუალედი. დედასაც დაუთმოს ყურადღება იმ დოზით, რომ მისი ამბიცია დააკმაყოფილოს და თქვენც გამოიჩინეთ დედამთილის მიმართ მეტი ყურადღება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

## როგორ უფრო ადვილია...

როცა ცხოვრებაში ღალატი იჩენს თავს, პირველი კითხვა, რომელიც წარმოიშობა და მოსვენებას აღარ გვაძლევს არის – ვაპატიო, თუ სამუდამოდ დავასრულო ურთიერთობა. ოჯახი ხომ მარტო ინტიმური სიახლოვე არ არის?! ის უამრავი კომპონენტისგან შედგება. ითვალისწინებს ათას ნიუანსს... ოჯახი ინტერესთა კავშირია. საერთო წარსული, აწმყო, რომელსაც ორივე ერთად ქმნიდით. შვილები, მათ მომავალთან დაკავშირებული გეგმები... როცა წყვილი დიდხანს ცხოვრობს ერთად, საერთო ჩვევებიც კი უჩნდებათ. ისინი გრძნობენ ერთმანეთს, ესმით ერთმანეთის სურვილები. სწორედ ამიტომაც არის ასეთი მტკივნეული ღალატი. ის უფრო გულისხმობს ამ ყოველივეს ნგრევას, ვიდრე პარტნიორის ვიღაცასთან ერთჯერად ფიზიკურ სიახლოვეს. ამიტომ, როცა საკითხი დგება ასე – ვაპატიო თუ არ ვაპატიო... გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი, სწორედ ისინი, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – ძნელია გააგრძელო ცხოვრება ადამიანთან, რომელმაც არაფრად ჩაგაგდო... დაივიწყა ყველაფერი, პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე და აჰყვა ცდუნებას. გამოსავალი მხოლოდ ერთია: სასწორის პინაზე უნდა დადო ერთ მხარეს ის, რატომ არ უნდა შეურიგდე, მეორე მხარეს – რატომაც უნდა შეურიგდე... იფიქრო და ისე გადაწყვიტო. უფრო ადვილია აპატიო და ცხოვრების ეს ეპიზოდი სამუდამოდ დაივიწყო. მით უმეტეს, თუკი ხვდები, რომ მის გარეშე ცხოვრება გაგიძნელდება. მხოლოდ იშვიათად შეუძლია ადამიანს, ხელის ერთი მოსმით დაასრულოს ერთი და დაიწყოს მეორე. ჩვეულებრივ, ეს ასე მარტივად არ ხდება და ხშირ შემთხვევაში, სერიოზულ ტკივილთან არის დაკავშირებული...

## ვაპატიოთ ღალატი?

ცხოვრება ღალატის შემდეგ რთულია და ძნელად პროგნოზირებადი, მაგრამ, თუ თქვენი ქორწინება უფრო პოზიტივით იყო გაჯერებული, აჯობებს, ღალატის ეპიზოდი ცუდი სიზმარივით დაივიწყოთ. თუმცა, ეს ნამდვილად არ არის ადვილი, მაგრამ შესაძლებელია. ხშირად ყველაფერს მოგონებები წყვეტს. სწორედ ისინი, რაც პარტნიორზე დადებითი წარმოდგენის შენარჩუნებაში გვეხმარებიან. თუ პრობლემას წმინდა ფსიქოლოგიურად მივუდგებით, შეიძლება, თქვენს წარმოსახვაში გაჩნდეს ასეთი სურათი: ქმარს ნივთებს ულაგებ, კარს ულებ და სახლიდან მიაბრძანებ... სხვათა შორის, ამის ხშირად წარმოდგენა გვეხმარება სტრესისა და აგრესიისგან გათავისუფლებაში.

თუკი ღალატის პატიების გადაწყვეტილება მიიღეთ, აუცილებელი არ არის, ქმარს ამის შესახებ მაშინვე ამცნოთ... პირიქით, კარგად უნდა მოემზადოთ, ჯერ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოთ, მერე კი შეუდგეთ სიმშვიდის დამყარებას.

რატომ აღიარა მამაკაცმა ღალატი?! ხომ აჯობებდა, გაჩუმებულიყო. ერთი შეხედვით საშინელი სისასტიკეა – ჯერ უღალატო ადამიანს, მერე მიხვიდე და მოუყვე ამ ყველაფერზე. მაგრამ, შეხედეთ სიტუაციას მეორე მხრიდან – რამ აიძულა მამაკაცი და უბიძგა გულახდილობისკენ – სინდისმა შეაწუხა? თუ ასეა, მაშინ ღალატის პატიება შესაძლებელია. ესე იგი, მამაკაცმა იგრძნო, რაც დააშავა და თქვენც მიეცით საშუალება, კარგად გაიაზროს დანაშაული... მაგრამ, ბოლომდე მაინც ნუ ენდობით მის ბოდიშებს და სინანულის მონოლოგს. მარტივად არ გამოძვრეს, თორემ, თუკი იოლად შერჩება... იოლადაც გაიმეორებს იგივეს.

## პრინცი და კონკია...

მაგალითისთვის განვიხილოთ რომანი წარმატებულ, ახალგაზრდა ბიზნესმენსა და ჩვეულებრივ, უბრალო გოგონას შორის. ის არც ეცდება, შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი. ანუ გაუჭირდება, გაუგოს ქალს, რომელსაც ფუფუნებაში არ უცხოვრია. ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის სიყვარული შეუძლებელი იქნება, მაგრამ ურთიერთობაში სირთულეები აუცილებლად გაჩნდება. ჯერ ერთი, თქვენს „პრინცს" ყოველთვის შეაწუხებს კითხვა: ნამდვილად ვუყვარვარ ჩემს „კონკიას" თუ დარბაზებში ცხოვრება მოუნდა?! სხვათა შორის, ეს საკმაოდ სერიოზული კითხვაა, რომელმაც შესაძლოა, ცხოვრება გაგირთულოთ. მით უმეტეს, თუკი „კონკია" არ იზრუნებს იმაზე, რომ თავისი სიყვარული დაუმტკიცოს. მდიდარი მეორე ნახევრის ყოლის ხიბლი, ბუნებრივია, დიდია. ვერცერთ ქალს ვერ დაძრახავ იმისთვის, რომ უნდა, უკეთესად იცხოვროს. მაგრამ ჯობია, თავიდანვე იცოდე, რის ფასად დაგიჯდება ყველაფერი. თავიდან შეიძლება, ყველაფერი მართლაც არაჩვეულებრივად იყოს, მაგრამ, რა მოხდება მერე, როცა „პრინცი" აღმოაჩენს, რომ „კონკია" პრინცესად ვერ იქცა. რომანტიკა გაივლის და იქნებ, მწარედაც ინანოთ. ასე რომ, ყველაფერი ძალიან კარგად აწონ-დაწონეთ... თორემ სიყვარული ზოგჯერ გვაბრმავებს თავისი ბრწყინვალებით და ველარ ვფიქრობთ, რა გველოდება ქორწინებაში. ისე არ აღმოჩნდეს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მიხვდეთ, როგორი სერიოზული შეცდომა დაუშვით.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რატომ ჰქონდა ელდარ შენგელაიას აკრძალული მამის ფილმების ნახვა

„არაჩვეულებრივ გამოფენაში“ თეთრი ხიდიდან გადახტომის სცენა მამას მივუძღვენი, მას უყვარდა ამ ხიდიდან გადახტომა,“ – ამბობს ელდარ შენგელაია „თავისუფლების დღიურებში“. ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას შვილებმა რეჟისორობა რომ აირჩიეს, ალბათ, გასაკვირი არავისთვის ყოფილა. ვინმეს წარმოუდგენია ქართული კინო ძმები შენგელაიების გარეშე?! მაგრამ, მაშინ მათ ჩანაფიქრს თურმე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა დედა. ქვეყანას უჭირდა, ფულს კინოზე აღარ ხარჯავდნენ და არ უნდოდა, მისი შვილები რეჟისორები გამოსულიყვნენ, ფული არ ექნებათო. ელდარს ბავშვობაში არ უყვარდა დედასთან ერთად ქუჩაში გასვლა, რადგან, დედასთან ერთად, მასაც აუცილებლად ეუბნებოდნენ კომლიმენტს: „არ მომწონდა, დედას რომ ეუბნებოდნენ ჩემზე – რა ლამაზი ბიჭიაო;“ არც ის უნდოდა, თეატრალურ ინსტიტუტში დედის გავლენით მოხვედრილიყო და დედას სთხოვა, მისაღებ გამოცდებზე არ მისულიყო – თუ მოხვალ, იცოდე, წამოვალო. ერთხელ მაინც მივიდა ქალბატონი ნატო. გადაირია ელდარი და დედას უთხრა, წავალო. მშიერი ხარ, წამოდი, რამეს გაჭმევ და მერე მიბრუნდი გამოცდაზეო. ქალბატონ ნატოს, როგორც კახელ ქალბატონს, სადილზე ერთი ჭიქა ღვინის დაყოლება ჰყვარებია და ხანდახან შვილებსაც ასმევდა. არაყი რომ დაინახა, ელდარს გაუკვირდა, მაგრამ, თურმე შვილისთვის მოუტანია – დალიე და გამოცდას უკეთ ჩააბარებო.



პირველი სიყვარული „ვგიკში“ სწავლისას ეწვია და ცოლად ულამაზესი გოგონა – არიადნა შეირთო, რომელიც შემდეგ „თეთრ ქარავანსა“ და „შერეკილებში“ გადაიღო. „შერეკილები“ და „ცისფერი მთები“ ის ფილმებია, რომლებიც თავად რეჟისორსაც ყოველი ნახვისას აღაფრთოვანებს. არიადნა შენგელაია „ევგენი ონეგინში“ თამაშის შემდეგ ძალიან პოპულარული რომ გახდა, უკვე ელდარს ეკითხებოდნენ, არიადნასი ვინ ხარო.

„შერეკილების“ გადაღებისთვის რეჟისორი მზად იყო, რომ პრობლემებს წააწყდებოდა – ეს სირთულე ცათმფრენის გაკეთება იყო, რაშიც გენერალი ნათესავი დაეხმარა – მან გასცა ბრძანება, რომ ეს პროექტი განხორციელებულიყო, რისთვისაც მოსკოვში წასვლა მოუწია. „ორსართულიან შენობაში შევედით და ლიფტით ქვევით ჩავედით და იქ დაგვხვდა კონსტრუქტორი, გვარად სატაროვი. ვაჩვენეთ თენგიზ მირზაშვილისა და თვითონ რეზო გაბრიაძის დახატული „ცათმფრენის“ ესკიზები. დაგვპირდა, ერთ კვირაში გავაკეთებო და,





მართლაც, ერთ კვირაში რკინის ჩონჩხი მზად იყო. კონსტრუქცია თბილისში ჩამოვიტანეთ. ჩუბჩიკას მამამ, რეზო მირზაშვილმა, წებოთი დააწება ყველა დეტალი, ასე მივიღეთ ცათმფრენი და ჩავიტანეთ თელავში აეროდრომზე. მოვიდა გენერალი. ეს უნდა აფრინდესო? – ეჭვის თვალით გადმოგვხედა. მერე, როცა დაინახა, რომ აფრინდა, გადაირია კაცი. ფილმი თეირანის კინოფესტივალზე აჩვენეს. დედოფალმა რომ ნახა, ძალიან მოეწონა. იქ ყოფნის პერიოდში ძალიან კარგ სასტუმროში და საუცხოო პირობებში ვცხოვრობდი. წამოსვლის დღეს საწოლზე ანგარიში დამხვდა – ათასობით დოლარი ეწერა. კინაღამ მოვკვდი ნერვიულობით, მთელი ღამე არ მიძინია. რომ გათენდა, საელჩოს თანამშრომელი მოვიდა და მეუბნება – ამ თანხით კიდევ შეგიძლიათ, რესტორნებით ისარგებლოთო.“

კინოში ასეთი კარიერის შემდეგ ბატონი ელდარის ცხოვრებაში დიდი გაანსცდელი დგება – მოხდა ტრაგედია, რომელმაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მესამე ქალიშვილი, 22 წლის ელენე (მეორე ქორწინებიდან), ავტოავარიაში დაეღუპა. „ელენე მაშინ დაიბადა, როცა „ცისფერ მთებს“ ვიღებდი, ამიტომ, ეს ფილმი მას მივუძღვენი”... რეჟისორმა თავისი ცხოვრების კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პერიოდი გაიხსენა: „საერთოდ, პოლიტიკაში არ მინდოდა მისვლა, მაგრამ, 9 აპრილმა რაღაცნაირად იმოქმედა. სობჩაკის კომისიაში აღმოვჩნდი, უფრო მეტად პოლიტიკოსი გავხდი, მოვიპოვე ხალხის გარკვეული ნდობა და თვითონ ხალხმა მოითხოვა, რომ პოლიტიკაში წავსულიყავი. შეიძლება, დიდხანს არც დავრჩენილიყავი, მაგრამ, შევხვდი ზურაბ ჟვანიას – არაჩვეულებრივ ადამიანს, ძალიან ჭკვიანს, განათლებულს... ზურაბი ჩემზე უმცროსი იყო, თუმცა, ყოველთვის ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის ჩემზე უფროსია... – ასეთი ადამიანი იყო. მისი დაღუპვის მერე დადგა მომენტი, რომელმაც ერთგვარად ნიადაგი შეუმზადა პოლიტიკიდან ჩემს წასვლას, ჩემი შვილის დაღუპვის შემდეგ კი პოლიტიკა საბოლოოდ მივატოვე.”

***

1920-იანი წლებიდან კინოში და თეატრში ძალიან საინტერესო რაღაცები ხდებოდა. კინოში მოვიდა ახალი პლეადა: რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე... შემდეგ მოვიდა ჩვენი პლეადა: ლანა ღოღობერიძე, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, საშა რეხვიაშვილი, მიხეილ კობახიძე და ჩვენ – ჩემი ძმა გიორგი და მე. დაიწყო ბრძოლა ცენზურასთან: ხანდახან ცენზურა იმარჯვებდა, ხანდახან – ჩვენ. რაღაც ხრიკებსაც მივმართავდით ხოლმე და, საბოლოოდ, ჩემი აზრით, ქართულმა კინომ უფრო ადრე მოიპოვა დამოუკიდებლობა, ვიდრე ჩვენმა ქვეყანამ – სახელმწიფოებრიობა... ყველა ხელოვანი ეძებს თავის ხელწერას. მე და ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ლიოშა სახაროვმა მოსკოვში დავდგით ორი ფილმი: „ლეგენდა გაყინულ გულზე“ და „ზამთრის ზღაპარი“. „ზამთრის ზღაპარი“ რაღაცნაირი მიახლოება იყო იმ ხელწერასთან, რომელსაც მოგვიანებით მივაგენი. იმ ფილმში თამაშობდა ევგენი ლეონოვი, რომლისთვისაც ეს როლი პირველი იყო. მერე გულმა თბილისის კინოსტუდიისკენ გამიწია. დავწერე განცხადება, მაგრამ მთელი ერთი კვირა არ მიშვებდნენ, მეუბნებოდნენ: ყველა „მოსფილმში“ მოხვედრას ნატრობს, შენ კი აქედან მიდიხარო?! მე მაინც დაჟინებით ვუთხარი, წასვლა გადაწყვეტილი მაქვს-მეთქი. ერთი კვირის მერე განცხადებაზე ხელი მომიწერეს და ჩამოვედი თბილისში. მალე მე და თამაზ მელიავამ, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი მოსკოვში, დავდგით ფილმი მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობის – „გზები და გზაჯვარედინების“ მიხედვით. მაშინ ჩვენი კინოსტუდიის დირექტორი იყო მიხეილ კვესელავა – უაღრესად განათლებული ადამიანი. სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგის პროცესზე, ის თარჯიმნად მუშაობდა. ჩვენს დასახმარებლად მან მოიყვანა მთელი იმდროინდელი მწერლობა, რომელსაც ხელისუფლება დიდად არ სწყალობდა: ნოდარ



დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, გურამ ასათიანი... ნოდარმა თქვა, არ მომწონს ეს „გზები და გზაჯვარედინები“, მოდი, „თეთრი ქარავანი დაარქვითო“. აი, ასე, ნოდარის წყალობით, ამ სურათს ჰქვია „თეთრი ქარავანი“.

„ჩვენთვის ნათელი იყო, ვისთან უნდა გვებრძოლა – მტერი იყო საბჭოთა კავშირის რეჟიმი. ჩვენი ბრძოლა იგავის ფორმით ხდებოდა. ჰემინგუეი ამბობს, ხელოვნებაში აისბერგის ზედაპირი ბრწყინავს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რაც წყალქვეშ არისო. სადაც ასე არ არის, იქ არც ხელოვნებააო, დღეს არის და ხვალ გაქრებაო. იგავი ამის საშუალებას გაძლევს. მაგალითად, ცენზურამ „შერეკილები“ მიიღო, როგორც ზღაპარი. ის,

# გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდების გარეშე




## კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი
## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლებას, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სასწავლო კურსზე, შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. იურიდიული;
2. ეკონომიკური;
3. ფინანსები;
4. მენეჯმენტი;
5. მარკეტინგი;
6. ბიზნესადმინისტრირება;
7. ჟურნალისტიკა;
8. ინფორმატიკა – პროგრამისტი;
9. საერთაშორისო ურთიერთობები;
10. ტურიზმი;
11. დიზაინი;
12. თარჯიმანი;
13. ეკოლოგია;
14. პოლიტოლოგია;
15. ბიოლოგიური;
16. ზოგადი მედიცინა;
17. ფარმაცია;
18. ფსიქოლოგია;
19. სტომატოლოგიური;
20. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი;
21. პედაგოგიკა და მეთოდიკა;
22. უცხო ენა;
23. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
24. სატრანსპორტო;
25. საინჟინრო;
26. ფინანსები და საბანკო საქმე.

*გაიცემა საერთაშორისო ხარისხის ბაკალავრის დიპლომი, რომელიც აღიარებულია 193 ქვეყანაში.*

ჩვენთან ჩარიცხულ ყველა სტუდენტს, პირველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შეუძლია ყოველგვარი გამოცდების გარეშე, სწავლა გააგრძელოს საქართველოში აკრედიტებულ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

**ბიჭები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან.**

შპს „კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი“ არის უკრაინისა და სომხეთის ქვეყნებში აკრედიტებული უნივერსიტეტის ოფიციალური პარტნიორი და წარმომადგენელი საქართველოში.

**სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.**

**სწავლის საფასური შეადგენს:**

**სომხეთი**

დაუსწრებელი – 2 250 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 650 დოლარი

**უკრაინა**

დაუსწრებელი – 2 650 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 950 დოლარი

**გადახდა შესაძლებელია ყოველთვიურად 200 აშშ დოლარიდან**

**შესაძლებლობა გაქვთ, ისარგებლოთ სტუდენტური სესხით.**

სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია.

*მიმდინარეობს საბუთების მიღება შემდეგ მისამართებზე:*

**ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47 (ყოფილი პავლოვი), მე-4 სართული, ოთახი 420. მეტრო „დელისის“ მოპირდაპირე მხარეს**

**ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №17, მე-2 სართული**

**ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №95**

**ტელ.: 577-717-444; 596-50-40-50.**

**www.ceu.ge**


რაც „წყალქვეშ“ იყო, ანუ, სწრაფვა თავისუფლებისკენ – ვერ გაიგეს და ამგვარად ფილმი ეკრანებზე გამოვიდა. საერთოდ, ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა რეზო გაბრიაძემ. რეზოსთან მოვნახე ის ხელწერა, სადაც იუმორია, სევდიანი იუმორი და, ამავე დროს, ეს წყალქვეშა შრეც არის: ვინც გაიგებს – გაიგებს; ვინც ვერა – ვერა. სხვათა შორის, თითქმის ყველა ჩემი სურათის რედაქტორი იყო რეზო ჭეიშვილი, მერე კი ჩვენ ერთად დავდგით სამი სურათი: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები“ და „ექსპრეს-ინფორმაცია“. რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „ცისფერი მთები“. შეიკრიბა ძალიან კარგი დასი: რამაზ გიორგობიანი, ძალიან კარგი მსახიობი და რეჟისორი; თემიკო ჩირგაძე, ჩირგო (რომელმაც, ჩემი აზრით, არაჩვეულებრივი სახე შექმნა და ბევრი რეპლიკა თვითონ მოიგონა (მაგალითად, „ძალიან კარგი!“) და, რა თქმა უნდა, სესილია თაყაიშვილი! მისი გადაღება რომ გადავწყვიტე, ვესტუმრე სახლში, მივეცი სცენარი და ვუთხარი, მინდა, ეს როლი შეასრულოთ-მეთქი. შენ გიჟი ხომ არა ხარ, ხვალზეგ საიქიოს გზას უნდა გავუყვე, რაღა დროს ჩემი თამაშიაო! მე ვუთხარი, რატომ, მშვენივრად გამოიყურებით, მაგრამ, თუ არ გინდათ, რას ვიზამ, სხვას მოვძებნი-მეთქი. სცენარს მაინც დაგიტოვებთ, წაიკითხეთ და, რომ მოვალ, მირჩიეთ, ვინ გადავიღო-მეთქი, – ვუთხარი დამშვიდობებისას. რამდენიმე დღეში ჩემს სახლში გაისმა ტელეფონის ზარი – ქალბატონი სესილია რეკავდა. მითხრა, მოდი ჩემთანო. მივედი და დამხვდა ზუსტად ისეთი, როგორიც „ცისფერ მთებშია“! ვუთხარი, დეიდა სესილია, მე ზუსტად ეს მინდამეთქი! ჰო, რა ვიციო... დავპირდი, არ გაგაწვალებთ, სულ რამდენიმე წუთში გადაგიღებთ-მეთქი და დავითანხმე. მართლაც ასე იყო: ლევან პაატაშვილი, არაჩვეულებრივი ოპერატორი, აწყობდა მიზანსცენას, აყენებდა სინათლეს, ყველაფერს ამზადებდა და, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვყავდა ქალბატონი სესილია, რომელიც უკვე საავადმყოფოში იწვა. ექიმების თანხლებით მოდიოდა, სულ ათ წუთში გადავიღებდით და ისევ საავადმყოფოში წავიყვანდით ხოლმე. დადგა პრემიერის დღე. ქალბატონ სესილიას ძალიან არ უყვარდა ხალხში გამოსვლა და კინოს სახლში სცენაზე არც გამოსულა; იჯდა პარტერში და, როცა სცენიდან მისი გვარი გამოვაცხადე, ხელის დაქნევით დამემუქრა – მე შენ გაჩვენებ სეირს, რატომ გამომაცხადეო. სურათი რომ დამთავრდა, მითხრა, ვერაფერი ვერ გავიგეო – ცოტა ყურთ აკლდა. მე ვუთხარი, ძალიან ცუდი





ასლი იყო, ხვალ გამოგივლით და კარგ ასლს გაჩვენებთ-მეთქი. მართლაც, ხმას ისე ავუწიეთ, რომ ხალხი ლამის დაყრუვდა... მერე კიდევ ერთი ჩვენება იყო ფილარმონიაში, სადაც ახლა საკონცერტო დარბაზია. ძლივს დავითანხმე, რომ მოსულიყო. მოსვლით მოვიდა, მაგრამ, მკაცრად გამაფრთხილა, ხმის ამომღები არა ვარო. მთელი ჯგუფი გამოვიდა, ყველა სათითაოდ წარვადგინე და ბოლოს ვთქვი, ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა გელით-მეთქი... და, გამოვიდა ქალბატონი სესილია! ხალხი წამოდგა, ატყდა ტაში! ძალიან უყვარდა ყველას! მიართვეს ვარდები... მერე ჩავსვით მანქანაში და წავიდა ჩვენგან, წავიდა ცხოვრებიდანაც – სულ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა”.

„მე მამაჩემის ფილმები ნანახიც არ მქონდა, რადგან, თითქმის ყველა აკრძალული იყო: „ელისო“, „26 კომისარი“, „ნარინჯის ველი“. იმ ფილმებში თამაშობდა მიხეილ გელოვანი, რომელიც მოგვიანებით სტალინის როლს ასრულებდა. როგორც კი გელოვანმა სტალინის თამაში დაიწყო, ყველა მისი ადრინდელი ფილმი აიკრძალა. ამიტომ, „ელისო“ მხოლოდ მაშინ ვნახე, როცა „ვგიკში” ჩავაბარე. ახლა ყველაფრის საშუალება არის“.

**ეკა პატარაია**



## უპირატესობა მიანიჭეთ იმ პროდუქტებს, რომლებიც ამცირებს კიბოს რისკს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ებრძვის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს

თუ ჯანმრთელი ცხოვრების წესს დაიცავთ, დიდხანს იცოცხლებთ და თან, დაავადებებსაც აარიდებთ თავს. ამიტომ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ქვემოთ ჩამოთვლილი რჩევები.

* მეტი იმოძრავეთ. სიარული დიაბეტისა და გულის დაავადებების რისკის შესამცირებლად მარტივი საშუალებაა. მოერიდეთ სტრესს და ხშირად არ იწუწუნოთ.

* კარგად გამოიძინეთ. დასაძინებლად მაშინ დაწექით, როცა ამის საჭიროებას იგრძნობთ. უძილობის თავიდან ასაცილებლად, დაწოლამდე რამდენიმე ხნით ადრე, თაფლიანი წყალი მიირთვით და წყნარ, მშვიდ მუსიკას მოუსმინეთ. კარგია დაძინებამდე სუფთა ჰაერზე გასეირნება.

* ხშირად გაიღიმეთ და იხუმრეთ. იუმორი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

* ყოველთვის მიირთვით მშვიდ გარემოში და საუზმეს ნუ გამოტოვებთ, რადგან ის კონცენტრაციის ერთადერთი მასტიმულირებელი საშუალებაა. ჭამეთ სალათები, თევზი. მოხარშული ან შემწვარი პროდუქტი აუცილებლად უმ პროდუქტს შეუხამეთ – მაგალითად, 100 გრამი ხორცი და 200 გრამი ქორფა სალათა. შაქარი თაფლით შეცვალეთ, რადგან ენერგიის ეს შესანიშნავი წყარო ვიტამინებისა და მინერალების საბადოა. ნუ შეჭამთ ძალიან ცივ ან ძალიან ცხელ კერძს, რადგან ეს მავნებელია კუჭისა და კბილებისთვის.

* ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ 1 ჭიქა წყალი, კვირაში ერთ დღეს კი მხოლოდ წყალი სვით და უმი ბოსტნეული მიირთვით. ეს ორგანიზმის გაწმენდაში დაგეხმარებათ.

* უპირატესობა მიანიჭეთ იმ პროდუქტებს, რომლებიც ამცირებს კიბოს რისკს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს და ებრძვის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ასეთებია: პომიდორი, ისპანახი, ბროკოლი, სტაფილო, ნიორი, ვაშლი, ყურძენი, ქლიავი, მოცვი და ასე შემდეგ.

*გრილი აბაზანა არა მარტო ებრძვის მთელი დღის განმავლობაში დაგროვილ სტრესს, არამედ, ზოგიერთი დაავადებისგან თავის დაღწევაშიც გვეხმარება. აბაზანები ადამიანის ორგანიზმზე მატონიზებელ ზემოქმედებას ახდენს, რის გამოც ძილის წინ მის მიღებას ნამდვილად არ გირჩევთ.

*სწრაფად გახდომის მსურველებზე ეფექტურად და დადებითად მოქმედებს სპეციალური კონტრასტული აბაზანები. მათი საშუალებით ადამიანი დღეში 300-დან 400 გრამამდე იკლებს. აბაზანა ჭამიდან ორი საათის შემდეგ უნდა მიიღოთ და მისი ხანგრძლივობა ნახევარ საათს არ უნდა აღემატებოდეს.

*გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადების, თირკმლისა და ღვიძლის მწვავე ანთებითი პროცესებისა და თრომბოფლებიტის დროს, წყლის აბაზანების მიღება არ არის რეკომენდებული.

*მარილის აბაზანა ხსნის კუნთებისა და სახსრების ტკივილს, ამცირებს ტრავმების ნეგატიურ შედეგებს, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე. მას მიკრომასაჟის თვისებაც აქვს, ააქტიურებს წვრილ კაპილარებში სისხლის მიმოქცევას. წყალში გახსნილი მარილის ნაწილაკები კანიდან შეიწოვება და ქმნის ეგრეთ წოდებულ მარილოვან საფარს, რომელიც მოქმედებას პროცედურის შემდეგაც განაგრძობს. მარილის აბაზანა ასე უნდა მოამზადოთ: 5 სადილის კოვზი სუფრის ან ზღვის მარილი გახსენით ცხელ წყალში და შემდეგ, სასურველ ტემპერატურამდე გააზავეთ ცივ წყალში.

*წიწვოვანი მცენარეების ექსტრაქტის აბაზანა ამშვიდებს ნერვებს, ადუნებს კუნთებს, ხსნის სისხლძარღვთა სპაზმებს და საგრძნობლად აუმჯობესებს ორგანიზმის მდგომარეობას, მით უმეტეს, კლიმაქსურ პერიოდში.

## ასაკის მატებასთან ერთად ჭამეთ ბევრი შავი ქლიავი, ხაჭო, ყველი, ისპანახი და ბოლოკი

ასაკთან ერთად მკვეთრად იზრდება ოსტეოპოროზის განვითარების რისკი. მას თავიდან აიცილებთ, თუ პროფილაქტიკისთვის ხალხურ მედიცინაში აპრობირებულ მეთოდებს გაითვალისწინებთ. მაგალითად, მოხარშეთ 7-8 ცალი კვერცხი და გაფცქვენით. ნაჭუჭს მოაშორეთ აპკი, ნაჭუჭი კარგად გააშრეთ და დაფქვით. დააწვეთეთ ლიმონის 2-3 წვეთი და მიიღეთ დღეში ერთხელ. მკურნალობის კურსი სამი კვირაა.

ჩვენი საკვები რაციონი ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური მარილებისა და ბალასტური ნივთიერებებისგან შედგება, არადა, ხანდაზმულობის დროს აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების ოპტიმალური ბალანსის დაცვა.

ასაკის მატებასთან ერთად, ფერხდება ორგანიზმის მიერ ნახშირწყლების ათვისება. მათ სიჭარბეს კი შეიძლება, შაქრიანი დიაბეტის განვითარება მოჰყვეს. ამიტომ, შეამცირეთ თქვენს რაციონში ცომეულის, ბრინჯისა და შაქრის შემცველი პროდუქტების მიღება. შეგიძლიათ, ისინი ჩაანაცვლოთ ჩირით, ნაკლებად ცხიმიანი ყველით და ასე შემდეგ.

რძის პროდუქტებიდან აუცილებელია მაწონი და ხაჭო. ისინი ხელს უშლის ნაწლავებში ლპობის გამომწვევი მიკრობების წარმოქმნას, არეგულირებს წვრილი ნაწლავის მუშაობას, ებრძვის კოლიტს და ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს.

ცხიმები ეცადეთ, შეამციროთ. ჭამეთ რაც შეიძლება ნაკლები ქოლესტერინის შემცველი პროდუქტი, მაგალითად, ღვიძლი, ენა, კვერცხის გული. ხშირად გამოიყენეთ მცენარეული ცხიმი და მოერიდეთ ცხოველური ცხიმების მოხმარებას.

ასევე, ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება ორგანიზმის მოთხოვნა მინერალურ მარილებზე, კერძოდ, რკინაზე, მაგნიუმზე, კალციუმსა და სელენზე. ამ ელემენტებს კი დიდი რაოდენობით შეიცავს ქლიავი, ყველი, ყვავილოვანი კომბოსტო და გარგარის ჩირი.

იმისთვის, რომ ორგანიზმი საკმარისი ვიტამინებით მოამარაგოთ, ხშირად მიირთვით ბოსტნეული, კერძოდ, ნიორი, ხახვი, სტაფილო, კომბოსტო, მწვანილი, წიწაკა; ასევე, ჟოლო, ცირცელი და ასე შემდეგ, რადგან მათში ბევრია ბეტა-კაროტინი, B, C და E ვიტამინები.

ბალასტური ნივთიერებებით კი მდიდარია ქატო და მარცვლეული. ეს პროდუქტები მკვეთრად აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამცირებს ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს.

ისპანახი ბევრ მნიშვნელოვან, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. კერძოდ: ცილას, კაროტინს, $B_1$, D, E და K ვიტამინებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს, კალიუმს, კალციუმს, რკინასა და იოდს. ასეთი შემადგენლობის გამო, ის დიეტურ საკვებად გამოიყენება. ისპანახი კარგია ანემიის, ყაზბობისა და მეტეორიზმის დროს. გარდა ამისა, ის რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.

ისპანახს აქვს ანტირაქიტული ზემოქმედება. ის დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. გამოიყენება პარადონტოზის საწინააღმდეგოდაც.

ისპანახი არ შეიძლება მათთვის, ვინც დაავადებულია ნიკრისის ქარით, ღვიძლისა და თირკმლის პათოლოგიით.

ბოლოკში კი, ბევრი უჯრედისია. აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, აკავებს მიკროორგანიზმების ზრდას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, ამაგრებს კაპილარებს. განსაკუთრებით სასარგებლოა ზეთმოსხმული ბოლოკი. იმ სალათებს კი, რომელშიც ბევრია კამა, ოხრახუში და სხვა სანელებლები, ორგანიზმი იოლად ითვისებს.

## დააკვირდით სარკეში თქვენს სახესა და ტანს და მიხვდებით, რომელი შინაგანი ორგანო ითხოვს შველას

*ზურგის ზედა ნაწილში გამონაყარი იმაზე მიანიშნებს, რომ ლიმფური ქსოვილები წესრიგში არ არის. გამონაყარი ზურგის შუა ნაწილში კი, ღვიძლის ფუნქციის დარღვევებზე მეტყველებს. ღამით ღვიძლი აქტიურად მუშაობს. ამ ორგანოს მთავარი მიზანი ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნაა. სწორედ ეს ტოქსინები ხდება გამონაყარისა და სახის ფერის ცვლილების მიზეზი. ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ ძილის ხარისხსა და სწორ კვებას. ასევე, გირჩევთ, ყოველდღიურად დალიოთ მინერალური წყალი.

* სახის ქვედა ნაწილში გამონაყარი ენდოკრინული პრობლემების ნიშანია, ასევე, შესაძლოა, საკვერცხეების დაავადებითაც იყოს გამოწვეული. ასეთი დარღვევები ამ ორგანოების დაძაბვაზე მეტყველებს.

* თუ გამონაყარი შუბლზე, ცხვირზე ან ზედა ტუჩზე ჩნდება ხშირად, ეს ნაწლავების დაავადების ბრალია. თუ ნაწლავის პრობლემებს დროზე მიხედავთ, გამონაყარიც გაქრება.

* თვალების ქვემოთ, უპეების შესიება საშარდე ბუშტის ანთებას მოასწავებს. თვალების ქვეშ შავი რგოლები – ღვიძლის პრობლემის ბრალია, ხოლო მოლურჯო შეფერილობის რგოლები – თირკმელების დაავადების ნიშანი.

## ღვიძლს არ უყვარს ცხიმიანი, შემწვარი, მწარე და შებოლილი პროდუქტები

ღვიძლის უჯრედებში შეუწყვეტლივ მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია – ალკოჰოლის გადამუშავება, ტოქსინების გამოდევნა, გლუკოზის მარაგის შექმნა და მისი გაცემა, ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების წარმოქმნა და ცვლა, ნაღვლის გადამუშავება და ასე შემდეგ. ასევე, ღვიძლის უჯრედებს შესწევს აღდგენის უნარი, მაგრამ ეს – გარკვეულ ზღვრამდე. ალკოჰოლმა, ზოგიერთმა წამალმა, ვირუსებმა, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ღვიძლს, რაც მაშინვე აისახება მთელ ორგანიზმზე – იცვლება სახის ფერი, ირღვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობა, პირის ღრუში ჩნდება უსიამოვნო სუნი. ამ დროს სასწრაფოდ უნდა ჩაიტაროთ სისხლის ბიოლოგიური ანალიზი და ულტრაბგერითი გამოკვლევა. ასევე, აუცილებელია ანალიზი ჰეპატიტის ვირუსზე.

თუ ალკოჰოლს დიდი რაოდენობით მიიღებთ, ღვიძლში ირღვევა ცვლის პროცესი, უჯრედები კვდება და ვითარდება ციროზი. ამიტომ, ეცადეთ, არ გადატვირთოთ ღვიძლი ალკოჰოლით. ასევე, არ ჭამოთ ცხიმიანი, შემწვარი, მწარე და შებოლილი პროდუქტები დიდი რაოდენობით.

ახალი ხილი, ბოსტნეული და მარცვლეულის ქატო ღვიძლის კარგი და ბუნებრივი გამწმენდია. ეს ყველაფერი შეიცავს ბევრ უჯრედისს და პექტინურ ნივთიერებას. ისინი ორგანიზმიდან გამოდევნიან მძიმე ლითონებსა და ტოქსინებს.

## დღის რომელი ნაწილია ორგანიზმის დასვენებისა და აქტიურობისთვის უკეთესი

დღის გარკვეულ მონაკვეთში აღწევს ჩვენი ორგანიზმის ფიზიკური ძალები მაქსიმუმს. ამიტომ, თუ იცით, რომელ დროს, როგორ იმოქმედოთ, ამით ძალიან დაეხმარებით თქვენს ჯანმრთელობას – ღრმა სიბერემდე ნათელ გონებას, ენერგიასა და შრომისუნარიანობას შეინარჩუნებთ.

ადამიანის ყველა შინაგანი ორგანო, მათ შორის ტვინიც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში კარგად რომ გემსახუროთ, დღეში სამჯერ მაინც უნდა ივარჯიშოთ. სხვათა შორის, სწორედ დღეში სამჯერ აღწევს ორგანიზმის ფიზიკური ძალები მაქსიმუმს და ასევე, დღეში სამჯერ დგება დაღლილობის პერიოდიც.



ეს პერიოდები უნდა იცოდეთ და გაითვალისწინოთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სწორად დაგეგმოთ ნებისმიერი ნაბიჯი.

* დღის ორი საათიდან ოთხ საათამდე არ არის რეკომენდებული საქმესთან ჯდომა, რადგან ამ დროს ორგანიზმი უდიდეს დატვირთვას განიცდის.

* სწავლის, ინტელექტუალური განვითარებისა და სხვა დატვირთვისთვის საუკეთესო დროა 4-დან ექვს საათამდე.

* ყველაზე აქტიური და შრომისუნარიანი პერიოდი ათიდან თორმეტ საათამდე დგება. ამ დროს კარგია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების მოგვარება, ხელშეკრულებების დადება და პარტნიორებთან მოლაპარაკებები.

* ფიზიკური შრომისთვის კარგია სამიდან ოთხ საათამდე პერიოდი. ამიტომ, ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი ფიზიკური სამუშაო სწორედ ამ მონაკვეთში უნდა შეასრულოთ.

* სპორტს დაუთმეთ დღის პირველი ნახევარი. ამ დროს ვარჯიში გაცილებით დადებით შედეგს მოგიტანთ.

* დღის პირველი საათიდან ორ საათამდე აუცილებელია საკვების მიღება. ამით თავიდან აიცილებთ კუჭისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებს.

* შვიდი-რვა საათიდან ათ საათამდე შეგიძლიათ, უყუროთ ტელევიზორს ან იკითხოთ. ამით, ღამით მშვიდი ძილისთვის კარგ პირობას შეიქმნით.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მყავს 80 წლის დედა. 40 წელია, ჰიპერტონიკია და რეგულარულად იღებს წნევის დასაწევ წამლებს. 2 წლის წინ დაეწყო მარჯვენა ტერფის ტკივილი, შემდეგ თითი გაულიზიანდა და დაუწყლულდა. სისხლძარღვების შევიწროების დიაგნოზი დაუსვეს. მედიკამენტურმა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო, ოპერაციას კი ვერ გავუკეთებთ ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. იქნებ არსებობს ამ პრობლემის მკურნალობის ხალხური მეთოდები?**

**პასუხი:** ჩვენი რჩევა იქნება, მიმართოთ ანგიოლოგს და იმოქმედოთ მისი რეკომენდაციით. მხოლოდ ასე შეძლებთ ისეთი სერიოზული გართულების თავიდან აცილებას, როგორიცაა განგრენა. ხალხური მედიცინა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს.

**კითხვა: ვარ 25 წლის ქალი. ამ ბოლო დროს მაწუხებს მუხლების ტკივილი, განსაკუთრებით დილაობით, როცა კიბეზე ჩავდივარ. შეიძლება ეს იყოს სიმძიმის ბრალი? ორსულობის შემდეგ მოვიმატე 20 კილო, ახლა ვარ 80 კილო.**

**პასუხი:** მიზეზი მართლაც, ზედმეტი წონის ზემოქმედებით, სახსრების დატვირთვა უნდა იყოს. ეცადეთ წონა შეამციროთ.

**კითხვა: 2-3 თვის წინ ქუჩაში ჩხუბის დროს თვალში ძლიერად მომხვდა. ამის შემდეგ მარჯვენა თვალში რაღაც წერტილი გამიჩნდა, ანუ მწერივით რაღაც და საითაც ვიყურები, იქით მიდის. როგორ შეიძლება მისი მკურნალობა? ან რა სირთულე შეიძლება გამოიწვიოს?**

**პასუხი:** აუცილებლად მიმართეთ ოფთალმოლოგს. შემოწმების გარეშე ტრავმის ხარისხის დადგენა შეუძლებელია.

**კითხვა: ზღვაზე თვალებზე კენჭები დავიდე. 10 წუთის შემდეგ თვალები რომ გავახილე, ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი. ასე გაგრძელდა 10 წუთი. მერე გამიარა. რამე სერიოზული გართულება ხომ არ მოჰყვება ამას?**

**პასუხი:** თუ ქუთუთოების დამწვრობა არ აღგენიშნებათ, არც მხედველობის რაიმე დისკომფორტს უჩივით, მაშინ არ არის საჭირო ექიმს მიმართოთ. იმედია, მომავალში მსგავს ქმედებას არ გაიმეორებთ..

**კითხვა: დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის საშუალო ზომის თიაქარისა და კარდიის უკმარისობის დროს, შეიძლება თუ არა მუცლის პრესის ვარჯიშების გაკეთება?**

**პასუხი:** მუცლის პრესის ვარჯიშების გაკეთება ამ დროს სასურველი არ არის.

**კითხვა: ჩემს სამწლინახევრის გოგონას, რომელიც საკმაოდ გონიერი და ჭკვიანია, ლაპარაკობს გამართულად, ღამით არ ეღვიძება შარდვის დროს და ვაცმევ პამპერსს. მე უნდა ვასწავლო ღამით გაღვიძება, თუ ეს თვითონ უნდა გააკეთოს? რას მირჩევთ?**

**პასუხი:** პირველადი ღამის ენურეზი, ძილის დროს შარდის ბუშტის უნებლიე დაცლაა, რაც კვირაში ორჯერ მაინც ხდება. ასეთ დიაგნოზს, წესისამებრ, უსვამენ 5 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებს, რომლებსაც ჩვილობიდანვე არ ჰქონიათ მშრალი პერიოდი და არ აღენიშნებათ საშარდე სისტემის ორგანოთა დაზიანება. ვინაიდან 5 წლამდე ღამის ენურეზი ჩვეული მოვლენაა და პათოლოგიად არ მიიჩნევა, მის მკურნალობას 5 წლიდან იწყებენ. აღსანიშნავია, რომ ენურეზის დროს ხშირია სპონტანური გამოჯანმრთელება. ასე, რომ თუ გამოღვიძების ჩვევა ბავშვს არ ჩამოუყალიბდა 5 წლის ასაკისთვის, უნდა მიმართოთ ექიმს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# სერგო ორჯონიკიძის რა საიდუმლო აუწყა ბერიამ სტალინს



სტალინის პირველი დიდი იუბილე 1929 წლის 21 დეკემბერს გაიმართა, რომელიც მთელმა ქვეყანამ დიდი ერთსულოვნებით აღნიშნა. თავად ბელადი ამის მომხრე არ ყოფილა, მაგრამ ეს საკითხი პოლიტბიურომ ერთხმად მიიღო და მიუხედავად სტალინის საკმაოდ აქტიური პროტესტისა, დადგენილება არავის შეუცვლია. ქვეყანა საამისოდ ორ თვეს საგანგებოდ ემზადებოდა და ამ ხნის განმავლობაში სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე წიგნი გამოიცა. მასში ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები, ძველი ბოლშევიკები დოკუმენტური სიზუსტით აღწერდნენ ბელადის საქმიანობის დეტალებს. გარდა ამისა, ასობით ქალაქს, სოფელს, საწარმოს, გემსა და თვითმფრინავს მიენიჭა სტალინის სახელი. მრავალი სპექტაკლი შეიქმნა მის ცხოვრებაზე, ხოლო კინოდოკუმენტალისტებმა მასზე უნიკალური მასალა გადაიღეს, რომელიც დღემდე სპეცარქივშია „ჩამარხული“ და თუ როდის იხილავს მას ფართო საზოგადოება, არავინ უწყის. საქმე ისაა, რომ, როდესაც სტალინის იუბილეს აღნიშვნის საკითხი გადაწყდა, მასზე დოკუმენტური ფილმის შექმნის იდეა წამოიჭრა და საამისოდ „ქრონიკიორთა“ (ასე ერქვათ მაშინ კინოოპერატორებს) სპეციალური ჯგუფი შეიქმნა. მათ ფარულად უნდა გადაეღოთ ფოტომასალა სტალინზე და შემდეგ სიურპრიზის სახით ეჩვენებინათ მისთვის. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს, როგორც ჩვენთან, ასევე „გეპეუსთან“ შეთანხმებული იყო და მკაცრად კონტროლდებოდა. იაგოდა და ვლასიკი კი ამ ნაბიჯზე სერგო ორჯონიკიძის დაჟინებული თხოვნისა და პოლიტბიუროს წევრთა წერილობითი დასტურის შემდეგ წავიდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, მათ სტალინთან შეთანხმების გარეშე, მისი ფარული გადაღებისთვის უნდა შეეწყოთ ხელი. თუმცა, ეს ყოველივე ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს მიერ იყო სანქცირებული, ვლასიკიცა და იაგოდაც საკმაოდ შეშინებულები იყვნენ. ფილმის შექმნის იდეა კი თავად ორჯონიკიძეს ეკუთვნოდა, რომელმაც ჯერ პოლიტბიუროს წევრები დაარწმუნა, შემდეგ კი პირადად ესაუბრა იაგოდასაც და ვლასიკსაც. ორჯონიკიძე სტალინის მეგობარი იყო და პოლიტბიუროს ყველა დანარჩენი წევრისგან განსხვავებით, განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

„თავებს დაგვაყრევინებს“, – უთქვამთ ვლასიკსა და იაგოდას ორჯონიკიძისთვის. მას კი ორივე დაუიმედებია: „ნუ გეშინიათ, ის არც ისეთი სასტიკია, როგორც გეჩვენებათ“. შემდეგ კი ხუმრობით დაამატა: „ის არა, მაგრამ მე კი ნამდვილად ვერ გადამირჩებით ორივე“. ერთი სიტყვით, სტალინის მოშიში ხელქვეითების დაყოლიება ორჯონიკიძემ მაინც შეძლო და მუშაობაც გაჩაღდა. მე თავად შევსწრებივარ ამ გადაღებებს. ვლასიკისგან მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულები, რომ ენაზე კბილი დაგვეჭირა და რასაც ვხედავდით, არავისთვის გაგვემხილა. „ქრონიკიორები“ საკმაოდ შენიღბულად მოქმედებდნენ და თითოეულ გადაღებაზე სამი კამერა მუშაობდა. იღებდნენ თითქმის ყველგან – კრემლში, ზუბალოვოში, სხვადასხვა შეხვედრაზე, შავიზღვისპირეთში. იმ პერიოდში მე იმ კადრებს ვინ მაჩვენებდა და მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ მოვახერხე ამ უნიკალური კადრების ნახვა, რომელიც თორმეტ საათზე მეტ ხანს მოიცავს (რა თქმა უნდა, მონტაჟის გარეშე). თავად ფილმი კი ზუსტად ერთსაათიანია და იმდენად ბრწყინვალედაა შესრულებული, რომ დღესაც კი (1974 წელი) მსგავსი არაფერი შექმნილა. იქ არის ერთი უნიკალური ეპიზოდი, როდესაც ზუბალოვოში სტალინი თავის შვილებსა და მათ მეგობრებს ეთამაშება. ამ კადრებზე სტალინი იმდენად სხვანაირია, რომ მის მნახველებს, შესაძლოა, მსახიობიც კი ეგონოთ. ერთ ეპიზოდში სტალინი დაოთხილი დგას. მას ზურგზე სვეტა აზის, მიქოიანის ბიჭი კი მოხრილია და ცხვირი ცხვირზე აქვს მიდებული მისთვის. ერთი სიტყვით, როდესაც ეს ფილმი სტალინს აჩვენეს, ყველაზე მეტი ამ სცენაზე უცინია. იქ არის კიდევ ერთი უნიკალური კადრი, როდესაც სტალინი თავის აგარაკზეა გაგრაში და ზღვაში ცურავს. ეს პერიოდი მეც კარგად მახსოვს, რადგან იქ ვიმყოფებოდი და ბელადის უშუალო უსაფრთხოება მევალებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ სტალინი მშვენივრად ცურავდა და დასვენებისას დიდ დროს უთმობდა ამ საქმიანობას. ჩემ მიერ ხსენებული ეპიზოდის დროს სტალინი წყლიდან ამოვიდა, მყვინთავის მოწყობილობა ჩაიცვა, „გორპუნი“ (წყლის თოფი) აიღო და ჯერ ზღვაში შეცურდა, შემდეგ კი ჩაყვინთა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, იღებდნენ. უეცრად სტალინი წყლის ზედაპირზე ჩნდება, ნაპირისკენ მოცურავს და როდესაც გამოდის, თავზე უზარმაზარი თევზი აწევს, რომელიც „გორპუნის“ ისრითაა განგმირული. მოგვიანებით, ეს თევზი ავწონეთ და 23 კილოგრამი გამოვიდა. სხვათა შორის, შავიზღვისპირეთში გადაღებული კადრები ამ ფილმში ყველაზე კარგია. იმ პერიოდში, ანუ 1929 წლის აგვისტოში, ლავრენტი ბერია საქართველოს „ჩეკას“ მაღალჩინოსანი იყო და სტალინის დაცვის უზრუნველყოფა პირადად მას ევალებოდა. სტალინთან მისი დაახლოების პირველი ეტაპი სწორედ იმ პერიოდს მოიცავს. მშვენივრად მახსოვს, როგორ ცდილობდა ბერია სტალინთან დაახლოებას და მისი მოწონების დამსახურებას. ბერია იმ პერიოდში საკმაოდ გამხდარი, მოძრავი ახალგაზრდა იყო. ამასთან, სულ იღიმებოდა, თუმცა, ეს ღიმილი საკმაოდ ავისმომასწავებელი იყო. ძალზე ხშირად ბერია სტალინთან განმარტოებას ახერხებდა და რაზე საუბრობდნენ ისინი კონკრეტულად, არავინ უწყის. თუმცა, სტალინის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ბერია დააწინაურეს. საგულისხმოა, რომ, როცა სტალინის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვში მოწვეული სტუმრების სია წარუდგინეს ბელადს, იქ მან საკუთარი ხელით ჩაამატა – ლავრენტი ბერია.

## კინოდოკუმენტალისტებმა მასზე უნიკალური მასალა გადაიღეს, რომელიც დღემდე სპეცარქივშია „ჩამარხული“

ერთი სიტყვით, სტალინზე გადაღებული მასალის მონტაჟი ნოემბრის ბოლოს დასრულდა და ფილმი მზად იყო. ორჯონიკიძის ინიციატივით ეს ფილმი სტალინისთვის 21 დეკემბერს ზუბალოვოში უნდა ეჩვენებინათ. მოკლედ, სტალინის იუბილემ ბრწყინვალედ ჩაიარა, იყო უამრავი მილოცვა და ყველასგან გასაკვირად, სტალინმა ბერიაც მიიწვია ზუბალოვოში. ფილმი უკვე ადგილზე იყო და ორჯონიკიძის იდეის მიხედვით, ერთ-ერთი სადღეგრძელოს შემდეგ მას სტალინისთვის უნდა ეთქვა: ახლა კი, მეგობრებო, სტალინის სახე ყველამ ერთად ვნახოთო და სიურპრიზიც უნდა ეჩვენებინა. ზუბალოვოში სულ 40-მდე ძალიან ახლობელი ადამიანი შეიკრიბა. და მათ შორის ბერიას გამოჩენა უჩვეულო იყო. თუმცა, გაოცება სტუმრებს ჯერ კიდევ წინ ელოდათ. ჩვეულებისამებრ, სტალინის ყველა წვეულებას ორჯონიკიძე თამადობდა და ამჟამადაც დარწმუნებული იყო, რომ ეს მისია არ ასცდებოდა. როდესაც სტუმრები სუფრას მიუსხდნენ, სტალინმა სასმისი ასწია და წარმოთქვა: მეგობრებო, დღევანდელ სუფრას გაუძღვება ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი საქართველოდან, ამხანაგი ლავრენტი ბერია. გთხოვთ, პატივი ვცეთ მას და მისი სადღეგრძელო შევსვათ. სუფრა გაირინდა, თუმცა ყველამ შესვა ბერიას სადღეგრძელო, მან კი სამადლობელის ნაცვლად, სტალინის სადღეგრძელო შესთავაზა სტუმრებს. ცოტა ხნის შემდეგ სიტყვა ორჯონიკიძემ ითხოვა, რათა წინასწარ დაგეგმილი ჩანაფიქრი განეხორციელებინა და სიურპრიზი შეეთავაზებინა თანამესუფრეებისთვის, მაგრამ სტალინმა უეცრად ხმამაღლა თქვა: „რა სულ ჩემზე და ჩემზე – მოდი, სხვა რამეზე, თუნდაც კინოზე ვისაუბროთ, ან სულაც, რომელიმე ფილმი ხომ არ გვენახა, თუნდაც დოკუმენტური? ამ სიტყვებით მან ბერიას გადახედა და შემდეგ განაგრძო: ამხანაგებო, სერგოს, თურმე, სცენარისტობა და რეჟისორობა განუზრახავს, უფრო სწორედ კი, უკვე დაუწყია და ამბობენ, წარმატებებსაც მიაღწიაო. მოდი, ერთი ვნახოთ, როგორ გამოვიყურები შავი ზღვის ფონზე“. საქმეში ჩახედულები გაშრნენ, ჩაუხედავები ცნობისმოყვარეობით აცეცებდნენ თვალებს, ხოლო სერგო ორჯონიკიძე მწველ მზერას არ აშორებდა სუფრის თამადას, რომელიც სტალინს შესციცინებდა თვალებში. ნათელი იყო, რომ ფილმის გადაღების საიდუმლო ამბავი სტალინს ბერიამ აუწყა.

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ლაშაურმა**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბეღელაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეღელა**.

**ბეღელი** პურეულის შესანახი ნაგებობაა ფშავში, ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ფარცხისში 1818 წელს ნიკოლოზ პეტრეს ძე ადულაშვილის თავდებად მოიხსენიება გიორგი ზურაბის ძე **ბეღელაური**. ამავე ძირისაა გვარები: **ბეღელაძე** და **ბეღელაშვილი**.

საქართველოში 230 **ბეღელაური** ცხოვრობს: გორში – 97, თბილისში – 89, თეთრი წყაროში – 14. არიან სხვაგანაც.

### ანთაური

გვარის ფუძედ წინაპრებს გამოუყენებიათ სიტყვა **ანთა**.

სავარაუდოდ, **ანთაიძე** და **ანთაური** ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს. არსებობს მოსაზრება, რომ, **ანთაი**, **ანთა** ქართველთა წარმართული ღვთაების – **ანთარის** ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც დროთა განმავლობაში საკუთარ სახელად ქცეულა. სხვა ვარაუდით, **ანთები** იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები: **ანთია, ანთიძე, ანთელავა** და სხვა.

ამავე ძირისაა გვარები: **ანთაიძე, ანთაური.**

საქართველოში 109 **ანთაური** ცხოვრობს: თბილისში – 33, დუშეთში – 19, თელავში – 17. არიან სხვაგანაც.

### ყირიმელაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყირიმა**.

ბესო **ყირიმელაშვილი** მოიხსენიება 1843 წლის აღწერისას დიდ თონეთში. დიდ თონეთში 1885 წელს კონსტანტინე მჭედლიძის თავდებად მოიხსენიება სვიმონ **ყირიმელაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **ყირიმელი, ყირიმლიშვილი, ყირიმელიშვილი.**

საქართველოში 47 **ყირიმელაშვილი** ცხოვრობს.




### თეზელაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თეზი**, **თეზია**. მისი კნინობითი ფორმებია: **თეზიკო, თეზულა.**

იასე **თეზელაშვილი** 1873 წლის აღწერაში სოფელ წვერში მოხსენიებულია, როგორც დროებით ვალდებული გლეხი. ამავე ძირითაა გვარები: **თეზელიშვილი, თეზიაშვილი.**

საქართველოში 299 **თეზელაშვილი** ცხოვრობს.

### აფრიამაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აფრიამა.**

სტეფანა **აფრიამასშვილი**, საბუთის დამწერი, მოიხსენიება 1775 წელს ოვანესა ამაზასშვილის მიერ სამ ყაფლანისშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნში.

ახუა **აფრიამაშვილი** 1851 წელს მოხსენიებულია სოფელ მუხათში.

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო, კუმისში მცხოვრები კათოლიკე **აფრიამაშვილები** სომხებად – **აფრიამოვებად** ჩაწერეს.

**აფრიამაშვილები** სოფელ კუმისში, ადიგენის რაიონის სოფელ არალიდან არიან ჩამოსულები.

საქართველოში 752 **აფრიამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 547, ახალციხეში – 77. არიან სხვაგანაც.

### ავაქაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ავაქა.**

**ავაგა** მოიხსენიება 1744 წელს თუმანიანი პაპუას მიერ ჩარჩიანთ ქრისტესიას სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნში.

ბერუა **ავაქაშვილი** იყო მოწმე შაყუბათა ბერუაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისა და დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილისთვის – ალიხანასთვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა.

ამავე ძირისაა გვარები: **ავაგაშვილი, ავაგუმაშვილი.**

საქართველოში 160 **ავაქაშვილი** ცხოვრობს. საგარეჯოში – 68, თბილისში – 56, რუსთავში – 18. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის**
**მასალების მიხედვით მომზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკასუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. საღეჭამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

**ქართველი კაცი უძველესი დროიდან ყოფიერებასთან დაკავშირებულ საკითხებში განსაკუთრებულად განსწავლული იყო და ბევრ საინტერესო ინფორმაციასა და ტექნოლოგიას ფლობდა. დღეს მათი უმეტესობა დავიწყებულია და ბევრს მათ შესახებ წარმოდგენაც არ აქვს. იყო პერიოდები, როდესაც ქართველი კაცი თესვასაც ერიდებოდა და მოსავლის აღებასაც, ყურძენსაც თავისებურად ინახავდა და წურავდა. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება, კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი:**

# რატომ იყო ღვინის სმაში შეჯიბრება ქართველი კაცისთვის დაუშვებელი და რატომ არიან ქართველები სექტემბერში უფრო მგრძნობიარენი

– ქართველმა კაცმა კარგად იცოდა, რომ მთვარე უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და ზღვის მიმოქცევებზეც მოქმედებს. ახალი მთვარის დროს არ ღირს რაიმეს დათესვა, იმიტომ რომ, შეიძლება, დალპეს. კახურად მას „დამპლის კვირასაც" ეძახდნენ. ის, ვინც სავსე მთვარის დროს ძალიან მგრძნობიარე იყო, თავისებურ ფსიქოშეშფოთებას განიცდიდა ექვსი თვის შემდეგ. უფრო მგრძნობიარე ხდებოდა და უფრო მეტად შეიცნობდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. ანუ, ვინც აპრილის პერიოდს განსაკუთრებულად განიცდის, უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდება ხოლმე სექტემბერში. ბუნიობის პერიოდში – 23 მარტიდან ერთი თვის განმავლობაში – 23 აპრილამდე, ძველად ხალხი ელოდებოდა სავსე მთვარეობას. ეს შეიძლება ყოფილიყო მარტის 23-ში, ან აპრილის, ანუ ამ ერთი თვის განმავლობაში. თუმცა, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარია, ყოფილიყო სავსე მთვარე. ისინი ამას აღიქვამდნენ, როგორც ახალი წლის დასაწყისს – გაზაფხულის „სიცოცხლის წელს" უწოდებდნენ ამ პერიოდს. სავსე მთვარის რიტუალი, რომელიც მარტ-აპრილში იწყებოდა, მთელი ქართული აზროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ თვისებას ქმნიდა და ამტკიცებდა. 6 თვის შემდეგ სწორედ სექტემბერია ქართველებისთვის ფსიქოლოგიური გამოცდების ხანა. შესაბამისად, ეს თვე მძიმეა ქართველებისთვის. სიმძიმე იმ წინააღმდეგობების გადალახვაშია, რომელიც ჩვენ გვხვდება.

**– ამიტომაც არის სექტემბერი რთველისთვის საუკეთესო პერიოდი, რათა ქართველებმა ახალი ეტაპით გადალახონ გამოცდების პერიოდი?**

– ქართველი კაცი ხმარობს სიტყვას: „ჭირნახული". ანუ, ეს არის ბარაქა, რომელმაც ჭირი ნახა და ჩვენ ამ ჭირს უნდა გადავაბიჯოთ. ეს კი სწორედ სექტემბერში ხდება და რის შესანიშნავი ფუძეც არის რთველი და მისი რიტუალი. რთველით ქართველი კაცი თითქოსდა თავისუფლდებოდა იმ ჭირისგან, სირთულეებისგან, რაც მას მთელი წლის განმავლობაში შეხვდა. ქართველმა კაცმა ზუსტად იცოდა, რომ ყურძნის მოსაკრეფად, დასაწურად ყველაზე კარგი ტემპერატურაა, დაახლოებით, 23-დან 25 გრადუსი. საქართველო ისეთ ზონაში იყო, რომ რთველიც დაახლოებით ამ პერიოდს მოერგებოდა ხოლმე. მაგრამ, ბუნებას ამ ყველაფერს ვერ შეუკვეთავ. ამ პერიოდში ზოგჯერ უფრო ციოდა და ზოგჯერ უფრო ცხელოდა. ამ შემთხვევაში, ქართველ გლეხს გამომუშავებული ჰქონდა თავისი ტექნოლოგია. საწნახელში აწყობდა ყურძენს. მას კი ასეთი თვისება აქვს – როდესაც ერთმანეთსაა ჩახუტებული, თავისით თბება. გლეხმა კი იცოდა, რამდენ ხანს უნდა ჰქონოდა ის საწნახელში, რომ სითბო 23-25 გრადუსამდე ასულიყო. როდესაც ცხელოდა, ამისთვის სპეციალურად სხვენზე შენახული ჰქონდათ სურნელოვანი ვაშლები, რომელსაც ჩამოიტანდნენ, გარშემო შემოუწყობდნენ ყურძენს და ასე აგრილებდნენ მას საჭირო ტემპერატურამდე. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ვაზის რქა იყო ძალიან საინტერესო გეოპათოლოგიური, საეკლესიო ზონების მიმკვლევი, ანუ, სადაც ხდებოდა ადამიანის სულიერი განწმენდა. სრულიად ბუნებრივია, რომ წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი ჰქონდა. ანუ, ვაზის რქა, როგორც გზამკვლევი, ისე იყო. მას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც წმიდა ნინოს ჯვარს. თუმცა, წმიდა ნინოს ჯვარი უფრო ამაღლებული და ზეციური. ყანწსაც უძველესი დროიდან სხვა დანიშნულება ჰქონდა.



**ბიბლიაში წერია: ყანწი საითკენაც არის მიბრუნებული, იმ ქვეყნის საქმე კარგად არის, ან – პირიქით**

**ახალი მთვარის დროს არ ღირს რაიმეს დათესვა, იმიტომ რომ, შეიძლება, დალპეს. კახურად მას „დამპლის კვირასაც" ეძახდნენ**

**– რა დანიშნულება ჰქონდა?**

– ბიბლიაში წერია: ყანწი თუ ამ მხარეს არის მობრუნებული, მაშინ იმ ქვეყნის საქმე კარგად არის, ან – პირიქით. ყანწი, ასევე, იყო სიმბოლო სიუხვისა, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში სახლებში ჰქონდათ ჩამოკიდებული და ეს მიუთითებდა ამ ოჯახის სიძლიერესა და სიმდიდრეზე. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს ფუნქციები დავიწროვდა და ყანწი ღვინის სმაში შეჯიბრების სიმბოლოდ იქცა. ქართველებს სად ეცალათ იმისთვის, რომ ერთმანეთს სმაში შეჯიბრებოდნენ?! როგორც წესი, საღვინე ჭურჭელიც კეთდებოდა ვერცხლისგან ან თიხისგან, ანუ, ეს იყო ვერცხლის თასი და თიხის ფიალა. ორივეს არაჩვეულებრივად საინტერესო დანიშნულება ჰქონდა. ვერცხლის თასში ჩასხმული შავი ღვინო, რომელსაც დღეს წითელ ღვინოს ვეძახით, ანუ – მთვარე და ღამე, საოცარ ჰარმონიას ქმნიდა და ღვინის სმა საკულტო რიტუალამდე მიდიოდა. ბუნებრივია, ღვინის სმა ვერ იქნებოდა შეჯიბრება – ეს დაუშვებელი იყო, რადგან ის იქცეოდა რიტუალის მიმართ მკრეხელურ დამოკიდებულებად. რამდენად მისაღები იქნებოდა ეს უკვე ქრისტიანობის დროს, როდესაც ღვინო ქრისტეს სისხლი გახდა, ადამიანები კი ერთმანეთს ქრისტეს სისხლის სმაში ეჯიბრებოდნენ – ესეც საშინელი მკრეხელობაა. ანუ, ძველად საქართველოში ღვინის სმის სულ სხვა კულტურა იყო. რაც შეეხება თიხის ფიალას, ის არ კეთდებოდა ჩვეულებრივი თიხით. აუცილებლად სამკურნალო თიხა უნდა ყოფილიყო. არა მხოლოდ უძველესი თიხის ჭურჭელი, არამედ, ის კრამიტები, რომლებითაც სახლებია გადახურული, ფხვნილად რომ ვაქციოთ, ისიც კუჭის სამკურნალოდ გამოიყენება, ოღონდ, სხვადასხვა რაღაცეების შეზავების შემდეგ. ადამიანიც ხომ თიხისგან შეიქმნა, ამიტომ, ადამიანისთვის ის თიხაც მარგებელი უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ ჭურჭელი, რომელშიც სასმელს ჩაასხამდნენ. პირდაპირ კი არ წურავდნენ ღვინოს, ჯერ სამხიარულო რიტუალს ჩაატარებდნენ, გახალისდებოდნენ და ამ ჟივილ-ხივილში იწყებდნენ დაწურვას, რომ ცუდი განწყობა არ გადასულიყო ჯერ ღვინოზე, შემდეგ კი – ღვინიდან იმ ადამიანებზე, ვინც მას დალევდა. ქართველი გლეხი, ასევე, დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ როგორ ქვევრში უნდა დაწურულიყო ყურძენი და შენახულიყო ღვინო. მას ქვევრში ჩახედვის შესანიშნავი საზომი ერთეული ჰქონდა: ვაზი კვირტს რომ გამოიბამდა, მაშინ უნდა ენახა ქვევრი. ზოგჯერ ქვევრს წყალი „სწყურია". ასეთი გამონათქვამიც არსებობს: წყალი თუ არ ჩაასხი, ღვინო დაიწვება და, მართლაც, შეიძლება, ღვინოს ტრუსის სუნი აუვიდეს. ასე რომ, ღვინო სათუთად მოსავლელი რამ არის.

**ნათია უტიაშვილი**

**უშიშროება და ინტრიგები განუყოფელია. ლავრენტი ბერიამაც ამიერკავკასიის უშიშროების შეფის პოსტისკენ ინტრიგებითა და ძალადობით გაიკვლია გზა. ამ დროს ხდება პიკანტური შემთხვევა, როცა ბერიამ სტალინის ქვისლი გააშიშვლა. ამის თაობაზე გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.**

# იყო თუ არა „დათა თუთაშხიას" ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპი სტალინის ქვისლი და რა ურთიერთობა ჰქონდა მას ბერიასთან

**– ბატონო ნიკა, თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თქვენმა სტატიამ, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ გააშიშვლა ბერიამ სტალინის ქვისლი (ცოლისდის ქმარი) სტანისლავ რედენსი. შეიძლება გვითხრათ, რა წყაროებს დაეყრდენით?**

– ბერია-რედენსის დაპირისპირების შესახებ პირველად სტუდენტობისას შევიტყვე, როცა რადიო „თავისუფლების" ერთ-ერთ გადაცემას ვუსმენდი. მოსმენილმა, როგორც იტყვიან, შემძრა. გავეცანი უამრავ მასალას, რაც თვითგამოცემის გზით გავრცელდა. „პერესტროიკის" დროს გამოქვეყნდა არაერთი მკვლევრის მონოგრაფია ბერიაზე, მათ შორის ანტონოვ-ოვსეენკოს „ჯალათის კარიერა." მოგვიანებით, ეროვნულ მოძრაობაში ჩავები და ბევრი დისიდენტი გავიცანი. მათ შორის იყო მწერალი-დისიდენტი მიხაილ ოსატჩი, რომელიც ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს კარგად იცნობდა და საქართველოც ძალიან უყვარდა. მან მითხრა, რომ „დათა თუთაშხიას" ერთ-ერთ პერსონაჟს, პოლკოვნიკ სეხნიევს ჰყავდა რეალური პროტოტიპი და ეს, არც მეტი არც ნაკლები, სტალინის ქვისლი – რედენსი გახლდათ. მანვე მომცა საკმაოდ ბევრი ნაშრომი რედენსზე, მათ შორის ისეთიც, სადაც რედენსის და ბერიას ურთიერთობები იყო აღწერილი.

**– როგორ გადაიკვეთა ბერია-რედენსის გზები?**

– 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში აქტიური მონაწილეობისათვის ბერიამ წითელი დროშის ორდენი მიიღო. ლავრენტიმ კიდევ რამდენიმე ოპერაცია წარმატებით ჩაატარა. საბჭოთა საიდუმლო პოლიციის შეფის, ფელიქს ძერჟინსკის სიკვდილის შემდეგ, სტალინმა უშიშროების შეფად ჰენრიჰ იაგოდა დანიშნა და ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. სტალინი ძერჟინსკის გვარდიას არ ენდობოდა. ბნელი წარსულის მქონე იაგოდა (არსებობდა საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ცარიზმის დროს მეფის ოხრანკასთანაც თანამშრომლობდა) უშიშროების შეფად დაინიშნა. ძერჟინსკის დროს იაგოდას უშიშროებაში სამეურნეო თანამდებობა ეკავა. არტუზოვი, პილიარი, სტირნე თუ სხვა ძერჟინსკელები მას ამრეზით უყურებდნენ. გახდა რა უშიშროების შეფი, იაგოდამ ძერჟინსკელთა დევნა-შევიწროება დაიწყო. თანამდებობა დატოვა კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილემ რომან პილიარმა (ნამდვილი გვარი რომუალდ პილარ ფონ პილჰაუ) და ასე შემდეგ. მსგავსი საკადრო პოლიტიკა მოკავშირე რესპუბლიკებშიაც გაგრძელდა. ბერიაც ამიერკავკასიის გპუს უფროსის პირველი მოადგილე ხდება. თავად ამიერკავკასიის გპუს შეფი კი სტალინის ცოლის დის ქმარი – რედენსია. ასე მოხდა მათი გზების გადაკვეთა.

**– ანუ, ბერიას თავისი უფროსის სავარძელი სურდა?**

– ბერიამ რედენსთან უაღრესად მეგობრული ურთიერთობები დაამყარა, იმდენად მეგობრული, რომ რედენსმა სტალინს განუცხადა, ჩემი პირველი მოადგილე ლავრენტი ბერია ახალგაზრდა, ერთგული და ძალიან ნიჭიერი კაცია, მას ისევე ვენდობი, როგორც საკუთარ თავსო. რაც შეეხება იაგოდას, ის თავიდანვე მხარს უჭერდა ლავრენტის და სტალინს სისტემატურად მოახსენებდა, თუ როგორი ოსტატობით ჩაატარა ბერიამ სპეცოპერაციები. ამრიგად სტალინმა იცოდა, რომ ბერია ახალგაზრდა, ნიჭიერი და ერთგული კაცია. შესაბამისად, გპუს შეფის პოსტზე დასანიშნად ყველაზე რეალური კანდიდატურა სწორედ ლავრენტი იყო.



ერთხელ, რუსთაველზე ხელებით გასეირნება მოისურვა, შემდეგ ვიღაც მედუქნეს მიუვარდა და პირში რევოლვერი ჩასჩარა

**– და ეგ როგორ უნდა მომხდარიყო?**

–სტანისლავ რედენსი მეწაღის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. „რევოლუციის შედეგად აღზევებული ტეტია," – ასე უწოდა მას რობერტ კონკვესტმა. მართლაც, რედენსს არც ინტელექტი და არც სათანადო განათლება არ გააჩნდა. მის დოსიეში კი ნათქვამი იყო: „აქვს სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილება და პათოლოგიური სიმთვრალე".

**რედენსი, უბრალოდ, უკრაინაში გადაიყვანეს და იქაური უშიშროების შეფად დანიშნეს. ამიერკავკასიის გპუს უფროსი კი ლავრენტი ბერია გახდა**

რედენსის გამოხდომებზე სიმთვრალეში ლეგენდები დადიოდა. ეს კაცი მხოლოდ იმიტომ აღზევდა, რომ სტალინის ქვისლი იყო. სტალინმა სპეციალურად გამოგზავა ის ამიერკავკასიაში, რათა ძერჟინსკელები სტალინისტებით ჩაენაცვლებინა. რედენსმა ამას თავი წარმატებით გაართვა, თუმცა სმას მაინც განაგრძობდა. მოგეხსენებათ, სტალინი ბოლომდე არავის ენდობოდა. რედენსსაც გულდასმით უთვალთვალებდნენ. თავდაპირველად, სტალინი მის გამოხდომებს ეგუებოდა, რადგანაც რედენსი მართლაც დიდ სამსახურს უწევდა. გავიდა დრო. რედენსმა გასაკეთებელი გააკეთა. სტალინიც არ მალავდა გაღიზიანებას, როცა თავისი ქვისლის საქციელის შესახებ მოახსენებდნენ ხოლმე. ბერიამ ეს მომენტი ზუსტად დაიჭირა. ლავრენტი ყველაფერს აკეთებდა, რათა სტალინის მაგიდაზე რედენსის ახალ-ახალი თავგადასავლების ამსახველი მასალები მოხვედრილიყო, მაგრამ ისე, რომ მისი, ბერიას, ღვაწლი დაფიქსირებულიყო. აქაოდა, ყველაფერს ვაკეთებ, რათა სკანდალი არ აზვირთდესო.

**– სინამდვილეში ყველაფერი ბერიას ინსპირირებული იყო?**

– დიახ. ლავრენტი რედენსს შინ მიიპატიჟებდა ხოლმე და მეფურად უმასპინძლდებოდა. გალეშილ რედენსს კი თავში ფრიად საინტერესო იდეები მოსდიოდა. ასე მაგალითად, ერთხელ რუსთაველზე ხელებით გასეირნება მოისურვა, შემდეგ ვიღაც მედუქნეს მიუვარდა და პირში რევოლვერი ჩასჩარა. რამდენჯერმე ხალხმრავალ ადგილებში სროლა ატეხა. ბერიაც ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს ფოტოზე ასახულიყო. იქვე იყო აღბეჭდილი ბერიაც, რომელიც რედენსის შინ წაყვანას ცდილობდა. სტალინი უნდა დარწმუნებულიყო, თუ როგორ სურდა ლავრენტის სკანდალი ჩაეცხრო.

**– მართალია, რომ ბერიამ რედენსი გააშიშვლა?**

– შესაძლოა უშუალოდ გაშიშვლება მას არც ჰქონდა დაგეგმილი... თუმცა, ბერიამ რედენსი შინ დაპატიჟა და მეფურად უმასპინძლა. გალეშილმა რედენსმა კი ბერიას განუცხადა: მართალია, ცოტა დავლიე, მაგრამ ავტომობილის მართვაც შემიძლია, ცხენის გაჭენებაც და ქალთან სიყვარულიცო. ლავრენტი ფრთხილად დაინტერესდა, მტკვარს თუ გადაცურავო. რა თქმა უნდა! – დაიძახა რედენსმა. ამაზე ბერიამ ფრთხილად შენიშნა: ჩაცმული ბანაობა უხერხულიაო. რედენსმაც იქვე გაიხადა და ქუჩაში შიშველი გავარდა. იმდენად გალეშილი იყო, რომ ვერც კი შენიშნა, ტანსაცმელთან ერთად, ტრუსები როგორ გაიხადა და ქუჩაში აბსოლუტურად დედიშობილა აღმოჩნდა.

ბერიას სახლთან მსტოვრები მორიგეობდნენ. მათ ოპერატიულად აღბეჭდეს ფირზე ქუჩაში დედიშობილა მოსეირნე რედენსი და ბერია, რომელიც ემუდარებოდა, მანქანაში ჩაჯექიო. ეს ფოტოები სტალინს წინ დაუდეს. დიქტატორმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო.

**– ანუ, რედენსი დასაჯა?**

– არა, რედენსი, უბრალოდ, უკრაინაში გადაიყვანეს და იქაური უშიშროების შეფად დანიშნეს. ამიერკავკასიის გპუს უფროსი კი, ლავრენტი ბერია გახდა.

ისევე, როგორც საქართველოში, უკრაინაშიც რედენსი სტალინურ ხაზს კეთილსინდისიერად ატარებდა. იმ ცოდვის კითხვაში, რაც სტალინმა უკრაინაში დაატრიალა, რედენსის წვლილი უზარმაზარია. რაც შეეხება რედენსის დასჯას, ამის დრო 1937 წელს დადგა, როცა სტალინმა არმიის, პარტაპარატისა და უშიშროების ორგანოების წმენდა დაიწყო. ჩეკისტმა რედენსმა იმ მომენტისთვის უკვე საბოლოოდ ამოწურა თავი.

**ჟულია დემეტრაშვილი**

## ორშაბათი 31 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 20.40** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ "**ჯონი ინგლიში**" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.40** მხ/ფ "**აპოლო 13**" (ტ.ჰენკსი) **23.45** მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**" **01.45** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** "კომედის კონცერტი" **23.30** სერ. "**გრიმი**" **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **10.05, 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.30 სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ფერფლი"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"**.

ადვოკატ მელოუს თავი უსკდებოდა და ნახევრად უსმენდა მშვენიერ, ქერა ქალს, რომელიც მასთან დახმარების სათხოვნელად მივიდა. ძირითადად, მელოუ მაშინ ახსენდებოდათ, როცა საქმე უიმედო იყო... მაგრამ, ადვოკატს არც უკითხავს ქალისთვის, ვინ გაუწია რეკომენდაცია. შეიძლება იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი იყო.

– უნდა მომეხმაროთ, სერ. მე არ მომიკლავს ქმარი.

– რა თქმა უნდა, არ მოგიკლავთ და რატომ გაბრალებენ?

– იმიტომ, რომ პოლიციამ გადაწყვიტა, მოტივი გაქვსო.

– რა მოტივია? – ადვოკატი უფრო ათვალიერებდა ქალს, ვიდრე უსმენდა.

– საქმე ისაა, რომ ჩემი ქმარი ჯეიმსი დიდი ხნის განმავლობაში ჯერალდ დინთან მუშაობდა მსახურთუფროსად.

– იმ ჯერალდ დინთან, რამდენიმე ფაბრიკის მფლობელთან, რამდენიმე თვის წინ რომ გარდაიცვალა?

– დიახ. მან ანდერძი დატოვა და ჯეიმსს ექვსი ათასი დოლარი დაუტოვა. ეს არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ პოლიციას, რატომღაც, მიაჩნია, რომ სწორედ ამ ფულისთვის შეიძლებოდა მომეკლა... არადა, იმ დროს კინოში ვიყავი. მივედი და დავინახე, რომ ჯეიმსი იატაკზე ეგდო, დანა ზურგში ჰქონდა ჩარჭობილი.

– პოლიციაში დარეკეთ? თქვენ თვითონ?

– ვაპირებდი, მაგრამ პოლიცია თვითონ მოვიდა. მითხრეს, შენი ალიბი სასაცილოაო.

– კინოს ბილეთი შენახული გაქვთ?

– არა, რა თქმა უნდა... რას წარმოვიდგენდი, ასე თუ მოხდებოდა...

– ჰო, მესმის... ანუ, გინდათ, რომ ნამდვილი მკვლელი ვიპოვო?

– დიახ. მე მართლა არ მომიკლავს ჯეიმსი... მიყვარდა, კარგი ადამიანი იყო.

– ესე იგი, თქვენი ქმარი მდიდარ ჯერალდთან დიდხანს მუშაობდა.

– დიახ, საკმაოდ დიდხანს, ალბათ, ოცდაათი წელი.

– მაინც უცნაურად მეჩვენება, რომ თქვენს ქმარს ექვსი ათასი დოლარი დაუტოვა. აქ საქმე სუფთად არ არის.

– ანუ, დამეხმარებით?

– ვნახოთ. წინასწარ ვერაფერს დაგპირდებით.

მელოუ დაფიქრდა. ეჭვმიტანილების წრე, მისი აზრით, ძალიან ვიწრო უნდა ყოფილიყო. კაცს, რომელიც ოცდაათი წელი ერთ ოჯახში მუშაობს მსახურთუფროსად მეგობრები არ ეყოლება და ალბათ, არც მტრები... მკვლელი ახლოს უნდა ეძებნა. არ იყო გამორიცხული, რომ მკვლელი მართლაც ცოლი აღმოჩენილიყო, მაგრამ რადგან ის მისი კლიენტი გახლდათ, თანაც, ძალიან ლამაზი, უნდა დაეჯერებინა, რომ უდანაშაულოა.

საღამოს ბარში ცოტა დალია და იქვე გადაწყვიტა, რომ ფაბრიკანტის ოჯახი უნდა მოენახულებინა. იქნებ, მოტივისთვის მიეგნო. მოტივი კი ერთი ნაბიჯი იყო მკვლელის პოვნის გზაზე.

დიდი, ფეშენებელური სახლის კარი ახალგაზრდა კაცმა გაუღო. ორმოც წლამდე თუ იქნებოდა. ხმამაღლა იცინოდა და ძალიან წითელი სახე ჰქონდა. სახლის სიღრმეში ქალების ხმები ისმოდა. ადვოკატს ერთი ვერსია ჰქონდა – ჩვეულებრივ, მსახურთუფროსმა და უბრალო მსახურებმაც, ყველაფერი იციან – ყველა საიდუმლო და ზოგჯერ, თავის პატრონებს აშანტაჟებენ ხოლმე. ამაზე ფიქრი ღირდა, იქნებ, ანდერძით დატოვებული ექვსი ათასი დოლარი სხვა არაფერი იყო, თუ არა საფასური დუმილისთვის.

მელოუ დიდ სასტუმრო ოთახში მიიღეს და პირველად ჯერალდ დინის მეუღლეს, ხანში შესულ, სიმპათიურ ქალბატონს გაესაუბრა, სახეზე ირონიული ღიმილი რომ დასთამაშებდა.

– თქვენი მსახურთუფროსი მოკლეს... იცით ამის შესახებ?

– დიახ. რა თქმა უნდა. ამბობენ, ცოლმა მოკლაო.

– ტყუილია. მას არ მოუკლავს.

– მართლა? – ჩაიცინა ქალბატონმა, – ესე იგი, ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ჩვენგანია?

ადვოკატმა ყოყმანით დაუქნია თავი.

– მეც? – მოხუცმა ქალბატონმა გადაიხარხარა, – ძალიან გამართეთ...

– ქალბატონო, თქვენმა განსვენებულმა მეუღლემ მსახურთუფროსს ექვსი ათასი დოლარი დაუტოვა ანდერძით.

– დიახ. ვიცი. მაგაზე ყოველთვის ვხალისობ. იცით, მაგ თანხის შესახებ ანდერძში რა წერია? რომ ფული ჩემმა ქმარმა მას დუმილში გადაუხადა.

– ანუ, დუმილის სანაცვლოდ? იყიდა მისი სიჩუმე? ესე იგი, გარდაცვლილმა რაღაც საიდუმლო იცოდა.

– რა თქმა უნდა, იცოდა. მსახურებმა ყოველთვის ყველაფერი იციან, რაც მათი ბატონების სახლში ხდება... ჰა, ჰა, ჰა, რა სასაცილოა. ანდერძში პირდაპირ ასე ეწერა – ამ ფულს ვაძლევ ჯეიმს დორს იმისთვის, რომ არასოდეს თქვას საჯაროდ, ის რაც მას თავში აქვს. ახლა ეს საიდუმლო ჯეიმსთან ერთად დაიმარხა და მის შესახებ ვერავინ შეიტყობს.

– შეგიძლიათ, მითხრათ, რა საიდუმლოა?

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

– წარმოდგენა არ მაქვს. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. ეს საიდუმლო არც ადრე წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვანს ჩემთვის. მით უმეტეს, ახლა. ჰა, ჰა, ჰა! ძალიან სასაცილოა.

– მისის დინ, ჯეიმს დორი თქვენს მეუღლეს აშანტაჟებდა?

– არ მახსენდება... არა. ამის შესახებ შეგიძლიათ, ჩემს ვაჟს, მაქსიმილიანს ჰკითხოთ.

– გმადლობთ, საჭირო არ არის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

ერთი საათის შემდეგ მელოუ ინსპექტორის წინ იჯდა და ჯეიმს დორის მკვლელობის ვერსიას უყვებოდა.

– დააპატიმრეთ მაქსიმილიან დინი. მკვლელი ის არის. ჯეიმს დორი სწორედ მან მოკლა და არა ცოლმა.

– საიდან იცით, ადვოკატო?

– ახლავე გეტყვით. განსვენებულმა დინ-უფროსმა თავის მსახურთუხუცესს ექვსი ათასი დოლარი სიჩუმისთვის დაუტოვა, რათა მას პირი არ გაეღო და რაღაც საიდუმლო არ ეთქვა. საიდუმლო მას არ ეხებოდა, რადგან ის მოკვდა და იტყოდა რამეს ჯეიმსი თუ არა, საერთოდ აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ვის შეიძლებოდა, შინებოდა ცოცხლად დარჩენილი მსახურთუფროსის? ქალბატონს არა, რადგან მას ძალიან ამხიარულებს ქმრის ანდერძში ჩაწერილი ეს პუნქტი. დარჩა მაქსიმილიან დინი, რომელიც ოცდაშვიდი წლისაა და ნამდვილად ვერ იქნებოდა დარწმუნებული იმაში, რომ მამამისის ერთგული მსახურთუფროსი პირს არ მოაღებდა. აი, ჩემი არგუმენტები. ახლა თქვენი ჯერია – დააკავეთ ეჭვმიტანილი და ის აღიარებს დანაშაულს.

ინსპექტორმა ადვოკატს ყურადღებით შეხედა.

– თქვენ, ალბათ, ისიც იცით, რა საიდუმლოზეა საუბარი.

– სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მაინტერესებს. ჩვენთვის სხვა რაღაც არის მნიშვნელოვანი, – ჩემი კლიენტის სიმართლე და მე ის დავამტკიცე. ახლა თქვენი ჯერია. თუ ძალიან მოინდომებთ, მაგასაც გაიგებთ. არ გაგიჭირდებათ.

კმაყოფილი მელოუ პოლიციის განყოფილებიდან გამოვიდა. ცოტა იყოყმანა, მერე კი ჯეიმს დორის სახლისკენ გასწია. ამ ქალში – ქვრივში ნამდვილად იყო რაღაც და თავისი შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ღალატი სიყვარულისთვის

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-34(765)

ირინკამ ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა და მობილურში ნომერი აკრიფა.

– ნინი, შენთან ლაპარაკი მინდა... წყნეთში? – ამოვალ... რა წამოვილო... კარგი... გავივლი მარკეტში... გოგო, ხომ მარტო ხარ? ვიცი, მაგათი ამბავი, მაგრამ სანამ მოგროვ-



დებიან, მოვასწრებ მოგიყვე, რა დამემართა. ოჰ, არ შემიძლია, რა... კარგი, კარგი, მოვდივარ.

ანამ მხრებზე ჟაკეტი მოისხა და სასტუმროს ვრცელ ვერანდაზე გავიდა.

– შეგცივდათ?

ანა შემობრუნდა. მის წინ ნიკა იდგა და უღიმოდა.

– ჰო, ცოტა აგრილდა.

– სოფომ ვახშმისთვის მაგიდა შეარჩია, შემოგვიერთდებით?

– ჰო, რა თქმა უნდა, ახლა ვფიქრობდი, რა კარგი ვქენი, რომ წამოვედი-მეთქი. აქ ისეთი სიმშვიდეა... მთები, სიმწვანე...

– კი, კარგია. აუზიც მშვენიერი აქვთ, – ნიკამ არ იცოდა, რაზე ესაუბრა ანასთან. თუმცა, მისი გარეგნობა რეალურად შეაფასა და დაასკვნა, მშვენიერი ტანი აქვს და სახეზეც არა უშავსო, – ძალიან ლამაზი გოგონა გყავთ, – მოიფიქრა, როგორც იქნა.

– გმადლობთ, თქვენიც ძალიან საყვარელია. ხვალ ერთად კარგად გაერთობიან.

– ნამდვილად. წავიდეთ, თორემ სოფო გაბრაზდება, – გაუღიმა ნიკამ.

ანა მასთან ერთად გაუყვა ხალიჩით მოფენილ ჰოლს, თან, აქეთ-იქით იხედებოდა. შვილს ეძებდა, რომელიც სოფოს გოგოსთან ერთად, ცოტა ხნის წინ ჰოლში „მოზაიკით“ ერთობოდა... უცებ, ლამის მუხლები მოეკვეთა. იქნებ მოესმა, მაგრამ ლაშას ხმა გაიგონა. შეეძლო, ათასი კაცის ხმაში გამოერჩია და უშეცდომოდ ეთქვა, რომ ეს ნამდვილად ლაშა იცინოდა. შემკრთალმა სასტუმროს ვრცელ ჰოლში მიმოიხედა. არავინ იყო, გარდა ყავის ფინჯნებით ხელში, ბართან მიმჯდარი ჭორიკანა ქალებისა. ღრმად ჩაისუნთქა და მიაყურადა. რამდენიმე წამის შემდეგ იფიქრა, აშკარად მომელანდაო, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და სასადილოში შევიდა.

***

ნინიმ მაცივრიდან ცივი წვენი გამოიღო, ორ ჭიქაში ყინულები ჩაყარა, ფორთოხლის წვენი დაასხა და აივანზე გაიტანა. ჯინსის მოკლე, ტოტებშემორღვეული „შორტი“ ეცვა. ღრმად გულამოჭრილი მაისურიდან მკვრივი და ლამაზი მკერდი თითქმის მთლიანად უჩანდა. ირინკასნაირი შარმიანი არ იყო, მაგრამ საკმაოდ მადისაღმძვრელი გარეგნობა ჰქონდა. ირინკას გვერდით, მოწნულ სავარძელზე ფეხი მორითხა და დაქალს საქმიანად მიუბრუნდა.

– მოყევი ახლა, რა დაგემართა, კიდევ შარში გაები? ვინმეს ცოლი დაგდევს მოსაკლავად?

ირინკამ წვენი მოსვა და დაიღრიჯა.

– არა, ქალო, საიდან მოიტანე?! მე, ხომ იცი, ცოლები არ მერჩიან, იმიტომ რომ, ცოლიანი კაცები დიდად არ მხიბლავენ. არ ვიჭერ მათთან საქმეს.

ნინიმ ჩაიცინა.

– მე მაინც როგორ მატყუებ. გაგახსენო, ცოტა ხნის წინ რომანი ვისთან გქონდა გაჩაღებული?

ირინკამ მხრები აიჩეჩა.

– ეგ საქმეს სჭირდებოდა. სამსახური მინდოდა, თორემ ის კაცი საერთოდ არ მჭირდებოდა. ისე დავემშვიდობე, გულიც არ დამწყვეტია.

– ვიცი... შენ „იმასაც“ ეგრე დაემშვიდობე და რა მოიგე?

– „იმას“ ნუ გამახსენებ, ძალიან გთხოვ. ორი საათის წინ შემხვდა და ნერვებიც მომიშალა.

– ოჰო, შენ შეხვდი თუ ის შეგხვდა?

– ნინი, სულაც არ ვარ ხუმრობის გუნებაზე, – გააფრთხილა ირინკამ, – აქ იმიტომ ამოვედი, რომ ცოტა დავმშვიდდე.

– რა უნდა?

– არგადარჩენა. შენზე ცუდი ხმები მომდის და ჭკუით იყავიო.

– ვაჰ, მეტი არაფერი მინდაო? მაგალითად, შერიგება არ უთხოვია? არა, მაინც, რა ჭკუაზე იყავი, მაგას რომ მიჰყვებოდი ცოლად.

ირინკამ ხელები გაასავსავა.

– არ მკითხო... ჩემს სამსახურში არ იციან, რომ გათხოვილი ვიყავი.

– მართლა? რატომ, მალავ, რა პონტში?

– არ ვმალავ, უბრალოდ, ასე გამოვიდა, რაღაცნაირად, თავისით.

– კარგი, რა, ხომ გიცნობ. ეტყობა, იქ ვიღაც ისეთი ტიპი გაჩითე, რომელთანაც არ გინდა, ბოლომდე გაიშიფრო.

– ნუ სულელობ, იქ ვის გაჩითავ. ისე, ერთი-ორი მაგარი ექიმი კი გვყავს, მაგრამ მათთან ურთიერთობა ნაკლებად მაქვს. ზემოთ, ადმინისტრაციაში კი, ძირითადად, ქალები ვართ. ერთი შარვლიანი დაიარება და ისიც სათვალავში არ არის ჩასაგდები, – ტუჩი აიბზუა ირინკამ, – აუჰ, წარმომიდგენია, რა მოხდება, სოფომ და ანამ ჩემი განათხოვრობის ამბავი რომ გაიგონ.

– სოფო და ანა ვინაა? – ნინიმ ისევ დაისხა წვენი.

– სოფო ჩვენი იურისტია, ჩემს ოთახში ზის. რომ ჰკითხო, გეტყვის – მე შემასახლეს მასთან. ქმარი ჰყავს და შვილი. ერთი შეხედვით, ნორმალური გოგოა, მაგრამ საერთოდ არ იცის, ქმართან როგორ მოიქცეს. თანაც, მისი ქმარი მე მეფლირტავება და ძალიან ვხალისობ.

– ესე იგი, შენსას არ იშლი. გაიცინა ნინიმ, – სამსახურში არ გირჩევ თანამშრომლების ქმრებთან რომანის გაბმას – საშიშია.

– საკუთარი გამოცდილებით მეუბნები? – ვალში არ დარჩა ირინკა, – ჰო, მართლა, გიო სად არის?

– არ იცი, შაბათია დღეს, თავის შვილებთან...

– ერთგული მამიკოს როლს თამაშობს?

– ყოველ შემთხვევაში, ცდილობს. ყოველ შაბათ-კვირას წინ და უკან დარბის. რასაც მოსთხოვენ, ყველაფერს ყიდულობს. იმათაც დედამისი „ქოქავთ“ და გაყვლიფეს. მაგრამ მე მაგრად „მკიდია“. ხომ იცი, ჩემიც საკმარისად მაქვს. იმისიც მადლობელი ვარ, აქ რომ არ მოჰყავს.

– ჯერ არ შემოუთავაზებია?

– რა, აქ რომ მოიყვანოს? უნდა, მაგრამ ისინი არ მოჰყვებიან. კიდევ კარგი, თორემ სად მაქვს სამი ნადირის გაძლების თავი.

– ისე, სამი ბავშვი მაინც როგორ მიატოვა. ასეთი რა გაუკეთე?

– მე რა გავუკეთე, გაგიჟდი? თვითონ გადაირია. ველარ ვიცილებდი. მერე ცოლმა გაიგო და სახლიდანაც მიაბრძანა. მომადგა ბარგით. ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი?

– კარგი, კარგი, თავს ნუ ისაწყლებ. შენი წვლილიც არის ამ საქმეში.

– იცი, რას გეტყვი? გაუფრთხილდნენ, ბატონო, ქმრებს და ჩვენნაირებისგან დაიცვან, – გადაიხარხარა ნინიმ, – ჩვენი ბრალია, ეს ცოლიანი კაცები სექსზე გადარეულები, მშიერი მგლებივით რომ დასუნსულებენ? თორემ ეგ გიო საყვარლადაც არ მინდოდა, არათუ ქმრად...

– რატომ, კარგი ბიჭია... – დაიცვა ირინკამ ბავშვობის მეგობარი.

– სულელია... სულელი... მაინტერესებს, მერეც თუ ენდომებათ მის შვილებს, ჯიბეები რომ გამოუცარიელდება. ვეუბნები, ალიმენტი ოფიციალურად გადაუხადე, საჩუქრები კი დღესასწაულებზე უყიდე-მეთქი. ვინ მიჯერებს? გუშინაც მაგრად ვიჩხუბეთ. ზუსტად ვიცი, რომ მოვა, ლარიანიც აღარ ედება ჩიბეში და დილით მე მომთხოვს სიგარეტისთვის ფულს.

– ანუ, სულ ჩხუბობთ.

– არც ისე, – ნინიმ სიგარეტს მოუკიდა, – ხან ვფიქრობ, აუტკივარ თავს რატომ ვიტკიებ-მეთქი, მაგრამ მერე, ნერვები მეშლება და ვფეთქდები.

– ჰო, კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ძნელია. ამიტომაც აღარ მინდა, მაგრამ ახლა ისეთ ტიპს ვხვდები...

– მართლა? – ყური ცქვიტა ნინიმ, – და ამას მიმალავდი? მანდედან უნდა დაგეწ-

ყო. მოდი, მოყევი, ვინ არის?
– მარტო სახელი ვიცი, მაგრამ... ნუ, როგორ აგიხსნა, შეუდარებელია.
ნინის გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.
– მოიცა, რას ნიშნავს – მარტო სახელი იცი, იწექი უკვე მასთან?
ირინკა შეყოყმანდა.
– ჰო, – გამოტყდა ბოლოს უხალისოდ, – ამას რა მნიშვნელობა აქვს.
– გოგო, მნიშვნელობა როგორ არა აქვს... არ უნდა იცოდე, საქმეს ვისთან იჭერ? შენგან მიკვირს ძალიან.
– ხომ გითხარი, ვერ აგიხსნი-მეთქი. ძალიან განსხვავებული ვინმეა. ისეთი ძალა იგრძნობა მასში და ისეთი ენერგია?! თან ძალიან დახვეწილია. რამდენჯერმე შევხვდით და სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ის არის, ვისაც ვეძებდი.
– რანაირად? თითქმის არ იცნობ... სექსს თუ არ ჩავთვლით.
– ცოლი არ ჰყავს...
– ვინ გითხრა? – გაეღიმა ნინის, – ირინკა, ასეთი გულუბრყვილო რომ არ იყავი?! ოღონდ არ მითხრა, რომ შეგიყვარდა.
– არა, სიყვარული არაფერ შუაშია, – იუარა ირინკამ, – ჭკუა ვისწავლე და უკვე ვიცი, რომ სიყვარული ბრიყვებისთვის მოგონილი მითია.
– გოგო, იქნებ ქალების ხარჯზე ცხოვრობს?
– გამორიცხულია. ჩემი ამბავი ხომ იცი?! უკვე შევაფასე, თანაც უიქენდზე ძალიან ძვირად ღირებულ სასტუმროში დამპატიჟა.
– რატომ არ წახვედი?
– ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, იმ კრეტინმა შემაწუხა და რომ არ შევხვედროდი, არ შეიძლებოდა. თან, შენი ნახვაც მინდოდა. ეს ყველაფერი რომ არ მომეყოლა, გული გამისკდებოდა.
– იმ კრეტინმა, რაო?
– ხომ გითხარი უკვე, ისევ „პრავებს მიკაჩავებს“. იმ დროშია ჩარჩენილი. ჰგონია, რამე შეუძლია ან რამეს მიაღწევს. როგორ მძულს... არა, კი არ მძულს, საკუთარ თავს ვერ ვიტან, მაგისი ცოლი რომ ვიყავი, – ირინკამ თავი გადააქნია და სიგარეტს მოუკიდა.

***

ნიკამ დიდ ლანგარზე ნამცხვრები დააწყო და მაგიდასთან მივიდა.
– ქალბატონებო, ყავის დალევას ვერანდაზე გთავაზობთ. სასიამოვნო სიგრილე და არაჩვეულებრივი ხედია. ბავშვებს მე მივხედავ.
სოფომ მადლიერი ღიმილით შეხედა ქმარს და ანას გადაულაპარაკა:
– ზოგჯერ ისეთი საყვარელია... მაგრამ, მხოლოდ ზოგჯერ. თუმცა ქმარი მაინც კარგია.
– ჰო, მეც ასე ვფიქრობდი, – ანამ ამოიოხრა და ისევ მოეჩვენა, რომ სადღაც ახლოს ლაშა იცინოდა, – დავლიოთ ყავა. მერე ზემოთ ავალ, ბავშვს დავაძინებ და მეც დავწვები. გზამ ძალიან დამღალა.
ვერანდაზე ნიკა ვიღაც ძალიან სიმპათიურ მამაკაცს ელაპარაკებოდა, თან იქვე მორბენალ ბავშვებს აწყნარებდა.
– ჰო, რა... ცოლ-შვილით ჩამოვედი. ცოტას დავისვენებთ-მეთქი. მეგობარიც გვახლავს. შენ?
– საქმიანი შეხვედრა გვაქვს პოტენციურ ინვესტორთან. კონფიდენციალური. ხვალ წავალ.
– დარჩი და გავერთოთ, – შესთავაზა ნიკამ.
– არა, ძმაო, ჩემი ამბავი ხომ, იცი?! თან, შენ ოჯახთან ერთად ხარ. ჩემი პარტნიორიც „ნაშასთან“ ერთად გამეჩითა. – ხელი ჩაიქნია და გაიცინა.
– შენ თქვი და გიპოვით ვინმეს, – გაეცინა ნიკასაც.
„ვინმე“ რომ არ მინდა, იმიტომაც ვარ აქამდე მარტო.
ნიკა შემობრუნდა და მამაკაცს სოფო წარუდგინა.
– გაიცანი, ვახო, ეს ჩემი ცოლია, სოფო. ეს მშვენიერი ქალბატონი კი, ანაა... მეტად საჭირო ვინმეა, ერთ-ერთი საუკეთესო კლინიკის დირექტორი.
– მხოლოდ აღმასრულებელი დირექტორი, – ნაძალადევად გაიღიმა ანამ და მამაკაცის გაწვდილ ხელს თავისი მიაგება. კაცი აშკარა აღფრთოვანებით შესცქეროდა.
– მეც მინდა ასეთი აღმასრულებელი დირექტორი მყავდეს. ჩემს კომპანიაში არ გადმოხვიდოდით? მედიცინაზე ნაკლებად საინტერესო არ არის მშენებლობა.
– გმადლობ, მოვიფიქრებ, – თავაზიანად მიუგო ანამ და სოფოს მიუბრუნდა, – ყავა არ დავლიოთ?
– ვგიჟდები, ასეთ კორექტულ უარზე, – ვახომ ანას გულდაწყვეტილი მზერა შეავლო და ნიკას მხარზე დაჰკრა ხელი.
– წავალ მე, ხელს აღარ შეგიშლით. გამიხარდა, რომ გნახე. კარგია ოჯახი.
– ყავა მიირთვით ჩვენთან ერთად, – მოულოდნელად შესთავაზა სოფომ.
ვახოს აშკარად გაუხარდა. სახე გაუნათდა, მაგრამ მაშინვე არ დათანხმდა.
– რა ვიცი. მართლა არ შეგიშლით ხელს? იქნებ ერთად ყოფნა გინდათ, უცხოების გარეშე?
– არა, რას ამბობ. მოდი, მოდი, ცოტა ბრენდიც დავლიოთ. მოგვიხდება, – დაფაცურდა ნიკა, – აღფრთოვანებული იმით, რომ მარტო ქალების საზოგადოებაში არ მოუწევდა ყოფნა.
– ანა, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, თუკი ვახო, რომელიც მართლა კარგი ადამიანია, ჩვენთან ერთად დალევს ყავას.
– არა, რა თქმა უნდა... – ანა გაფანტული პასუხობდა. ისევ იმაზე ფიქრობდა, მართლა გაიგონა ლაშას ხმა თუ მოესმა. არც შეუმჩნევია, როგორი აღფრთოვანებით შესცქეროდა ვახო. მთელი საღამო, სანამ ყავას სვამდნენ, თვალი არ მოუცილებია მისთვის. სოფო რაღაცას ყვებოდა. ამ მონაყოლიდან ანას ერთი სიტყვაც არ გაუგონია. ერთ საათში ყველას დაემშვიდობა, ლილუს ხელი მოჰკიდა და ნომერში ავიდა.
ვახომ ისე გააყოლა თვალი მიმავალს, რომ ნიკას ხმამაღლა გაეცინა.
– რა გაცინებს? – ჰკითხა სოფომ, რომელიც ბავშვს ჟაკეტს აცმევდა და ნომერში ასაყვანად ემზადებოდა. ამიტომ, არც ვახოს დაუფარავი ინტერესი შეუმჩნევია ანას მიმართ.
– ჩვენს ვახოს შენი შეფი მოეწონა. გამოტყდი, ვახო, მოგხიბლა ანამ? ისე, მართლა კარგი ქალია, ლამაზი ფეხები აქვს.
– ნიკა! – წყენით შესძახა სოფომ, – გეყოფა.
ვახო გაწითლდა.
– რა ვთქვი განსაკუთრებული? – მხრები აიჩეჩა ნიკამ, – ან რა არის განსაკუთრებული იმაში, რომ კაცს ქალი მოეწონა. ქმარს გაცილებულია, ერთი გოგო ჰყავს. სწორედ ის მშვენიერი არსება, ნომერში რომ აიყვანა ახლა. კიდევ რა გაინტერესებს?
სოფომ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ვახოს დაემშვიდობა.
– ნახვამდის. ბავშვს ეძინება, საუზმეზე შევხვდებით, ალბათ... ჩემს ქმარს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ზოგჯერ ზედმეტი მოსდის ხოლმე.
– იცი, რამდენი ხანია, ამ კაცს ვიცნობ? – ნიკამ სასმელი მოწრუპა და სოფოს ვახოზე მიუთითა, – ძლივს ვნახე, რომ ქალი მოეწონა. ამ შანსს როგორ დავუკარგავ. შენ წადი, საყვარელო. ჩვენ ცოტას კიდევ დავლევთ და ამოვალ.
– იცოდე, ნაკლები დალიე და ანაზეც ნაკლები იჭორავე, – გააფრთხილა სოფომ. ქმარს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ბავშვთან ერთად ლიფტისკენ წავიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## სულიკო (სუზანა) ბურდილაძე-ხვედელიანის გახსენება



ჩვენო საყვარელო დედა, ისე მოულოდნელად წახვედი ჩვენგან, რომ დღემდე ვერ ვიჯერებთ, რომ აღარ ხარ. 40 დღეა, უშენოდ ვართ. დაცარიელდა სახლი. თითქოს კედლებმა მოიწყინეს, დაყრუვდა და დამუნჯდა ირგვლივ შენი კარ-მიდამო. თუმცა, ყველაფერს ისევ შენი ხელი ატყვია... ყველგან შენი კვალია. ყველაფერი შენს თავს გვახსენებს. შენ ხომ ყველაფერს ხალისითა და სიმღერით აკეთებდი. მღეროდი მაშინაც, როცა არ გემღერებოდა. მთელი შენი სიცოცხლე შენს ოჯახს შესწირე, რომელსაც პატიოსნად ემსახურე, შესწირე შენს შვილებსა და შვილიშვილებს. შენი ცხოვრება სიბერეში კიდევ უფრო დაამძიმა შენი საყვარელი შვილთაშვილის – თორნიკეს უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპვამ, მაგრამ მაინც თავს იმაგრებდი. თუმცა, ზუსტად მისი გარდაცვალების დღეს შენც მასთან წახვედი. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ახლა ერთად ხართ და იქიდან გვლოცავთ.
ჩვენო ძვირფასო დედა, ძალიან დაგვაკლდი, უშენოდ ძალიან გაგვიჭირდება. ღმერთს ვთხოვთ, სასუფეველში ამყოფოს შენი სული.

**შვილები – ჯემალი, ლიანა და ჯიმშერ ხვედელიანები**

# „ბრაზილიური“ სხეული

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენ გოგონას (და ცოტათი უფრო ასაკოვან ქალბატონსაც) უოცნებია ტელევიზორში ბრაზილიური კარნავალების ყურებისას ამ ცეცხლოვანი გოგონების რეზინის ბურთების მაგვარ არა მარტო მკერდზე, არამედ... დიახ, საოცრად მკვირვ და ლამაზ დუნდულებზე.



ცხადია, გახდომა ან, ზოგადად, კუნთების დაყენება უფრო ადვილია, ვიდრე დუნდულებისთვის სასურველი ფორმის მიცემა, რადგან, შეუძლებელია კუნთების ფორმისა და განლაგების შეცვლა, აი, მათი კორექტირება კი სავსებით შესაძლებელია.

„ბრაზილიური დუნდულების“ პატრონი ნამდვილად შეგიძლიათ გახდეთ, თუკი იმოქმედებთ 2 პრინციპით: ერთია ბალანსირებული კვება და მეორე – რეგულარული ვარჯიში; ოღონდ, თუ გსურთ, რომ არ დაკარგოთ მიზნის მიღწევის იმედი, არ უნდა გათვალოთ სწრაფ შედეგზე. მინიმუმ ნახევარი წელია საჭირო იმისთვის, რომ თქვენი მცდელობის შედეგი გარშემო მყოფთათვისაც შესამჩნევი გახდეს.

ჩვენ დღეს შემოგთავაზებთ ფიტნესის საერთაშორისო დონის სპეციალისტების რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ, სასურველი ფორმა მისცეთ თქვენს სხეულს წელსქვემოთ.

### კვება

მიირთვით დღეში 5-6-ჯერ, მცირე ულუფებით. ცილები უნდა იყოს ცხოველური წარმოშობის, ნახშირწყლები – რთული ჯგუფიდან (მაგალითად, პარკოსნები და ფაფები). აუცილებელია მცენარეული ცხიმები ან ომეგა-3. რადგან ქალებს ნაკლები აქვთ კუნთოვანი და მეტი – ცხიმოვანი ქსოვილი, შეამცირეთ ნახშირწყლები და აქცენტი გააკეთეთ ცილებზე. თქვენი ნორმაა 1-1,5 გრამი ცილა თქვენი სხეულის თითოეულ კილოგრამზე. პროდუქტები მოხარშეთ, მოშუშეთ ან მოამზადეთ ორთქლზე. შეწვა კატეგორიულად აკრძალულია.

### ვარჯიში

კარგად დაიმახსოვრეთ, რომ, შიმშილის შემთხვევაშიც კი, ვარჯიშის გარეშე მიზანს ვერ მიაღწევთ.

ვარჯიში ყოველთვის დაიწყეთ მოთელვით: გააკეთეთ რამდენიმე აჭიმვა, რამდენიმე „პრესი“ და 1 წუთი მაინც იხტუნეთ სახტუნაოთი – ეს ტონუსში მოიყვანს კუნთებს და აიძულებს სისხლს, უფრო ინტენსიურად იმოძრაოს. მხოლოდ ამის შემდეგ გადადით იმ ვარჯიშებზე, რომლებიც დაგეხმარებათ დუნდულების კუნთების გამკვრივებაში.

### პირველი ვარჯიში

დადექით სწორად. ფეხები გადგით მხრების სიგანეზე, ხელები ჩამოუშვით. ჩასუნთვის დროს ხელები გაშალეთ მკერდის გასწვრივ, ხელისგულებით ქვემოთ; ამოსუნთქვაზე მოიხარეთ მუხლებში და საჯდომი ოდნავ უკან გასწიეთ, თითქოს პატარა სკამზე აპირებთ დაჯდომას. შემდეგი ჩასუნთქვისას სხეულის წონა გადაიტანეთ ტერფებზე, ქუსლები ააცილეთ იატაკს, ხელები კი ასწიეთ თავის ზემოთ; ამოსუნთქვისას დაეშვით ქუსლებზე, ჩამოუშვით ხელები და ადექით.

ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ.

ამ დროს განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს ბარძაყების, დუნდულებისა და თეძოების შიგნითა და უკანა ზედაპირების კუნთები; ასევე, კვატრიცეპსები.

### ვარჯიში მეორე

დადექით სწორად. გააკეთეთ დოინჯი (წარმოიდგინეთ, რომ დგახართ საათის ციფერბლატის ცენტრში) და მარცხენა ფეხი გამოსწიეთ ისე, რომ ამ „ისრით“ 12 საათი „უჩვენოთ“. დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. შემდეგ რიგ-რიგობით გააკეთეთ ფეხით „გამოვარდნები“ ისე, რომ „უჩვენოთ“ სხვადასხვა დრო: 2, 3, 5 და 6 საათი. თითოეული ფეხით ეს მოძრაობები უნდა გააკეთოთ 3-3-ჯერ (მონაცვლეობით).

ამ ვარჯიშის დროს აქტიურად მუშაობს დუნდულების, თეძოების, წვივების კუნთები. ფეხების კუნთები იჭიმება პირველივე ვარჯიშის შემდეგ.

### ვარჯიში მესამე

დადექით „ოთხზე“ და ტანის სიმძიმე გადმოიტანეთ მხრებზე. ერთ-ერთი მუხლის ნაკეცში ჩაიდეთ 2-დან 5 კილოგრამამდე (თქვენი შერჩევით) წონის ჰანტელი, მოუჭირეთ ფეხი და ასწიეთ ისე, რომ თეძო იატაკის პარალელურად გააჩეროთ. შემდეგ ნელ-ნელა შეაბრუნეთ ბარძაყი ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, ბოლოს კი ნელი მოძრაობით დაუშვით ფეხი იატაკზე. იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხითაც. თითოეული ფეხით უნდა გააკეთოთ 3-3 ასეთი ვარჯიში.

ამ ვარჯიშის დროს მუშაობს დუნდულების კუნთები, თეძოების შიდა მხარე, მუხლქვეშა მყესები.

### ერთი დღის რაციონის ნიმუში

**პირველი საუზმე** *(8-9 საათი)* – 100 გრამი „ჰერკულესის“ ფაფა (უცხიმო რძეზე ან წყალზე მოხარშული) და 1 ფინჯანი უშაქრო მწვანე ჩაი.

**მეორე საუზმე** *(11-12 საათი)* – 3 ცალი მოხარშული კვერცხის ცილა და უსახამებლო უმი ბოსტნეულისა და მწვანილის სალათა.

**სადილი** *(14-15 საათი)* – 100 გრამი მოხარშული რუხი ბრინჯი და 100 გრამი მოხარშული უცხიმო თევზი (ხეკი).

**სამხარი** *(17 საათი)* – 100 გრამი მოხარშული ქათმის ფილე და უსახამებლო ბოსტნეული; ან – 150 გრამი მოხარშული უცხიმო თევზი და ცოცხალი მწვანილი.

**ვახშამი** (*20 საათი)* – 150 გრამი უცხიმო ხაჭო და 1 ჩაის ჭიქა კეფირი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორც ვიცი, კანის გაუწყლოების დროს ტენიანობის აღდგენის ყველაზე სწრაფი მეთოდია ჰიალურონის მჟავის ინიექცია. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით მიამბეთ ამ პროცედურის შესახებ.**

**პასუხი:** ჰიალურონის მჟავის ინიექცია მართლაც ყველაზე სწრაფად აღადგენს კანის ტენიანობას. მასზეა დამოკიდებული ბიორევიტალიზაციის პროცედურა. ამ ინიექციას არ მოჰყვება რეაბილიტაციის პერიოდი; ერთადერთი მცირე კომფორტი ისაა, რომ 2-3 დღის განმავლობაში რჩება ნემსის ნაჩხვლეტის კვალი, მაგრამ, სამაგიეროდ, საოცარია ეფექტი: კანი სწრაფად აღდგება, მკვრივდება და ახალგაზრდულად გამოიყურება.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ ლიმონის წვენით შესაძლებელია თმის გაბაცება?**

**პასუხი:** დიახ, ეს მართალია. თუმცა ლიმონის წვენი ვერ აქცევს მუქ თმას ქერად, მაგრამ, მელირების გამოცოცხლებას ან თმის ნახევარი ტონით გაბაცებას ნამდვილად მოახერხებს. ახალგამოწურული ლიმონის წვენი ფუნჯით წაისვით თმის მთელ სიგრძეზე და მზეზე გაჩერდით 15-20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. შეეცადეთ, რომ წვენი არ მოხვდეს თავის კანს, რადგან ის შეასრულებს პილინგის ფუნქციას, რაც გამოიწვევს კანის გაღიზიანებასა და აქერცვლას.



**კითხვა: რა განსხვავებაა გამწმენდ და ჩვეულებრივ კონდიციონერებს შორის?**

**პასუხი:** ჩვეულებრივ კონდიციონერს თმაზე ივლებენ შამპუნით დაბანის შემდეგ, რათა თმას მიეცეს ბზინვარება და მკვეთრი ფერი. გამწმენდი კონდიციონერი კი გამოიყენება შამპუნის ნაცვლად, რადგან ის მოქმედებს პრინციპით – „3-1-ში“; ბანს თმას, ასრულებს ჩვეულებრივი კონდიციონერის ფუნქციას და გარდა ამისა, ის იცავს თმის ღერებს ნებისმიერი დაზიანებისგან.

**კითხვა: ახლახან გავიგე, რომ არსებობს „შამპუნი მზის შემდეგ“. დაახლოებით კი ვხვდები მის დანიშნულებას, მაგრამ, კონკრეტულად რითაა თმისთვის სასარგებლო?**

**პასუხი:** ეს არის შამპუნი, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ შვებულების დღეებს ზღვის სანაპიროზე გაატარებთ: ის წმენდს თმას მარილებისგან, ქლორისგან და სილისგან; გარდა ამისა, აღადგენს თმის ღერების ფერსა და ელასტიკურობას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## ჩემი ქმარი ყოფილ შეყვარებულთან შერიგებას აპირებს

გაზაფხულზე გავთხოვდი. თითქმის მთელი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს მე და თემო. ჯერ არ ვაპირებდი გათხოვებას, მაგრამ, თემო იმდენს მეხვეწა და ისე მეფიცებოდა სიყვარულს, ბოლოს მეც დავთანხმდი. საქორწინო მოგზაურობაში მაშინ ვერ წავედით რაღაც მიზეზების გამო, სამაგიეროდ, ივლისის დასაწყისში გავემგზავრეთ ეგვიპტეში – თან იაფი ჯდებოდა და თან ძალიან საინტერესო იყო.

ძალიან ბედნიერი ვიყავი. სიყვარულისგან და სიხარულისგან დავფრინავდი. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ იქ უამრავი ქართველი ვნახეთ და მათ შორის ბევრი იყო ნაცნობი. პრინციპში, ამას მოველოდი კიდეც, მაგრამ ერთ ქართველ წყვილთან შეხვედრის შემდეგ თითქოს ქმარი შემიცვალეს: სულ მოღუშული და დაბოღმილი იყო; ყველაფერზე ღიზიანდებოდა და ნერვები ეშლებოდა; ყოველ სიტყვაზე მიშარდებოდა და მეჩხუბებოდა, მოკლედ, აშკარად ნერვებს ვუშლიდი და ვაღიზიანებდი, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოვეშორებინე თავიდან.

ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, რა დაემართა, რატომ შევძულდი ასე სწრაფად. ძალიან ბევრი ფიქრისა და დედუქციის მეთოდის გამოყენების შემდეგ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ თემოს სწორედ იმ დღიდან აერია ტვინი, ქართველი ცოლ-ქმარი – ნათია და გური რომ გავიცანით. თავიდან თითქოს ორივე მომეწონა, განსაკუთრებით – ნათია. მერე შევამჩნიე, რომ გური ძალიან ხშირად არ გამოიყურებოდა ადეკვატურად, რის გამოც ნათია სულ დაძაბული იყო ხოლმე და ცდილობდა, ქმრის გარეშე ევლო ყველგან. სად ახერხებდა გური ამ შუაგულ ეგვიპტეში ნარკოტიკის შოვნას, აზრზე არ ვარ, მაგრამ, რაც იქ ვიყავით, ალბათ, სულ ერთი-ორჯერ ვნახე ფხიზელი. ძალიან შემეცოდა ნათია და ვუთხარი კიდეც ეს თემოს, რაზეც ისეთი მძაფრი რეაქცია ჰქონდა, გამიკვირდა კიდეც. ერთ საღამოს კი დავინახე და გავიგონე კიდეც, როგორ ეჩხუბებოდა თემო აცრემლებულ ნათიას ქუჩაში – ამ სირზე (ბოდიშს გიხდით უწმაწურობისთვის) როგორ გამცვალე, ყველაფერი ახია შენზე, ახლა ნუღარ მთხოვ დახმარებასო. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გავიგე, თურმე, დახმარებას კი არა, დაბრუნებას სთხოვდა (ალბათ, მიხვდით, რომ ნათია თემოს ყოფილი შეყვარებული აღმოჩნდა, რომელიც მას სწორად იმ ნარკომანის გამო დაშორებია, ახლა კი ნანობდა თავის არასწორ არჩევანს და ცდილობდა, თუნდაც ჩვენი ოჯახის დანგრევის ფასად, ისევ დაებრუნებინა თემო.

მე არ მითქვამს თემოსთვის, რომ მათი საუბარი თუ საქმის გარჩევა გავიგონე. იმ ამბიდან მეორე თუ მესამე დღესვე დავბრუნდით თბილისში, რადგან, თურმე, ნათია და მისი ქმარიც ბრუნდებოდნენ. იმ დღიდან ჩემი ქმარი თბილად აღარ დამლაპარაკებია. დილიდან საღამომდე (როცა სახლშია) თავის ოთახშია ჩაკეტილი და აშკარად იმ ნათიას ელაპარაკება სკაიპით. არ ვიცი, იმას ვერ იშორებს თავიდან თუ თვითონ აპირებს მასთან დაბრუნებას, მაგრამ, ჩვენ რომ გაგვიფუჭდა ურთიერთობა, ამას წყალი არ გაუვა.



მე მაინც ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი და არ მინდა ოჯახის დანგრევა, თუმცა, გამოგიტყდებით, რომ ასე ცხოვრებაც აღარ შემიძლია. კიდევ რამდენიმე დღეს ვაცლი გონზე მოსასვლელად და, თუ თვითონ ვერ ჩამოყალიბდა, რა უნდა, უფრო სწორად, ვისთან უნდა ცხოვრება, მე მივაღებინებ გადაწვეტილებას – აირჩიოს ის, ვინც ერთხელ უკვე უღალატა, ერთხევლ უკვე უარყო და ახლა მხოლოდ იმიტომ უნდა მისი დაბრუნება, რომ იმ არარაობისგან დაიხსნას თავი და, მერე, თუ კიდევ გამოჩნდება ვინმე თემოზე უკეთესი, ისევ უღალატოს და მიატოვოს. მე კი აღარ მინდა ისეთ კაცთან ცხოვრება, რომელიც ლამის 30 წლის ასაკშიც კი ვერ გარკვეულა, ვინ უყვარს და ვისთან უნდა ყოფნა.

**ეკო, 23 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ჩაიხედე საკუთარ თავში

*ძალიან სახალისო და საინტერესო ფსიქოლოგიური ტესტია. შეგიძლიათ, საკუთარ თავსაც გაუკეთოთ და მეგობრებსაც. საკმაოდ ინფორმაციულია და შინაარსიანი. იყავით ყურადღებით და საკუთარ თავზე ბევრ რამეს შეიტყობთ. ფაქტობრივად, ჩაიხედავთ მასში...*

*მოკლედ, უპასუხეთ ასეთ შეკითხვებს:*



**1. ვთქვათ, მიდიხართ უდაბნოში, თანაც მარტო... რას წაიღებდით? (რამდენიმე ნივთი ცალკე ფურცელზე ჩამოწერეთ. სწრაფად იაზროვნეთ, დიდხანს არ დაყოვნდეთ);**

**2. წყურვილით იხრჩობით და შეგხვდათ მღვრიე წყალი. როგორ მოიქცევით? დალევთ (პასუხი დაწერეთ)?**

**3. დაინახეთ დიდი მთა. როგორ მოიქცევით – გადაივლით პირდაპირ თუ გრძელი გზით შემოუვლით?**

**4. ხედავთ ცხენს. აღწერეთ ის. რა ფერისაა, როგორია, მოდის თუ დგას... ამხედრდებით ცხენზე?!**

**5. თქვენ წინ თვალუწვდენელი კედელი აღიმართა. მისი გადალახვის შანსი არ არსებობს – როგორ გგონიათ, რა შეიძლება, იყოს ამ კედლის მიღმა (აღწერეთ).**

**ნახეთ პასუხები:**

*1. უდაბნოში თქვენ მიერ წაღებული ნივთებით განისაზღვრება თქვენი უმთავრესი მისწრაფებები და პრაქტიკული გონება. თუ წყალია თქვენს ჩამონათვალში – პრაქტიკული ხართ. მაგრამ თუ ჩამონათვალში გიწერიათ ხორცი, ლუდი, შოკოლადი ან რაიმე ამისი მსგავსი, ანალიტიკური აზროვნებით არ გამოირჩევით. იზრუნეთ ამის გამოსწორებაზე.*

*2. თუ ჭუჭყიან წყალს დალევთ, თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ყველაფერზე წავა სიყვარულისთვის. თუ არ დალევთ, ესე იგი, თქვენს პრინციპებს სიყვარულის გამო არ უღალატებთ.*

*3. თუ მთას მიადგებით და პირდაპირ გადალახავთ, ბუნებით ექსტრემალი ბრძანდებით. მაგრამ, თუ გრძელ გზას აირჩევთ ან სხვა გზების ძიებასაც დაიწყებთ, ნიშნავს იმას, რომ რისკს მაქსიმალურად არიდებთ თავს.*

*4. ცხენი არის თქვენი პარტნიორი. აბა, წაიკითხეთ, რა დაწერეთ მასზე?! მიიღებთ თქვენს იდეალურ წარმოდგენას, იდეალურ პარტნიორს თქვენთვის.*

*5. კედელი არის ზღვარი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ყოფას შორის. თუკი ფიქრობთ, რომ კედლის იქით სიცარიელეა, ურწმუნო ბრძანდებით, ხოლო თუ კედლის იქით სამოთხეა, ესე იგი, იმქვეყნიური ცხოვრების გჯერათ.*

**ელენე წულუკიძე**

# მძარცველთა საგანძური

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №22-34(765)**

– ჩვენ უცხოური პასპორტები და ვიზები გვჭირდება, – უთხრა დიმკამ კიტიას.

– ხუთი ათასი მანეთი დაგიჯდებათ, – მიუგო დიმკას მასპინძელმა.

– ორი ცალი?



– გეძვირათ?

– იაფი არაა, მაგრამ თანახმა ვართ.

– ერთ პასპორტსა და ვიზას სამად ვამზადებ. თქვენ კი ნოდარის ხათრით დაგიკელით.

– მადლობლები ვართ, – თქვა დიმკამ და დაამატა, – ჩვენ ოთხი პასპორტი და ოთხი ვიზა გვჭირდება.

– ოთხი? – გაიმეორა კიტიამ და დაუსტვინა, – კოლექტიურ გაქცევას აპირებთ ქვეყნიდან?

დიმკას ყურადღება არ მიუქცევია კიტიას ბოლო ფრაზისთვის და ჰკითხა:

– დაგვიმზადებთ ოთხ პასპორტსა და ოთხ ვიზას?

– გინდა, ათ-ათს დაგიმზადებთ.

– ათი ათასად, ხომ?

– კი. ოთხი ვიზა და ოთხი პასპორტი ათი ათასი მანეთი დაჯდება. თითოეული ორი ათას ხუთასი, – დააზუსტა ნოდარ კიტიამ.

– რამდენ ხანში იქნება მზად?

– ერთ კვირაში. ხვალ კი სურათების გადასაღებად მოდით ოთხივე და ნახევარი თანხაც წამოიღეთ. ასეთი წესი მაქვს. ნახევარს წინასწარ იხდით, დანარჩენს კი, სამუშაოს შესრულების მერე.

– ხუთი ათასს ახლავე დაგიტოვებთ, მაგრამ ერთი პატარა პრობლემაა, – თქვა დიმკამ. ჯიბიდან ფული ამოიღო და ორმოცდაათი ცალი ასმანეთიანი მაგიდაზე დადო.

ფულის დანახვამ მასპინძელი გაახალისა. კუპიურები ჯიბეში გააქანა. ქალ-ვაჟს გაუღიმა და მხიარულად უთხრა:

– აბა, რა პრობლემა გაქვთ? პრობლემების მოგვარება ჩემი პროფესიაა. გისმენთ.

– ჩვენ კი მოვალთ ხვალ, მაგრამ დანარჩენი ორი ვერ შეძლებს მოსვლას და მათი სურათები გვაქვს, – მიუგო დიმკამ კიტიას და ფიგაროს და სედოის ფოტოები უჩვენა, რომელიც მათ პოპოვმა გადაუღო.

ფოტოზე ფიგარო ჩვეულებრივად იყო ალბეჭდილი. სედოის კი გრიმი ჰქონდა გაკეთებული, რომელიც მას გენერალმა შეურჩია.

კიტიამ ყურადღებით დაათვალიერა ფოტოები და დიმკას უთხრა:

– რა გაეწყობა, ამ ფოტოებს ჩავაკრავ. თუმცა, ჯობდა, ეს ხალხი მე თვითონ გადამეღო. უკიდურეს შემთხვევაში, მათი ნეგატივები მაინც მქონოდა, რომ რეტუშირება გამეკეთებინა.

– ნეგატივები მაქვს.

– დამიტოვეთ.

– არ წამომიღია და ხვალ მოგიტანთ.

– კარგი. მოვილაპარაკეთ. ხვალ, საღამოს ხუთი საათისთვის გელოდებით თქვენი ნეგატივებიანად, – უთხრა კიტიამ ქალ-ვაჟს. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო და უპასუხა:

– გისმენთ.

მასპინძელმა პაუზა გააკეთა და სანამ ტელეფონს გათიშავდა, თქვა:

– კი. ხვალ სამზე მოდი. მზადაა და დანარჩენიც მოიტანე.

საუბარი რომ დაასრულა, მასპინძელმა ქალ-ვაჟს გაუღიმა და უთხრა:

– ყავას ხომ არ მიირთმევთ კონიაკთან ერთად?

– არა, გმადლობთ. ჩვენ წავალთ, – მიუგო დიმკამ და ნუცასთან ერთად კიტიას ბინა დატოვა.

წყვილი რომ სადარბაზოდან გამოვიდა, ორასიოდე მეტრი ფეხით გაიარეს. შემდეგ ტაქსი გააჩერეს და ნუცას ბინისკენ აიღეს გეზი. მანქანა სახლიდან სამასი მეტრის მოშორებით გააჩერეს. ფეხით განაგრძეს გზა და ბინაში მშვიდობიანად მივიდნენ.

– ესეც ასე, – თქვა დიმკამ, როდესაც სავარძელში მოკალათდა, ერთ კვირაში ვიზები და პასპორტები გვექნება და სულ მალე უცხოეთში გავემგზავრებით. იქ კი მდიდრულად და თავისუფლად ვიცხოვრებთ. შენ ისწავლი.

– ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახე, – მიუგო ნუცამ და ჰკითხა.

– ყავა გინდა?

– კი, – მიუგო დიმკამ, – შენ და... რამეში ეჭვი გეპარება?

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ნუცამ, თან ყავის მომზადებას შეუდგა.

– რას და, რომ თქვი, ჰოპ მერე დაიძახეო.

– ჯერ პასპორტები და ვიზები ჩავიბაროთ, მერე ლენინგრადში დავბრუნდეთ... გარდა ამისა, არც განძის საზღვარზე გადატანაა იოლი, – მიუგო ნუცამ და ყავა დიმკას წინ დაუდო, – ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ მრავალი ბარიერი გვაქვს გადასალახავი და იქამდე შორი გზაა.

– ყველაფერი კარგად იქნება, ნუციკო. ნუ გეშინია. აი, ნახავ, რა კარგად აეწყობა საქმე, – ხალისიანად უთხრა დიმკამ გოგონას. სიგარეტი გააბოლა და ყავა მოსვა.

ქალ-ვაჟმა გვიან დაიძინა. რომ გაეღვიძათ, შუადღეს უკვე გადაცილებული იყო. ნუცამ სადილი გააწყო და დიმკას დაუძახა.

– არ მშია, – დაიჯღანა ბიჭი.

– ეგ იმიტომ, რომ უზმოზე აბოლებ. მოდი, ჭამე.

– არა, ნუციკო. მართლა არ მინდა. თუ არ გეზარება, ყავა გამიკეთე.

ნუცამ ყავა მიუტანა დიმკას და ჰკითხა:

– რა გჭირს?

– რა ვიცი, რაღაც ვერ ვარ ხასიათზე. უცნაური სიზმარი ვნახე და ალბათ, იმიტომ.

– რა სიზმარი?

– მამაშენი დამესიზმრა.

– მამაჩემი?

– ჰო, ძია ნოდარი.

– მაინც, როგორ დაგესიზმრა?

– როგორ და, ვითომ ზონასთან მივედი, სადაც ერთად ვიჯექით. ზონას ზაპრეტკა არ ჰქონდა.

– ეგ რას ნიშნავს?

– კედელი და მავთულხლართი... მხოლოდ შავი და წითელი ხაზები იყო გავლებული. მე ზონაში შესვლა მინდოდა და შავ ხაზს გადავაბიჯე. ძია ნოდარი კი ჩემ წინ იდგა. ხელებს მიქნევდა და რაღაცას მიყვიროდა.

– რას გიყვიროდა?

– არ ვიცი. მისი ხმა არ მესმოდა. ალბათ, ზონაში შესვლას მიშლიდა.

– შეხვედი?

– არა. უცებ საიდანღაც შენ გაჩნდი. ხელი ჩამავლე და გავიქეცით.

– გავიქეცით? – გაეცინა ნუცას.

– ჰო. ტაიგაში გავრბოდით და მერე გამომეღვიძა.

ნუცამ მხიარულად გადაიკისკისა და თქვა:

– ალბათ, ჩემი წუხანდელი სიტყვები ჩაგყვა ძილში და ეს სიზმარიც ამის ბრალია.

– ალბათ, – მიუგო დიმკამ. გააბოლა და მღელვარების დაფარვა სცადა, რადგან ცუდი წინათგრძნობა დაუფლებოდა და კიტიასთან წასვლა არ უნდოდა, ამიტომ, ტელევიზორი ჩართო. ვიდეომაგნიტოფონში კასეტა შეაცურა და კომედია ჩართო.

ნუცას არ გამოპარვია ბიჭის მღელვარება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, მასთან ერთად მიუჯდა ტელევიზორს.

ოთხი საათი რომ მოახლოვდა, დიმკამ ნუცას უთხრა:

– მოდი, ასე ვქნათ, მე მარტო წავალ. შენ კი აქ დარჩი.

– რატომ?

– რა ვიცი. წავალ, სიტუაციას დავზვერავ. და თუ ყველაფერი სუფთად იქნა, დაგირეკავ და მოდი.

– კარგი რა, დიმკა, სიზმარმა შეგაშინა? – გაეცინა ნუცას.

– შიში რა შუაშია?

– აბა, რატომ არ გინდა ჩემი წაყვანა?

– რა ვიცი, რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს. ცუდი არაფერი მოხდეს.

– ცუდი შეიძლება მაშინ მოხდეს, მარტო, დაზღვევის გარეშე რომ გახვიდე გარეთ, – უთხრა ნუცამ, – ჩემთან ერთად კი ნურაფრის გეშინია.

გოგონას სიტყვებზე დიმკა წამოწითლდა და მიუგო:

– რისი უნდა მეშინოდეს?! უბრალოდ, თავს ვიზღვევ.

ნუცას ეშმაკურად ჩაეცინა და ბიჭს უთხრა:

– ერთი მაგარი აზრი მომივიდა თავში.

– რა აზრი?

– რა და, მე მარტო წავალ, სიტუაციას დავზვერავ. ყველაფერი თუ სუფთად იქნა, დაგირეკავ და მოდი.

– დამცინი, ნუციკო?

– გეხუმრები, ვერ ხვდები?

– კარგი, კარგი... ერთად წავიდეთ, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. წინათგრძნობას არასდროს უღალატია ჩემთვის. მაშინაც, ინკასაცია რომ უნდა დაგვებრომბა, ასეთივე ცუდი წინათგრძნობა მქონდა.

– იმედია, ცეცხლს არავინ გაგვიხსნის, – გაელიმა ნუცას, – მაშინ თქვენ გასაძარცვად მიდიოდით. ახლა კი სურათი უნდა გადავიღოთ.

– მაინც, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, – მიუგო დიმკამ ნუციკოს და ქამარში „პარაბელიუმი“ გაირჭო.

– შენ რა, მართლა საომრად ხომ არ მიდიხარ? – უთხრა ნუცამ ბიჭს.

– ეს ყოველი შემთხვევისთვის მომაქვს და იმედია, არ დამჭირდება, – მიუგო დიმკამ და დასძინა, – მზად ვარ. გავედით!

წყვილი რომ ქუჩაში გავიდა, წესისამებრ, ორასიოდე მეტრი ფეხით გაიარეს და ტაქსიში შემდეგ ჩასხდნენ. თუმცა, როგორც ყოველთვის, მანქანა კიტიას სახლიდან ორასი მეტრის მოშორებით არ გაუჩერებიათ. მის ქუჩაზე ჩაიარეს და მხოლოდ ამის მერე აპირებდნენ მანქანის გაჩერებას და უკან დაბრუნებას. მანამდე კი იქაურობა ტაქსიდან უნდა შეეთვალიერებინათ.

– მოიცა, მოიცა. ერთი წუთით შეაჩერე. რაღაც გამახსენდა, – უთხრა დიმკამ ტაქსისტს და მანქანა გააჩერებინა, როგორც კი ისინი კიტიას საცხოვრებელ კორპუსს ორმოცდაათიოდე მეტრით მიუახლოვდნენ.

მანქანა გაჩერდა. დიმკამ კიტიას სახლის სადარბაზოს გახედა და გაფითრდა, რადგან დაინახა, თუ როგორ გამოიყვანა ხელბორკილდადებული ნოდარ კიტია, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა მილიციელმა. შემდეგ კი მანქანაში ჩასვა და წაიყვანა. მილიციელი კი, რომელიც კიტიას ახლდა, კაპიტანი ვასო ჩხიკვაძე იყო. ეს სცენა არც ნუცას გამოპარვია და ისიც გაქვავებული იჯდა ტაქსის უკანა სავარძელზე.

– რა ვქნათ, წავიდეთ თუ ისევ აქ ვიდგეთ? – ჰკითხა ტაქსისტმა წყვილს.

– უკან წადი. სულ გამოვშტერდი. ფული სახლში დამრჩენია, – უთხრა დიმკამ ტაქსისტს და ანიშნა, – „ზადნით“ გადი.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს. ნისიაზე არ დავდივარ, – თქვა მძღოლმა და მანქანა უკუსვლით დაძრა.

– რა ნისია, ბიძაჩემო, – შეუღრინა ბიჭმა.

– შენ არ თქვი, ფული დამრჩაო?

– მე სხვა ფულს ვგულისხმობ. შენ კი, აი, გამომართვი. რა, არ გეყოფა? – დიმკამ მძღოლს წითელი ათმანეთიანი გაუწოდა.

მძღოლმა ფული ჯიბეში გააქანა და მიუგო:

– როგორ არ მეყოფა, ძმაო-ჯან. ბოდიში, თუ რამე გაწყენინე. ვიფიქრე, ხომ არ მაგდებენ-მეთქი.

დიმკას პასუხი არ გაუცია ტაქსისტისთვის. მთელი გზა ჩუმად იყო. შემდეგ, მანქანა ჩვეულებისამებრ, ნუცას სახლიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით გააჩერებინა. წყვილი მანქანიდან გადმოვიდა და გზა ფეხით გააგრძელეს. სახლში მშვიდობიანად დაბრუნდნენ და დიმკამ ენაჩავარდნილ ნუცას უთხრა:

– აი, ესეც ჩემი სიზმარი და წინათგრძნობა. ბეწვზე ვართ გადარჩენილები.

– დიმკა! – აღმოხდა ნუცას და ბიჭს ჩაეხუტა.

***

ხელბორკილდადებული ნოდარ კიტია ვასო ჩხიკვაძემ და მისმა კოლეგებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიყვანეს დაკითხვაზე. კიტიაზე კი მილიციელები სრულიად შემთხვევით გავიდნენ. მათ სწორედ ის კაცი დააპატიმრეს, ვინც კიტიასთან სამ საათზე უნდა მისულიყო ყალბი საბუთების წასაღებად და ათას ხუთასი მანეთი უნდა მიეტანა. ის კაცი ძებნილი გახლდათ და მილიციამ ერთ-ერთ ბინაში აიყვანა. დაკითხვაზე კი მან კიტია დაასახელა და ყალბი საბუთების დამამზადებელი ფაქტზე აიყვანეს.

სანამ კიტიას კითხავდნენ, მილიციის ოპერები მის ბინას ჩხრეკდნენ, რომ იქ სხვა სამხილები აღმოეჩინათ.

ვასო ჩხიკვაძემ კიტიას ხელბორკილები შეხსნა. სკამზე დასვა. ფურცელი და საწერკალამი წინ დაუდო და უთხრა:

– აბა, დაწერე ყველაფერი, თან, გახსოვდეს, რომ გულწრფელი აღიარება სასჯელს შეგიმსუბუქებს. სასჯელი კი საკმაოდ მძიმე გელის.

– რა დავწერო, უფროსო, თქვენ ხომ ისედაც ყველაფერი იცით. თქვენ თვითონ არ მომიგზავნეთ ის კაცი? – ამოილუღლუღა კიტიამ.

– კი არ მოგიგზავნეთ, დანაშაულზე წაგასწარით, – შეუსწორა კაპიტანმა.

– მცოდნოდა, ნასედკა იყო, მაგას ტროლეიბუსის აბონემენტსაც არ გავუკეთებდი, – სინანულით თქვა კიტიამ.

– ნასედკა კი არა, ძებნილი იყო. დავაკავეთ და თქვენზე გამოვედით, – უთხრა ჩხიკვაძემ.

– ბოზი, ჩამშვები ყოფილა. რა მნიშვნელობა აქვს, – თქვა კიტიამ.

– მოქალაქე კიტიავ, წესიერად ილაპარაკეთ, – შეუბღვირა ვასომ.

– ჯერ კიდევ მოქალაქე ვარ?

– ჯერჯერობით კი. ჯერ ეჭვმიტანილი ხართ. აბა, შეუდექით საქმეს.

– რა საქმეს, უფროსო. ის კაცი ერთმა ნაცნობმა გამომიგზავნა და მთხოვა: – ვიზა და პასპორტი გაუკეთეო. იმან კი ჩამიშვა.

– ჰოდა, ეგ ყველაფერი ფურცელზე დაწერე და ხელი მოაწერე.

– რომ არ დავწერო?

– თქვენი ნებაა. დანაშაულს მაინც დაგიმტკიცებთ და უფრო მკაცრად დაისჯებით თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო.

– მცემთ და მაწამებთ, არა?

– თქვენს ცემას არავინ აპირებს. არ დაწერთ და ნუ დაწერთ. საკანში მოგათავსებთ. საქმეს თქვენი აღიარების გარეშეც გავხსნით. აი, თქვენ კი მაქსიმალურს მიიღებთ. შეგიძლიათ, საკანში წახვიდეთ. ბადრაგს ახლავე გამოვიძახებ.

– კარგი, დავწერ, – ხელი ჩაიქნია კიტიამ. საწერკალამი აიღო და წერას შეუდგა. ნახევარი საათის შემდეგ კი დაასრულა და ვასო ჩხიკვაძეს წინ დაუდო.

– აი, დავწერე.

ვასომ კიტიას ჩვენება წაიკითხა. საქაღალდეში შეინახა და პატიმარს უთხრა:

– ძალიან კარგი. ახლა საკანში დაისვენეთ და როცა საჭირო იქნება, მე თვითონ დაგიძახებთ.

ბადრაგმა ნოდარ კიტია საკანში წაიყვანა. ჩხიკვაძემ კი შიდა ტელეფონზე დარეკა და თქვა:

– ბიჭები რომ დაბრუნდებიან, თუ რამე ახალი ექნათ, ჩემთან შემოვიდნენ. კიტიას

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

ჩვენება უკვე მაქვს.

ვასომ გააბოლა. შემდეგ საქაღალდე გადამალა და ნოდარ კიტიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის კითხვას შეუდგა. ოციოდე წუთის შემდეგ კაპიტნის კაბინეტში ორი ოპერი შემოვიდა. ერთ-ერთმა მაგიდაზე საქაღალდე და ცელოფნის პარკი დადო და კაპიტანს უთხრა:

– აი, რა ვიპოვეთ კიტიასთან.

– ეს რა არის? – ჰკითხა ვასომ.

– ხუთი ათასი მანეთი და ორი ფოტოსურათია, – მიუგო ოპერმა, – როგორც ეტყობა, კიდევ ვიღაცას უკეთებდა ყალბ საბუთებს.

ვასომ ჯერ ფულით სავსე პარკი შეამოწმა და გვერდზე გადადო. შემდეგ საქაღალდე გადაშალა. ორი ფოტო აიღო. ყურადღებით შეათვალიერა და ოპერებს უთხრა:

– სულ ესაა?

– კი, – მიუგო ერთ-ერთმა ოპერმა.

– კიტიას ბინაში ახლა რა ხდება?

– ჩასაფრების ჯგუფია იქ. სამნი ბინაში არიან. ოთხი კაცი კი გარეთ, მანქანაში მორიგეობენ.

– კარგი. თავისუფლები ხართ. თუ დამჭირდით, დაგიძახებთ, – უთხრა ვასომ ხელქვეითებს და კაბინეტიდან გაისტუმრა. შემდეგ ფიგაროს და სედოის ფოტოები ყურადღებით დაათვალიერა, მაგიდაზე დაყარა და სამინისტროს ძებნის სამსახურის უფროსს დაურეკა.

– თუ გცალია, ჩემთან შემოდი და თან მოსკოვის საქმის ძებნილების ფოტოები მოიტანე.

– ვინ ძებნილების? – ვერ მიხვდა ძებნის სამსახურის უფროსი.

– ინკასატორებს რომ ნახევარი მილიონი გასტაცეს.

– გასაგებია. ხუთ წუთში მოვალ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ვასო ჩხიკვაძეს ძებნის სამსახურის უფროსი ეწვია. შავი საქაღალდე მაგიდაზე დადო და ვასოს ჰკითხა:

– რა ხდება?

– მოიტანე, რაც გთხოვე? – კითხვა შეუბრუნა კაპიტანმა.

– აი, აქაა, – ახალმოსულმა შავ საქაღალდეზე მიუთითა კაპიტანს.

ვასომ ჯერ ძებნის სამსახურის უფროსის საქაღალდე გადაშალა. იქიდან დიმკას და სედოის სურათები ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ კიტიას ბინიდან ამოღებული სურათები გვერდით დაულაგა და ახალმოსულს უთხრა:

– აბა, დააკვირდი და ამ სურათებს შორის მსგავსებას თუ ხედავ?

ძებნის სამსახურის უფროსს, თავისი პროფესიის წყალობით, თვალი ისე ჰქონდა გავარჯიშებული, რომ შეცდომას არ უშვებდა. ნებისმიერი ძებნილის ამოცნობა შეეძლო და ვასოს დაუფიქრებლად მიუგო:

– ეს სემიონ სემიონოვია, იგივე სედოი, – მან ძებნილი სედოის სურათი და პარიკიან-გრიმიანი სედოის სურათი ხელში აიღო და ერთად დაალაგა და, – ესეც სედოია, ოღონდ გრიმიანი.

– ყოჩაღ, – ჩაეცინა ვასოს.

ძებნის სამსახურის უფროსმა კი დანარჩენი ორი ფოტოც ერთად დაალაგა და ვასოს უთხრა:

– ეს დიმიტრი კანდელაკია, იგივე დიმკა. ეს კი – ფიგარო.

– ჰო, ფიგაროა. მეც ვიცანი, – დაუდასტურა კაპიტანმა.

– რა მერე?

– რა და ის, ჩემო კარგო, რომ თუ არ ვცდები, ეს ძებნილები თითქმის ხელში გვყავს და რომ არ გაგვექცნენ, მე და შენ უნდა ვიყოჩაღოთ.

– ფიგარო არაა ძებნილი. ძებნილები ეს ორია.

– ფიგაროზე არც მითქვამს. მე დიმკასა და სედოის ვგულისხმობდი.

– მაინც, რა ხდება, ვასო, არ იტყვი?

– რა ხდება და, ახლახან ვინმე ნოდარ კიტია ავიყვანეთ, რომელიც ყალბი პასპორტებისა და ვიზების დამზადებაშია მხილებული. ეს ორი ფოტოც მისი ბინიდან ამოიღეს ბიჭებმა. ესე იგი, სედოი ყალბი პასპორტითა და ვიზით აპირებს ქვეყნის დატოვებას. სადაც სედოია, იქ დიმკაც უნდა იყოს. ხვდები ახლა?

– კი. რა თქმა უნდა.

– ჰოდა, შენს ბიჭებს ორიენტიროვკა მიეცი, რომ სედოი და დიმკა ეძებონ თბილისში. შეიძლება, ფიგაროც აქ იყოს, მე კი კიტიას დავკითხავ ხელახლა.

– კარგი. წავედი, – თქვა ძებნის სამსახურის უფროსმა და ვასო ჩხიკვაძის კაბინეტი სასწრაფოდ დატოვა.

კაპიტანმა ბადრაგს სასწრაფოდ ნოდარ კიტიას გამოყვანა დაავალა საკნიდან. თვითონ კი სიგარეტს მოუკიდა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ნოდარ კიტია კვლავ ჩხიკვაძის კაბინეტში იმყოფებოდა. მან კაპიტანს უცნაურად შეხედა და ჰკითხა:

– მოხდა რამე, უფროსო?

– კიტია, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ყველაფერს გულწრფელად აღიარებდით? – ჰკითხა კაპიტანმა პატიმარს.

– დიახ, – მიუგო კიტიამ.

– მერე, ასე ასრულებთ პირობას?

– მე ხომ ყველაფერი ვაღიარე?

– ყველაფერი – არა.

– აბა, კიდევ რას მოითხოვთ ჩემგან? – ჰკითხა კაპიტანს კიტიამ.

ვასო ჩხიკვაძემ, ნოდარ კიტიას, ხუთი ათასი მანეთით სავსე პარკი, ფიგაროსა და სედოის ფოტოები წინ დაუდო და ჰკითხა:

– ეს რა არის?

– მაინც იპოვეთ, ხომ? – თავი გააქნია პატიმარმა, – ის, რის გამოც ახლა აქ ვიმყოფები.

– ბრალდებულო, კიტია! – ხმას აუწია კაპიტანმა, – ახლა ქარაგმებით ლაპარაკის დრო არაა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამეცით პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაქსიმალურ სასჯელსა და უმკაცრეს რეჟიმს მიიღებთ. ეს კი თქვენი აღსასრული იქნება. გასაგებია?

– უფრო გასაგებად ვერ იტყვის კაცი, – თქვა კიტიამ.

– მაშინ გისმენთ. თქვით, ვისია ეს ფოტოები და ვის ეკუთვნის ეს ხუთი ათასი მანეთი.

– ფოტოებზე აღბეჭდილებს არ ვიცნობ. ეს ფული კი იმ თანხის ნახევარია, რაც ოთხი ყალბი პასპორტისა და ვიზისთვის უნდა გადაეხადათ.

– ეს უკვე საქმესთან ახლოა. ახლა დაწვრილებით მომიყევით ყველაფერი, ხოლო თუ შეკითხვები გამიჩნდა, ბოლოს დაგისვამთ, – უთხრა კიტიას ჩხიკვაძემ, – აბა, ყურადღებით გისმენთ.

– უფროსო, გუშინ ჩემთან ქალ-ვაჟი მოვიდა. ოთხი პასპორტი და ვიზა შემიკვეთეს. ნახევარი თანხა დამიტოვეს და ეს ორი ფოტო. დღეს, ხუთ საათზე უნდა მოსულიყვნენ ფოტოების გადასაღებად, თან ამ ორი ფოტოს ნეგატივებიც უნდა მოეტანათ. აი, სულ ესაა, რაც ვიცი, – თქვა კიტიამ და დადუმდა.

კაპიტანმა საათს დახედა და თქვა.

– ათი დაიწყო. როგორც ეტყობა, თქვენმა სტუმრებმა დაგვინახეს, ყველაფერს მიხვდნენ და გაიქცნენ.

– ალბათ, – მიუგო კიტიამ.

– ქალ-ვაჟის ვინაობა დაასახელეთ და თქვენთან ვინ გამოუშვა, – უთხრა კაპიტანმა პატიმარს.

– თუ დამიჯერებთ, მე მათი სახელებიც კი არ ვიცი. უბრალოდ, მითხრეს, რომ ნოდარ მდივნისგან იყვნენ, ესაა და ეს.

– ნოდარ მდივანი ვინ არის?

– ჩვემი ძველი და კარგი ნაცნობია. თორმეტი წელია, რაც სასჯელს იხდის, – მიუგო კაპიტანს პატიმარმა და დაამატა, – შეიძლება, მოვწიო?

– მოწიეთ, – მიუგო ჩხიკვაძემ და სიგარეტის კოლოფი და ასანთი მიაწოდა კიტიას. თვითონ კი კაბინეტში გაიარ-გამოიარა და პაუზის შემდეგ პატიმარს ჰკითხა:

– ფოტოებზე აღბეჭდილ პირებს იცნობთ?

– არა.

– მათთვისაც უნდა დაგემზადებინათ ყალბი საბუთები?

– დიახ. ამიტომაც დამიტოვეს სურათები. თუმცა, ნეგატივებიც ჰქონიათ. მე კი ნეგატივები მერჩივნა და დღეს უნდა მოეტანათ.

– რა გითხრა ქალ-ვაჟმა, თვითონ ესენი რატომ არ მოვლენო სურათის გადასაღებად?

– არ ვიცი, უფროსო, – მხრები აიჩეჩა კიტიამ, – ასე მითხრეს, ვერ მოვლენო.

– ქალ-ვაჟი ამიწერეთ.

– ახალგაზრდა, ლამაზი წყვილია, უფროსო. ორივეს კარგი ტანი აქვს. მაღლები არიან. გოგოს მზის აჩკები ეკეთა. ბიჭს კი – ჩვეულებრივი აჩკები, სამედიცინო. სიმართლე გითხრათ, თვალიერება არ დამიწყია.

– რაიმე განსაკუთრებული ნიშნები ხომ არ ჰქონდათ? მაგალითად, ტატუ, იარა სხეულზე... მეტყველების დეფექტი. ერთი სიტყვით, ისეთი რამ, რისი საშუალებითაც მათი ამოცნობა შეიძლება.

კიტია ჩაფიქრდა და ჩხიკვაძეს უთხრა:

– არა, უფროსო. მსგავსი არაფერი შემინიშნავს.

– რომ ნახოთ, ამოიცნობთ?

– პირისპირ რომ ვნახო, ალბათ, კი.

ვანო ჩხიკვაძემ უჯრიდან ათი სხვადასხვა ფოტო ამოიღო. მათ შორის დიმკასიც. ყველა ერთ მწკრივში დააწყო და კიტიას უთხრა.

– ამ ფოტოებს ყურადღებით დააკვირდით და მითხარით, მათ შორის თუ არის ის ბიჭი, ვინც თქვენთან იყო გუშინ და ხუთი ათასი მანეთი დაგიტოვათ ყალბი საბუთებისთვის.

კიტია, კარგა ხანს აკვირდებოდა სურათებს. ბოლოს კი ჩხიკვაძეს უთხრა:

– არა უფროსო, ამათში ის ბიჭი არაა.

– დარწმუნებული ხართ?

– დიახ.

კაპიტანმა მწკრივიდან დიმკას სურათი აიღო. კიტიას მიაწოდა და უთხრა:

– კარგად დააკვირდით ამ ფოტოს. გუშინ ეს ბიჭი ხომ არ იყო თქვენთან გოგონასთან ერთად?

კიტიამ კიდევ ერთხანს ათვალიერა დიმკას ფოტო. ბოლოს კაპიტანს დაუბრუნა და უთხრა:

– არა, უფროსო, ეს ბიჭი არ ყოფილა გუშინ ჩემთან.

კაპიტანმა უჯრაში შეინახა ფოტოები. შემდეგ გააბოლა და კიტიას უთხრა:

– ახლა კვლავ საკანში დაგაბრუნებთ. ჩვენება კი დილით თავიდან დაწერეთ. მაგრამ, თუ გაირკვა, რომ კიდევ მოგვატყუეთ, რამე დაგვიმალეთ და საერთოდ, ჩვენს გაცურებას შეეცადეთ, იცოდეთ, დაუნდობლად, კანონის მთელი სიმკაცრით დაგსჯით.

– გასაგებია, უფროსო. მე ყველაფერი გითხარით, რაც ვიცოდი, – მიუგო კიტიამ ჩხიკვაძეს და ბადრაგს საკანში გაჰყვა.

პატიმარი რომ გაისტუმრა, კაპიტანმა შიდა ტელეფონზე ძებნის სამსახურის უფროსს, მაიორ თოიძეს დაურეკა და უთხრა:

– რას აკეთებ, გივი, გცალია?

– ცოტა ხანში წასვლას ვაპირებ, – მიუგო მაიორმა.

– რომ გამოხვალ, შემომიარე.

– კარგი. ათ წუთში მოვალ.

ათიოდე წუთის შემდეგ, სახლში მიმავალმა გივი თოიძემ ვასო ჩხიკვაძეს კაბინეტში შეუარა.

– მოდი, გივი, დაჯექი. ძალიან გეჩქარება? – ჰკითხა ახალმოსულს ჩხიკვაძემ.



– საქმეს სიჩქარე არ უყვარს. თუ საჭიროა, შევყოვნდები, – მიუგო მან კაპიტანს და სკამზე დაჯდა.

– რა ქენი, გააძლიერეს შენმა ბიჭებმა სედოისა და დიმკას ძებნა? – ჰკითხა ჩხიკვაძემ თოიძეს.

– კი. მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დგას და თუ ნამდვილად თბილისშია, აუცილებლად მივაგნებთ.

– ეს არც თუ ისე იოლია, – თავი გააქნია კაპიტანმა.

– იოლი არც ლობიოს ჭამაა. შეიძლება, გაგბეროს, – გაეცინა მაიორს.

– მოკლედ, გივი, მე მგონი, არც სედოია თბილისში და არც ფიგარო. თუ ალღო და ლოგიკა არ მღალატობს, აქ მხოლოდ დიმკა უნდა იყოს. თანაც კარგად შენიღბული. სავარაუდოდ, ის ახალგაზრდა, მაღალ, ლამაზ გოგონასთან ერთად გადაადგილდება და მისი ძებნისას ამას მიაქციონ ყურადღება.

– გასაგებია.

– გოგონას მზის სათვალე შეიძლება ეკეთოს. დიმკას კი – სამედიცინო სათვალე.

– კარგი. გავითვალისწინებ, – თქვა მაიორმა და ჩხიკვაძეს ჰკითხა:

– რატომ ფიქრობ, რომ თბილისში მხოლოდ დიმკაა?

– იმიტომ, გივი, რომ იმ ბიჭმა, რომელიც მე დიმკა მგონია, კიტიას ფიგაროსა და სედოის ფოტოები დაუტოვა. დღეს კი ნეგატივები უნდა მიეტანა. თავად დიმკას და იმ გოგონას კი დღეს სურათები უნდა გადაეღოთ კიტიასთან, – მიუგო ჩხიკვაძემ და პაუზის შემდეგ დააყოლა, – სედოი და ფიგარო აქ რომ იყვნენ, მაშინ ხომ ისინიც კიტიასთან მივიდოდნენ სურათების გადასაღებად და ფოტოებს არ დატოვებდნენ.

– ლოგიკურია, – თქვა თოიძემ, – გამოდის, კიტიას ოთხი ცალი პასპორტი შეუკვეთეს?

– ოთხი პასპორტი და ვიზები. ნახევარი თანხა – ხუთი ათასი მანეთი კი, გუშინვე დაუტოვეს.

– კოლექტიურ გაქცევას აპირებენ? – ჩაეცინა თოიძეს.

– ჰოდა, ძალიან საეჭვო და საინტერესო ფაქტია ეს.

– რას გულისხმობ?

– რატომ და რით გარბის ასე ერთბაშად ამდენი ხალხი – აი, რას ვგულისხმობ.

– სედოისა და დიმკას რომ აქ არ დაედგომებათ, რა ძნელი მისახვედრია. იციან, რომ ჩავარდნენ, ციხეში ამოხდებათ სული და ამიტომაც გარბიან.

– ეგ კი, გასაგებია, – თქვა კაპიტანმა, – მართალია, ფიგარო ძებნილი არაა, მაგრამ „ზა კამპანიუ“ მიჰყვება მათ. მაგრამ ის ახალგაზრდა, უცნობი, ლამაზი გოგონა ვინღაა?

– ცოტაა ამქვეყნად ლამაზი ბოროტმოქმედი ან ბოროტმოქმედთა თანამგრძნობი ლამაზი გოგონა? ეგეც ერთ-ერთი მათგანი იქნება – თქვა თოიძემ.

– მაგასაც დროებით თავი დავანებოთ, – ხელი ჩაიქნია ჩხიკვაძემ, – ყველაზე საინტერესო ისაა, რით აპირებს ამდენი ადამიანი უცხოეთში წასვლას – უფულოდ, ხელცარიელი ხომ არ გაემგზავრებიან?

– ექნებათ რამე. მართლა ჯიბეგახვრეტილები ხომ არ წავლენ?

– ჰოდა, მეც ეგ მაინტერესებს. რაც ფული ჰქონდათ, ყველაფერი იმ ზალკინმა მოიპარა და მიიმალა. არ გახსოვს, ამას წინათ რამდენი ვსდიეთ იმ ქირურგს და ვერსად მივაგენით?

– მაგას რა დამავიწყებს, – თავი გააქნია თოიძემ, – დიდი გაიძვერაა ის ზალკინი. როგორ გვარბენინა აქეთ-იქით და მაინც ვერსად მივაგენით.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შ | უ | მ | ა | ნ | ი |
| | | | | ტ | | ე | | ე | |
| | | | | ი | გ | რ | ე | კ | ი |
| ლ | | | | ზ | | ა | ღ | რ | ლ |
| ი | ტ | ფ | ი | ლ | ა | ნ | დ | ა | უ |
| ზ | ა | უ | კ | ე | | ი | | ს | კ |
| | ლ | რ | ი | ტ | | | კ | ო | |
| | ა | ი | რ | ი | კ | ლ | ა | ვ | |
| ო | ნ | ა | | | ი | რ | ზ | ი | ტ |
| ვ | ტ | | კ | დ | ე | მ | ი | | |
| ა | ი | ძ | რ | ა | ვ | | ნ | ა | ა |
| რ | | ა | ე | რ | ო | კ | ე | დ | ი |
| ზ | ი | რ | მ | ა | | | ტ | ო | ლ |
| | | ზ | ა | | ს | ა | ი | ნ | ი |
| ე | ც | ე | ც | | ო | | | ი | დ |
| ლ | ა | ლ | ი | | კ | ლ | ა | ს | ი |
| | | ი | ა | ზ | ო | | ლ | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 9 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 9 | 3 | 5 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 4 | 6 | 1 | 7 | 8 |
| 5 | 7 | 6 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 5 | 7 | 6 | 8 | 3 |
| 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 |
| 8 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 1 |
| 1 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 7 | 4 | 9 | 1 | 8 | 3 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 | 2 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 | 8 |
| 3 | 6 | 7 | 5 | 2 | 9 | 4 | 8 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 5 | 2 | 8 | 3 | 6 |
| 7 | 8 | 3 | 9 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ჰაერის გადასახადი. 2. ემბლემა – ირემი. 3. თეთრი ფოსფორი. 4. აირწინაღის ჩანთა. 5. კანდიდატი. 6. მარიხუანა. 7. კროსმაისტერი. 8. იაპონიის დროშა – თეთრზე წითელი ფერის თევზის წრე. 9. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს. 10. ხუთწიგნეული (ებრაული თორა).**

# როგორ გაიტაცეს ქართველი მეცნიერის დახმარებით ბოროტმოქმედებმა 20 მილიონი მანეთი და ნახევარი ტონა ოქრო



### პატარა გენიოსი

1963 წლის მაისში 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ, ანდრო გაბელიამ, მოსკოვში გამართულ ნორჩ ტექნიკოსთა საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა. მის მიერ აწყობილმა მოკლეტალღეურმა რადიოგადამცემმა პირველი ადგილი აიღო და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების ალტაცება დაიმსახურა. გამარჯვებული ქართველი მოსწავლე საკავშირო პიონერულ ბანაკ „არტეკში" ერთი თვით გაგზავნეს დასასვენებლად, სადაც მან მრავალფუნქციური რადიოკვანძი შექმნა და ამის გამო ბანაკის ხელმძღვანელობამ ანდროს კიდევ ორი თვით გაუხანგრძლივა ბანაკში დასვენება და ისე გამოვიდა, რომ ბიჭმა მთელი ზაფხული გაატარა „არტეკში". თბილისში დაბრუნების შემდეგ ანდროს სკოლას „არტეკიდან" მადლობის წერილი და დიდი წითელი დიპლომი მოუვიდა, რის შემდეგაც, ისედაც კარგად ცნობილი და პოპულარული ანდრო კიდევ უფრო დაფასებული გახდა. მისი სკოლის დირექტორი კი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. არაჩვეულებრივად ბედნიერები იყვნენ თბილისის პიონერთა სასახლის „ნორჩი ტექნიკოსის" წრეშიც, რადგან ანდროს ქების წერილი მათაც მიუვიდათ. ერთი სიტყვით, ქართველ ვუნდერკინდს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

### მჟავანაძის თვითმფრინავი

პირველი დიდი წარმატების შემდეგ პატარა ანდროს ცხოვრება ალმავალი ნიშნით წარიმართა და სკოლის დამთავრებამდე მრავალი საკავშირო ჯილდო დაიმსახურა. 1966 წლის დეკემბერში კი, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ჭაბუკ რადიომოყვარულთა კონკურსზე ანდროს აწყობილმა პორტატულმა რადიომოწყობილობამ დიდი ოქროს მედალი და საერთაშორისო კონკურსის პირველი ადგილი დაიმსახურა. მოსკოვში დაბრუნებულ ქართველ ჭაბუკს ცნობილი საბჭოთა რადიოინჟინერი, აკადემიკოსი პავლე კუკუშკინი შეხვდა, გაესაუბრა, აღფრთოვანებული დარჩა და თავის კოლეგებს უთხრა:

– ამხანაგებო, გარწმუნებთ, რომ ეს გენიოსი ჭაბუკი რამდენიმე წელიწადში დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი დარგის განვითარებაში.

თბილისში დაბრუნებულ ანდროს, რომელიც სულ რაღაც 17 წლის იყო, როგორც დიდსა და ავტორიტეტულ ადამიანს, ისე ეპყრობოდნენ, პატივს სცემდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ. ანდრომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და 1967 წლის ივლისის მიწურულს მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ემზადებოდა. 24 ივლისს მას საქართველოს „კაგებეს" რადიოტექნიკური განყოფილების თანამშრომლები და გამომძიებლები ეწვივნენ. მის ეზოსთან კი პელენგატორიანი რადიოფურგონი იდგა. სწორედ მისი მეშვეობით იპოვეს ანდრო. საქმე ის იყო, რომ 23 ივლისის ღამეს თბილისისკენ მომავალმა თვითმფრინავმა, რომელსაც „ცეკას" პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მოჰყავდა, აეროპორტში დაჯდომა ვერ შესძლო და კვლავ მოსკოვში გაფრინდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სამთავრობო ავიახაზები უცნობი სიგნალებით იყო დაბლოკილი და აეროდისპეტჩერები თვითმფრინავის დასმას ვერ ახერხებდნენ. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომელსაც საბოტაჟის სუნი ასდიოდა. ამიტომ საქმეში „კაგებე" ჩაერთო, ისინი კი ანდროს მიადგნენ, რომელმაც ეს რადიოხულიგნობა ჩაიდინა და მას ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ასეთ საქციელს აღარ ჩაიდენდა. ორი დღის მერე ანდრო და მამამისი მოსკოვში გაემგზავრნენ. აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და17 წლის ყმაწვილი ბაუმანის ინსტიტუტის ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი გახდა.

### ძარცვა

ანდრო აკადემიკოს პავლე კუკუშკინის უსაყვარლესი სტუდენტი გახდა. ღვაწლმოსილი აკადემიკოსი შვილიშვილის ტოლ ბიჭს პატივისცემის ნიშნად მამის სახელით მიმართავდა და „ანდრო ივანიჩს" ეძახდა. აკადემიკოსმა ბიჭს თავისი ლაბორატორია დაუთმო, სადაც ქართველი ყმაწვილი ცდებს ატარებდა. 1971 წელს, 21 წლის მეოთხეკურსელმა სტუდენტმა უნიკალური რადიოპულტი შექმნა, რომელშიც სხვადასხვა სიხშირის სიგნალების დაჭერა, გარდაქმნა და მართვა შეეძლო. ეს იყო გენიალური გამოგონება, რომელიც მაშინვე გაასაიდუმლოეს, სამხედრო-სარაკეტო და საავიაციო მრეწველობაში დანერგეს და დღემდე იყენებენ. ანდრომ დროზე ადრე მიიღო ინსტიტუტის დიპლომი. მის სადიპლომო ნაშრომს კი საკანდიდატო ხარისხი მიანიჭეს. 22 წლის ქართველი ახალგაზრდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ამ დამსახურებისთვის მას მოსკოვში ოთხოთახიანი ბინა მისცეს და ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში გაამწესეს, რომელსაც აკადემიკოსი კუკუშკინი ხელმძღვანელობდა. კუკუშკინს ორი ქალიშვილი ჰყავდა – ალა და ნატა. 26 წლის ალა ანდროს უყვარდა და მისი გულის მონადირებას ცდილობდა, ალა კი სულ სხვა ადამიანი იყო – კრიმინალური მენტალიტეტის მქონე გოგონა დიდ საქმეზე ოცნებობდა. იგი სახელმწიფო ბანკში მუშაობდა და ორგანიზებულ დამნაშავე ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ჯგუფს ყოფილი სამხედრო ლეიტენანტი, 36 წლის რომან კაზანცევი ხელმძღვანელობდა. ალა რომანის საყვარელი იყო და მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. რომანმა ანდროს შესახებ ალასგან იცოდა და ხშირად დასცინოდა შეყვარებულ ქართველ ახალგაზრდას. ერთ მშვენიერ დღეს ალამ რომან კაზანცევს უთხრა:

**22 წლის ქართველ ახალგაზრდას მეცნიერების კანდიდატის წოდება მიანიჭეს და მოსკოვში ოთხოთახიანი ბინა მისცეს**

– როგორც იქნა, ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა ზეიმი. რაზეც ეს წლები ვოცნებობდით, რეალური ხდება და, თუკი ყველაფერს ზუსტად შევასრულებთ, დიდ კუშს ავიღებთ.

ალამ კაზანცევს უამბო, რომ 1972 წლის 4 ივნისს მოსკოვიდან კიევში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს პატარა კუთვნილი თვითმფრინავი უნდა გაფრენილიყო. თვითმფრინავში 20 მილიონი მანეთი, 500 კილოგრამი ოქრო და ფინანსური დოკუმენტაცია იქნებოდა. ქალმა რომანს ამ თვითმფრინავის გაძარცვა შესთავაზა.

– კი მაგრამ, როგორ უნდა გავძარცვო ეგ თვითმფრინავი, მას ხომ გაძლიერებული დაცვა ეყოლება და აეროპორტამდეც კი არავინ მიგვასუნიენბს, – უთხრა რომანმა ალას.

– დაცვა მას მხოლოდ აეროპორტამდე მიაცილებს და კიევში დახვდება. ჩვენ ის ჰაერიდან უნდა მოვხსნათ, – მიუგო ალამ, რაზეც რომანმა უთხრა:

– შენ, მგონი, შეიშალე, ჩემო გოგონა, დიდი საქმის იდეაფიქსმა რეალობას მოგწყვიტა.

– სულაც არა, – გაეცინა ალას, – თვითმფრინავს მოსკოვიდან 160 კილომეტრით დაშორებულ, მიტოვებულ სამხედრო აეროდრომზე დავსვამთ. შენ და შენი არწივები კი მას იქ დახვდებით და გაძარცვავთ.

– ჰო, დასვამ, ხელს ჩაავლებ და დასვამ... ან, უბრძანებ – დაჯექიო და დაჯდება.

– თვითმფრინავს ჩემი თაყვანისმცემელი ანდრო დასვამს. მან სპეციალური მოწყობილობა გამოიგონა და, მე რომ ვეტყვი, შეასრულებს, – მიუგო ალამ კაზანცევს.

1972 წლის 4 ივნისს, დილის 9 საათსა და 47 წუთზე, ანდრო გაბელიამ თვითმფრინავი მიტოვებულ აეროდრომზე დასვა თავისი მოწყობილობის მეშვეობით. კაზანცევმა და მისმა ბანდამ ის ხუთ წუთში „გაასუფთავეს" – ფული და ოქრო გატაცებულ სამხედრო მანქანაზე დატვირთეს და გაუჩინარდნენ.

მოსკოვის მახლობლად განხორციელებული დანაშაული უპრეცედენტო იყო როგორც თავისი მასშტაბებით ისე შესრულების მხრივ. თუმცა, ამ დანაშაულის ყველა მონაწილე „კაგებემ" ორ დღეში დააპატიმრა. პირველად ანდრო აიყვანეს, შემდეგ კი – ალა კუკუშკინა და კაზანცევი თავისი შეიარაღებული ბანდით. ყოფილ სამხედროებსა და მის ბანდიტებს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ალა კუკუშკინას პირობითი ხუთწლიანი სასჯელი გამოუტანეს და გაძლიერებული მეთვალყურეობა დაუწესეს. გენიალური ქართველი რადიომეცნიერი კი „კაგებემ" ისე გაასაიდუმლოა, რომ მისი ადგილსამყოფელი სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა.

**ნიკა ლაშაური**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# როგორ გახდა მამა შვილის სექსუალური ძალადობის მოწმე და როგორ გაუსწორდა მას



33 წლის ალექსანდრე მ-ძე საკუთარი მამის მსხვერპლი გახდა – 61 წლის ნუგზარ მ-ძემ ის იარაღით მოკლა საკუთარ სახლში და ამის შემდეგ პოლიციას ჩაბარდა. გარდაცვლილს ერთადერთი ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული. მკვლელობას ჰყავდა თვითმხილველი – ალექსანდრე მ-ძის დედა, ნელი მ-ძე, რომელმაც, მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო ქმრის შეჩერება. შვილის მოკვლის შემდეგ ნუგზარ მ-ძემ თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ მეზობლებმა და ოჯახის წევრებმა მას ამის საშუალება არ მისცეს.

რა გახდა მამა-შვილის დაპირისპირების და შემდეგ მკვლელობის მიზეზი, სამართალდამცველებისთვის სოფლის მცხოვრებლებისგან გახდა ცნობილი. იგივე მოტივი დაასახელა მკვლელობაში ბრალდებულმა ნუგზარ მ-ძემ, რომელმაც განაცხადა, რომ შვილი აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მოკლა, რადგან მას ოჯახისა და პირადად მისი სახელის შეურაცხყოფა არ აპატია. „თავლაფდასხმული ვიყავი. ორი დღე სახლიდან გარეთ ვერ გავბედე გასვლა, რადგან ყველა ჩვენს ოჯახზე ლაპარაკობდა. ერთ დროს თითით საჩვენებელ ოჯახს ჩირქი მოსცხო და ეს ვერ ვაპატიე,“ – განაცხადა აღიარებით ჩვენებაში განსასჯელმა.

საქმის მასალების მიხედვით, 33 წლის მამაკაცი სოფელმა მოზარდი გოგონას გაუპატიურებაში და მის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებაში ამხილა. გოგონა სოციალურად დაუცველი, ღარიბი ოჯახიდან იყო. დედის გარდაცვალების შემდეგ მას მამა და მამიდა ზრდიდნენ. როგორც სოფელში ხმა გავრცელდა, ალექსანდრე მ-ძეს სექსუალური კავშირი ჰქონდა მოზარდთან (რასაც ამტკიცებდნენ თვითმხილველები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გოგონა ალექსანდრესთან ერთად არაერთხელ ნახეს საეჭვო ვითარებაში), მამაკაცმა ბრალი უარყო. ალექსანდრე მ-ძეს ქორწინებიდან 10 წლის გოგონა ჰყავდა, რომელსაც დედა ცალკე ზრდიდა. ყოფილმა ცოლმა მეორედ დაოჯახების შემდეგ მამას შვილის ნახვაც კი აუკრძალა, რასაც ალექსანდრე მ-ძის მხრიდან მამობის უფლების სამართლებრივი დაცვის მცდელობა მოჰყვა, თუმცა ბავშვი თავად აღმოჩნდა მამის ნახვის კატეგორიული წინააღმდეგი.

ალექსანდრე მ-ძის მეზობლების ჩვენების მიხედვით, ოჯახის დანგრევის შემდეგ მას უცნაურობას ამჩნევდნენ და კონფლიქტურ სიტუაციებშიც არაერთხელ მოხვდა, რის გამოც მასთან ურთიერთობას ყველა თავს არიდებდა. სამაგიეროდ, სოფელი პატივისცემით ექცეოდა მის მამას, რომელსაც მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მისი შვილის, ალექსანდრეს მოზარდთან საეჭვო კავშირის გამო ყველამ გარიყა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ინციდენტამდე ორი კვირით ადრე ალექსანდრე მ-ძის მამას სახლში მიადგა მოზარდი გოგონას მამიდა და მოსთხოვა, ან შენმა შვილმა ცოლად მოიყვანოს ჩემი ძმისშვილი, ან პოლიციაში გიჩივლებთო. ამ ინციდენტის შემდეგ მამამ შვილთან საქმის გარკვევა სცადა, თუმცა ალექსანდრემ უარყო, რომ მოზარდთან რაიმე სახის კავშირი ჰქონდა. ამის მიუხედავად, სოფლის მცხოვრებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მას ამ ქმედებას გოგონას ოჯახი ტყუილად არ აბრალებდა. მამასა და შვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა, თუმცა ალექსანდრემ საკუთარ უდანაშაულობაში მამის დარწმუნება მაინც შეძლო.

რა მოხდა მკვლელობის დღეს, მოგვიანებით თავად ბრალდებულისგან გახდა ცნობილი: მისი ჩვენების მიხედვით, თავად დაადგა თავზე შვილს, რომელსაც მოზარდ გოგონასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა.

ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „სოფელში ჩემი გარდაცვლილი ცოლისდის მიტოვებული სახლი გვაქვს და დროდადრო მივდივარ ხოლმე, რომ იქაურობას მივხედო. იმ დღეს შემთხვევით მოვხვდი იმ სახლთან. მე და ჩემი მეზობელი კაცი ორმოციდან ვბრუნდებოდით, ოდნავ ნასვამი ვიყავი და სახლში შევედით. ოთახიდან უცნაური ხმები შემომესმა. მეზობელი, რომელიც მახლდა, იხუმრა კიდეც – მგონი, ქურდებს დავადექით თავზეო. პირველ სართულზე, როგორც კი კარს შეხსნი, გრძელი დერეფანია, რომლის ბოლოშიც ძველისძველი ტახტი დგას. შევედი დერეფანში ჩემს მეზობელთან ერთად და საშინელი სურათის შემსწრე აღმოვჩნდით: ჩემი საკუთარი შვილი იმ ბავშვთან გაუკუღმართებულ სექსუალურ კავშირს ამყარებდა. მოზარდი წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ, რას გახდებოდა? ნერვიულობისგან მუხლები მომეკვეთა. როგორც კი ალექსანდრემ დამინახა, ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა. გამოკიდება ვცადე, მაგრამ, ჩემმა თანმხლებმა კაცმა შემაჩერა. მერე, გული რომ წამივიდა, იმ ჩემმა მეზობელმა ეზოში წყალი იპოვა და თავზე დამასხა. არც კი ვიცოდი, შეშინებული გოგოსთვის რა მექნა, ახლოს მისვლაც ვერ გავბედე. ისევ ჩემმა თანმხლებმა იყოჩაღა – გოგონას ჩაცმაში დაეხმარა და სახლში წაიყვანა. არ მახსოვს, სახლამდე როგორ მივედი. საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ, ის, რაზეც მთელი სოფელი ჭორაობდა, მართალი ყოფილა. ყველაზე მეტად იმან გამაგიჟა, რომ გოგონა თითქმის ალექსანდრეს შვილის ტოლი იყო, თან, ეს ოჯახი ნათესავად გვეკუთვნოდა. ალექსანდრე გვიანობამდე არ გამოჩნდა. მე მაინც ველოდებოდი. ჩემი ცოლი მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. ალბათ, ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ეზოს კარის ჭრიალი გავიგე, ისეთი შეურაცხყოფილი ვიყავი, შვილის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და სანადირო თოფი გამზადებული მქონდა. ჩემი ცოლი ამ დროს დერეფანში იდგა და აშკარად მიხვდა, რაც მქონდა ჩაფიქრებული. როგორც კი ალექსანდრე მეორე სართულის კიბეს ამოუყვა, წინ დავუდექი და თავში ვესროლე. ჩემი ცოლი მიჭერდა, მაგრამ ვერ შემაჩერა. გასროლის ხმაზე და ჩემი ცოლის კივილზე ეზოში მეზობლები შემოცვივდნენ, მე იარაღი საკუთარი თავისკენ მოვაბრუნე, რომ თავი მომეკლა, მაგრამ, არ მახსოვს, თოფი ვინ წამართვა”.

## მამამ მოძალადე შვილი დედის თვალწინ მოკლა

მკვლელობის თვითმხილველმა, ბრალდებულის მეუღლემ, თავისი ჩვენებით დაადასტურა, როგორ მოკლა მამამ სექსუალურ ძალადობაში მხილებული შვილი. განსასჯელმა სასამართლო პროცესზე მოითხოვა, რომ მისთვის სასჯელის მკაცრი ზომა შეეფარდებინათ, რადგან, მისი განცხადებით, მის სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა. გამოძიებამ დაკითხა მოზარდი გოგონა, რომელმაც დაადასტურა, რომ ალექსანდრე მ-ძე მას სამი თვის განმავლობაში აუპატიურებდა და თან აშინებდა, რომ, თუ ამის შესახებ ვინმეს ეტყოდა, მოკლავდა. სასამართლომ გაითვალისწინა შვილის მკვლელობაში ბრალდებული მამის სულიერი მდგომარეობა, მისი თანასოფლელების მიერ გაწეული შუამდგომლობა და მას 8 წლით პატიმრობა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**


**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ისწავლეთ ხატვა ზაალთან ერთად

1. თავით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ ცხვირი და ყურები



3. გამოკვეთეთ სახის ნაკვთები





4. დაასრულეთ თავის ხატვა



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191



5. მიახატეთ ყელი



6. შემდეგ ხელები



7. მიახატეთ ფეხებიც



8. დაასრულეთ ნახატი

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარეთ გზის გაკვლევაში



## რიცხვრებუსი

ბ+ 10,, ,,,,,13

## ჩაწერეთ სწორი ნიშანი



# სასაცილო კურდღელი



ამ სათამაშო-აქსესუარის დამზადებისას კარგად გაერთობით. ბევრიც არაფერი სჭირდება.

დახედეთ სურათს. ეს მხიარული კურდღელი ჩვეულებრივი, თეთრი, ერთჯერადი თეფშისგან არის დამზადებული. სულ ორი ცალი დაგჭირდებათ. ერთი მოკეცეთ შუაში და გადაკეცეთ კარგად. მეორე თეფშიდან გამოჭერით ოთხი ყური: ორი – დიდი, ორი კი – მომცრო ზომის. პატარები შეღებეთ. თეფში გადაკეცვის ადგილას ჩაჭერით და ყურები ისე ჩაამაგრეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შემდეგ კურდღელს წინა მხრიდან მიუხატეთ თვალები, ცხვირი და პირი. ქვემოთ კი ლენტისგან პატარა ბაფთაც მიაწებეთ.



...ს სამკუთხედი

მინი სახელმწიფო

ბანქოს თამაში ერთგვარი

მთათა სისტემა აზიაში

მკვდრეთით აღმდგარი

ცისკარას საცოლე

მომწამვლელი ნივთ. „მდოგვის გაზი"

ნაოჭი სახეზე

... ახალკაცი

მსახიობი ... ბესინჯერი

ტრიგონომეტრიული ფუნქცია

საქართველოს ერთ-ერთი კუთხის წარმომადგენელი

იანვარი ძველქართულად

დაწესებულების ბეჭედი

ნიავი ანუ ...

ტრაგიკულად დაღუპული მომღერალი

ქირურგის „მაშა"

აბრეშუმის ჭიის პარკი

ერთგვარი ხილი

საკაძის მშობლიური სოფელი

მდინარე საფრანგეთში

მიმართვა ქალიშვილისადმი ინგლისში

ახლომხედველობა

ზღვაში შეჭრილი ნაგებობა

პარაგვაის ჩაი

მსახიობი ბრედ ...

ქაღალდის ფულის გამოშვება

ნუსხა ანუ ...



Column clues (top to bottom):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 21 |
| 2 | 2 2 |
| 3 | 2 19 1 |
| 4 | 1 1 2 1 1 1 3 1 |
| 5 | 1 1 1 1 1 1 5 2 1 |
| 6 | 1 1 2 18 |
| 7 | 1 1 1 1 6 5 1 |
| 8 | 2 1 7 9 1 |
| 9 | 1 1 1 7 15 |
| 10 | 1 2 2 1 3 |
| 11 | 1 9 13 2 |
| 12 | 3 1 1 1 |
| 13 | 13 15 1 |
| 14 | 13 13 1 |
| 15 | 5 1 2 |
| 16 | 3 8 13 |
| 17 | 2 2 2 |
| 18 | 1 1 2 |
| 19 | 2 2 |
| 20 | 1 4 |
| 21 | 4 |

Row clues (left to right):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 14 |
| 2 | 1 6 1 |
| 3 | 1 5 1 |
| 4 | 1 3 1 |
| 5 | 5 1 3 1 |
| 6 | 2 2 1 2 1 |
| 7 | 2 3 2 2 1 |
| 8 | 1 1 1 2 2 1 |
| 9 | 1 1 2 1 2 1 |
| 10 | 1 1 2 1 2 1 |
| 11 | 1 1 1 2 1 2 1 |
| 12 | 1 1 5 1 2 1 |
| 13 | 1 2 2 1 2 1 |
| 14 | 1 2 1 2 1 2 2 |
| 15 | 1 1 2 1 10 |
| 16 | 1 5 2 2 1 3 |
| 17 | 1 1 2 1 1 2 1 2 |
| 18 | 1 5 1 1 2 1 |
| 19 | 1 1 2 1 1 2 1 |
| 20 | 1 5 1 1 2 1 |
| 21 | 1 1 1 2 1 2 1 |
| 22 | 1 1 2 2 1 2 1 |
| 23 | 1 1 2 2 1 2 1 |
| 24 | 1 1 2 2 1 2 1 |
| 25 | 1 1 5 1 2 1 |
| 26 | 1 1 5 1 2 1 |
| 27 | 1 2 4 1 2 1 |
| 28 | 1 6 1 1 1 |
| 29 | 1 7 2 1 |
| 30 | 1 1 3 1 |
| 31 | 10 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 7 | 5 | | 6 | | 3 | 9 |
| 3 | 5 | | 1 | | 2 | | 6 | |
| | 8 | | | 3 | | | | 7 |
| 6 | | 1 | 9 | 5 | 8 | | 2 | |
| | 4 | 2 | | 6 | | 5 | 1 | |
| 5 | | 8 | 2 | 1 | | 7 | 9 | |
| | 9 | 5 | | 4 | 7 | 6 | | 2 |
| 8 | 2 | | 6 | | 1 | 3 | 7 | |
| | 6 | | 8 | | 5 | | | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 7 | | | 2 | |
| | | 2 | | | 1 | | | 6 |
| 1 | | | 5 | | 2 | | 4 | |
| | 2 | | | | 4 | | 9 | |
| | 4 | | 2 | | | | 7 | |
| | 5 | | | 6 | | | 1 | 2 |
| | | 4 | | 5 | 3 | | 8 | 7 |
| 2 | 1 | | 8 | | | | | 9 |
| | 8 | | | 2 | | 1 | | |

# რის კეთება ეკრძალება ჩინეთის კლუბში მუშაობის გამო სოფია კენჭიაშვილს და როდის ექმნებათ იქ წასულ ქართველ გოგონებს პრობლემები

***სოფია კენჭიაშვილი 4 წელია, რაც ჩინეთში ცხოვრობს და წარმატებულად მუშაობს. ის ცოტა ხნის წინ რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა. თუმცა, ეს გარემო, როგორც თავად ამბობს, მასზე არცთუ ისე დადებითად მოქმედებს.***

**სოფია კენჭიაშვილი:** წელიწადში დაახლოებით სამჯერ მაინც ვიცვლი იმიჯს, რადგან ასე სჭირდება ჩემს სამსახურს. კლუბში ქლაბერი ვარ, უნდა მიყურონ და კარგად, სხვადასხვანაირად უნდა გამოვიყურებოდე. ისედაც მიყვარს ასეთი სტილი და მშვენივრად ვეგუები. გავიზარდე, მაგრამ ამ ყველაფერმა არ გამიარა, ისევ ის სოფია დავრჩი, მგონი, კიდევ უფრო უარესი.

**– კიდევ რამ არ გაგიარა?**

– ეგოისტი გავხდი, მარტო ვარ. რამდენიმე მეგობარი მყავს – ჩინელები და ქართველები და ფაქტობრივად, საქართველოსთან კონტაქტი გავწყვიტე. ოჯახი რომ არ მყავდეს აქ, არ ჩამოვიდოდი. აქ რა ვაკეთო? ხომ ხედავ, როგორ გამოვიყურები? წარმოიდგინე, ასე დადიხარ ჩინეთის ქუჩებში, ანათებ და არავინ გიყურებს დაგრუზული, არც იმას ფიქრობს, ეს ვინ არისო. მაქსიმუმ, შეიძლება გაგიღიმონ, მოგესალმონ, ფოტო გადაგიღონ. აქ კი ხალხი დადის შავებში, დაბღვერილები. მაძაგძაგებდა რომ მოვდიოდი. ვიზის გასაკეთებლად და ოჯახის სანახავად ჩამოვედი რამდენიმე დღით. ჩემს განწყობაში ველარ ჯდება აქაურობა. 27 წლის ვარ და რომ წავედი, 23 წლის ვიყავი. ფოტოებს რომ ვუყურებ, ახლა უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები, ვიდრე მაშინ, რადგან ვიყავი ჩვეულებრივი დაგრუზული ქართველი. როგორი ხასიათიც არ უნდა გქონდეს, გარემო მაინც მოქმედებს. რაც იქ წავედი, სულ ბედნიერი და კარგ ხასიათზე ვარ – რა თქმა უნდა, ფინანსებიც, გარემოც თავისას შვრება.

**– თქვი, მარტო ვარო. ადრე მახსოვს, იყო ერთი ჩინელი ბიჭი შენს ცხოვრებაში, რომელიც გიყვარდა.**

– ახლა თავისუფალი ვარ. ამისთვის არ მცალია. ვმუშაობ, ფულს ვაგროვებ, მანქანა უნდა ვიყიდო და კიდევ რაღაცეები. მინდა თუ არა, თუ როცა იქნება, ხომ მაინც საქართველოში უნდა დავბრუნდები. თუმცა, შეიძლება, გავყვე ვინმე ჩინელს, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი არავინ ჩანს. ახლა არ მაქვს თუნდაც იმის განწყობა, რომ ვიღაცას მთელი დღე ვემესიჯო. წყნარად ვარ ჩემთვის. ფლირტის დონეზე შეიძლება, დღეში ათია, მაგრამ სერიოზული არაფერი.

**– ჩინეთი კარგად ჩაჯდა შენს მენტალობაში.**

– ძალიან ტრადიციული ქვეყანაა, ისევე როგორც საქართველო. როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს გოგონა, თუნდაც ისეთი, როგორიც მე ვარ, ოჯახი მაინც ისე ზრდის, რომ მამაკაცი, უხეშად რომ ვთქვათ, ცოტა მაღლა უნდა იდგეს, ქალი კი – ცოტათი დაბლა. ჩინეთშიც ასეა. ოღონდ იქ რომ კაცს პატივს სცემ და თავს უხრი, ის უფრო მეტად გაფასებს, უფრო მეტ პატივს გცემს. არც გენდერული თანასწორობა აქვთ, უხეშად, რომ ვთქვათ, ქალები უფრო ბლატაობენ, რადგან კაცები ჯენლტმენები არიან და ქალს დიდ პატივს სცემენ. იქ რომ კარს მიღებენ, მანქანიდან გადმოსვლაში მეხმარებიან, ფეხზე ადგომით მესალმებიან და ამ ყველაფერს ვარ მიჩვეული. ქართველმა კაცმა რომ მითხრას: მოდი, ქალო, ნასკი გამხადეო, – ჩემგან ძალიან შორს არის. თუმცა, მყავს მამა, ძმები, ქართველ კაცებზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, მე ჩემი არჩევანი გავაკეთე.



ხვეწნას ვერავის დავუწყებ, ამდენი წელია, იქ ვმუშაობ და უხეშად რომ ვთქვათ, ჩემზე დიდი მოთხოვნაა

**– ამდენი წელია, სტაბილურად მუშაობ.**

– კარგად ვმუშაობ, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, რასაც მეტყვიან: 100-დან 100 პროცენტს ვაკეთებ. ყველამ იცის – ჩემმა უფროსმა, კლუბის უფროსმა, მენეჯერმა, რომ, სოფიას ეტყვიან, შოუა გასაკეთებელი, ან პრეზენტაციაო, 100 პროცენტით ჩავდებ ჩემს ძალებს და ყველაფერს გავაკეთებ. ამიტომ, სტაბილურად და კარგად ვმუშაობ. ამჟამად სამხრეთ ჩინეთში ვარ. ცნობილი კლუბების ქსელია და იქ ვმუშაობ უკვე 4 თვეა. კომპანია გამოვიცვალე, რადგან ყოფილმა უფროსმა, რომელსაც ამდენი ხანი გვერდში ვედექი, არ დამიფასა შრომა. ხვეწნას ვერავის დავუწყებ, ამდენი წელია, იქ ვმუშაობ და ჩემზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ამიტომ, წამოვედი და უკეთეს სიტუაციაში აღმოვჩნდი.

**– როგორია შენი სამუშაო გრაფიკი?**

– ჩათვალე, რომ არაფერს ვაკეთებ. მთავარია, ლამაზად გამოვიყურებოდე. მივდივარ ბარში, მაგიდას ჯავშნიან სტუმრები და აქედანაც კი გარკვეულ პროცენტს ვიღებ. პრინციპში, კლუბის სტაფი ხარ სარეკლამო კუთხით. ყველა კლუბი რაღაც სასმელზე მუშაობს. ჩვენი მუშაობს ძვირად ღირებულ შამპანურზე. ანუ ვარეკლამებთ შამპანურს. გამოვდივართ სცენაზე, ვაკეთებთ შამპანურის რეკლამას და ოთხ-საათნახევარი ვმუშაობ დღეში. თან, კარგად ვერთობი. გარდა ამისა, დღისითაც ვმუშაობ. ჩემს ქალაქში ადგილობრივი ტანსაცმლის ბრენდია და კონტრაქტი დამიდეს. მათი სახე ვარ და ახალ კოლექციას გადავიღებთ. სამ საათში სამოსის 50 მოდელი გამოვიცვალე, თან შემოდგომის და ერთი არ დამიწუწუნია. მაშინვე კონტრაქტი დამიდეს.

**– რამე გეკრძალებათ?**

– ჩვენთვის აკრძალულია ღამის საათებში გარეთ გასვლა ჩვენივე უსაფრთხოების მიზნით. კედებით, ბოტასებით კლუბში ყოფნა აკრძალული გვაქვს. სულ ფორმაში უნდა ვიყოთ, ოღონდ არა ვულგარულად. მენეჯერი სულ გვეუბნება: ძალიან სექსუალურად არ უნდა გამოიყურებოდეთო. ჩინელთან სულ შიშველი რომ მიხვიდე, არ გადაგყვება, შეიძლება, იკივლოს და გაიქცეს. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. რუჯი არ უყვართ, რადგან მოსწონთ თეთრი კანი. თვითონ ხომ მუქი კანი აქვთ, ამიტომ საპონში, სახის კრემში – ყველაფერში გამათეთრებელი ეფექტი აქვთ. კლუბები იქ ყოველდღე მუშაობს, დიჯეია, შოუ თანამედროვე ელექტრონულ მუსიკაზე, ოღონდ არ ცეკვავენ. თუმცა, ყოველდღე სავსეა, თამაშობენ, ერთობიან.

**– სტუმრებთან პირადად გაქვთ ურთიერთობა?**

– კლუბში რომ მივდივართ, ვსხედვათ ბართან. შეიძლება, კლუბის მენეჯერი მოვიდეს და გითხრას: ამ მაგიდასთან შენი გაცნობა უნდათო. ძირითადად, ეს მაშინ ხდება, როცა მაგიდასთან სასმელი თავდება. ზოგადად ასეა: მიხვალ, ერთ ჭიქა ლუდს დაისხამ, თან იქ პატარა ჭიქებით სვამენ. ისინიც უკვეთავენ სასმელს, ჰგონიათ მათთან ერთად დალევ და ამ დროს შენ იპარები. ანუ, პროდუქტს ვყიდით, ამ შემთხვევაში კი, შამპანურს. ზედმეტს ისინი არ გაბედავენ. შენ რომ ნება მისცე, გამორიცხულია, რამე გააკეთონ. ჩინელი კაცები ისეთი მორცხვები არიან, ქალი რამეს რომ ეტყვის, შეიძლება, გაიქცეს. საცეკვაოდ რომ მიგვიპატიჟებია გოგონებს, წითლდებიან და თავს ხრიან. ასე რომ, ჩინელი ბიჭის დაკერვა ძალიან რთულია. რომ ამბობენ, ქართველი გოგონები ჩინეთში, ბოდიში და, საბოზაოდ მიდიანო, ამაზე მეცინება. ზოგადად, საქართველოდან რომ მოდიან ჩინეთში გოგონები, ყველას ვეუბნები, არ წავიდნენ კომპანიის გარეშე. დღეს იმდენი აგენტია, მაგრამ სანდო ცოტაა. სულ მეკითხებიან: რატომ გყავს უფროსიო. რეალურად, მე რომ უფროსის გარეშე ვიმუშაო, შეიძლება, ორჯერ მაღალი ხელფასი მქონდეს, მაგრამ შეიძლება საერთოდ ვერაფერი მივიღო. ამდენი ხანი რომ ვმუშაობ, იმიტომ მყავს უფროსი. ესენი ვიღაც აგენტით რომ მიდიან კონტრაქტის გარეშე, მერე ექმნებათ პრობლემები.

**– წერას დაანებე თავი თუ პოზიტიური განწყობა აღარ გაძლევს საშუალებას?**

– დიდი ხანია, არაფერი დამიწერია. ხანდახან ვფიქრობ, რომ ის დეპრესიული გარემო მაიძულებდა წერას. ახლა სულ კარგ ხასიათზე რომ ვარ, ავიღებ პასტას და ორ სიტყვას ვწერ მხოლოდ: კარგად ვარ. ფილოსოფიურად აღარაფერს ვულრმავდები. მოკლედ, სამოთხეში ცხოვრებას ვაგრძელებ.

**ნათია უტიაშვილი**

**წარმოშობით ქართველი დიზაინერი შორენა მარცვალაძე, რომელსაც მსოფლიოს მოდის სფეროში შერონ მარის სახელით იცნობენ, უკვე რამდენიმე წელია, იტალიაში მოღვაწეობს. მის ნამუშევრებს იცნობენ ისეთი დონის მოდის ფესტივალზე, როგორიც „მედმოდაა". მისი ორგანიზებით საქართველოში ჩატარდა მსოფლიო მოდის ფესტივალი, რომელმაც ბევრ უცხოელ სტუმარს უმასპინძლა. ამჟამად ის სამშობლოში იმყოფება და საქართველოსთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო გეგმა აქვს. ამის შესახებ თავად დიზაინერი გვესაუბრა.**

# რომელი ცნობილი ვარსკვლავის ჩამოყვანას აპირებს საქართველოში შორენა მარცვალაძე და რას უწუნებს ქართველ მამაკაცებს იტალიაში ცნობილი ქართველი დიზაინერი

**შერონ მარი**: ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა. დედაჩემი მეუბნება. რომ ხშირად ვუკერავდი თოჯინებს ტანსაცმელებს. მოგვიანებით, ძალიან მინდოდა, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარება, მაგრამ საბოლოოდ, მაინც სამხატვრო აკადემია ვარჩიე. თუმცა, რომ გითხრათ, სწავლით თავს ვიკლავდი-მეთქი, მოგატყუებთ. ბევრს ვაცდენდი კიდეც. კარგად მახსოვს დიპლომის დაცვა – გავაკეთე 60-70-იანი წლების მოდელები ტყავისა და ბეწვის კომბინაციით, რამაც ძალიან დადებითი შეფასებები დაიმსახურა. ამის მერე უკვე ჩემი პირველი წარმატება იყო „მედმოდაზე". რასაც არ უნდა მივაღწიო ცხოვრებაში, ეს პერიოდი ყოველთვის ძალიან კარგად გამახსენდება

**– როგორ მოხვდი „მედმოდაზე"?**

– 2013 წელი იყო, გავიგე, რომ „მედმოდა" ტარდებოდა და გადავწყვიტე, ბედი მეცადა. გავაგზავნე ჩემი რამდენიმე ნამუშევარი და დადებითი პასუხი მომივიდა. უბედნიერესი ვიყავი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარკვეულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული და „მედმოდაზე" წასასვლელი ფული რომ შემეგროვებინა, ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში ჭურჭელს ვრეცხავდი. სულაც არ მეთაკილება ამის აღიარება. საბედნიეროდ, გამიმართლა და იქ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კონტაქტი დავამყარე. გავიცანი მოდის სფეროს ძალიან საინტერესო წარმომადგენლები, რომლებისგანაც დადებითი შეფასება მივიღე. ეს კი ჩემთვის დიდი ბედიერება იყო. ერთ-ერთმა ძალიან ცნობილმა ფოტოგრაფმა მითხრა, იმდენად საინტერესო ნამუშევრები გქონდა, პირველი მოდელის გამოსვლის შემდეგ, სულმოუთქმელად ველოდებოდი დანარჩენებსო.

**– ამის მერე როგორ გაგრძელდა შენი კარიერა?**

– იქ გავიცანი სხვადასხვა სააგენტოს წარმომადგენლები. ბევრი მათგანისაგან მივიღე შემოთავაზება. ცნობილმა იტალიურმა სააგენტომ, E - model agency-მ შემიკვეთა კოსტიუმები და მათთან ვითანამშრომლე. მე არ ვარ პირველი ქართველი, ვინც „მედმოდაზე" მოხვდა. მაგალითად, დიზაინერი თამარ ქირია სულ მონაწილეობს მასში და ფაქტობრივად, უკვე „მედმოდის" მეგობარია. მე ამის მერე, სიმართლე გითხრათ, აღარ მქონია სურვილი, კიდევ მიმეღო მონაწილეობა. არ მიყვარს. ერთი ადგილის ტკეპნა. მირჩევნია, სულ წინ ვიარო და ახლა სხვაგან ვცადო ბედი.

**– ამჟამად რას საქმიანობ?**

– პორტუგალიაში მაქვს ატელიე. მყავს მკერავი, რომელიც ქმნის პროდუქციას, რაც საკმაოდ კარგად იყიდება. ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. ერთდროულად რამდენიმე პროექტისთვის ვემზადები. მიწვეული ვარ ინგლისის მოდის კვირეულზე, რომლისთვისაც ასეთი თემა მაქვს – „მარლენ დიტრიხი". ვცდილობ, ისეთი კოსტიუმები წარვადგინო, რომელიც მერე ადვილად გაიყიდება. ასევე, ვემზადები ინდოეთისთვის. „ბოლივუდის" ერთ-ერთი კომპანია დაინტერესდა ჩვენით. ოქტომბერში ჩავალ ინდოეთში და დეტალებზე უკვე იქ მოვილაპარაკებთ.

**– საქართველოში რა მიზეზით ხარ ჩამოსული, აქაც ხომ არ გეგმავ რაიმეს გაკეთებას?**

– საქართველოში ჩავატარე მსოფლიო მოდის ფესტივალი. ჩამოვიყვანე მოდის სფეროში ძალიან ბევრი ცნობილი და წარმატებული ადამიანი. მათ შორის იყვნენ: „არმანის" კოსმეტიკური ფირმის ვიზაჟისტი, მსოფლიოს ყველა ცნობილი მოდის კვირეულის ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოგრაფი - ანტონიო ტაკონე, მილანისა და „მედმოდის" ივენთების დირექტორი, იტალიის სილამაზის კონკურსის პროდიუსერი და კიდევ ბევრი ცნობილი და საინტერესო ფიგურა. ყველაფრის ორგანიზება თავად გავაკეთე და ვფიქრობ, პირველი ცდისთვის, კარგი გამოვიდა. საქართველოში ვიპოვე ძალიან კარგი ადამიანი, რომელიც გახდა ჩემი პროდიუსერი. მალე ოფიციალურად წარვადგენ მას, ჩვენ ერთად ვგეგმავთ საინტერესო პროექტებს. იმის მიუხედავად, რომ მე აქ არაფრის გაკეთების სურვილი არ მქონდა, ამ ადამიანმა დამარწმუნა, რომ აუცილებელია, ჩემს ქვეყანაშიც მიცნობდეს ხალხი. ამიტომ, ვგეგმავ პატარა მაღაზიის გაკეთებას ქართველი მომხმარებლისთვისაც.


საშინლად არ მომწონს ლამაზი ქალები

**– გარდა მაღაზიისა, რომლის გახსნასაც აპირებ, სხვა გეგმებიც ხომ არ გაქვს საქართველოსთან დაკავშირებით?**

– საშობაოდ ვგეგმავ გრანდიოზულ ჩვენებას, რომელიც არ იქნება სტანდარტული. ყველაფერი უკვე მოფიქრებული მაქვს. რომიდან ჩამოვიყვან სპეციალისტებს, რომლებიც დაამონტაჟებენ სცენას. თქვენს მკითხველს გავახარებ და გეტყვით, რომ ჩემი ბრენდის სახე გახდა „ბოლივუდის" ძალიან ცნობილი მსახიობი მამაკაცი, როჰიტ ჰურანა, ამჟამად ერთ-ერთი ქართული არხი უჩვენებს სერიალს მისი მონაწილეობით. ძალიან მალე ვაპირებთ მის ჩამოყვანას საქართველოში.

**– სად შეიკერება ის კოლექცია, რომელსაც საქართველოში წარადგენ?**

– ეს კოსტიუმები შეიკერება რომში. უკვე დაწყებულია ამაზე მუშაობა და რამდენიმე კოსტიუმი უკვე შექმნილია. ამ ყველაფერს მერე გავყიდი იმ ატელიეში, რომლის გახსნასაც ვაპირებ.

**– ქართველ დიზაინერებზე რა აზრის ხარ?**

– რა თქმა უნდა, დამაინტერესა რას ქმნიან ქართველი დიზაინერები და გავიარე რამდენიმე მაღაზიაში. შეიძლება, ბევრმა ცუდად გაიგოს, მაგრამ მე იმას ვერ ვუწოდებ დიზაინერს, ვინც სტამბულში წავა, ჯინსებს ჩამოიტანს, ზედ რაღაცებს დააკერებს და ასაღებს, როგორც მისი ბრენდის ნაწარმს. ქართველი დიზაინერებიდან ჩემს კონკურენტად ვერავის აღვიქვამ.

**– როგორი უნდა იყოს დახვეწილი ქალი და ქართველი ქალებიდან ვინ მოგწონს?**

– საშინლად არ მომწონს ლამაზი ქალები. ქალს უნდა ჰქონდეს რაღაც შარმი. მინახავს გოგოები ძალიან უშნო ცხვირით, მაგრამ აქვთ რაღაც, რითაც მიმზიდველები არიან და იქცევენ გარშემო მყოფების ყურადღებას. მაგალითად, საერთოდ არ მომწონს მერლინ მონრო. რაც შეეხება ქართველ ქალებს, მომწონს ჟურნალისტი ეკა ხოფერია. ვერ ვიტყვი, რომ ლამაზი ქალია, მაგრამ არის მასში რაღაც, რაც ძალიან მომწონს.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– დაოჯახებული არ ვარ. რამდენიმე ხნის წინ დავასრულე ექვსწლიანი ძალიან სერიოზული ურთიერთობა ერთ პორტუგალიელ მამაკაცთან, ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი ამ ხნის განმავლობაში, საშინლად ეჭვიანი იყო და ვერ ეგუებოდა ჩემი ცხოვრების სტილს. მე სულ დაკავებული ვარ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე და ყოველთვის ეს ხდებოდა ჩვენი უთანხმოების მიზეზი. ამიტომ გადავწყვიტე მასთან დაშორება. ამჟამად მარტო არ ვარ, გვერდით მყავს არაჩვეულებრივი მამაკაცი, რომელიც ასევე პორტუგალიელია. ძალიან კარგი ადამიანია და მზად არის ყოველთვის ჩემ გვერდით იყოს. ისიც ჩემსავით ძალიან დაკავებულია, საკუთარი ბიზნესი აქვს პორტოში და როგორც კი ცოტა დროს გამოვნახავთ, მაშინვე მივდივართ სამოგზაუროდ. სექტემბერში ჩამოვა საქართველოში და გავაცნობ ჩემს ოჯახს. უახლოეს მომავალში აუცილებლად ვგეგმავ გავხდე დედა.

**– ქართველ მამაკაცებზე რა აზრის ხარ?**

– არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ რატომღაც მე ვერ ვიხიბლები ქართველი მამაკაცებით, იმიტომ არა, რომ ისინი ცუდები არიან, უბრალოდ, მე თავს ვერ ვგრძნობ კომფორტულად. რაც არ უნდა ეცადონ, ბევრ მათგანს შინაგანი კომპლექსი მაინც აქვს და მე ეს საშინლად არ მომწონს. შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი მეგობარი ბიჭი არასდროს მყოლია, უბრალოდ, არც მოვხიბლულვარ.

**– საბოლოოდ, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– ჩემი ქვეყანა უზომოდ მიყვარს და როგორც კი დროს გამოვნახავ, ყოველთვის ვცდილობ, თუნდაც რამდენიმე დღით ჩამოვიდე, მაგრამ ჩემი პირადი თუ კარიერული საქმიანობიდან გამომდინახე, აქ საცხოვრებლად გადმოსვლა არახელსაყრელი იქნება, მე ვფიქრობ, ალბათ, საბოლოოდ მაინც, პორტუგალიაში დავსახლდები.

**ნინო კანდელაკი**

# რატომ ესტუმრნენ ქართველი მეფეები იმპერატორ იუსტინეს კონსტანტინოპოლში და როგორ დამთავრდა ეს ვიზიტი

მეექვსე საუკუნის პირველ მესამედში ორივე ქართულ სამეფოს, იბერიას და ეგრისს (ლაზეთს) დიდი ბრძოლები უწევდა. აღმოსავლეთიდან ქართველ ხალხს უტევდა სპარსეთის მაზდეანური იმპერია, რომელიც ქართველთა ცეცხლთაყვანისმცემლად ქცევას და ჩაყლაპვას ცდილობდა. დასავლეთიდან ჩვენს სამშობლოს უტევდა აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) ქრისტიანული, მაგრამ მაინც მტრული იმპერია.

მეფე გუბაზ პირველმა მარცხიც აწვნია ბიზანტიელებს, თუმცა შემდეგ დაუზავდა მათ და კონსტანტინოპოლშიც ეწვია იმპერატორ მარკიანეს.

მეექვსე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან ეგრისში მეფობდა გუბაზ მეფის ვაჟი წათე პირველი. ამ დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დიდი ამბები ხდებოდა.



518 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორი ანასტასიოს პირველი.

იმპერატორს არ ჰყავდა შვილი, არც ანდერძი დაუტოვებია, თუ ვისი გამეფება უნდოდა. მისი ნათესავები არმიისა და პოლიტიკოსების მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. აუცილებელი გახდა აერჩიათ ახალი იმპერატორი.

სასახლის დაცვამ გამოაცხადა იმპერატორის გარდაცვალება. იპოდრომზე შეიკრიბა ქალაქის აქტიური მოსახლეობა (მათ იპოდრომის პარტიებსაც (ფრაქციებს) უწოდებენ) და მოითხოვდა ახალი იმპერატორის არჩევას. ამ დროს „იპოდრომის პარტიები“ დიდ როლს თამაშობდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში.

სასახლეში მიბრძანდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე მეორე, კაპადოკიელი, მართლმადიდებლობის აქტიური დამცველი. მოვიდნენ დიდი თანამდებობის პირებიც. დაიწყო მოლაპარაკებები. თუმცა უშედეგოდ.

რადგან მოლაპარაკებები გაიწელა, იპოდრომზე შეკრებილებმა იმპერატორად გამოაცხადეს ვინმე იოანე, იმპერატორის გვარდიის ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელიც შემდგომში გახდა ჰერაკლეას ეპისკოპოსი. დააყენეს ფარზე და ზეასწიეს. მაგრამ იპოდრომის ერთ-ერთმა ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა იოანეს. დაიწყო შეტაკება იპოდრომის ფრაქციებს შორის და რამდენიმე ადამიანი დაიღუპა კიდეც.

შემდეგ არმიის ერთ-ერთმა დანაყოფმა, სქოლარებმა იმპერატორად გამოაცხადეს ერთ-ერთი თავისი მხედართმთავარი, რამაც ახალი შეტაკება გამოიწვია. იყო მცდელობა, აერჩიათ იუსტინე, სასახლისა და იმპერატორის დაცვის უფროსი, მაგრამ მან უარი განაცხადა. ბოლოს სენატორები ისევ იუსტინეს კანდიდატურაზე შეჩერდნენ. ზოგიერთი სქოლარი არ დაეთანხმა ამას. ერთი მიეჭრა იუსტინეს და მუშტიც კი სთხლიშა სახეში. ტუჩი გაუხეთქა.

არის გადმოცემა, თითქოს სიკვდილამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ანასტასიოს იმპერატორმა ნახა სიზმარი, სადაც მას ეუწყა, რომ დილას ვინც პირველად შევიდოდა მის საძინებელში, ის გახდებოდა მის მერე იმპერატორი. დილას მასთან რაღაც საქმის შესახებ მოსახსენებლად შევიდა ესკუვიტების (მისი პირადი გვარდიის) მეთაური იუსტინე. რამდენიმე დღეში იუსტინემ შემთხვევით ფეხი დააბიჯა იმპერატორის მოსასხამზე, ქლამინდზე. ანასტასიოსს გაუღიმია და უთქვამს: „რატომ ჩქარობ?“.

არმიამ მხარი დაუჭირა იუსტინეს და ყველაფერი გადაწყდა. იპოდრომის ფრაქციებიც დათანხმდნენ.

იუსტინე შევიდა იპოდრომზე. ფრაქციები შეძახილებით მიესალმნენ მას. ახალარჩეულ იმპერატორს მიართვეს ძოწისფერი (მუქი წითელი) სამეფო ტანსაცმელი. ჯარისკაცებმა მოაფარეს ფარები იუსტინეს და მან ჩაიცვა იმპერატორის ტანსაცმელი. შემდეგ ფარზე დააყენეს და ასწიეს. სამხედრო დროშები, რომლებიც აქამდე გლოვის ნიშნად მიწაზე ეწყო, აღმართეს. პატრიარქმა გვირგვინი დაადგა თავზე. სრულიად მოულოდნელი იყო იუსტინეს არჩევა იმპერატორად. მან არ იცოდა წერა-კითხვა. წარმოშობით იყო ილირიიდან, გლეხების ოჯახიდან. ჭაბუკობაში მწყემსავდა ღორებს. ერთხელაც ორ ძმასთან ერთად გადაწყვიტა ბედის საძიებლად კონსტანტინოპოლში გამგზავრება. მოიკიდეს ხმიადით სავსე ხურჯინები, ჩაიცვეს ცხვრის ტყაპუჭები და ფეხშიშველა გაუდგნენ გზას. თურმე ეს გზა საიმპერატორო ტახტისკენ მიდიოდა. კონსტანტინოპოლში იუსტინე ჯარისკაცი გახდა. ათლეტური აღნაგობის იყო, ძლიერი, ადვილად ხვდებოდა თვალში ყველას და ადვილადაც მიიწევდა წინ. მონაწილეობა მიიღო ისავრიის აჯანყების ჩაქრობაში. 502-505 წლებში იბრძოდა აღმოსავლური პროვინციების საჯარისო ნაწილებში, ირანის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთში მსახურობისას იუსტინე კარგად მიხვდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სახელმწიფოებს – ლაზეთსა და იბერიას სპარსეთის წინააღმდეგ ომში. მით უმეტეს, იუსტინე იყო მართლმადიდებლობის ერთგული. ირანი ცდილობდა მაზდიანობის დანერგვას კავკასიაში, ან მონოფიზიტობისა და ნესტორიანელობის წახალისებას მაინც, ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, რადგან ბიზანტიაში უმრავლესობა მართლმადიდებლობას აღიარებდა და პოლიტიკური წრეებიც უფრო მართლმადიდებლობის მხარეს იყვნენ.

> **ჯარისკაცებმა მოაფარეს ფარები იუსტინეს და მან ჩაიცვა იმპერატორის ტანსაცმელი. შემდეგ ფარზე დააყენეს და ასწიეს**

შემდეგ გახდა იმპერატორის პირადი დაცვის უფროსი. ალბათ, მისი იმპერატორად არჩევის ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი მართლმადიდებლობა.

იუსტინე იმპერატორად კურთხევისთანავე მკაცრად შეუდგა მართლმადიდებლობის დაცვას. გადააყენებინა მონოფიზოტობისადმი გადახრილი ორმოცდაათამდე სირიელი ეპისკოპოსი. ერთს კინაღამ ენა მოაჭრა ქალკედონის კრების ძაგების გამო. ასეთი იყო იმპერატორი იუსტინე პირველი. თუმცა, მისი ქვეშევრდომები არცთუ კარგად იქცეოდნენ ეგრისში. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოკავშირის, მეფისა და მოსახლეობის ინტერესები ილახებოდა.

წათე მეფე ცდილობდა რომაელთა „მოკავშირეობიდან“ გათავისუფლებას. ის დაუკავშირდა სპარსელებს, უარი თქვა ქრისტიანობაზე და დაიწყო ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა, სპარსეთის შაჰმა კავად პირველმა დიდი დახმარება ვერ გაუწია ბიზანტიელების წინააღმდეგ წათეს.

იბერიაში მძიმე მდგომარეობა იყო, კავად შაჰი ითხოვდა ქრისტიანობის უარყოფას გურგენ მეფის მიერ, მაზდიანობის გავრცელებას ქართლში და მაზდეანური ტრადიციების დამკვიდრებას...

523 წელს იბერიაში იფეთქა აჯანყებამ გურგენ მეფის მეთაურობით. სამწუხაროდ, ქართველები დამარცხდნენ. მეფე გურგენი იძულებული გახდა ოჯახითურთ გადასულიყო ეგრისში მეფე წათესთან.

წათე მეფე მძიმე არჩევნის წინაშე აღმოჩნდა. ქრისტიანი ლაზები მაზდეან მეფეს ვერ აიტანდნენ. ამასთან, აშკარა იყო სპარსეთის გეგმები – ის ცდილობდა სამხრეთ კავკასიის სრულად დაპყრობას და სამეფოების გაუქმებას.

ლაზი და ქართლელი მეფეები ერთად გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლს. იმპერატორი იუსტინე სიხარულით მეცხრე ცაზე იყო – კავკასიიდან ორი მეფე ეახლა და მოკავშირეობა სთხოვა.

იმპერატორი მოიხიბლა მეფე წათეს ჩაცმულობის სტილით. განსაკუთრებით მოეწონა ლაზური წითელი წაღები, გაწყობილი მარგალიტებითა და ქრიზოლიტური არწივებით. მეფეთა მიერ წითელი, მეწამული ჩექმების ტარების ტრადიცია არსებობდა ძველ რომშიც, ჯერ კიდევ ალბა-ლონგას სამეფოს დროიდან. ლეგენდის თანახმად, ალბა-ლონგა დაარსებული იყო ტროადან გადახვეწილთა მიერ. ტროელების მონათესავედ ითვლებოდნენ კოლხები. კოლხების შთამომავალი იყო წათეც. წითელ წაღებს ატარებდა თურმე იულიუს კეისარიც, რომელიც ალბა-ლონგას დამაარსებელს თავის ერთ-ერთ წინაპრად მიიჩნევდა.

ტრადიციები დაემთხვა. იუსტინემ თვითონაც გააწყობინა მარგალიტებით წითელი წაღები. ამიერიდან სხვას აღარ ჰქონდა წითელი წაღების, ანუ საიმპერატორო ინსიგნიის ტარების უფლება ბიზანტიაში. თუ ვინმე გაბედავდა, სიკვდილით დაისჯებოდა.

წათე კვლავ მოინათლა. დაქვრივებულ ეგრისის მეფეს იუსტინემ თავისი ახლობლის, პატრიკიოს ნომეს ასული, ვალერიანე შერთო ცოლად და შემდეგ თავის შვილად გამოაცხადა. დაამზადებინა მისთვის სამეფო გვირგვინი და უამრავი საჩუქრით დატვირთული გამოამგზავრა ეგრისისკენ.

მეფე წათეს მეორე ვაჟი, უფლისწული წათე კონსტანტინოპოლში დარჩა და იმპერატორის კარზე იზრდებოდა.

გაafთრებულმა ირანის შაჰმა დიდი ჯარი გააგზავნა ეგრისში მეფისა და მოსახლეობის დასასჯელად, მაგრამ დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ჯარებმა კავადის არმია დაამარცხეს და უკუაგდეს.

გურგენ მეფისა და ქართლის დახმარება ვერ მოხერხდა.

**გიორგი მახოზბეშვილი**

**დამბალი ხაჭო უძველესი ფშავური საკვები პროდუქტია, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტრომ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. მის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას მამის, პავლე მღვდლის, ჩანაწერებში ვხვდებით. ის გამორჩეულია ყველა რძის პროდუქტისგან სპეციფიკური გემოს, სუნისა და შეფერილობის გამო. დღეისთვის, ფშავლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, კვლავაც შემორჩენილია დამბალი ხაჭოს არა მხოლოდ მომზადების, არამედ სარეალიზაციო წარმოების ტრადიცია. ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად, არასამთავრობო კავშირის, „ჩვენი ფშავისა" და „სანათა სახლის" დირექტორი, ქალბატონი მარიამ ხუცურაული გვესაუბრა.**

# რომელი ქართული პროდუქტი აღიარეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად და როგორ შეიძლება გახდეს ადამიანი მასზე დამოკიდებული

**– როგორი ისტორია აქვს დამბალი ხაჭოს წარმოშობას?**

– დამბალი ხაჭოს წარმოშობას ძალიან დიდი ისტორია აქვს. პირველი წერილობითი ცნობები მის შესახებ მოიპოვება ხალხურ ლექს–კაფიებში და ვაჟა-ფშაველას მამის, პავლე მღვდლის ჩანაწერებში, „მოკლე მოთხრობა ჩემი წინაპარით ჩამომავლობაზედ, მათ ზნე-ჩვეულებებზედ", რომელიც ფშავის ეთნოგრაფიულ ყოფას ასახავს. მოთხრობაში წერია: „ხაჭოს ქვევრში ჩაყრიდენ, დალბებოდა, რომელიც დღესაც ხშირად იციან მთის ხალხმა და ძირითადად ფშავლებმა..." აქედან გამომდინარე, დამბალი ხაჭოს დამზადება საუკუნეების წინ დაწყებულა, რადგან მას ვაჟა-ფშაველას დიდი ბებო, ანუ მისი მშობლების მშობლები ამზადებდნენ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დამბალი ხაჭოს ადგილწარმოშობის ადგილად ფშავი და თიანეთის რაიონი დაარეგისტრირა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სადაც კი ფშაველი კაცი მივიდა, ყველგან მიიტანა დამბალი ხაჭოს კეთების კულტურა. თუმცა, ოჯახში, სადაც ერთი წევრი მაინც არ იყო ფშაველი, დამბალი ხაჭო არ კეთდებოდა, მაგრამ თუ ბედად, ფშაველი რძალი ან სიძე მიუვიდოდათ, იქ აუცილებლად იწყებოდა მზადება. დღეისთვის დამბალი ხაჭო მზადდება ყველგან, სადაც 3-4 ფშაური ოჯახი ერთად, კომპაქტურად ცხოვრობს.

**– მოთხოვნილება არის ამ პროდუქტზე?**

– თავიდან დამბალ ხაჭოს, მისი სპეციფიკური სუნის, გემოსა და შეფერილობის გამო, ბარის საქართველოში კი არა, ყველაზე ახლო, მეზობელ ხევსურეთშიც კი, არ ცნობდნენ, არ აღიარებდნენ. დღემდე მის მიმართ ორი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს – ან ძალიან მოსწონთ, ან პირიქით – არ მოსწონთ. ეს არის გურმანების საქმელი. ისინი ისე ეტანებიან მას, როგორც თაფლს ჭიანჭველა. 2012 წლის აპრილში, როცა დამბალი ხაჭო გამოვიტანეთ „ექსპოჯორჯიაში," ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე, პირველი, ვინც მოვიდა და ეს პროდუქტი შეიძინა, იაპონელი იყო. როდესაც გამოფენა მთავრდებოდა, ისევ მოვიდა ეს პიროვნება ჩვენთან და მთლიანად შეიძინა დარჩენილი დამბალი ხაჭო.

**– შვეიცარიულ ყველს ჰგავს გემოთი?**

– ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ჰგავს. ალბათ, უფრო გარეგნულად ჰგავს შვეიცარიულ ობიან ყველს. მაგრამ, მათ შორის დიდი განსხვავებაცაა – ეს ხაჭოა და ის არის ყველი. შვეიცარიული ობიანი ყველი ეს რძის თერმული დამუშავებისა და კვეთის ზემოქმედებით მიღებული პროდუქტია. დამბალი ხაჭო, მხოლოდ შედღვებილი ან შემჟავებული რძის ხაჭოსაგან მზადდება და მაქსიმალურად აქვს ცხიმი გამოცლილი. კარგი დამბალი ხაჭო დელიკატესად ითვლება. ცუდის გასინჯვას, ჯობია, საერთოდ არ დააგემოვნო, რადგან შემდეგ აღარ მიეკარები. კარგ დამბალ ხაჭოს მძაფრი მიწის, ობისა და ქვევრის სუნი აქვს, ისეთი, როგორსაც მარანში შესვლისას გრძნობთ. სწორედ ასეთი ხაჭო უნდა გასინჯოთ, რომ მასზე დამოკიდებული გახდეთ.

**– რთულია მისი მომზადების პროცესი?**



პირველი, ვინც მოვიდა და ეს პროდუქტი შეიძინა, იაპონელი იყო

– საკმაოდ რთულია, რადგან ეს ერთ და ორ დღეს არ მოიცავს. მის ტრადიციულად და კარგად მომზადებას, საგემოვნო თვისებების სრული შენარჩუნებით, მინიმუმ ორ-თვენახევარი სჭირდება. დამბალი ხაჭო, ძირითადად, ორი წესის მიხედვით მიღებული ხაჭოსაგან მზადდება – უშუალოდ ნაღებმოხდილი რძისა და შედღვების შემდეგ დარჩენილი დოსგან. გაზაფხულიდან შემოდგომამდე 2– 3 დღის განმავლობაში რძეს აგროვებენ, როდესაც დაგროვებული მასა ნაღებს მოიდგამს, მოხდიან და ცალკე ქვაბში ათავსებენ. დარჩენილ შემჟავებულ რძეს კი ქვაბში შეათბობენ 40-50 გრადუსამდე და რომ ახაჭოვდება, დოლბანდში ასხამენ გასაწურად. მეორე წესით – გაგრილებულ რძეს სადღვებელში (ვარია, ჩხუტი) ასხამენ და ხელით დღვებენ. კარაქს ცალკე ამოიღებენ, დარჩენილ დოს კი ასევე შეათბობენ 40– 50 გრადუსზე. მიღებულ ხაჭოს შრატიანად ჩაასხამენ დოლბანდში, რომელსაც 12-15 საათის განმავლობაში ჩამოკიდებენ, რათა დაიწრიტოს. გაწურულ ხაჭოს ვარცლში გადაიღებენ და მარილით შეაზავებენ. ზელენ ხელით, რათა ერთგვაროვანი გახდეს და კვერები არ დაიბზაროს. მიღებული მასისგან აკეთებენ გუნდებს და ალაგებენ წნელისგან გაკეთებულ ძობანში, რომელიც ხშირად ცეცხლის თავზეა ჩამოკიდებული. გამშრალ გუნდებს შრატით გარეცხავენ (დეზინფიცირებისთვის), კვლავ გააშრობენ და აწყობენ ქვევრში დასალბობად და დასაობებლად. ხაჭოს ქვევრში ერთ თვეზე მეტ ხანს ინახავენ. ამ დროს ხაჭოს ობის ფენა უკეთდება და როგორც ფშავლები იტყვიან, ლბობას იწყებს.

**– მალფუჭებადი პროდუქტია?**

– რადგან მისი შენახვის მეცნიერულად დადგენილი ტექნოლოგიური წესები არ არსებობს, მალფუჭებადია. უნივერსიტეტ-აკადემიები არავის დაუმთავრებია ამ სპეციალობით. ფშავლებმა თავად მიაკვლიეს ამ პროდუქტის დამზადებისა და შენახვის წესებს, თაობიდან–თაობას გადასცემდნენ და ასე მოიტანეს აქამდე. დღესაც მამა-პაპის გამოცდილების შესაბამისად, სეზონურად აკეთებენ დამბალ ხაჭოს და ინახავენ ზომიერად გრილ და ნოტიო პირობებში. აი, ეს ზომიერად გრილი და ნოტიო პირობები კონკრეტულად როგორია, თქმით ვერავინ გეტყვით, უბრალოდ, იციან... თვალითა და ხელით მოსინჯვით ხვდებიან, რომ ჯერ ცოტა აკლია; ან რომ უკვე მალე შეიძლება, გადამწიფდეს და მოწყალდეს...

**– როდის გახდა ეს პროდუქტი ცნობილი როგორც მთის, ასევე ბარის მცხოვრებლებისთვის?**

– ორი მომენტია – ერთი, ის, რომ ფშავლები სადაც დასახლდნენ, ყველგან დაიწყეს მისი მომზადება და გააცნეს იქაურებს; მეორე, 2011 წლიდან ფესტივალების, საგაზეთო პუბლიკაციებისა და ტელევიზიის მეშვეობით, უკვე მთელმა საქართველომ გაიგო დამბალი ხაჭოს შესახებ. დამბალი ხაჭო სწორედ ამ ფესტივალების შემდეგ აღიარეს. მაშინ გაიგეს ბარელებმა, რომ ფშავში მსგავსი პროდუქტი არსებობდა. აქედან მოყოლებული, მოიმატა ხაჭოს მოყვარულებმა და მისმა ფასმა, 5-7 ლარიდან – 25-30 ლარამდე. გასულ 2014 წელს კულტურის სამინისტრომ დამბალი ხაჭო, სრულიად სამართლიანად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. ასევე, გასული წლის შემოდგომაზე საქართველოში იყვნენ ფრანგი მკვლევრები – ცოლ-ქმარი კოლეტ დაჰანი და ემანუელ მინგასსონი, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით ოჯახური ყველის დამზადების ტექნოლოგიას სწავლობენ. მათ აღნიშნეს, რომ ქართული გუდის ყველის, ტენილისა და დამბალი ხაჭოს დამზადების ანალოგია მთელ მსოფლიოში არ არსებობს.

**– როგორც ვიცი, დამბალი ხაჭოს მომზადება თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დღეს რა ხდება ამ კუთხით?**

– დღეს დამბალი ხაჭო იმდენად პოპულარული და მოთხოვნადი პროდუქტი გახდა, უკვე ბარშიც დაიწყეს მისი კეთება. მათ შორის სამრეწველოდაც, თუმცა ნამდვილი, ფშავში დამზადებული დამბალი ხაჭოსგან ძალიან განსხვავდება. ხვალ შეიძლება, რძის დიდმა კომბინატებმაც დაიწყონ მისი წარმოება და მივიღოთ ისეთივე სუროგატი, როგორიც გვაქვს ქარხნის კარაქი, მაწონი და არაჟანი. ჩემი აზრით, ჯერ კიდევ მთაში მცხოვრები მოსახლეობისთვის უნდა გამოიძებნოს სახსრები, რომ მოაწყონ რძის გადამამუშავებელი მინი საწარმოები. იქ, სადაც დღეს მთელ საქართველოში ყველაზე კარგი დამბალი ხაჭო მზადდება – უკანა ფშავის 4-5 სოფელში, არ არის სატელეფონო კავშირი, ელექტროენერგია და გზაც ხშირად მიუვალია. გაუსაძლისი პირობების გამო, ამ სოფლებში ზამთარში მხოლოდ სამი ადამიანი სახლობს. არადა, ძალიან დიდია ამ კუთხის ბუნებრივი პოტენციალი სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობისა და მებოსტნეობის განვითარებისთვის.

**ეთო ხურციძე**

**პროექტ „ნიჭიერის“ დასრულების შემდეგ ამალია ჯიბლაძე გაუჩინარდა და მისი კვალი ყველა ჟურნალისტმა ერთბაშად დაკარგა. თუმცა, რამდენიმე კვირის წინ ჯერ კიდევ საქართველოს საზღვარზე ბოლომდე არ იყო შემოსული, რომ დავურეკე და ინტერვიუს ჩასაწერად რედაქციაში მოსვლა ვთხოვე, მაგრამ, როცა მოვიდა, სულ სხვანაირი ამალია ვნახე. ვერც კი ვიცანი, ისე გალამაზებულა. სავარაუდოდ, ის ყოველთვის ასეთი ლამაზი იყო, მაგრამ საქმე ისე მოითხოვდა, როგორიც ეკრანზე გვეჩვენა. ახლა კი ლილოს ჩანთის ნაცვლად „მიუ მიუს“ ხელჩანთა ეკავა.**

# რატომ ჩააკითხა თურქეთში უცნობმა მამაკაცმა ამალია ჯიბლაძეს და რა საერთო გეგმები დასახეს მათ

**– უპირველესად, გეტყვით, რომ ფანტასტიკურად გამოიყურებით და მიხარია, სულ სხვანაირ, ასეთ ლამაზ და მომღიმარ ამალიას რომ ვხედავ. ასევე, მეგობარ მამაკაცთან ერთად მობრძანდით და სანამ გკითხავთ, სად გაუჩინარდით იქნებ, გაგვაცნოთ თქვენი მეგობარი.**

**ამალია ჯიბლაძე:** ბატონი ალეკო ლურსმანაშვილი ახლახან გავიცანი, რომელმაც დახმარების ხელი გამომიწოდა. საინტერესო წინადადებები შემომთავაზა და მისი წყალობით, განვახორციელებ. ჩვენ გვაქვს საქმიანი ურთიერთობა და სულ ეს არის. მან ჩამომაკითხა თურქეთში და დამარწმუნა, საქართველოში დავბრუნებულიყავი, რომ გამეგრძელებინა ის კარიერა, რომლის ერთგვარი დებიუტიც ფართო საზოგადოების წინაშე, „რუსთვი 2-ის“ პროექტ „ნიჭიერში“ შედგა.

**– ბატონო ალეკო, თქვენ რას იტყვით ქალბატონ ამალიაზე?**

**ალეკო ლურსმანაშვილი** ამ უნიჭიერესი ქალბატონით მისი გამოჩენისთანავე მოვიხიბლე, ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ვინც „ნიჭიერს“ უყურებდა. მაშინ გადავწყვიტე, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში დავხმარებოდი, რაზეც ყოველთვის უარს ვიღებდი, თანაც, ეს ყველაფერი ინტერნეტმიმოწერითა და სატელეფონო საუბრებით ხდებოდა. თუმცა, უხეშად არასოდეს დამლაპარაკებია. მას ხელოვნების ნიჭთან ერთად, ადამიანური ურთიერთობების ნიჭიც აქვს, მისმა პატიოსანმა ბუნებამ კი, კიდევ უფრო გამიმძაფრა სურვილი, რამით დავხმარებოდი, რომ მცირეოდენით მაინც შემემსუბუქებინა მისი ყოფა.



ამალია: „კარგი „ბანტების” კეთების გარდა, კარგი მასაჟიც გამომდის“

**– თქვენი რეალური გაცნობა-შეხვედრა როგორ მოხდა?**

– ორი კვირის წინ თურქეთში ჩავედი, დავურეკე და პირადად გავიცანი. დავარწმუნე, რომ უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში და გაეგრძელებინა დაწყებული საქმე. ჩემი დაც ხელოვანია, მუსიკის პედაგოგია და სხვათა შორის, უამრავი მომღერალია მისი აღზრდილი.

**– თუმცა, ისე გამოვიდა, უხეშად რომ ვთქვათ, ამალია ჯიბლაძის კარიერა პროექტის დასრულებასთან ერთად დასრულდა, რადგან უცებ, ამხელა აჟიოტაჟისა და სკანდალის შემდეგ, ის გაუჩინარდა.**

**ამალია ჯიბლაძე**: მე მქონდა მცდელობა, გამეგრძელებინა ჩემი საყვარელი საქმიანობა, რაშიც მაშინ რადიო „ფორტუნამ“ აღმითქვა დახმარება. თუმცა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა თუნდაც ერთი სიმღერის ჩაწერა. ამიტომ შემოთავაზებას, რომელიც მოსკოვიდან მივიღე – მემღერა ერთ-ერთ ქართულ რესტორანში, დავთანხმდი. თუმცა, მხოლოდ ერთი თვით და ამის შემდეგ ასტრახანში გავემგზავრე, სადაც ჩემი შვილი ცხოვრობს. იმ მოკლე პერიოდში წარმატებით ვითანამშრომლე ადგილობრივ რადიოსადგურთან, სადაც რამდენიმე სიმღერა ჩავწერე. ცოტა ხანში კი თურქეთიდან მივიღე მიწვევა საკმაოდ მდიდარი მამაკაცისგან, რომელსაც საკუთარი რესტორანი აქვს და იქ კვირაში ერთი დღე გამოვდიოდი.

**– კვირაში ერთი საღამოს გამართვა ფინანსურად გიღირდათ?**

– ცუდი ანაზღაურება ნამდვილად არ მქონდა, თუმცა, კარგი „ბანტების” კეთების გარდა, კარგი მასაჟიც გამომდის და დანარჩენი დღეები კერძო მასაჟისტობით ვიყავი დაკავებული.

**– როგორც ჩანს, მრავალმხრივი ნიჭით ხართ დაჯილდოებული, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, თქვენი მოლოდინები ამ პროექტის შემდეგ, არ გამართლდა. ამიტომაც გადაწყვიტეთ, საქართველოდან წასვლა. საირმეში უფასო დასვენება, რომელიც საჩუქრის სახით მიიღეთ – ეს თუ მაინც გამოიყენეთ?**

– კი და ძალიან კმაყოფილი ვარ ამ საჩუქრით. სამწუხაროდ, მე არ მქონდა საშუალება, რომ ჩემი პატარა შვილი ასეთ ლამაზ კურორტზე წამეყვანა. ორივე უზომოდ ბედნიერები ვიყავით ამით. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ადამიანმა თვითონ უნდა შეიქმნას გართობა-დასვენების განწყობა და მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, სად დაისვენებ – ეგვიპტეში, მალდივებზე თუ საირმეში, ყველაფერი ჩვენს შინაგან განწყობაზეა დამოკიდებული. სიმართლე გითხრათ, მერჩივნა ფულადი ჯილდო მიმეღო, რომ ჩემი შემოქმედებისთვის მიმეხედა, მაგრამ, არა უშავს. მგონი, ყველაფერი წინ მაქვს. უბრალოდ, ცოტა ნაწყენი ვიყავი რადიოს დამოკიდებულებით, მაგრამ ჩამოვედი თუ არა, ისევ შევეხმიანე და მგონი, როგორც იქნა, მივაღწიეთ კონსენსუსს. იმედი მაქვს, მალე ჩაიწერება ახალი სიმღერა. რაც შეეხება „რუსთავი 2-ს“, ისედაც არ დამპირებია არც ფულს და არც კარიერის აწყობას. მათ შემიყვანეს ზღვაში და ნაპირზე უკვე თავად უნდა გამომეცურა, ამიტომ, ახლა დროა, ხელ-ფეხი გავატოკო და დამოუკიდებლად გავცურო. ვიდრე იმის ლოდინში დავიძირო, რომ ოდესმე ვინმე მოვა ჩემს გადასარჩენად. ისეთი არ ვარ, ვინმეს კარი ძალით შევუნგრიო და დახმარება ვთხოვო.

**ამალია: „თურქეთიდან მივიღე მიწვევა საკმაოდ მდიდარი მამაკაცისგან“**

**– სამომავლოდ გაქვთ რამე ნაბიჯები დაგეგმილი, რომ ხალხს თავი შეახსენოთ და უკვე მომღერლის რანგში წარდგეთ?**

– ქალაქ რუსთავის მერიის დახმარებით რაღაცას ვგეგმავ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რა გამოგვივა, ამიტომ თავს შევიკავებ. ის თანხა, რომელიც მე ამ თვეების განმავლობაში დავაგროვე, მინდა ისევ ჩემს კარიერას მოვახმარო და დამოუკიდებლად გავაკეთო. ანრი ჯოხაძეს დავურეკე, ვთხოვე, სიმღერის შერჩევაში დამხმარებოდა და მის რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

**– კლასიკურ, აკადემიურ რეპერტუარს შეარჩევთ თუ პოპს?**

– ჩემი არც ვიზუალური და არც შინაგანი სტილი არ მაძლევს შესაძლებლობას, რომ პოპი ვიმღერო და შოუები ვაკეთო. რასაც გავაკეთებ, ყველა სიმღერა ვოკალზე იქნება მორგებული, უფრო აკადემიური ჟანრის რეპერტუარს შევარჩევ.

**– ანრი ახსენეთ და არ შემიძლია, არ გკითხოთ. რას გრძნობდით მაშინ, როცა ანრი მოვიდა ბოდიშის მოსახდელად და ბოდიში მოიხადა იმაზე, რაშიც 100 პროცენტით მართალი იყო?**

– ანრი არ არის ის ტიპი, ვინმემ აიძულოს იმის გაკეთება, რაც მას არ სურს. შესაბამისად, მე მაშინაც და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ ანრიმ ბოდიში მომიხადა პირადად მე, როგორც ქალს, რომლის მიმართაც ოდნავ უხეშად გამოუვიდა რაღაცის თქმა. თუმცა, ამის გაპიარებაც საინტერესოდ იყო შეფუთული.

**– თავად თუ მოგეწონათ ისეთი შეფუთული ამალია, როგორიც საზოგადოების წინაშე წარდგა?**

– საერთოდ არ მომწონს, როცა ვინმეს ვეცოდები. არ მინდა, საცოდავი ან საწყალი ქალი მეძახოს ხალხმა. პრობლემები და გაჭირვება ყველას გვქონია, ყველას ცხოვრებაში ყოფილა ტკივილი და მძიმე პერიოდები, მაგრამ, როცა ხარ შრომისუნარიანი, შეგწევს ძალა, აკეთო რაღაც და შენი შრომით მოიპოვო თუნდაც საარსებო მინიმუმი, რატომ ხარ საცოდავი? თუმცა, რაც შოუს სჭირდებოდა, ისე გაკეთდა, იქ მუშაობენ პროფესიონალები და ჩემზე უკეთ იციან, რა როგორ აკეთონ. შოუ ყოველთვის ყველა ქვეყანაში წინასწარ იგეგმება, კორექტივები შეაქვთ გამომსვლელებში და უფრო საინტერესოს ხდიან. რაც მთავარია, ტყუილი არც ჩემი გამოსვლა იყო და არც ისტორია ჩემ შესახებ. ასეთი სკანდალი და სახალხო აჟიოტაჟი ჩემ მიმართ პირველი იყო. ყველა ჩემკენ იშვერდა ხელს და რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა, ყველაფერ ამის მოსმენა თუ ატანა. მაგრამ, ეს იყო დახურული თემა.

**ბესო მახარაშვილი**

**ზაფხული ის პერიოდია, როცა ადამიანი მთელი წლის შრომისგან დაღლილი, ცდილობს, ხმაურიან ქალაქს გაერიდოს და მშვიდ ადგილას დაისვენოს, ძალები აღიდგინოს და მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად მეტი დრო გაატაროს. როგორც ლენუკა ყიფშიძე ამბობს, ზაფხულში ის ოჯახის წევრებს ხშირად ვერ ხედავს, მათთან ერთად ვერ ისვენებს, თუმცა, განტვირთვას ნამდვილად ახერხებს. ეს ზაფხული კი მას არასდროს დაავიწყდება, რადგან გაქურდეს და თითქმის ყველაფერი წაიღეს. საქმე აღძრულია და იმედია, დამნაშავეს მალე დააკავებენ, ლენუკას კი, კუთვნილ ნივთებს დაუბრუნებენ.**

# როგორ გაქურდეს მძინარე ლენუკა ყიფშიძე და რის გამო ბრაზობს და ეჭვიანობს მამამისი, ზურა ყიფშიძე

**ლენუკა ყიფშიძე**: ზაფხული ძალიან მიყვარს, ვგიჟდები და მთელი წელი მის მოსვლას ველი. ბევრს ვმუშაობ, დატვირთული ვარ და ზაფხულში კარგ დასვენებას და განტვირთვას ვახერხებ. მთელი წელი ზაფხულისთვის ვემზადები და რომ გადის, გული მწყდება. წინასწარ დაგეგმვა არ მიყვარს, რადგან არასდროს არაფერი გამომდის, მაგრამ დასვენებას ეს არ ეხება. ჩემს დაქალთან, მის შვილთან – ჩემს ნათლულთან და ჩემს შვილთან ერთად დავისვენე გრიგოლეთში. ეს ზაფხული არასდროს დამავიწყდება.

**– ანუ, ისეთი დრო გაატარე, რომ არასდროს დაგავიწყდება?**

– *(იცინის).* დროსგატარების რა გითხრათ, მაგრამ ზუსტად ხუთი დღის ჩასულები ვიყავით, რომ გაგვქურდეს. ყველაფერი წაიღეს, ტელეფონიდან და „აიპადიდან” დაწყებული, ტანსაცმლით, სათვალით, საათით და სხვა აქსესუარებით დამთავრებული. ჩანთაში ბევრი რამ მედო, ამოლაგებულიც არ მქონდა და ახლაც არ ვიცი, კიდევ რა წაიღეს. ღამით შემოვიდნენ, გვეძინა და ვერაფერი გავიგეთ. პოლიციაც ჩავრიეთ, გამომძიებლებიც მოვიდნენ, მაგრამ ჯერ ვერაფერი გაარკვიეს. ვამბობდით, რა არის, თვალი ხომ არ გვეცაო. ნამდვილად ასეა – თვალი გვეცა! ოჯახის წევრებისთვის არც კი მითქვამს კარგა ხანს. ვერაფერს მიშველიდნენ და ტყუილად ინერვიულებდნენ. რომ გაიგეს, გაგიჟდნენ, შოკში ჩავარნენ. მამამ კი მითხრა, მთავარია, თქვენ ხართ კარგად და საღ-სალამათები, აღარაფერს დავეძებო. ჩემმა შვილმა კი ველარ გაძლო და ბიძამისთან, გიორგისთან წავიდა გონიოში. კარგა ხანს იქ იყო. თუმცა, მიუხედავად გაქურდვისა, მაინც მოვახერხეთ და კარგად დავისვენეთ.

**– შენმა ძმამ, გიორგიმ, როგორც ვიცი, ბიზნესი წამოიწყო ზღვისპირეთში. თუ გაუმართლა?**

– დიახ, გიორგიმ გონიოში გახსნა ბარი. ჩავედი გახსნის დროს, მივეხმარე. როგორც ვიცი, კარგად ააწყო საქმე, სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და ვნახოთ. იშვიათად ვხედავ და ამიტომ, არ გამომიკითხავს ბიზნესის ამბები. თბილისში რომ ჩამოვა, აუცილებლად გამოვკითხავ.

**– ალბათ, ზაფხული შენთვის იმიტაც არის განსაკუთრებით საყვარელი, რომ**



**მამის, ზურა ყიფშიძის დაბადების დღეც არის...**

– ზურა აგვისტოშია დაბადებული და ამითაცაა ზაფხული ჩემთვის განსაკუთრებული. თუმცა, წელს მამაჩემი დაბადების დღეზე ვერ ვნახე და პირადად ვერ მივულოცე – ბათუმში მამას საღამო მოუწყვეს და იქ იყო. ძალიან კმაყოფილია. სამწუხაროდ, მე ვერ დავესწარი. იქიდან ჩამოვიდა გრიგოლეთში, მაგრად ჩავეხუტე, მოვესიყვარულე და მერე დაბრუნდა თბილისში. სხვათა შორის, გიორგისა და მისი ცოლის დაბადების დღეც აგვისტოშია და გონიოში შევიკრიბეთ. იქ აღვნიშნეთ ოჯახმა და მეგობრებმა გიორგის ახალგახსნილ ბარში. ზაფხულში ოჯახის წევრები ძირითადად ერთად ისვენებენ, მთელი წელი მუშაობენ და ამ დროს იკრიბებიან ერთად, რომ დრო გაატარონ. ჩემი ოჯახის შემთხვევაში კი ასე არ არის. პირიქით, ზაფხულში უფრო ვერ ვხედავთ ერთმანეთს. გიორგის თავისი ოჯახი აქვს. მამაც სულ დაკავებულია. მეც ჩემს შვილზე ვარ გადართული და გამოდის, რომ ცალ-ცალკე გვიწევს ყოფნა. ყველა ერთად ვცხოვრობთ და გამოდის, ზაფხულში ერთმანეთისგან ვისვენებთ *(იცინის).* რაც თავი მახსოვს, მამას ჩვენთან ერთად არ დაუსვენია. სულ გადაღებები ემთხვეოდა და სულ დაკავებული იყო.

> **ზურას არ უყვარს, როცა ყურადღებას აქცევენ, იძაბება. მე პირიქით – მეამაყება და მსიამოვნებს ადამიანების სითბო და ყურადღება, მამის მიმართ რომ იჩენენ**

**– წარმომიდგენია, როცა ზურასთან ერთად გადიოდი პლაჟზე, რამდენი თვალი გაკვირდებოდათ...**

– მე მიჩვეული ვარ ყურადღებას, როცა მამას გვერდით დავდივარ. მაგრამ, ზურა ძალიან თავმდაბალია. მიყვარს, ყურადღებას რომ აქცევენ, აფასებენ და სიყვარულს გამოხატავენ, მაგრამ, თუ ერთად ვართ და მე მომაქცია ვინმემ ყურადღება და შემომხედა, ზურა გიჟს ჰგავს. ეჭვიანობს, ამბობს: რას გიყურებს, რა უნდაო *(იცინის).* სასწაულად ეჭვიანია. არ უყვარს, როცა ყურადღებას აქცევენ, იძაბება, მე პირიქით – მეამაყება და მსიამოვნებს ადამიანების სითბო და ყურადღება, რასაც მის მიმართ იჩენენ. ფაქტია, ხალხს ზურა უყვარს. მამასთან დასვენება ძალიან კომფორტულია. არ დამავიწყდება, მოსკოვში ქართული კინოს დღეები ტარდებოდა. მამამ მე წამიყვანა და მერე ამბობდა, შენთან ერთად ყოფნა რა კარგი იყოო. ზოგადად, უყვარს ჩემთან ერთად „პაესტკებში” სიარული. ალბათ, ერთნაირები რომ ვართ, იმიტომ *(იცინის).*

**– სხვათა შორის, ამბობენ, რომ მამას შენ უფრო ჰგავხარ ხასიათით, ვიდრე გიორგი. ერთნაირობაში რას გულისხმობ?**

– კი, მართალია, მე უფრო ვგავარ მამას, ვიდრე გიორგი. ერთნაირი ხასიათი გვაქვს, ხისტები ვართ, პირდაპირი, თავისებურებებით *(იცინის).* ზურა პირფერობას ვერ იტანს. სულ ამბობს, მირჩევნია, მითხრან სიმართლე და მეტკინოს, ვიდრე პირში მეფერონ და ზურგს უკან ილაპარაკონო. მეც, მასავით თავმდაბალი ვარ და სამართლიანად ფეთქებადი. სხავათა შორის, ზურა ჩემს ძმაზე უფრო ნერვიულობს, ვიდრე ჩემზე. შეიძლება, მე დღეში ერთხელ დამირეკოს და მომიკითხოს, გიორგის გამო კი სულ განიცდის და ნერვიულობს. გიორგი წავაწამოვა, გაედება-გამოედება, ხან გვიან მოვა, ხან ადრე... მე კი სულ იცის, სად ვარ. უფრო სჯერა ჩემი და მენდობა.

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**ანდრეტი**: თუ ყველაფერს აკონტროლებ, ესე იგი, საკმაოდ სწრაფად არ მიდიხარ.

**ჟორდანი**: წინაღობებმა არ უნდა შეგაჩეროს. თუ კედელს მიადექი, უკან ნუ გაბრუნდები. მოიფიქრე, როგორ გადძვრე, გადაძვრე, ან მოუარო.

**ილია**: აზრი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი და საქმეც აზრია, უკვე განხორციელებული.

**ბაირონი**: მელნის ერთი წვეთი საკმარისია, რომ ალუძრა აზრი ათას და მილიონ ადამიანსაც კი.

**ბეკონი**: ყოველ ადამიანში ბუნება შედის მარცვლეულის ან სარეველას სახით. დროზე უნდა მოირწყას პირველი და ამოიძირკვოს მეორე.

**რუსო**: პირველყოფილ მდგომარეობაში საცხოვრებლად საკმარისი იყო ინსტინქტი, განათლებული გონება კი ადამიანს მხოლოდ საზოგადოებაში საცხოვრებლად ესაჭიროება.

**მაკიაველი** : ყველა ცვლილება გზის გამკვლევია ახალი ცვლილებებისთვის.

**დიუკლო**: ხალხი ყოველ გადატრიალებას ტაშისკვრით ხვდება, სანამ კიდევ ერთხელ იმედი არ გაუცრუვდება.

**ევრიპიდე**: პატარა ალიდან ხანძრამდე ხალხი ენას მიჰყავს.

**კნიაჟნინი**: ზნეობრიობა ფილოსოფიის ის ნაწილია, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ, მხოლოდ მცირეოდენს თუ ასრულებენ.

**კონფუცი**: კეთილშობილი ადამიანები სხვებთან თანხმობაში ცხოვრობენ, მაგრამ არ მიჰყვებიან სხვებს. მდაბალი ადამიანი მიჰყვება სხვებს, მაგრამ არ ცხოვრობს მათთან თანხმობაში.

**შექსპირი**: ვინც მარტოა, ის თითქმის არც არის ამქვეყნად.

**ჰიუგო**: ავტორი წერს წიგნს, საზოგადოება იღებს ან უკუაგდებს მას. წიგნის შემქმნელი ავტორია, მისი ბედის შემქმნელი კი – საზოგადოება.

**ლაროშფუკო**: როცა ჩვენს უმნიშვნელო ნაკლს ვაღიარებთ, ამით ვცდილობთ, დავარწმუნოთ ხალხი იმაში, რომ უფრო დიდი ნაკლი არ გაგვაჩნია.

**რენარი**: როცა კარგად ლაპარაკობ, არასოდეს ბევრს არ ლაპარაკობ.

**ლივიუსი**: დიდი საქმეების წარმატება ხშირად პატარა საქმეებზეა დამოკიდებული.

**ტალეირანი**: როგორც გრძელი კაბა ხელს არ გვიწყობს სიარულში, ასევე გრძელი სიტყვა ვერ დაძრავს საქმეს.

**ბოკაჩო**: დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც მიჯნურებს ძნელი საქმეებისთვის, გაუთვალისწინებელი სიძნელეების დასაძლევად აღანთებს.

**სოვაჟონი**: ლამაზი ქალი ძალიან ჭკვიანი არ უნდა იყოს – ყურადღებას ადუნებს.

# თუ გამოიცნობთ

1. ბიზანტიის იმპერიაში ადრეულ ხანაში – მეშვიდე საუკუნეში ჩვენს ერამდე – 21 გადასახადი არსებობდა: მიწის, სულადობის და ასე შემდეგ. იყო მათ შორის ერთი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ იმ შემთხვევაში, თუ შენობის ზომები წინასწარ დადგენილ ნორმებს აღემატებოდა. **რა ერქვა ასეთ გადასახადს?**

2. ჩინეთის თერმოსების ქარხნის დირექტორმა, როდესაც პირველი პროდუქცია უნდა გამოეშვათ, საჩუქრად საბჭოთა ავტომანქანა „ვოლგა" – „გაზ 21" მიიღო და ძალიან მოეწონა ის, რაც ახლაც კი საერთო აქვს ჩინეთის თანამედროვე თერმოსების ფირმასა და საბჭოთა „ვოლგას". **დაასახელეთ, რა?**

3. საინტერესო და უცნაური მოვლენა მოხდა ქიმიის ისტორიაში 1669 წელს. ჰამბურგში ალქიმიკოსმა ბრანდმა, ფილოსოფიური ქვის ძიებისას, საკუთარ შარდში გაურია ქვიშა და ნახშირი... რა თქმა უნდა, ფილოსოფიური ქვა ვერ მიიღო, მაგრამ მისი აღმოჩენის ბაზრობებზე დემონსტრირებითა და მისი ნათებით მიღებული შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული მაყურებლებისგან, დიდძალი ფული იშოვა. **რა აღმოაჩინა ბრანდმა?**

4. ეს უცნაური აქსესუარი ინგლისში მეორე მსოფლიო ომის დროს შემოვიდა. იშვიათად თუ გამოვიდოდა ლონდონში ქალი მის გარეშე. მსოფლიოს წამყვანი კუტიურიეები სთავაზობდნენ ქალბატონებს ლონდონური მოდის ამ სიახლეს. თუმცა, ომის დამთავრებისთანავე ეს აქსესუარი ერთბაშად „გადავარდა" მოდიდან – გაქრა. **დაასახელეთ, რა იყო ეს?**

5. ასე ეძახდნენ ძველ რომში სხვებისგან განსხვავებულად გამოწყობილ ადამიანებს, რომლებიც ბედს სცდიდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე. ასე ვეძახით ჩვენც მათ, ვისაც იგივე სურვილი აქვს. **დაასახელეთ ეს სიტყვა, რომელიც ქართულად „თეთრებში ჩაცმულს" ნიშნავს.**

6. მას სახელი 1937 წელს ამერიკელმა პრესის მუშაკებმა მოუგონეს. თუმცა სიტყვა, რომელიც მექსიკურად ჟღერდა, ჭეშმარიტი ამერიკელისთვის მიუღებელი იყო, რადგან, როგორც თავად ამბობდნენ: შეუფერებელი, მდაბალი და საშიში გახლდათ. უფრო სწორად კი იმიტომ, რომ კლიენტებს ართმევდა ალკოჰოლისა და თამბაქოს კომპანიებსა და ამ პროდუქციით მოვაჭრეთ. **რა სიტყვაა?**

7. სულ ცოტა ხნის წინ ყველას, ვისაც კროსვორდებთან შეხება ჰქონდა, კროსვორდის შემქმნელებსაც და მათ მოყვარულებსაც, კროსვორდისტებს ეძახდნენ. ახლა კი ეს სიტყვა შემორჩათ მხოლოდ კროსვორდის მოყვარულებს, შემქმნელებს კი ეძახიან სიტყვას, რომელიც აერთიანებს კროსვორდსა და ჭადრაკს. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

8. კვების საერთაშორისო ფესტივალზე დიზაინერებმა თავიანთი ქვეყნების დროშები სხვადასხვა პროდუქტებით შექმნეს. მაგალითად, იტალიური დროშა დაამზადეს ორეგანოს, სპაგეტისა და პომიდვრის კომბინაციით. **დაასახელეთ დროშა, რომელიც მხოლოდ ერთი პროდუქტით – თევზით შეიქმნა.**

9. რა თქმა უნდა, როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის დროს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში არავისთვის მიუნიჭებიათ, თუმცა ორივე ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე – 1917 და 1944 წლებში – ეს პრემია ერთსა და იმავე ორგანიზაციას მიაკუთვნეს. **რომელს?**

10. „პანჩატარტა" სანსკრიტული ლიტერატურის ერთ-ერთი ძეგლია და წარმოადგენს წიგნების კრებულს, რომელიც შედგება იგავ-არაკების, ნოველებისა და თქმულებებისგან. პანჩატარტა ქართულად იგივეს ნიშნავს, რასაც ერთ-ერთი ერის ძველი ლიტერატურული და სულიერი ძეგლის სახელი. **რა არის ეს?**

***პასუხები იხილეთ 47-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**31 აგვისტო**

1914 – სანკტ-პეტერბურგს გადაარქვეს სახელი და უწოდეს ლენინგრადი.

1935 – ალექსეი სტახანოვმა პირველად დაამყარა თავისი შრომითი რეკორდი.

1997 – ავტოკატასტროფაში დაიღუპა დიდი ბრიტანეთის პრინცესა დიანა.

**1 სექტემბერი**

1859 – რელსებზე შედგა პირველი ვაგონი საძილე ადგილებით.

1939 – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1951 – ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი სუპერმარკეტი.

**2 სექტემბერი**

1870 – საფრანგეთის არმიამ და თვით იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ, სედანთან განცდილი მარცხის შემდეგ, გამოაცხადეს კაპიტულაცია გერმანელთა წინაშე.

1945 – დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

**3 სექტემბერი**

1778 – მილანში გაიხსნა ოპერა „ლა სკალა".

1921 – პირველად გამოიყენეს ავიაცია მავნე მწერების მოსასპობად.

1949 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია NBA.

**4 სექტემბერი**

1842 – განახლდა 1248 წელს დაწყებული და 1558 წელს შეწყვეტილი კიოლნის ტაძრის მშენებლობა (დასრულდა 1880 წელს).

1888 – ჯორჯ ისთმენმა მიიღო პატენტი ფოტოაპარატზე შიგ ჩასადები ფოტოფირით.

**5 სექტემბერი**

1905 – ამერიკაში დაიდო პორტსმუტის ხელშეკრულება. რუსეთ-იაპონიის ომის დასასრული.

1972 – პალესტინელმა ტერორისტებმა ოლიმპიურ მიუნხენში მოკლეს 11 ებრაელი სპორტსმენი, დაიღუპა კიდევ 6 ადამიანი.

**6 სექტემბერი**

1991 – ლენინგრადს დაუბრუნდა ძველი სახელი – სანკტ-პეტერბურგი.

1991 – დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩეჩნეთმა.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. 0-0-0!**

**1— მფ:a2. 2. მფc2 მფa3. 3. ეa1#**

**1— მფa4. 2. ეd5 მფa3. 3. ეa5#**



**ზურა დოიჯაშვილის ანეკდოტები**

მეგრელს ეკითხება უფროსი:

– რატომ არ იყავი სამსახურში?

– კბილი მტკიოდა ნამეტანი და წამალმაც არ გამიყუჩა.

– ეგ მიზეზი არ არის! მე რომ კბილი მტკივა, ცოლს ჩავეხუტები და მირჩება.

– ბოდიში, უფროსო, მე მასე ახლოს არ ვარ თქვენს ცოლთან.

***

ძმაკაცი ეუბნება მეორეს:

– როცა შენს ცოლს ვხედავ, მიხარია.

– რატომ, ვითომ?

– იმიტომ, რომ ჩემი ცოლი არ არის.

***

ცოლი ქმარს დასტირის:

– ჩემო უბედურო. ისე წახვედი, არაფერი დაგრჩენია ამქვეყნად.

– როგორ არა, ორი ბიჭი და ერთი გოგო ხომ დატოვა? ეგ მთელი სიმდიდრეა! – შეახსენა მეზობელმა.

– არც ეგენია მაგისიიი...

***

ებრაელი ეუბნება სასიძოს:

– თუ ჩემს 20 წლის ქალიშვილს შეირთავ ცოლად, მზითევში 20 ათას დოლარს მიიღებ. თუ ჩემს 30 წლის ქალიშვილს მოიყვან ცოლად, მაშინ 30 ათას დოლარს მოგცემ, ხოლო, თუ ჩემს 35 წლის ქალიშვილს, მაშინ 35 ათასი დოლარი შენი იქნება.

– 50 წლის ქალიშვილი არ გყავთ, ბატონო?

***

ორი სვანის დიალოგი:

– ბექნუ, გაიგე, წუხელ, ღამის 4 საათზე მაიზერი რომ მომკვდარა?

– უი, საწყალი. კი მაგრამ, მაგ დროს არ ეძინა იმ უბედურს?!

***

– ჩემი სიდედრი ქალის ნამდვილი იდეალია, ბუნების ქმნილება, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს...

– რა ნაკლი?

– სუნთქავს!

***

ცხრასაათიანი უშედეგო კოცნის შემდეგ, პრინცი წამოდგა მძინარე მზეთუნახავის საწოლიდან და თქვა:

– მართლა მკვდარი ყოფილა ეს შობელძაღლი...

***

რაჭველი უფროსი ეუბნება გურულ მდივანს:

– ცოტა ნელა ბეჭდე, ქვე შენი ჭირიმე, ვერ ვასწრებ კარნახს.

***

გამოუცდელი კამიკაძე მეტროს მატარებლის ვაგონში შევარდა და ვენები გადაიჭრა.

***

სამმა ახალგაზრდამ გააჩერა სამარშრუტო ტაქსი და ერთ-ერთი მძღოლს ეუბნება:

– ბიძია, სამნი ვარ და ორის ფული გვაქვს, წაგვიყვან?

– წამო, წამო, ერთი იმ მესამის დედაც!..

***

სვანი ცხენს დაკარგავს და იტყვის: კიდევ კარგი ზედ არ ვიჯექიო.



**ნუგზარ კვაშალის ანეკდოტები**

კორპუსის აივნიდან, ცოლი უყვირის ეზოში ქმარს:

– კარენ, ამოსვლას რომ დააპირებ სახლში, პური იყიდე და ამოიტანე რა...

– ხო, ვიყიდი, დაუჭრელს!

– ნუ ყიდულობ ვა, დაუჭრელს, ხმება.

– ზატო, დანა იზოგება!

***

ძმაკაცი უყვება ძმაკაცს:

– ბიჭო, ჩემი მეზობელი პოკერს ისე მაგრად თამაშობდა, რომ მოკვდა, 3 დღე არ ტიროდნენ...

– რატომ?

– ბლეფი ეგონათ.

***

ბებია ავიდა ავტობუსში, დაინახა თავისუფალი სკამი და ფეხებგაშლილი დაჯდა. წინ მჯდომი მოხუცი კაცი აღშფოთდა:

– რა არის, ქალბატონო, სასაფლაო დაკეტეთ!

– რა იყო, მკვდარმა გაიღვიძა?

***

საუბარი კახეთის ბირჟაზე:

– ყველაზე მაგარი ნარკოტიკი უნიტაზია.

– ეგ რა მოიგონე, ჯო?

– რავი, ყველა მაგაზე ზის და...

## *როგორ გადაარჩინა ორი მილიციელი დაჭერას აფხაზური ენის ცოდნამ*

მე და ჩემი მეგობარი, ასთამურ ჰაკბა 1971 წელს მოსკოვის მილიციის სკოლაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგვგზავნეს. ერთი თვე დავყავით იქ. სასტუმრო „როსიაში“ ვცხოვრობდით. დილიდან შუადღემდე კურსებზე დავდიოდით. საღამოდან მოყოლებული კი დროს ვატარებდით. ფული გვქონდა და რესტორნებში გრიალი არ გვაკლდა, მაგრამ ძალიან გვინდოდა სავალუტო ბარში მოხვედრა. იქ კი მხოლოდ უცხოელები დადიოდნენ. საბჭოთა ხალხს კი ვალუტის ქონა ეკრძალებოდათ და ამის გამო მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე და ასთამურმა გავრისკეთ, 150 მანეთად 130 დოლარი ჩუმად შევიძინეთ და ნანატრ სავალუტო ბარში შევაჭერით. შეთანხმებულები ვიყავით, რომ იქ სიტყვა არ დაგვეძრა არც ქართულად და არც რუსულად, რომ არ გავშიფრულიყავით და შარს არ გადავყროდით. თუმცა, შარს მაინც ვერ ავცდით, ვილაც ორი უცხოელი მაგრად შემოგველახა, რომლებიც ჩვენი ქალების წაყვანას ცდილობდნენ. ბარიდან კი დროულად გასვლა ვერ მოვასწარით და მილიციამ ჩაგვავლო... საქმის გარჩევა რომ დაიწყო და რამდენიმე ენაზე გვკითხეს ვინაობა, მე და ასთამურმა აფხაზურად დავუწყეთ ლაპარაკი. მილიციელები დაიბნენ. გაჩხრეკა ვერ გაგვიბედეს, რადგან „უცხოელები“ ვიყავით და უახლოეს განყოფილებაში წაგვიყვანეს ვითარების გასარკვევად.



– აბა, ვინ ბრძანდებით? თქვენი ვინაობა გვითხარით, – თავაზიანად, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე გვკითხა მილიციის მორიგე მაიორმა, რომელსაც ეს ფრაზა სპეციალურად ჰქონდა ნასწავლი მსგავსი შემთხვევებისთვის.

– შენი დედაც, – ერთდროულად ვუთხარით მაიორს მე და ასთამურმა აფხაზურად, თან ხელები გავშალეთ, ვითომდა ვერაფერი გავიგეთ.

მორიგე შეცბა, გაეღიმა და, ჰოი საოცრებავ, აფხაზურადვე მოგვიგო:

– აბა, აბა, ზრდილობიანად, – შემდეგ კი თავის ხელქვეითებს რუსულად უთხრა:

– გაუშვით. დიპლომატები არიან და შარია...

როგორც გაირკვა, მორიგე მაიორი პეტრე კოზლოვი სოხუმელი ყოფილა. აფხაზური ბრწყინვალედ იცოდა და პატივი გვცა. ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ. მეორე დღეს მაიორი რესტორანში დავპატიჟეთ და მაგრად ვიქეიფეთ.

**პოდპოლკოვნიკ რაულ თარბას მონათხრობის მიხედვით მომზადა ნიკა ლაშაურმა**

## წელს ზემოთ ქვრივი

შალვა ბოლქვაძეს ერთმა ძველმა მეგობარმა თავისი ცოლი გააცნო. ცოლი ქმარს სიმაღლეში არ ჩამორჩებოდა.

– ნეტავი შენ, – უთქვამს შალვას. მე წელს ზემოთ ქვრივი ვარ.

**დაახლოებით ოთხი წელია, რაც სალომე იდოიძე თუშეთის დაცულ ტერიტორიებში პატრულირებს. 24 წლის ქართველი რეინჯერი ქალი, ამჟამად კახეთში ცხოვრობს. თუმცა, როცა თუშეთისკენ იხსნება გზები, მთელ ზაფხულს იქ ატარებს. ცხენზე ჯირითი პირველად მამამ ასწავლა. ცხოველების მიმართაც პატარაობიდანვე კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. თუშეთში მისი საქმიანობა არ გაჰკვირვებიათ, თუმცა ვიზიტორებში ქალი რეინჯერის დანახვა, ნამდვილად გაოცებას იწვევს.**

# შეექმნა თუ არა სალომე იდოიძეს რეინჯერობის გამო პრობლემები ოჯახთან და რა საფრთხის წინაშე აღმოჩენილა ის

**სალომე იდოიძე**: დავიბადე და გავიზარდე კახეთის სოფელ ზემო ალვანში. თუშები დღემდე მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, ანუ, ზამთარში ჩამოდიან კახეთში და ზაფხულში ისევ მთას უბრუნდებიან. მეც ასე ვცხოვრობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. საერთაშორისო ტურიზმი მქონდა არჩეული, ამიტომ პრაქტიკა თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გავიარე. პირადად ვიცნობდი რეინჯერებს, კარგად ვიცოდი მათი საქმიანობის შესახებ და ყოველთვის მქონდა სურვილი, მეც ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი. შემდეგ გავიგე, რომ გამოცხადებული იყო ვაკანსია, მეც დავწერე განცხადება, გავიარე გასაუბრება და მიმიღეს. უკვე მეოთხე წელი დაიწყო, რაც ვმუშაობ.

**– შენს ფუნქციებში რა შედის და რთულია ეს პროფესია ქალისთვის?**

– მარტივი არ არის, თუმცა, ძალიან მომწონს ჩემი საქმიანობა. ყველაზე ნაკლებად ის მიქმნის დისკომფორტს, რომ ქალი ვარ. თუშებს არ უკვირთ მსგავსი რაღაცეები. ჯერ კიდევ, მეთვრამეტე საუკუნეში, თუშეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გვქონდა, რომლის მთავარი მოსამართლეც ქალი იყო. სამუშაო დღეს 8-9 საათზე ვიწყებ და ჩემს ფუნქციებში შედის პატრულირება. უფრო კონკრეტულად: ვესაუბრებით ადგილობრივებს, მესაქონლეებს; აღვრიცხავთ გარეულ ცხოველებს, ფრინველებს გამოკითხვისა და ფოტოხაფანგების მეშვეობით; ვაწარმოებთ ბუნებრივი რესურსების მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში, ვმონაწილეობთ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში და სხვა.

**– გარეულ ცხოველებს ხშირად ხვდები? რაიმე საფრთხის წინაშე ხომ არ ყოფილხარ?**

– რატომღაც, მე არ მხვდებიან გარეული ცხოველები. დიდ მტაცებლებს ვგულისხმობ, თორემ პატარებს კი ვნახულობ ხოლმე. შესაბამისად, სახიფათო სიტუაციაშიც არ აღმოვჩენილვარ. ჩემს კოლეგებს იშვიათად, მაგრამ მაინც აქვთ დიდი მტაცებლების ნახვის ბედნიერება. ახლა ვამბობ, რომ მინდა, შემხვდეს რომელიმე მათგანი, მაგრამ მართლა, რომ გადავაწყდე სადმე, მგონი, გადავიფიქრებ ***(იცინის).***

**– ოჯახს როგორი დამოკიდებულება აქვს შენი არჩევნის მიმართ? დედა რას გეუბნება?**

– ოჯახთან არ შემქმნია პრობლემა. როგორც წესი, მსგავს გადაწყვეტილებებს, ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ. ჩემი მშობლები არ მიეკუთვნებიან მშობელთა ისეთ კატეგორიას, ყველაფერში საშიშროებას რომ ხედავენ და შვილებს პატარაობიდანვე შიშს უნერგავენ. მაგალითად, ბავშვებს რომ ეუბნებიან: „ძაღლს არ მოეფერო, გიკბენს"; „კაქტასთან ახლოს არ მიხვიდე, ბეწვი გადაგეყლაპება და მოკვდები"; „ხეზე არ ახვიდე, ჩამოვარდები და დაიმტვრევი"; „ნუ დარბიხარ, წაიქცევი" და ასე შემდეგ. ეს საშინელი დამოკიდებულებაა, თუ ადამიანი არ უფრთხილდება გარემოს და ცხოველების მიმართ სისასტიკით გამოირჩევა, ამაში დიდი წვლილი მშობლებს მიუძღვით. მსგავსი ტიპის ფრაზები არასოდეს გამიგონია ჩემი მშობლებისგან. ლამის დაბადებიდან ძაღლებთან და კატებთან ერთად მეძინა, დავეხეტებოდი ტყე-ღრეში. მამაჩემი სამი-ოთხი წლიდან დამოუკიდებლად მსვამდა ცხენზე. მოკლედ, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში ვიყავი ***(იცინის).*** დედაჩემი საერთოდ ცალკე ფენომენია. შვილების გამო ნერვიულობა და პანიკა შორს არის მისგან. არ მახსოვს, დედას ჩემთვის სადმე წასვლა აეკრძალოს. გაზაფხულზე, ვიდრე თუშეთის გზა გაიხსნება, თუშებს ცხვარი უღელტეხილზე გადაჰყავთ, რასაც 3-4 დღე სჭირდება. სულ მინდოდა, ეს პროცესი მენახა და ორი წლის წინ, ჩემს ორ მეგობართან ერთად, მეცხვარეებს გავყევი. დედაჩემს რომ ვუთხარი წასვლას ვაპირებ-მეთქი, რეაქცია არ ჰქონია. მერე მამას დავურეკე და მან, მე რას მეკითხები, წადი თუ გინდაო. სამაგიეროდ, კლასელის დედამ დამირეკა და კარგად მეჩხუბა: ხომ არ გაგიჟდი, სად მიდიხარ ასეთ ამინდში, არ გაიყინო სადმეო. ერთი კვირა ვწუწუნებდი, მგონი, მშობლებს არ ვუყვარვარ-მეთქი ***(იცინის).***



**დაბადებიდან, ძაღლებთან და კატებთან ერთად მეძინა**

**ყველაზე ნაკლებად ის მიქმნის დისკომფორტს, რომ ქალი ვარ**

**– კიდევ რა ხდება შენს ცხოვრებაში? ვიცი, რომ ფოტოგრაფია გიტაცებს.**

– სამსახურის გარეთ ბევრი ინტერესი და ჰობი მაქვს. ფოტოგრაფია ერთ-ერთი მათგანია. დავდივარ და ვიღებ ფოტოებს. ამ კუთხით არანაირი განათლება არ მაქვს, არც პროფესიონალი ვარ, უბრალოდ, ჩემთვის ვერთობი. კიდევ, ვგიჟდები ლაშქრობებზე და მეგობრებთან ერთად, ხშირად დავდივარ საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე. ყველას მოგიწოდებთ, გირჩევთ, ცოტა ხნით მაინც დაივიწყოთ კომფორტი და წახვიდეთ ლაშქრობაში. დამიჯერეთ, თქვენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება და ბევრ კარგ ადამიანს გაიცნობთ.

**– იშვიათია ქალი რეინჯერი. უხერხული მომენტი მუშაობის პროცესში არ გქონია?**

– უხერხული მომენტი არ მახსენდება. შეიძლება იყო, მაგრამ უმნიშვნელო. ქალი რეინჯერი გაკვირვებას უფრო ვიზიტორებში იწვევს. ძირითადად, სახეზე ეტყობათ გაოცება და მეუბნებიან: „ვა, რა მაგარია", „ყოჩაღ, შენ"!.

**– როგორ უნდა გახდე რეინჯერი? რა უნდა იცოდე?**

– ვაკანსია ცხადდება ჯობს.ჯიზე, შესაბამისად, ყველას აქვს შესაძლებლობა, რეინჯერად ყოფნის სურვილი გამოთქვას. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ვერ შეძლებს მუშაობას. პროფესიულ უნარებთან ერთად, ფიზიკური უნარებიც საჭიროა, ასევე, ადგილობრივ რელიეფთან, კლიმატთან შეგუება და სხვა.

**– ალბათ, ხშირად გიწევს გადაადგილება შორ მანძილზე. ეს დამღლელი არ არის? საკუთარი ცხენი გყავს?**

– კი, ხშირად დავდივარ, თუმცა არანაირად არ არის დამღლელი. პირიქით, ყველაზე კომფორტულად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა ფეხით ან ცხენით დავდივარ. ამიტომ, ეს ყოველივე ჩემთვის უფრო სასიამოვნოა, ვიდრე დამღლელი ***(იცინის).*** ცხენი მყავს და ფერიდან გამომდინარე, ყორანა დავარქვი – შავია.

**– ეს ის საქმეა, რაც გინდა, მომავალში აკეთო, თუ ტურიზმს დაუბრუნდები? კიდევ არიან რეინჯერობის მსურველი გოგონები?**

– უკვე 24 წლის ვარ და უახლოეს მომავალში, ზუსტად ვიცი, რომ ეს ის საქმეა, რაც ყველაზე მეტად მინდა, ვაკეთო. შორეულ მომავალზე კი, ჯერ არ ვფიქრობ ***(იცინის).*** რაც შეეხება რეინჯერობას, კი არიან, ვიცი, რამდენიმე გოგონა, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ ამის.

**ეთო ხურციძე**

# შეიძინეთ „ლევანტოს" ფეხსაცმელი და იარეთ მყარად!

ფეხსაცმლის ქუთაისური წარმოება **„ლევანტო"** 2004 წელს შეიქმნა. იმერეთში თითქმის ყოველმა მეორემ იცის, სად მდებარეობს კომპანია **„ლევანტო"**, როგორ დაიწყო საქმიანობა ნულიდან და როგორ ფეხსაცმელს უშვებს ის. ჩვენ გავესაუბრეთ მოსახლეობას და როგორც ირკვევა, მომხმარებელი მის პროდუქციას განსაკუთრებულად ხარისხიანად მიიჩნევს. თუმცა **„ლევანტო"**, რომელმაც სტარტი ქუთაისიდან აიღო, ახლა უკვე საქართველოს მასშტაბით ცნობილი და აღიარებული ფეხსაცმლის ქართული ბრენდია. მან დაადასტურა, რომ საქართველოში წარმოებულ პროდუქციასაც შეუძლია კონკურენციის გაწევა.

**„ლევანტო"** ქართულ ბაზარზე ამჯერად განახლებული მაღაზიებითა და კიდევ უფრო მრავალფეროვანი პროდუქციით წარდგება. სულ ახლახან კომპანია **„ლევანტომ"** ორი ახალი მაღაზია გახსნა: სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში", მეორე სართულზე და გამსახურდიას გამზირზე, ნომერ 5-ში. ორივე მაღაზიაში კომპანიამ კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტი შესთავაზა მყიდველს.

**„ლევანტო"** ქართულ ბაზარზე არა მხოლოდ იმითაა გამორჩეული, რომ ის ნატურალურ ტყავზე მუშაობს და ხარისხიან ფეხსაცმელს სთავაზობს მომხმარებელს, არამედ იმითაც, რომ მისი ნაწარმი ხელმისაწვდომია მყიდველისთვის. კომპანია ფეხსაცმელს ქუთაისში მდებარე ქართულ საწარმოში კერავს, თუმცა შესაკერი ნედლეული, ნატურალური ტყავი ესპანეთიდან შემოაქვს. ამიტომაც ფეხსაცმელი **„ლევანტოს"** მარკით დიდხანს ძლებს, მყარია და ხარისხის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ფეხსაცმელი ფაბრიკაში იკერება როგორც ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის, ასევე ბავშვებისა და მოზარდებისთვის.



ასევე, უკვე 2 წელიწადია, რაც **„ლევანტო"** არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობს საკუთარი წარმოების ფეხსაცმელს, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი, ყაზახეთშიც ახდენს მის ექსპორტს. ყაზახურ ბაზარზე მას საკმაოდ დიდი მოწონება ხვდა წილად და მოთხოვნილება დიდია.

მოკლედ, **„ლევანტო"** მყარად სიარულის გარანტიას იძლევა. შეიძინეთ მისი პროდუქცია და თავად დარწმუნდებით, რომ ამ ფეხსაცმლით დიდხანს ივლით!









**მის: სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა", მე-2 სართული და გამსახურდიას გამზ. №5**
**Facebook Levanto**



გვ. 62

შეექმნა თუ არა სალომე იდოიძეს რეინჯერობის გამო პრობლემები ოჯახთან და რა საფრთხის წინაშე აღმოჩენილა ის



გვ. 2

ამის კეთება რომ დავიწყე, ყველა მეუბნებოდა, გიჟი ხარო და დამცინოდნენ

ვინ დაეხმარა მარიამ დარბაიძეს ტრაგედიის გადატანაში და როგორ ისწავლა მან ხელოვნების ნიმუშების დამზადება



გვ. 28

რატომ იყო ღვინის სმაში შეჯიბრება ქართველი კაცისთვის დაუშვებელი და რატომ არიან ქართველები სექტემბერში უფრო მგრძნობიარენი



ხვეწნას ვერავის დავუწყებ, ამდენი წელი, იქ ვმუშაობ და უხეშად რომ ვთქვათ, ჩემზე დიდი მოთხოვნაა

გვ. 54

რის კეთება ეკრძალება ჩინეთის კლუბში მუშაობის გამო სოფია კენჭიაშვილს და რატომ უკრძალავს მენეჯერი მას ძალიან სექსუალურად ჩაცმას

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი … გ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №35 (766) * 31 ა… 6 ს…ქტემბერი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge